ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

5

1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იდიდე, მშვიდობავ!

კვლავ კიდევ
და კიდევ
ახალ ბნელს რიდე!
იდიდე, მშვიდობავ,
იდიდე!

გრდემლს სცემდე
თუ მკიდე,
მუხანათს შიშს ჰგვრიდე!
იდიდე, მშვიდობავ,
იდიდე!

მთის კიდედ,
ზღვის კიდედ
სახალხო გმირთ ზრდიდე!
იდიდე, მშვიდობავ,
იდიდე!

სინათლის
სიწმინდეს
ვარდებად გვიწვდიდე!
იდიდე, მშვიდობავ,
იდიდე!

გალაკტიონ ტაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

346

გამოცემის ოცდაშვიდმეცხრე წელი

5

მაისი

1986

თბილისი

სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბეძიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
თეიმურ გიორგაძე
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დღიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფეა კახიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შაბაძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი ფერეთელი
ტარიელ ჭანტურია
გაფრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

3. გიორგი კეკელიძე — ვარდი და ეკალი. მოთხრობა.
24. იორამ ქემერტელიძე — ლექსები
28. თამარ პაპუნაშვილი — მარტი. მოთხრობა
38. გრიგოლ ჯულუხიძე — ლექსები
43. გივი ჯახუა — საიდან მოდიან მფრინავი თევზები. მოთხრობა
51. ხუტა გაგუა — ჩემი საყვარელი ბრელეთი. პოემა-ზღაპარი
64. ირაკლი ჩარკვიანი — ცალფეხზეშვილი ბავშვი. მოთხრობა
75. ზეინა რომანიძე — ლექსები
76. ჯემალ რატიანი — მოთხრობები

გაზაფხულის სიმღერები

89. ნინო მუხლაძე, ნინელი პერტენავა, ნინო მდივანი, ნანა ფაბათაშვილი, ნათელა მამარდაშვილი. ლექსები
84. ლეანან სანიკიძე — გიორგი ათონელი. რომანი. გაგრძელება

ახალი თარგმანები

114. ანტონ ჩეხოვი — ფსიქოპათები. თარგმნა ზაალ ბოტკოველმა

წერილები

118. გურამ გვერდწითელი — მზიანი გული
134. გივი ახვლედიანი — ჩრდილო კავკასიის ქართველთა ზეპირსიტყვიერება
139. იგორ შტოკმანი — ლიტერატურა ძველითი სამკარო. თარგმნა ლია ფარეულიძემ
145. მურმან ჯაფუაურია — პოეტის ალბომი
147. ლაშა გრიგოლაშვილი — დაკვიე ალმაშენებლის „გალოგანი სინაფულისანის“ ფსატურული სახისათვის

სამამულო ომის ეპოქა

158. სპარტაკ რეხვიაშვილი — პარტიზანი ინსტრუქტორ-გამოგზონებელი

გიორგი კეჭაღმაძე

ვარდი და ეკალი

მოთხრობა

ის წელი, ის საოცარი გაზაფხული არასოდეს დაავიწყდება ვაჩეს. ხომ ამდენი ხანი გავიდა, მაინც გუშინდელივით ახსოვს ყველაფერი: სუსხიანი, გაჯანჯლებული, გაჯიუტებული ზამთარი, ქარაშოტიანი, უხვთოვლიანი მარტი; ხან წვიმდა, ხან თოვდა, ხან ქარი ქშუტუნებდა მომაბეზრებლად. ვერც კი გაარკვევდი, მართლა მოვიდა გაზაფხული, თუ ისევ შუა ზამთარი იდგა. აპრილი კი, აპრილი სულ სხვა იყო, აპრილს ვეღარაფერს დაუწუნებდი — ზარითა და ზეიმით მოვარდა. გადიდგულებული ზამთარი მასაც წაეპოტინა თავისი ხარბი, გაძალტყაევებული ხელებით, მისი მითვისებაც დააპირა, მაგრამ ვეღარაფერს გახდა ამჯერად, შერცხვენილი და დამარცხებული სასწრაფოდ უკუიქცა, აიკრა გუდა-ნაბადი და გადაიკარგა, თითქოს არც არსებულა, თითქოს მოჩვენება იყო. გათბა მიწა, ჰაერი, გათბნენ ადამიანები, გამოცოცხლდნენ, გახალსდნენ, ახმაურდნენ, გიახადეს თბილი ტანსაცმელი, გამოცვივდნენ სახლებიდან. ერთბაშად სიხარულით, ბედნიერებით, სიცოცხლით აივსო ყველაფერი. ზეიმობდა, ბედნიერი იყო ვაჩეც. ორი მიზეზი ჰქონდა საამისოდ: ჯადოსნური გაზაფხული და ეს საოცარი, სასწაულებრივი სავანე და სამკვიდრებელი, ეს ახალთახალი, აივნიანი ბინა მეშვიდე სართულზე!

ვაჩე ტახტზე იწვა, არ ეძინა. დღისით რა დაეძინებდა, ბოლო დროს ბედნიერებისაგან ღამითაც უჭირდა დაძინება. ხედავდა, მთელი არსებით გრძნობდა, როგორ უმტვრევდა კარებს გაზაფხული, როგორ აწყდებოდა ფანჯრებს. დიდებული, მშვენიერია! აეწყო ცხოვრება, როგორც იქნა. უფრო სწორად, დღეიდან აეწყობა, დალაგდება დაწყნარდება, კალაპოტში ჩადგება. დღემდე იგი ჯიუტად, მზაკვრულად უსხლტებოდა ხელიდან, როგორც გამოუცდელ, ახალბედა მეთევზეს კალმახი. დღეიდან კი გაუგებს გემოს, ფერსა და სუნს, როგორც იქნა, მარჯვედ სტაცა ხელი, ლაყუჩებში ჩაავლო და მაგრად უჭირავს, ახლა ვერ გაექცევა, ვეღარ გაუსხლტება. ეს გაზაფხული სულ სხვანაირია, არ ჰგავს ძველებს, გასულებს. იგი მიჯნაზე დგას, სამაწე — ძველსა და ახალს შუა, იგი მაღალი კოშკია, გოდოლი, საიდანაც გარკვევით მოჩანს წარსულიცა და მომავალიც, ყველაფერი ცხადი, ნათელი, აწონილ-დაწონილი და შეფასებული, მომავალს ყოველთვის აქვს ჩემთვის გადანახული რაღაც მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი. წარსული კი, წარსული ხელისგულზე დევს. რაო, რამდენმა წელმა ჩაირბინა უკვე? რამდენი გავიარეთ? ოცდაათი? არც ისე ბევრია, მაგ-

რამ არც ცოტა ეთქმის. მართლაც რომ შუაზე დგას, მართლაც რომ მაღალი კოშკია, საიდანაც, თუ მთლად ბრმა არა ხარ, რაღაც კი უნდა დაინახო კაცმა ჭკუის სასწავლებელი. რამდენი დარჩა კიდევ? ამჯერად ხომ ესაა უმთავრესი; რაც იყო, წასულია, დამთავრებულია. ჰოდა, ერთი ამდენიღა დაგვრჩა. ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები. სიბერის მითვლა არც კი ღირს. ან იქნება, ან არა. კაცმა რომ თქვას, დიდი სიკეთე არც ყრია სიბერეში. თავი რატომ უნდა მოვიტყუოთ? არ სჯობია, აქედანვე ფიზიზელი, ნათელი თვალებით შევხედოთ ცხოვრებას? სამოცდაათის მამაკაცებიც უნახავს, ჭაბუკური მხნეობითა და სიხალისით რომ ეწევიან ცხოვრების ჭაპანს, მაგრამ ვაჩე იცნობს თავის შესაძლებლობებს, ცდილობს, არ გადააფასოს იგი. მაინცდამაინც კაკივით ჯანმრთელობა არც აქამდე ჰქონია, ბოლო დროს კი წონაშიც საგრძნობლად მოიმატა, თმაც შეუთხელდა, მალე იღლება, აღმართში გულისცემა უხშირდება, ძველებურად ვერც უძილობასა და ღვინოს ეტანს. ათიოდე წლის წინ ჯანიანი და საღსალამათი, ტანთხელი და სქელულვრიანი, ენამახვილი, ხალისიანი და მხნე, თანაკურსელებს მთაში ოთხდღიან ხეტიალზე რომ დასთანხმდა, რას იფიქრებდა, რომ ასე მალე ამ პრობლემების წინაშე დადგებოდა. მაშინ მომავალი სულ ია-ვარდით მოფენილი ესახებოდა, ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა ულევი და უსასრულო. ეგონა, სულ ასე ჩიტივით იფრენდა. რას იზამ. არც ჯანმრთელობა მოდის თავისით, მისთვისაც ენერგიული, მედგარი ბრძოლაა საჭირო. დროა, ამისთვისაც მოიცალოს. უკვე დროა!

ასეა თუ ისე, თამამად თუ შეხედავს ცხოვრებას, სინამდვილეს თუ უშიშრად გაუსწორებს თვალებს, ნახევარი გზა გავლილია. ამას აღარაფერი ეშველება. თუმცა, არც მთლად წყალში ჩაუყრია ეს ამბები დრო. გულხლდაკრეფილი არ მჯდარა ცისგან მოწყალების მოლოდინში, ცდილობდა, რუდუნებდა, რაც კი შეეძლო. სკოლა წარჩინებით დამთავრა, არც სტუდენტობაში უზარმაცნია. სამსახურსაც არ ემდურის. ეს ბინა კი... ეს ბინა, ვიცით, რაც არის. დიან, უკვე შეუძლია, ახალ ცხოვრებას შეუდგეს.

ვაჩე ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე აივანზე გავიდა და ქალაქს გადახედა. მზე საშუადღეოზე იდგა. ცხელოდა, ქალაქი ხმაურობდა, ქუჩებში ცხოვრება დუღდა. რამდენი ნატრობს, რამდენი ოცნებობს ახლა ქალაქში ასეთ ბინაზე. თვითონაც ხომ მთელი ცამეტი წელი ელოდა, სტუდენტობის წლებსაც თუ მივთვლით. რა არ გამოცადა, რას არ გაუძლო. მარტო ის ხუთი წელი რად ღირდა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში რომ გაატარა. ეს იყო ყველაზე ცუდი, ყველაზე ავადმოსაგონარი დრო მის ცხოვრებაში. მაშინ სტუდქალაქში თორმეტიოდე ორსართულიანი კორპუსი და ერთი მოზრდილი შენობა იდგა, სადაც ძლივს ეტეოდა სასადილო, აბანო და კლუბი. ახლანდელი მაღალი, ლამაზი კორპუსები არც დასიზმრებია მაშინ ვაჩეს. ხუთი სტუდენტი ცხოვრობდა ერთ ოთახში. თვე ისე გავიდოდა, წესერად ვერ გამოიძინებდა. როგორღა დაიძინებდა ოთახში, სადაც ზოგი წევს და ხვრინავს, ზოგი მაგიდასთან ზის და წიგნის კითხვაში ათენებს ღამეებს, ზოგი არც ხვრინავს და არც მეცადინეობს— ლაყბობს, ლაზღანდარობს, არც ძილს გაცლის, არც წიგნის კითხვას. რამდენი ჩხუბი, რამდენი შეხლა-შემოხლა ჰქონია ამხანაგებთან ამის გამო. არის ხალხი, გადატანილ გაჭირვებასა და სიძნელეებს სიამოვნების ღიმილით რომ იგონებს და ხანდახან ნატრობს კიდეც იმ დროის დაბრუნებას. ვაჩე მეტად შორს იყო ამგვარი სიამოვნებისა და ნატვრისაგან. გადატანილი სიძნელეები მას კმაყოფილებასა და სიამაყეს კი არ განაცდევინებდნენ, პირიქით, ერთგვარ სინანულს აღუძრავდნენ, სწორედ ისეთ სისულელეს რომ ჩაიდენ და მერე ვერ გათავისუფლებულხარ სირცხვილისა და სინდისის ქენჯნისაგან. სტუდენტობისას, ამხანაგებმა მთაში სახეტიალოდ რომ წა-

იყვანეს, ოთხ დღეში ასიოდე კილომეტრი გაიარა ფეხით. რომ დაბრუნდა, ფეხის თითებზე ფრჩხილები გაუშავდა და ასძვრა კიდეც. ახლაც ვერ უპატიებია თავისი თავისთვის ის სისულელე, ზოგი კი მის ადგილას იამაყებდა კიდეც.

ბედის სამდურავი დღემდე არაერთხელ დასცდენია ვაჩეს. უიღბლო კაცი ვარო, ამბობდა, ვარდს ეთესავ და ეკალი ამოდისო; ვცდილობ, რაც კი შემიძლია, ყველის თანაგრძნობა გავუწიო, მხარში ამოვუდგე, პატივი ვცე, სხვებს კი სულაც არ უნდათ სიკეთით მიპასუხონო. რაღაც ძალიან ადვილად აქცევდნენ ზურგს ვაჩეს ძველი მეგობრები და ამხანაგები. სულ პატარა მიზეზით, ან სულაც უმიზეზოდ დაემდურებოდნენ და ზოგჯერ ჭტრადაც გაუხდებოდნენ ხოლმე. ახლაც ვერ მიმხვდარა, რა დაემართა მის ამხანაგს, სტუდენტობიდანვე თაშეზრდილს პაატა უნგიაძეს, რატომ მოიძულა, რატომ იყო ვაჩესთან უმძრახად. ფული შემმესლია და ორიოდე დღით სამი მანეთი მასესხეო, სთხოვა პაატას. პაატამ ჯიბიდან ოცდახუთმანეთიანი ამოიღო და ვაჩეს შეაძლია. სამი მანეთი მეყოფა, მეტი არ მინდაო, იუარა ვაჩემ. აიღე, რა იცი, რაზე დაგჭირდებაო, უთხრა პაატამ. ვაჩეს გაეცინა, ფული ჯიბეში ჩაიდო, ამხანაგს მადლობა გადაუხადა, მალე დაგიბრუნებო, დაპპირდა, თან ეცინებოდა. რა გაცინებსო, ჰკითხა პაატამ. „არაფერი, ისე“. „თქვი, თქვი, რას მიმალავ?“. მივხედი, სამის ნაცვლად ოცდახუთს რატომ მაძლევო. „რატომ?“ ჩაეძია ამხანაგი. „შეგეშინდა, არ დამეკარგოსო. სამ მანეთს ვერ მომთხოვდი, ოცდახუთი მანეთის შეხსენება კი სულაც არაა სათაკილო“. პაატა სახეზე წამოენთო. ხომ მიგიხვდიო, გაიცინა ვაჩემ და თანამშრომელს მხარზე დაჰკრა ხელი, გულთმისანი ვარო. მაგრამ ტყუილად შეშინდი, რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს, მე ვალის შერჩენა არ მიყვარსო. ასეც იყო. ვერავინ იტყოდა ვაჩეზე, ვინმეს რამე წაჰგლიჯა, წაართვა, მოატყუაო. სხვისი კაპიკიც არ შეურჩენია მისდღეში. ღმერთმა შენც შეგარაცხვინა და შენი გულთმისნობაცო, უთხრა პაატა უნგიაძემ და ამის შემდეგ ვაჩე დასანახავად შეიძულა. „ნუთუ სიმართლე კაცს ასე უნდა ეწყინოსო?“ უკვირდა ვაჩეს. მსგავსმა მისნობამ და გულთამხილაობამ დააკარგვინა ვაჩეს მეორე თანაკურსელი და თანამშრომელი, უახლოესი მეგობარი არსენა პატაშური. სამი წლით ვაჩეზე უფროსი არსენა ბავშვივით უშწეო და უსუსური იყო. უმარიფათოსა და უგერგილოს ამხანაგის გარეშე ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლო. გოგო უყვარდა ერთი და მის სანახავად რომ მიდიოდა, იქაც ვაჩე მიჰყავდა. არსენას ხათრით, ჯერ ვაჩემ გაიცნო ის გოგო და სიყვარულიც აუხსნა მის მაგივრად. აღმოჩნდა, რომ გოგოს შეყვარებული ჰყავდა და ვაჩეს გარჯა და მცდელობა წყალში ჩაკვიდდა, თუმცა ყველაფერი გაკეთა, რაც კი შეეძლო. გოგოს მამასთანაც კი მივიდა, არსენა პატაშური უნიჭიერესი მეცნიერი-მუშაკია მთელ თბილისში და უკეთეს სიძეს ვერსად ნახავო, უმტკიცებდა. მათი მეგობრობა ვაჩეს დის ქორწილს შეეწირა. ვაჩეს და სოფელში ცხოვრობდა, საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა, ძმაზე მთელი ხუთი წლით იყო უფროსი, გათხოვების იმედი უკვე დაკარგული ჰქონდა, მოულოდნელად ბედი რომ ეწვია. ყველას გაუხარდა, რა თქმა უნდა, კარგა დიდი ქორწილიც გაუმართეს. ვაჩემ, სხვებთან ერთად, თავისი მეგობარი არსენა პატაშურიც მიიწვია ქორწილში. ქალაქში დაბრუნებულმა ვაჩემ მოინახულა მეგობარი. იგი ლოგინში იწვა სიცხიანი. არსენამ ბოღოში მოუხადა, გრიპი შემეყარა, იმიტომ ვერ ჩამოვედიო. არა უშავსო, უთხრა ვაჩემ და გაეცინნა. რა გაცინებსო? ჰკითხა არსენამ. „ვიცი, ვიცი... გასაგებია ყველაფერი... მაგრამ, არა უშავს. მიპატიებია. ცოტა კი მეწყინა ისე, ჩვენს შორის რომ დარჩეს. მეგობრები ვართ, ბოლოს და ბოლოს. შენც ხომ დაგწყდება გული, შენი დის ქორწილში რომ არ მოვიდე რაღაც ორმოცი-ორმოცდაათი მანეთის გულისთვის... კარგი, კარგი, არ გეწყინოს... გეხუმრე...“ ვაჩეს ისევ გაეცინა, არსენა ლოგინიდან წამოხტა, სწრა-

ფად ჩაიცვა. „შენ არ გჯერა, გრიპი მეკ-ნდა-მეთქი, რომ გეუბნები?“ „კარგი, ჰო, მჯერა, მჯერა, რას შეფუცხუნდი,— კვლავ იცინოდა ვაჩე, — ისე კი სულ არ იყო საჩუქრებით მოსვლა საჭირო და აუცილებელი. ოჯახის წევრივით ხარ ჩვენს ოჯახში...“ არსენას სიმწრის ოფლი დაასხა, ვაჩე ეს თვალებში შეჰყურებდა, ენა ჩავარდნოდა. „გადი, — ძლივს ამოილუღლუღა, — გადი ახლავე... კაცი არ ხარ შენ“. ვაჩეს სიცილი სახეზე შეეყინა. „კი, ბატონო, წავალ... არც უნდა მოვსულიყავი შენთან, მაგრამ ხომ ვყოფილვარ გულთმისანი? ხომ ასე იყო?“ „კი, ასე იყო“. „აბა რაღა გინდა ჩემგან...“ ვაჩე წავიდა. ასე დაკარგა მეგობარი. ხედავთ, რა მწარეა სიმართლე? არ ეთქვა და, როგორ არ ეთქვა, მართლა ეწყინა, მეგობარი რომ არ ესტუმრა. დაიკარგის! არც არაფერი აქვს საბოდიშო და სახვეწარი არსენა პატაშურთან. დიდი ვინმე კია. საერთოდ არ უყვარდა ვაჩეს ასეთი უგერგილო, უხეირო ადამიანები. ჯერ ჩაცმა ნახე, სტუდენტობისდროინდელი ქურთუკი ახლაც არ გაუხდია. ჰალსტუხიც არ გაუკეთებია ჯერ. მუდამ რაღაცნაირად ჩამოჩაჩული, მორცხვი, მორიდებული, ჩრდილში მიმალული, საწყალი და საცოდავია; მეცნიერ მუშაკს კი არა, ნაციხარს ჰგავს. დოვლათი არც ვაჩეს გადასდიოდა, არც ვაჩე იყო მილიონერი, მაგრამ მაინც კოხტად, ლამაზად, გემოვნებით იცვამდა, არსენასავით მანაც გამოსცადა ცალმხრივი სიყვარულის სიმწარე, მაგრამ სხვას კი არ შეჰყურებდა ხელებში, სხვას კი არ ახსნევინებდა გოგოსთვის სიყვარულს. თვითონ გააკეთა, თვითონ მიაღწია ყველაფერს (რისი მიღწევაც ცალმხრივ სიყვარულში შეიძლება): გაიცნო სატრფო, კინოში და თეატრში წაყოლაზე დაითანხმა, ოჯახშიც ესტუმრა. პირველ, მეორე, მეათე უარზეც კი არ გაიტეხა გული; არსენასავით კი არ ლუღლუღებდა და ბლუკუნებდა, გოგოს რომ ელაპარაკებოდა. მშვიდად, ბეჯითად, თავგამოდებით უმტკიცებდა უგულო სატრფოს, რომ მეთერთმეტე უარი სასიკვდილო განაჩენი იქნებოდა. ამას ისე მტკიცედ, თამამად და დაჯერებულად ლაპარაკობდა, ქალს უკვირდა კიდეც, ყურებამდე შეყვარებული კაცის პირობაზე აზრებს მეტისმეტად კარგად ალაგებსო. ვაჩემ ყოველთვის იცოდა, რას აკეთებდა და რისთვის, თავის გზასავალზე ფეხი ადვილად არ აუცდებოდა, არ აუსხლტებოდა, თავგზას ასე ადვილად ვერავინ აუბნევდა. ამ უთანასწორო ბრძოლაშიც კი, ამ ხელჩართულ კვეთებაში (რასაც ზოგიერთი სიყვარულს ეძახის) იგი ბოლომდე ინარჩუნებდა წონასწორობას, მეთოდურად მიჰყვებოდა წონასწორ მოფეკრებულ, დადგენილ, ურყევ გეზს, ვადაც კი დაუნიშნა თავის თავს: „მოგწონს? გიყვარს კიდეც? უმისოდ სიცოცხლეც არ შეგიძლია? ზღაპარია, ზღაპრებს მოვეშვათ. სიცოცხლეს არაფერი უდგას წინ, მასთან ყველაფერი ტყუის, მიჰქარავს... ბედნიერებისთვის კი უნდა იბრძოლო, უკმისოდ მას არავინ გიწყალობებს. იბრძოლო უნდა! იბრძოლე, კი ბატონო. შეუპოვრად, არაფრის წინაშე უკან არ დაიხო, მაგრამ თავისი დრო და ვადა აქვს ყველაფერს. ხუთი თვე გეყოფა? ათი? ჰაბ, ერთი წელი იყოს... არც ერთი დღე მეტი“. გავიდა ის ერთი საბედისწერო წელიც, უიმედო, სასტიკ, დაძაბულ ბრძოლაში გავიდა და აი, მიწასთან გასწორებული, განადგურებული ვაჩე გაადგრებით წიხლავდა მიხაკებით სავსე კალათას, დაბადების დღეზე სატრფოს რომ შეუგზავნა, მან კი ფანჯრიდან გადმოაგდო და კინაღამ თავზე დაამხო იქვე ჩასაფრებულ ვაჩეს. ეაკი გაადგრებით წიხლავდა მიხაკებს, დამარცხებული და გამოფიტული, მაგრამ ამავე დროს უცნაურად ლაღი და ბედნიერი... კი, ბედნიერი იყო, რადგან შეეძლო გაეთელა, დაეწიხლა, დაესრიალა ეს მიხაკები, შეეძლო ყველაფერი ამოეყარა, ამოეფერთხა გულიდან, იფერთხავდა კიდეც, ნელ-ნელა სწორდებოდა წელში, ივსებოდა ახალი ძალითა და ენერგიით, თავისუფლდებოდა საშინელი, დამთრგუნავი, წელში გამწყვეტი სიმძიმისაგან.

სწორედ ამაში იყო უდიდესი შვება; შვება ცოტაა, ბედნიერება იყო ამაში.

ვაჩეს ჰქონდა უნარი ყოველი მარცხის შემდეგ წელში გასწორების, ძალთა მოკრების, ამ მხრივ ნამდვილი მებრძოლი იყო. ცოტა ხანიც და, მას შეეძლო უფრო სასტიკ, უფრო მძიმე, უფრო ულმობელ ორთაბრძოლაში ჩაბმულიყო და ჩაება კიდეც... ვინ იყო ამჯერად მისი გულის მფარველი? მისი რჩეული? სატრფო? ეს... ეს მუზა გახლდათ! საიდან სადაო, ვინ იფიქრებდა ამას. ეს ამბავი, ალბათ, მისთვისაც მოულოდნელი იყო. ხუთი, ან ათი წლის წინ მსგავსს ვერაფერს წარმოიდგენდა... ან იქნებ გულში ჩუმად ატარებდა სანუკვარ, ლამაზ ოცნებას, იქნებაც ყველასაგან მალულად, შიშით, კრძალვით ელოლიავებოდა, ანებივრებდა, ეფერებოდა ფიქრს, იმედს, ნატვრას, რომ დადგებოდა დრო, მოიცლიდა უმშვენიერესი დედოფლის თვალწარმტაც მუხლებთან დასაჩოქებლად, მისი სხივოსანი ტერფების სამბოროდ? არა, ბავშვობაში როგორ არ ხატავდა. ვინ არ ხატავს ბავშვობაში. ვის არ გამოუსახავს სასკოლო რვეულის ფურცლებზე ფერადი ფანქრებით პირმრგვალი, მოღიმარე, მხიარული, სხივდაფენილი მზე; ასევე სხივებით დატვირთული, მაგრამ პირქუში, ნაღვლიანი, მუდამ ღალატისა და ვერაგობის მომლოდინე, თავდასაცავად გამზადებული ზღარბი: ხე, წვეტიანი, საბრალოდ ძირსჩამოყრილი, განძარცული ტოტებით; ბურთი, ძაღლი, ძროხა და ცხენი, ხელიხელჩაკიდებული ხალისიანი გოგოები და ბიჭები, ყურებამდე პირგაბეულები, წვრილი ფეხებითა და ზღარბის თავებით. ვაჩეც ხატავდა ყოველივე ამას, ხატავდა ისტორიის გაკვეთილზე, ამხანაგის ზურგს ამოფარებული, მინდორში, ძროხის მწყემსვის დროს, მდინარის პირას, კბოდეზე შემომჯდარი, წყლის იდუმალ ჩხრიალს მიყურადებული. მეცხრე კლასში რომ გადავიდა, როგორც ბევრმა სხვამ, ვაჩემაც მიატოვა ხატვა. რა იცოდა, თუ თხუთმეტიოდე წლის შემდეგ კვლავ მიუბრუნდებოდა მას ასეთი თავდავიწყებითა და გატაცებით. ერთი კი იყო: ამ ... დრო, ვადა დაუნიშნა თავის თავს — ერთი წელი, მხოლოდ თორმეტი თვე. თუ რამე შეგიძლია, ეს დრო უნდა გეყოს! სასწრაფოდ დაეთხოვა სამსახურს. რაღაც ცნობა გააკეთა, თითქოს ავად იყო და ერთი წლით გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებდა. რაღაც სახელოსნოს მაგვარი ფარდული მოძებნა, დაიქირავა და ჩაიკეტა. ნაცნობებს, მეგობრებსა და ნათესავებს ახლოს არ იკარებდა. არც მხატვრებს იცნობდა, არც მათი საქმის სხვა მეცოდინეს. არავის არაფერს ეკითხებოდა. აერც არავინ იცოდა რამე მის საქმიანობაზე. თუმცა ერთი ნაცნობი კი ჰყავდა მხატვართა წრეში. ერთი საკმაოდ ცნობილი, კარგი ფერმწერი, ორიოდე წლით ვაჩეზე უმცროსი. ბავშვობიდან იცნობდა, მთის ერთ-ერთ აგარაკზე გაიცნო. თვითონ მეშვიდე კლასში იყო მაშინ, ის ბიჭი — მეხუთეში. თენგიზი ერქვა.

ბიჭი თავის ასაკისათვის შეუფერებლად დინჯი და სერიოზული იყო. მოლბერტი ჰქონდა ერთი, უფროსი ძმა ჰყავდა სტუდენტი და იმას ეჩუქებინა. წამოიკიდებდა ზურგზე მოლბერტს და ეს თითის სიგრძე ბავშვი მარტოდმარტო შეუყავებოდა მთის თხემისაკენ მიმავალ ტყიან ფერდობს. დასკუპდებოდა სადმე მარტო და ხატავდა და ხატავდა. ხეღები და ტანსაცმელი მუდამ საღებავებით ჰქონდა მოთხუპნილი. ფანქრებით ხატვა არ აინტერესებდა მაინცდამაინც. თენგიზი და ვაჩე მალე დამეგობრდნენ და ერთად დაიწყეს ხეტიალი. თენგო ბუნებას კარგად ხატავდა, შშვენივრად ამსგავსებდა ხეებს, მინდვრებს, მთებს, გორაკებს, ტყიან ფერდობებს, ფერსაც კარგად ურჩევდა, მომცრო საგნების ხატვა კი უჭირდა. პორტრეტი ხომ არ გამოსცდიოდა და არა, თუმცა ამას არაფერით არ აღიარებდა. მე პორტრეტების ხატვის ჩემი მანერა მაქვსო, გაიძახოდა. მაინც, რა იყო ეს მანერა, ვაჩემ ვერაფერით ვერ გაიგო მაშინ. აბა მოდი და, დამხატეო, შეუჩნდა ერთხელ. დაგხატ-

აკ, რატომაც არაო, დათანხმდა თენგო. მდინარის პირას სხვის თვალთაგან მოფარებულ ადგილას განშარტოვდნენ. თითქმის მთელი დღე გაშეშებული უჯდა წინ ვაჩე პატარა ფერმწერს. თენგო თვალებს უცნაურად ჭუტავდა, ხან მარჯვნიდან შეხედავდა ვაჩეს, ხან მარცხნიდან, ხან ადგებოდა, ხან დაჯდებოდა, ხან ისე გახედავდა, თითქოს რაღაცას უმიზნებსო, ერთხელ ხეზე აცოცდა და იქიდან გადმოხედა, ერთი ორჯერ ზუოგიდანაც კი დაკვირდა. მანდ მაინც რაღას უყურებო, უთხრა ვაჩემ, შენ ხომ ზურგიდან არ მხატავო. ჩემთვის აუცილებელია ვიცოდე, ზურგიდან როგორ გამოიყურები, მიუგო მხატვარმა. უამისოდ პორტრეტი სრულყოფილი ვერ გამოვაო. როგორც იქნა, დასასრული თენგომ თავისი „სრულყოფილი“ პორტრეტი და მისცა უფლება ვაჩეს მოსულიყო და ცქერით დამტკბარიყო. ვაჩე ფრთხილად მიუახლოვდა მოლბერტს, ტილოს შეხედა და გაშეშდა. „ამას თხუპნიდი, შე უპატრონო, მთელი დღე? ესაა ჩემი პორტრეტი?“ კარგად თუ არ დააკვირდებოდი, ვერც კი გაარჩევდი, რა იყო ტილოზე გამოსახული, ადამიანი თუ რაღაც არამწიერი არსება. „რას ჰგავს, ბიჭო, ეს, ადამიანის სურათი თუა, თვალები და პირი მაინც არ უნდა ეტყობოდეს?“ „მხატვრის დახატული სურათი შენ სარკე გგონია? — უთხრა თენგომ მშვიდად და თავდაჯერებულად, — მე შენ ასეთი დაგინახე“. „ასეთი დამინახე? ზურგიდან? ხიდან?“ „მაგას რა მნიშვნელობა აქვს.“ „იქნება ბრმა ხარ, შე უბედურო, სიცხე გაჭეს იქნება“. ვაჩემ ნახატისკენ წაიწია, უნდოდა მოეგლიჯა და ფეხებით შემდგარიყო. ბიჭი მიუხვდა, წინ გადაუდგა. „ნუ იზამ, გეხვეწები“. ვაჩე მალე დაცხრა, შეეცოდა მხატვარი. „იყოს, მაგრამ არსად წამოგცდეს, ჩემი პორტრეტი რომაა“. „არ ვიტყვი... არსად არ ვიტყვი“. გავიდა თხუთმეტი წელი. ნაცნობი ქალიშვილის დაქონებით, ვაჩე სურათების გალერეაში შეეიდა ვიღაც ახალგაზრდა, ნიჭიერი ფერმწერის თენგოზ კვაშალის ნამუშევრების დასათვალიერებლად. დიდსა და პატარას კვაშალი აკერია პირზეო, „ეს ხომ ქალიშვილმა ვაჩეს, ვნახოთ ერთი ჩვენც, რას ხატავსო. გამოფენა ყურადღებით დაათვალიერეს. ზოგი სურათი მოეწონათ, უმრავლესობა — არა. დიდი არაფერი ყოფილაო, დაასკვნეს. ნეტა ამ ხალხს რა მოსწონს, ამდენს რომ ლაპარაკობენო. ერთი აშკარა იყო, ახალგაზრდა მხატვარი ცდილობდა გატკეპნილი გზებით არ ევლო, ცდილობდა თავისი საკუთარი სამყარო შეექმნა და ერთგვარად ახერხებდა კიდეც ამას. იყო მის ნამუშევრებში რაღაც გამომწვევი და თავხედურიც. ათიოდე დღის შემდეგ ვიღაცამ ვაჩეს მაღალი და გამხდარი, ფერმკრთალი და თმაწვერმოშვებული ახალგაზრდა კაცი გააცნო: „ნიჭიერი მხატვარი თენგოზ კვაშალი“. „კვაშალი? ჰოო... მე თქვენი გამოფენა ვნახე...“ „გატყობთ, არ მოგწონებიათ“. „რატომაც არა... ყველა არა, მაგრამ ზოგი მომეწონა“. „მაინც რომელი?“ „იცით, რა? თქვენნ გამოფენა ერთხელ კიდევ უნდა ვნახო... მერე ვისაუბროთ“. „გმადლობთ, ასე რომ დაინტერესებულხართ...“ „მომწონს თქვენი სითამამე“. „გმადლობთ... იცით, რა? მე თქვენ ძალიან მეცნობიათ“. ვაჩე დააკვირდა მხატვარს. შეხვედრია ვითომ სადმე? რაღაც არ აგონდება. „გამახსენდა, — თქვა მხატვარმა. — მე ერთხელ თქვენი პორტრეტი დავხატე... თქვენ არ მოგეწონათ“. „ჩემი პორტრეტი? აარა. თქვენ ვიღაცაში გეშლებით“. „თქვენ ხომ ვაჩე გქვიათ? მე ნამდვილად დავხატე ერთხელ თქვენი პორტრეტი... ეს ბავშვობის ამბავია. მას შემდეგ მთელი საუკუნეა გასული“, „თენგო?! — შეჰყვირა ვაჩემ, — შენ თენგო ხარ? სად არ შეხვდება კაცი კაცს!“ „პატიოსნად უნდა ვალიარო, — უთხრა თენგომ, — ის პორტრეტი მართლა არ ვარგოდა..“ „რა ვიცი... არ დამიჯერე და... გახსოვს, ხეზე რომ ახვედი?“ ბევრი იცინეს. ვაჩემ ბავშვობის ამხანაგი რესტორანში დაპატიჟა. ისადილეს, თითო ბოთლი ღვინოც დალიეს. გულითად მეგობრებად დას-

ცილდნენ ერთმანეთს. შეიძლება, ამ შემთხვევამაც ითამაშა რაღაც როლი, ვაჩემ ასე მოულოდნელად მხატვრობას რომ მოჰკიდა ხელი, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ეს ამბავი ძეხოროცელემა არ იცოდა, თვით კვაშლმაც კი.

გავიდა გამოსაცდელი დრო. ვაჩემ „შავი დღისთვის“ გადანახული უკანასკნელი გროშებით რამდენიმე ბოთლი ღვინო იყიდა, ბაზრიდან ახალი მწვანილიც წამოიყოლა, ჭყინტი ყველი და სულგუნი ითშოვა, ყველაფერი ეს თავის სახელოსნოში საღებავებით მოთხუპნილ მაგიდაზე დაიწყო და თენგიზ კვაშალის საძებნელად გასწია. მისი ტელეფონის ნომერი და მისამართი ადრევე ჰქონდა ჩაწერილი. შეეძლო დაერეკა, მაგრამ ბინაზე მისვლა ამჯობინა. აუცილებლად უნდა ენახა პირადად. ამის გარდა, ახალგაზრდა, ნიჭიერი, უკვე მთელ რესპუბლიკაში ცნობილი მხატვრის შინაური გარემოს გაცნობაც უნდოდა. როგორ ცხოვრობდა? როგორი ოჯახური პირობები ჰქონდა? თენგიზი შინ არააო, უთხრა ვაჩეს შუახნის წარმოსადეგმა, ჭაღარა კაცმა. „თქვენ ვინ ბრძანდებით?“ „მე თენგოს მეგობარი ვარ“, — მიუგო ვაჩემ. „ჰოო...“ კაცი თამამად, უბოდიშოდ დააკვირდა ვაჩეს. სტუმარმა უხერხულად იგრძნო თავი. „სიძებატონი თავის მუზსასთან მხიარულობს...“ სიმამრი ყოფილაო, დასსკვნა ვაჩემ. ამ დროს ტელეფონის ზარის ხმა გაისმა, კაცმა ბოდიში მოიხადა და იქით წავიდა, საიდანაც ზარი მოდიოდა. ვაჩე უხერხულად იდგა დერეფაწში და არ იცოდა, რა ექნა. გულდასმით, ყურადღებით დათვალიერა იქაურობა. კარგად, მდიდრულად ცხოვრობდა მხატვარი კვაშალი. ამაში არც არაფერი იყო გასაკვირი, ცნობილ, აღიარებულ ფერმწერს უფრო ცუდი ბინა არც შეეფერებოდა, მაგრამ ვაჩეს ხომ უტუაარი გუმანი აქვს — სიმამრი რაღაც ნაწყენი უნდა იყოს სიძეზე. მართლაც რომ გაუმაძღარია ადამიანის გული. უკეთეს სიძეს კაცი ინატრებს? თავის მუზსასთან მხიარულობსო. აბა რა ქნას მხატვარმა კაცმა? რაკი სიმამრმა გაბედნიერა და ესტუმრა, მთელი დღეები დაუჯდეს მისთვის ან ღვინო წრუპოს? ან ნარი ეთამაშოს? და „შაში-ბეში“ და „ჩარი დუ“ იძახოს? ცხადია, ვერც ცოლს გამოეზმები კაბაზე. მუზსასთან მხიარულობსო! სახელოსნოში იქნება ალბათ. ვაჩემ თენგიზის სახელოსნოს მისამართიც იცოდა. სიმამრი ხმამაღალი ლაპარაკობდა ტელეფონზე. მე თქვენ გიჩვენებთო, ემუქრებოდა ვიღაცას. იქნება ბატონი სიმამრი სტუმარი სულაც არაა? იქნება თენგიზ კვაშალი მეუღლის ბინაშია თავშეფარებული? ის იყო, ვაჩე წასვლას აპირებდა, გამხდარი, ტანმორჩილი, დაღლილი ქალი გამოჩნდა: „მაპატიეთ, ბავშვს ვაძინებდი და...“ „რას ბრძანებთ... არა უშავს... რა მოხდა მერე. წასვლას ვაპირებდი მაინც. ნე წუხდებით, მიხედეთ თქვენს პატარას“. „თენგიზი გინდოდათ?“ „კი, თენგოს სანახავად მოვედი. თქვენ მისი მეუღლე ბრძანდებით?“ „კი, მეუღლე ვარ“. შეუხედავი, საწყალი გამომეტყველების ქალი იყო. ალბათ, სიყვარულით არ შეურთავსო, გაიფიქრა ვაჩემ. მაშინ, იქნებ, სულაც არ იყო სახელოვანი მხატვარი. ბინა კი მართლა კარგი აქვს და სიმამრიც არ ჩანს ქეცაღი. „მაპატიეთ, ქალბატონო, ეს ცნობისმოყვარეობა, ის კაცი მამაა თქვენი?“ „კი, მამა გახლავთ“. „სად მუშაობს?“ „რესტორნის გამგეა სადღაც, გარეუბანში“. ქალმა „სადღაც“ ისეთი კილოთი თქვა, ვაჩემ იგრძნო, ისიც ნაწყენი უნდა ყოფილიყო მამაზე. ყველაფერი გასაგებია, გაიფიქრა ვაჩემ. „იცით, რა? — თქვა ქალმა, — თენგიზი კარგა ხანია აღარც კი დადის შინ... მთელი თვე იქნება, არ მინახავს. თავის სახელოსნოშია გამოკეტილი. რას მერჩის, რა დავუშავე, რომ არ ვიცი? ნეტა ბავშვი მაინც არ მიენატრა?“ „ჰოო... რას ამბობთ... ამას არ ველოდი... ვეტყვი, რომ... აუცილებლად ვეტყვი“. „კი, კი, უთხარით, ძალიან გთხოვთ“. ქალს თვალები აუწყლიანდა და კიდევ უფრო შეუხედავი და საცოდავი გახდა. „მამაჩემს თუ ვერ იტანს, მე რა დავუშავე? აი, შე-

ხედეთ, როგორი ბინა გვაქვს. ეს დავტოვო და წავიდე? სად წავიდე მერე? სახელოსნოში? ნამყოფი ხართ თქვენ იქ? არა? ნახეთ ერთი, კარგად ნახეთ, თუ იცხოვრება იქ. ფული იმას არა აქვს და...“ „ფული არა აქვს?“ შეჰყვირა გოოცებულმა ვაჩემ. „საიდან უნდა ჰქონდეს?... არც არასდროს ჰქონია...“ ვაჩე დაემშვიდობა ქალს და სახელოსნოსაკენ გასწია. მხატვარი ადგილზე დახვდა. თენგიზს ის იყო, ორიოდე თვის წინ დაწყებული სამუშაო დაესრულებინა, იატაკზე წამოწოლილიყო და ნეტარებით აბოლებდა სიგარეტს. აშკარად შეეტყო, ვაჩეს სტუმრობა რომ გაუხარდა, გადაეხვია, გადაჰკოცნა. კმაყოფილი, ბედნიერი ჩანდა. ვაჩე მაშინვე მიხვდა, მარტო მისი მოსვლა არ კმაროდა მხატვრის ასეთი კმაყოფილებისა და სიხარულის მიზეზად. ახლახან დიდი საქმე დავამთავრეო, გამოუტყდა იგი. მოლბერტზე ფარდა იყო ჩამოფარებული. მაპატიე და, ვერ გაჩვენებო, უთხრა, ახლა ათი დღე მაინც უნდა გავიდეს, სანამ მე თვითონ შევხედავ, დავთქვათ დრო და მოდი, ერთად ვნახოთო. თენგიზი ხის მოზრდილ, ძველ სკივრს მივარდა, ეს შემთხვევა უნდა აღვნიშნოთო. „ჩემი მოსვლა თუ შენი სამუშაოს დამთავრება?“ „ერთიც და მეორეც... ქვასავით არ გამხმარა პური? ძეხვიც შემიჭამია უკვე. ღვინო დამრჩენია ცოტა... ნახეთ-არი ბოთლი“. მხატვარმა ჭიქები მოძებნა. „თითო შეგვხვდება...“ დაასხა. „თუმცა ამას დალევს ახლა კაცი? მოდი, ქვევით ჩავირბენ, ამოვიტან რამეს. აქ დამელოდე... არა, ასე არ გამოდგება... რომ ვერ მოითმინონ და ფარდა გადასწიონ? ერთად წავიდეთ... არ შეიძლება ახლა ამის ნახვა...“

ქუჩაში გავიდნენ. ვაჩემ ტაქსი დაიჭირა. „ჩავსხდეთ, ჩემთან წავიდეთ, უნდა გაჩვენო რაღაც“. „პური ვვეჭამა ცოტა“. „იქ პურსაც ვეჭამთ და ღვინოსაც მივაყოლებთ“. მთელი საათი დაძვრებოდა ტაქსი მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში. როგორც იქნა, გარეუბანში გავიდნენ. ტაქსი რომ გაჩერდა და მანქანიდან გადმოვიდნენ, გაკვირვებულმა მხატვარმა წამოიძახა: „ბიჭოს“ აქ ვცხოვრობ ლად ვარ ჩემს სიცოცხლეში!“ „მართლა? მე კი მეგონა, თბილისს ხუთი თითვითი იცნობდი“. „არა, ძმაო, პირველად ვხედავ აქაურობას... რას ვიფიქრებდი, თუ ხალხი აქაც ცხოვრობდა“. „აქაც ცხოვრობს ხალხი, — გაიცინა ვაჩემ. — და, შენ წარმოიდგინე, აქაც ქმნიან შედევრებს...“ „სად მიდიხართ? შენ აქ ცხოვრობ?“ „მივალთ და საკუთარი თვალებით ნახავ“. ამასობაში ჩამობინდდა კიდეც. მინგრეულ-მონგრეული ძველი შენობების გვერდით ჩაიარეს და გრძელი, ჩამოფხავებული ფარდულის კართან აღმოჩნდნენ. კარზე შავი ბოქლომი ეკიდა.ვაჩემ ჯიბიდან მოზრდილი გასაღები ამოიღო და ბოქლომი გახსნა, კარი გააღო. პირველი თენგიზი შევიდა, მაგრამ ფარდულში ბნელოდა, არაფერი ჩანდა. ვაჩემ ყრუდ, რაღაც უცნაურად ჩაიცინა და სინათლე ჩართო. მერე თენგიზს მიაშტერდა თვალებში. სტუმარი გაფითრდა, დაბარბაცდა, კინაღამ ჩაიკეცა იქვე, კართან. „რა მოგდის?“ „არაფერია. ახლავე გამოვლის...“ ვაჩემ სკამი მოურბინინა. „დაჯექი... წყალს მოგიტან“. „აღარ მინდა. უკვე კარგად ვარ. გამიარა“. „მე კი შემაშინე და...“ „ხშირად გემართება ასე?“ „ახლა... პირველად... ეს ვინ ქნა?“ თენგიზმა ფარდულის კედლებს მოავლო მზერა. ვაჩე კარგა ხანს მდუმარედ ათვალიერებდა თავის ნამუშევრებს. ახლა თვითონაც გაფითრდა, თავბრუ დაეხვა, სკამზე უღონოდ დაეშვა. ვაჩეს ერთბაშად აეხილა დაბინდული თვალები და თავზარი დაეცა. ნუთუ მართლა თვითონ დახატა ეს სურათები? არა და, რამდენი დღე გასწირა, რამდენი ღამე. რა დაემართა? რამ დაუბნელა გონება?

— ეს სურათები მე დავხატე, — თქვა ვაჩემ ტრაგიკული ხმით.

— შეენ?! ვერ დავიჯერებ...

ნახევარი საათის შემდეგ, თენგიზი და ვაჩე საღებავებით აპრელებულ მაგიდას მიუსხდნენ და მადიანად ილუკმებოდნენ, თან მოკლე-მოკლე სადღეგრძ-

ელობს ამბობდნენ და სულმოუთქმელად სცლიდნენ ჭიქებს. ვაჩეს პორტრეტები და ავტოპორტრეტები, ნატურმორტები, ესკიზები, პეიზაჟები, დამთავრებული და დაუმთავრებელი სურათები, ყველა უკლებლივ, კედლებისკენ იყო შებრუნებული. „ჩემი აზრით... არც ისაა გამორიცხული, რომ მე ვცდები... ჩემი აზრით, არაა ეს შენი სქემე, ჩემო ვაჩე... შესანიშნავი ღვინოა, სად იშოვე? ყველიც... და მაინც ნუ დაეყრდნობი ერთი კაცის აზრს, სხვასაც აჩვენე... არ გეწყინოს... რა ღვინოა? მე მოვალე ვარ შენთან და ჩემს სინდისთან, პირდაპირ გითხრა, რასაც ვფიქრობ... ეს ყველაფერი ძალიან შორსაა მხატვრობისაგან... მაგრამ თუ არ დაიშლი და განაგრძობ... იფ, რა ყველი! ესე იგი, თუ გაქვს სურვილი, რომ კიდევ იმუშაო ამ სფეროში... არა, არა, სხვისაც უნდა ჰკითხო... ასჯერ გაზომეო, ხომ გაგიგონია... ამ ჭიქით გაუმარჯოს ამ ქორფა მწვანილს და იმ მიწას, რომელიც...“

ორივენი საოცრად მხიარულად, ხალისიანად „იყვნენ განწყობილი, თუმცა ღვინო ჯერ არც ისე ბევრი ჰქონდათ შესმული. თენგიზ კვაშალს ისევ ის სურათი ედგა თვალწინ, ის ახლად დამთავრებული, მხოლოდ ათი დღის შემდეგ რომ უნდა გადაეწია და ენახა, მხოლოდ ათი დღის შემდეგ რომ გიგიგბდა, ნამდვილად გაიმარჯვა თუ დამარცხდა. ვაჩეს რაღა უხაროდა? ეს ნამდვილი გამოცანა იყო თენგიზისთვის. თამაშობსო, ფიქრობდა, დარღსა და მწუხარებას, ნაღველსა და გულისტკივილს მალავსო. არ უნდა, გუნება გამიფუჭოსო, ამიტომაც ცდილობდა როგორმე ენუგეშებინა:

— გულს ნუ გაიტეხ... წარმატება და წარუმატებლობა, დამარცხება და გამარჯვება მუდამ მხარდამხარ დასეირნობენ... არ შეუძლიათ უერთმანეთოდ გაძლება. გულს ნუ გაიტეხ და, საერთოდ, ერთი კაცის აზრი არაფერს ნიშნავს...

— გაჩუმდი ახლა, თორემ ავდგები და ყველას აქეთ შემოვაბრუნებ... — დაემუქრა ვაჩე და მართლა დააპირა წამოდგომა.

— ნუ იზამ მაგას, — შეეხვეწა სტუმარი, — იჯექი, იჯექი... ცოტა დავლიოთ და მერე.

— ჰოდა დავლიოთ... დავ-ლი-ოთ!

რა უხაროა ამ კაცს? უკვირს თენგიზს. ნუთუ ასე კარგად თამაში შეიძლება? არა, არ თამაშობდა ვაჩე. იგი ბედნიერი იყო, რადგან მყარად, სიმედოდ, მტკიცედ იდგა მიწაზე, შმაგი, გადარეული, თავაწყვეტილი, აშფოფეული მდინარის ნაპირზე. კარგა ხანს ათრია იგი ამ ცოფიანი მდინარის ძლიერმა ტალღებმა, ხან სად მიაგდო, ხან სად მიაწყვიტა. ახლაც სტკივა ძვლები. ხორცი სულ დაგლეჯილ-დალილავებული აქვს, თავზე კოპებს ვერ ითვლის. ახლაც ერევა გული, რადგან კარგა ბლომად ყლაპა ტალახიანი, მყარი წყალი, მაგრამ აი, ბოლოს და ბოლოს, ნაპირზე დგას და გადარჩენილია. მდინარე აქვე, მის ფეხებთან მიგრიალებს, მიგრიალებს და ვაჩეს სახეში ხვდება მისი ცოფიანი ზზეფები, მაგრამ იგი წარსულს ეკუთვნის მაინც, რადგან ვაჩე ნაპირზე დგას უკვე და ვეღარა ძალა ვერ ჩაითრევს ისევ წყალში. „ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო!“ ვაჩე წამოხტა და ცეკვა დაიწყო, ძირს, მიწაზე მიხაკები ეყარა. საიდან გაჩნდა? რა უნდა აქ მიხაკებს? ვაჩე დახტოდა, დაბაჯბაჯებდა, როკავდა მიწაზე მიმოფანტულ მიხაკებს შორის. ან კი საღღა იყო მიხაკები? ვაჩეს ისინი მიწაში ჩაესრისა, ჩაეტკეპნა, ჩაეძვრინა, ჩაებრუნებინა იქ, საიდანაც ამოსულიყვნენ, თითქოს შეცდომით ამოსულიყვნენ, თითქოს მისამართი შეშლოდათ. ვაჩე კი არ ცეკვავდა, დაფრინავდა, მსუბუქდებოდა, ფრთები ეგმებოდა, მაღლა-მაღლა ადიოდა. ზეკიდან, ღია ფანჯრებიდან გაკვირვებული გადმოჰყურებდნენ მოსეირეები თავდავიწყებით მოცეკვავე, მოხტუნავე, მობაჯბაჯე უკვე საკმაოდ ტანდამძიმებულ თმაშეთხელებულ, კოსტიუმიან და ჰალსტუხიან ახალგაზრდა მამაკაც. ისმოდა: „შეხედეთ, გაგიდა!“ აქა-იქ ტაშიც შემოჰკრეს, მაგნატოფონიც შემოგეს ფანჯარაზე და საცეკვაო მუსიკა ჩართ-

ეს, უფრო ხალისიანად, უფრო აზარტულად იცეკვებსო, თუ ცეკვა, ცეკვა იყოსო...

— კარგი, კარგი! შენ გენაცვალე! — ყ�ეროდა თენგიზი, მაგიდას მუშტებს უბრახუნებდა, ადგილზე ბუქნავდა. ვაჩე გამოერკვა, ოფლი მოიწმინდა, დაჯდა, ჭიქები შეაესო.

— ჰო, მართლა, ერთი შეკითხვა მაქვს.

— ბრძანეს...

— რა დაგიშავა სიმამრმა? კარგი კაცი ჩანს...

— კარგი კაცი? ისე რა ვუთხრა მაგ... იცი, რა შემომთავაზა? წამოდი ჩემთან, მზარეულად, ან მიმტანად გამუშავებ და თვეში ათას მანეთს მოგცემო... მთელი ქალაქი ლაპარაკობდა ჩემს გამოფენაზე... გაიგო რამე? მტერმა გაიგო ისე. გგონია, იცის, რას ნიშნავს გამოფენა?.. მე კი ავდექი და ერთი სურათი ვაჩუქე, საწოლ ოთახში დაიკიდე-მეთქი. იცი, რა სურათი იყო? ხუთას მანეთს მაძლევდნენ და არ გავყიდე. ინგლისელები იყვნენ, ტურისტები... მეტიც ღირსო, მითხრეს, მაგრამ ჩვენ მეტი არა გვაქვსო, მერე იცი, რა ქნა მაგ ღ... სალონში ჩაიტანა და ოცდაათ მანეთად გაყიდა. იმ ფულით კი სიგარეტები მიყიდა და დაბადების დღეზე მომართვა. მის სიგარეტებს ვეწეოდი ზოგჯერ და ამით ჭაჟა მასწავლა ვაჟბატონმა. მოვკლავ, ის სურათი რომ ვერ ვიპოვნო... მითხარი-მეთქი, ვეხვეწები, სად წაიღე, ვის მიეცი, სად ცხოვრობს, რა ჰქვია... არაფერი არ ვიცი. არ მიკითხავსო, რაში მაინტერესებდაო. წარმოგიდგენია? ტყიური, ნამდვილი ტყიური... რაში მაინტერესებდაო...

— მაშ შენ ამბობ, რომ მხოხავად დაბადებული ფრანსს ვერ შეძლებს?

თენგიზი შეკრთა, დაბნეული ახამხამებდა თვალებს. უკვე გვარიანად შემთვრალიყვნენ ორივენი.

— მე ვამბობ? როდის ვთქვი? რა შუაშია აქ ხოხვა?

— ხოხვა კი არა, ფრენა...

— ჰოო, ფრენა? რა თქმა უნდა... როგორ არა... კი...

— შენ გგონია, მე აქ თავს ცუდად ვგრძნობ? აქ? მიწაზე? ქვემოთ?... არაფერი შეგეშალოს!... იფრინეთ, ~~ბიჭებ~~ იფრინეთ... ზევით-ზევით იარეთ, მე ქვევით-ქვევით ვიარი...

— ჰო, კი, კაცია და გუნება, — დაეთანხმა თენგიზი, — ზოგს ზევით ურჩევნია, ზოგს ქვევით.

კვაშალი ბოლომდე მაინც ვერ გაერკვა, რა ფრენასა და ხოხვაზე იყო აქ ლაპარაკი. მისი წარმოსახვა, მისი ტვინი ნელ-ნელა, ტკივილნარევი ნეტარებით თავისუფლდებოდა იმ ხაზების, ფერებისა და შუქ-ჩრდილებისაგან, სახელოსნოში დატოვებული, ახლახან დასრულებული, ფარდაჩამოფარებული სურათიდან რომ გამოჰყოლოდა, მოსვენებას არ აძლევდა, სულსა და გულს უფორიაქებდა. თავისუფლდებოდა და შვებას, სიმსუბუქეს, სიცარიელეს გრძნობდა, ხარბ, გაუმაძღარ სიცარიელეს, მზად რომაა, ახლავე ხელმეორედ დაიმუხტოს, ყველაფერი შეიწოვოს, მიიტაცოს, გაიესოს...

იმძლავრა, გაიმარჯვა გაზაფხულმა. ახლა იგი ფანჯრებს აწყდებოდა, აივანს დაუფლებოდა, კარებს ამტვრევდა. ვაჩე პირაღმა იწვა. იწყებოდა ახალი ცხოვრება. ვაჩე მთელ ტანში გრძნობდა ამ ახალი ცხოვრების მძლავრ, მათრობელ ფეთქვას. შორს! შორს ჩვენგან უნგიაძე და პატაშური, ჯანდაბას მიხაკები, ისინი უკვე მიწაში არიან ჩამძვრალნი, გზა მშვიდობისა თენგიზ კვაშალს თავისი ჯიბესქელი სიმამრით, დაღლილი, შეშუხებული ცოლით, ხის შავი კიდობნით, გამხმარი პურითა და ნახეკარი ბოთლი ღვინით. თმაგაჩეჩილი, წვერმოშვებული, გაფითრებული, გამხდარი თენგო ახლა იმ მდინარეში ჭყუმპალაობს, იმ შმაგ, ცოფიან მორევში, დიდი ვაივაგლახით რომ დაადწია თავი ვაჩემ. მდინარე მიგრიალებს, ზათქითა და ზარვითით აწყდება ნაპირებს, მოაქეს ხე და მიწა, ქვა და ღორღი... თენგიზ კვაშალს სახე, მთელი სხეული უკვე დალილავებული აქვს. საცოდავი. მას ჰგონია, ცურავს. კი არ ცურავს, ტალღები ათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშებენ ნაფოტივით. წამდაუწუმ ყლაპავს შლამიან, ტალახიან, მყრალ წყალს, ყლაპავს და იქვე აფურთხებს. მაინც შუაგულისკენ მიიწევს. შუაგულისკენ! ბრიყვი! ზევით ურჩევნია ბიჭს. საფრენად აუწყვია ფრთები. დიდი სიბრძნე უნდა ვითომ ახლა იმის გარკვევას, ვინ ზევითია და ვინ ქვევით? ვინ ნაპირზე და ვინ იქ, მორევში? კაცმა რომ თქვას, არც ნაპირზე ხარ ხიფათისგან მთლად დაზღვეული. გინდა თუ არა, უნდა უცქირო წყალს, ამ ცქერამ კი, როცა მდინარე ასე დაუცხრომლად ქშნავს და ბორგავს, თავბრუდაბვეცვა იცის, შორს! რაც შეიძლება შორს. სულაც ის აჯობებს, საერთოდ თუ დაიგიწყებს ამ საბედისწერო მდინარის არსებობას. იუსუმპალაოს, იბანაოს, ყლაპოს ის მყრალი წყალი თენგიზ კვაშალმა, იმრავლოს თავზე კოპები... ვაჩე კი ახალ ცხოვრებას იწყებს აქ, ხმელეთზე. წამოხტა, რამდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა ოთახში. მერე აივანზე გიჯრა, ქალაქს გადახედა. ქვევით, ეზოებში, სკვერებში, ბაღებსა და პარკებში გაზაფხული დარბოდა და ტკარცალებდა, როგორც ახლად შეთქვირული, სისხლმოჭარბებული, აქამდე მეტისმეტად მოკრძალებული და გაუბედავი, ახლა კი მოულოდნელად თავაწყვეტილი, ფეხშიშველი სოფლელი გოგო. ცოტა მაღალზე კია ეს მეშვიდე სართული. მესაბე აჯობებდა, ან მეოთხე... მაგრამ არა უშავს. იმან რაღა თქვას, მეათეზე რომ ცხოვრობს? „ჩავირბენ, — გაიფიქრა ვაჩემ, — სირბილი ახლა ჩემთვის მისწრებაა... უნდა ვივარჯიშო, უნდა დავიკლო წონაში“. კარი გამოაღო, კიბეზე დაეშვა. ახ... ბოდიში, ძია სოლომონ! კინაღამ კიბეზე გადააყირავა ეს პატიოსანი კაცი, კოლეგა, თანამშრომელი და კარის მეზობელი. „გამარჯობა, ვაჩე. ხედავ, როგორ ათბა?“ „ვხედავ, ვხედავ, ძია სოლომონ!“ მოიცა. ბიჭო, სად გარბიხარ...“ „ქვევით!“ „მოდი მერე აქ... მუშაობს ლიფტი“. „არავითარი ლიფტი! უნდა ვირბინონთ!“ „ნეტავი შენ ამდენი რომ შეგიძლია“. უნდა ვირბინოთ გავასწროთ, გავექცეთ, გავუსხლტეთ სიბერესა და უძლურებას!“ „ცოლი შეირთე, ის გირჩევნია სიბერემდე. სიბერეს ვერსად გაექცევი“. „ცოლსაც შევირთავ. დღეიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ“. „ასე გიძახი შენ სულ...“ „დღეიდან ნამდვილად ვიწყებ... ახლა კი დროა, სოლომონ, რომა... ძია სოლომონ, რომა, ახალი ცხოვრება დავიწყოთ, ცოლი შევირთოთ და, რაც შეიძლება ბევრი ვირბინოთ“. „ცოლი შეირთე შენ და მერე არ მოგაკლდება სირბილი“. სოლომონმა შურით გააყოლა თვალი კიბეებზე მიმქროლავ ვაჩეს. მოსწონს ეს ბიჭი. თუმცა რაღა დროს ბიჭია, ეს ახალგაზრდა კაცი, ასე ხალისიანი, ენამოსწრებული, მახვილი, ენერგიული, ყველასთან მიმსვლელი და საერთო ენის გამომნახავი, თამამი და ყველა საქმის გამჩარხავი. ასეთი უნდა იყოს კაცი, არსენა პატაშურივით ჩვარი კი არა... ვაჩე ყუმბარასავით მიჰქროდა კიბის საფეხურებზე. სოლომონი მართალია. უნდა შეირთოს ცოლი, დროა უკვე. ამაზე იგი კარგა ხანია ფიქრობს. შეგულებულიც ჰყავს ოთხი ქალიშვილი. მათ შორის ერთს როგორ ვერ ამოიჩევს. კაცმა რომ თქვას, უკვე ამორჩეულიც ჰყავს — ირინე! გარეგნობით სხვებს მაინცდამაინც ვერ სჯობდა (თუმცა, არც ულამაზო იყო — ვაჩეს არ უყვარდა ულამაზო ქალიშვილები), მაგრამ ყველასა კი ერჩივნა და საქმის დაწყებასაც მისგან აპირებდა. ირინეს ახლახან დაემთავრებინა სამედიცინო ინსტიტუტი და ქალაქის ერთ-ერთ აფთიაქში მუშაობდა. ირინე ხომ არ დაიწუნებს ვაჩეს? არა, ირინე არ გამაწბილებსო, თავს ირწმუნებდა ვაჩე, მას არასდროს არ აკლდა თავდაჯერება, ენერგიულობა და შეუპოვრობა. ამის იმედი ჰქონდა. ხოლო ბინა? ბინა იყო აქ, რაც იყო!

ბინის მიღებისთანავე ვაჩემ შვებულება აიღო და სამოგზაუროდ წავიდა, უფრო სწორად, ავეჯის საძებნელად. მოძებნა კიდეც, ისეთი ავეჯი ჩამოიტანა, ისე მოაწყო თავისი ბინა, ავ თვალს არ ენახვებოდა. ნაირ-ნაირი, მოდური ტანსაცმელიც იყიდა, საჭიროწილოდ გამოეწ-

ყო. თავის მომავალ საცოლესაც ბევრი რამ ჩამოუტანა: პალტო, ქურქი, კაბები, სამკაულები. ცხადია, ირინემ ამაზე ჯერ არაფერი იფიქრა. ვაჩეს ჯერ გადაკვრითაც არ ჰქონდა მისთვის ნათქვამი, ასეთი სერიოზული განზრახვა რომ ჰქონდა...

ახლა კი დროა! ვაჩე ერთხელ კიდევ ღრმად ჩაფიქრდა და აწონ-დაწონა ყველაფერი. ნამდვილად სჯობდა თუ არა ირინე დანარჩენ სამს? ვინ იცის. გული რომ ყველაზე მეტად აქეთ მოუწევდა? მეტი ცდა აღარ შეიძლება, ისევ ალღოს უნდა ენდოს.

ბილეთები სულ ბოლო რიგში აიღო. გოგოებთან კინოში რომ შედიოდა, თითქმის ყოველთვის ამ ადგილს ირჩევდა. დრო ვაჩეს ყოველთვის ძვირად უღირდა და საქმის გაჭიანურება არ უყვარდა. ბოლო რიგში მჯდარი იგი ფილმსაც ადევნებდა თვალს და ამავე დროს ცდილობდა ყოველი საშუალებით დაემტკიცებინა ქალიშვილისთვის, თუ რა მხურვალე, რა მჩქეფარე სიყვარულით იყო გამსჭვალული. ამას იგი თითქმის სიტყვების გარეშე ახერხებდა. ამ საქმეში არც გამოცდილება აკლდა, არც სითამამე, მაგრამ ირინესთან თავიდანვე უცნაურად შებოჭილად გრძნობდა თავს. ვერ იქნა და ვერ გასცდა რაღაც მიჯნას, რომლის შემდეგაც ქალ-ვაჟი უფრო სწრაფად და ადვილად უახლოვდება ერთმანეთს. თითებიც დაუჭირა, მხარზეც გადასდო ხელი, მაგრამ ირინე მუდამ რაღაცას იმიზეზებდა და ისე რომ უხეშად და შეურაცხმყოფელად არ გამოსულოდა, ახერხებდა ვაჟის მოთოკვას. ირინემ იცოდა, რომ მეტისმეტად მიუკარებელ და ფხუკიან გოგოებს გულწრფელობა აკლიათ. კარგად იცოდა ეს ვაჩემაც. დარბაზში ცხელოდა. ვაჟი ქალიშვილისკენ გადაიხარა და ხელი ფრთხილად შეახო მკლავზე. ირინე დაძაბული შეჰყურებდა ეკრანს. ვაჩე მთელი არსებით გრძნობდა ქალის გრილ მკლავს, რაღაც ძლიერი მუხტი გადმოდიოდა მის სხეულში, რომელიც აბრუებდა, ათრობდა, წონასწორობას აკარგვინებდა. კარგა ხანია არ განეცადა ამგვარი რამ. რა ემართება? მართლა ხომ არ შეუყვარდა? არ ეგონა, თუ ქალიშვილის მკლავის შეხება იმ ამბების შემდეგ, რაც მას ჰქონდა, ასე ააღელვებდა. ეტყობა, სწორი არჩევანი გამიკეთებია, გაიფიქრა კმაყოფილებით, ამ გოგოს რაღაც განსაკუთრებული ხიბლი და ჯადო ჰქონია, რასაც ადრე ვერ ვამჩნევდაო. როგორც კი გარეთ გავალთ, მანქანას დავიჭერ, შინ წავიყვან და აღარც გამოვუშვებო. „ვეტყვი, დარჩი-მეთქი... რატომაც არ უნდა დარჩეს, როცა დარწმუნდება, რომ პატიოსანი კაცი ვარ და არ ვატყუებ, რომ ნამდვილად ცოლად მინდა? უეჭველად დარჩება. ხვალ კი ხელს მოვაწერთ“. პირველმა აღელვებამ და გაბრუებამ ნელ-ნელა გაუარა ვაჩეს. მაინც ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა, თუ რა ხდებოდა ეკრანზე. ვაჟი ირინეს უმზერდა და ახლა ერთი ორად უფრო მომხიბლავი ეჩვენებოდა. გოგოს კი მთელი გულისყური ეკრანისკენ ჰქონდა. რა ნანა მაინც იქ ასეთი საინტერესო? სითამამე მოიკრიბა და მხარზე გადასდო ხელი, მეორეთი თითებზე მოეფერა. ირინემ მხრები შეარხია, მაგრამ არაფერი უთქვამს. ვაჟმა ახლა წელზე მოხვია ხელი, ირინემ მოიხედა და უსიტყვოდ გააშვებინა. ვაჟს, ცოტა არ იყოს, ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია. რომ დაფიქრდა, მოეწონა კიდევ ქალიშვილის საქციელი. „ჯერ ხომ არ იცის, ცოლად რომ მინდა... ახლავე ხომ არ ვუთხრა?“

— მოგწონს? — ჰკითხა ვაჩემ.

— რა ვიცი... რა უჭირს... ერთხელ ნახავს კაცი.

— იცი, რა? მე ახლახან სამოგზაუროდ ვიყავი და...

— მართლა?

— ჰო.

მთელი ორი თვე გასულიყო მას შემდეგ, რაც მათ უკანასკნელად ნახეს ერთმანეთი, ირინემ ისიც არ იცოდა, ვაჩემ ახალი ბინა რომ მიიღო.

— ჩამომიტანე რამე? — გაიცინა ირინემ, — თუმცა, რას ჩამომიტანდი, შენ იქ არც კი გაგახსენებდოდი.

— აბა, თუ გამოიცნო...

— შენ რა, მართლა ჩამომიტანე რამე? — გაუკვირდა ირინეს.

— ისე რა პირით მოვიდოდი შენთან, არ გრცხვენია?

ქალიშვილმა ისევ გაიცინა, ახლა მანაც დაკარგა ინტერესი ფილმის მიმართ.

— აბა, კარგად დაფიქრდი, თუ მიხვდები, რას ჩამოგიტანდი.

ვაჩეს ხმა შეუთრთოლდა და ნერვიულად მოუჭირა ქალიშვილს მკლავზე ხელი. ირინემ იგრძნო, რომ აქ სულაც არ იყო სახუმროდ საქმე, რომ ვაჟი რაღაც დიდ სიუსპრიზს უმზადებდა. დარბაზიდან გამოსვლისას ვაჩეს უკვე აშკარად ეტყობოდა, რომ უჩვეულოდ აღგზნებული და აღტაცებული იყო. თვალს ვერ აცილებდა ირინეს. სად მქონდა თვალები, აქამდე რატომ ვერ ვამჩნევდიო, ფიქრობდა. მართლაც რა მშვენიერი გოგოა, ჭკვიანი, განათლებული, მოკრძალებული, ღირსი არ ვარ, ახლა ცოლობაზე უარი მითხრას? დაგაგვიანდა, ჩემო ვაჩე, მე საქმრო მყავსო. გული აჩქარებით აუძგერდა, იგრძნო, ოფლში ცურავდა. როგორღა მოვიქცე მაშინ? ავდგე და ამასაც მიხაკები ვუგზავნო? მთელი წელიწადი კვალდაკვალ ვსდიო. მაქვს ამდენი დრო? აარა... მიხაკებმა შოგეჭამა ჭირი. დამთავრდა მიხაკობანა!...

ნელი ნაბიჯით გაუყვნენ ქუჩას. ვაჟმა დააპირა, აქვე გაემხილა გულისნდები, მაგრამ უჩვეულოდ აღელდა და სითამამემაც უღალატა. შეკრთა: თუ მოეღვარება შემატყო, თუ დარწმუნდა, რომ ორივე ფეხით ვარ ხაფანგში გაბმული, ესეც ჯვარცმას დამიპირებსო, გაიფიქრა. ქალი მაინც ქალია და, თუ მიეცი შესაძლებლობა, მამაკაცი დაჩოქილი და მაეედრებელი იხილოს, არა მგონია, ამ სანახაობაზე უარი თქვასო. არა, ვაჩე ისე ეტყვის თავის სათქმელს, ირინესთვის მაშინვე ცხადი და ნათელი უნდა გახდეს, რომ ხანგრძლივი ალყის, გამოფფტავი პოზიციური ომის, ჩოქვისა და ხოხვის თავი ვაჟს არა აქვს ხო, საერთოდ, არ სცნობს ქალიშვილის გულის დაპყრობის ამ მოძველებულ მეთოდებს.

რა იყო მაინც ეს ყმაწვილური გულის ფრიალი, ხმის კანკალი და ოფლის დენა? ასეთი რამ მაშინაც არ დამართნია, აი, იმასთან, მიხაკები რომ გაუგზავნა დაბადების დღეზე. არა, მაშინ ერთხელაც არ აფანცქალებია გული, არ აჰკანკალებია მუხლები ვაჩეს. იქნება იმიტომ, რომ წინასწარ იცოდა, რა სალკლდოვან ციხეზეც მიჰქონდა ირინში, რა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ებმებოდა? აქ კი ყველაფერი ბუნდოვანი, გაურკვეველია. ვაჩეს წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა ხდება მოწინააღმდეგის ბანაკში. იქ მთელი წელი წინ ჰქონდა, აქ მხოლოდ ერთი, ერთადერთი ცდა, ერთადერთი შეტევა... თუ უარი მიიღო, მაშინვე უნდა უკუიქცეს, ხელი აიღოს, უსახელოდ დატოვოს ბრძოლის ველი. ხომ არ აჯობებს, ჯერ შინ წაიყვანოს? იქ ვაჟის მხარეზე ძალთა დიდი სიჭარბე აღმოჩნდება: ახალი ბინა, უკვე გაწყობილი და გამართული... და, რაც მთავარია, საჩუქრები: ჩასაცმელ-დასახურავი, სამკაულები. იქ ქალიშვილის წინააღმდეგობა ბევრად უფრო სუსტი, თითქმის უმნიშვნელო იქნება.

— რა მშვენიერი ამინდია, — თქვა ვაჩემ.

— მართლაც...

— ახლა კი ჩემთან წავიდეთ, კარგი?

— შენთან? — გაუკვირდა ირინეს.

— კი, ჩემთან, — ვაჟმა საათზე დაიხედა, — ჯერ ხომ ადრეა, რამ შეგაშინა?

— რა ვიცი...

ეს „რა ვიცი“ თითქმის უბრძოლველად აღებული პირველი გოდოლი იყო, მომავალი დიდი წარმატების საწინდარი. ვაჩემ რწმენისა და იმედის მოზღვავება იგრძნო, ერთბაშად დაუბრუნდა ჩვეული გულდაჯერება და გონების სიფხიზლე.

— ახლავე გავაჩერებ მანქანას...

ირინე ყოყმანობდა. წინათგრძნობა კი ჰქონდა, მაგრამ ცუდისა თუ კარგის, ვერ მიმხვდარიყო. რაღაც დიდ მოულოდნელობას რომ აშზადებდა, გარეშე თვალიც ადვილად შეატყობდა ყმაწვილურად თვალებაციმციმებულ, მოუსვენრად მოფუსფუსე ვაჩეს.

—დღეს ჩემი დაბადების დღეა, —

თქვა ვაჩემ, — ახალი ბინაც მივიღე. მაგრამ მოუწყობელია, მიულაგებელი... მამაკაცები ვართ მაინც... მინდა... შენ მოაწყო... ხომ მომეხმარები? ქალის ხელს სხვა ლაზათი და ეში აქვს. საერთოდ, შენი მაღალი გემოვნება ბევრ რამეს...

— ბინა მიიღე? გილოცავ.

— გმადლობ... ხომ წამოხვალ? ახლავე გავაჩერებ მანქანას. ჯერ ადრეა, ნუ გეშინია. საათზე ნუ იხედები. ჰოდა, იმასაც გაჩვენებ, თუ რა ჩამოგიტანე საჩუქრად.

ძნელი იყო უარის თქმა.

— წავიდეთ?

— კარგი, — დაეთანხმა ირინე, — მაგრამ ჩქარა უნდა გამოვბრუნდე.

— ჩქარა დავბრუნდებით, — ჩაიცინა ვაჩემ. — დავბრუნდებით, როგორ არა...

მანქანას ხელი აუწია.

ირინე უკვე გრძნობდა, ხვდებოდა, რაც უნდა მომხდარიყო. გრძნობდა, რომ ვაჩეს მოსწონდა იგი და უნდოდა ცოლად შეერთო. იქნებ ამაღამვე შესთავაზოს, დავქორწინდეთო. ესეც მოსალოდნელია. მოსალოდნელი კი არა, ეს აშკარა იყო, ისე ღელავდა ვაჟი, ისე ანთებოდა თვალები. რა უნდა ქნას ირინემ? არ უნდა იყოს ვაჩე ცუდი ბიჭი. რაც მთავარია, ყურადღებიანია, გონიერია და, ზედვე ეტყობა, კარგი ქმარი და ოჯახის კაცი იქნება. რა ვუყოთ, კალმით ნახატი თუ არაა. სულაც არაა აუცილებელი, მამაკაცი სილამაზით გაბრმავებდეს.

ირინემ იქვე გადაწყვიტა, ვაჟისთვის უარი არ ეთქვა. გადაწყვიტა და გული მოულოდნელი სევდით აევსო. ამ რამდენმე თვის წინ შეიტყო, რომ ბიჭი, რომელიც მას საშუალო სკოლიდან უყვარდა, დაინიშნა და მალე დაქორწინდებოდა კიდეც. ეს დარდი მას თითქმის მონელებული ჰქონდა, მაგრამ ახლა როგორღაც კვლავ ეტკინა გული. „რატომ? რატომ ხდება ასე?“ უცნაური რამ ემართებოდა, სლუკუნი აუტყდა და ცრემლები წამოსცვივდა. აღარ იცოდა, სად დაემალა სახე. ვაჩე გაოგნებული მიშტერებოდა, რამე ხომ არ ვაწყენინეთო. სწუხდა. რა საშინელებაა! რა ემართება? რამ აუჩვენა ასე გული? მაშინაც არ უტირია, შეყვარებულის დანიშვნის ამბავი რომ გაიგო. ნეტა ვაჩე მაინც არაფერს მკითხავდესო, ნატრობდა. არა და, ერთი ორჯერ ისე ხმამაღლა წამოისლუკუნა, მძღოლმაც კი მოიხედა.

— რა მოხდა? — იკითხა ვაჩემ ცოტა ხნის შემდეგ, როცა შეატყო, გოგო დაწყნარებული იყო.

— არაფერი. გამახსენდა რაღაც...

— თქვი, ნუ გერიდება. მეგობრები არა ვართ?

— არაფერია... თავი დამანებე, გეხვეწები.

— თქვი, ირინე, ჩემთან არაფერი გაქვს დასამალი.

— არაფერია-მეთქი, ხომ გითხარი, რაღაც გამახსენდა, ნუ მიაქცევ ყურადღებას.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ვთქმევინებო, გადაწყვიტა ვაჩემ. ახლა მძღოლის თანდასწრებით გულახდილ საუბარს მოერიდებაო. მანქანა მიქროდა და ვაჩეს სახლს უახლოვდებოდა. მაინც, რა ატირებდა? რას გიგიებ გოგოების ამბავს. რა გაახსენდა ასეთი? „აი, მეც ავდგები და გავთხოვდები, — ფიქრობდა ირინე და თანდათან მშვიდდებოდა. — ნახოს მაშინ...“ რატომღაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ იმ ბიჭს ძალიან ეწყინებოდა, ირინეს გათხოვებას რომ გაიგებდა. „ჰოდა ეწყინოს, ახია მასზე...“ აქამდეც ბევრჯერ უფიქრია, ამდგარიყო და მოღალატე მიჯნურის ჯიბრზე, პირველივე შემხვედრს გაჰყოლოდა. სევდამ გაუარა, გამხიარულდა კიდეც. ვაჩე ენამახვილობდა და აცინებდა. მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, ვაჩემ თამამად მოხვია წელზე ხელი. „მოვედით, — უთხრა იდუმალი ჩურჩულით, — აი, ამ სახლში ვცხოვრობ“. ლიფტის კარი ღია დაუხვდათ. ხომ ხედავ, ესეც ჩვენ გველოდებამო, გაიცინა ვაჩემ და სტუმარი თითქმის ძალით შესვა შიგ, „მეშვიდე“, ჩაილაპარაკა და ღილაკს თითი დააჭირა.

— რა მაღლა ყოფილა, — თქვა ირინემ.

— მთელ ქალაქს თავზე დავყურებ.

— მეშვიდე სართულიდან? — გაიცინა ირინემ, — მთელ ქალაქს?

— აი, ნახავ, ავიდეთ ერთი...

კარს რომ მიადგნენ, ვაჩემ ქალიშვილს ხელი უშვა და ჯიბეში გასალები მოძებნა.

— აი, ჩვენი ბინაა...

სიტყვა „ჩვენი“ ისე ხაზგასმით, ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, მიმხვედრი უნდა მიმხვდარიყო, რაც ჰქონდა გუნებაში ვაჩეს. ირინემ არაფერი შეამჩნია, თითქოს „ჩვენი“ არც კი გაუგონია, ან ისე მიიღო, როგორც თავისთავად ცხადი და ბუნებრივი რამ. ძალიანაც კარგი, თუკი ამას უკვე ხვდებაო, კმაყოფილებით გაიკრა გული ვაჩემ, მაგრამ იქვე რაღაც უსიამოვნო გრძნობამაც გაჰკრა: „ჩემის“ ასე უბრალო და ბუნებრივ „ჩვენად“ გარდაქმნაში წამით საშიშროებაც დალანდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ღრმა წყალში გადახტა და მაშინღა გაახსენდა, რომ ცურვაში კარგად ვერ იყო გაწაფული.

ყველაფერს მე თვითონ, ჩემს გემოზე მივალაგებ და მოვაწყობო, ფიქრობდა ირინე, ვინ იცის, რა დომხალი აქვს სახლში, როგორაა მიყრილ-მოყრილი ავეჯი, ჯამ-ჭურჭელი, ფეხსაცმელ-ტანსაცმელი. ოჰ, ეს კაცები! ამათ ვინ მისცა იმის უნარი, რომ... ოთახში რომ შევიდნენ, წამით ირინეს გულიც კი დასწყდა, რადგან იქ მისალაგებელი და მოსაწყობი ღარაფერი იყო. ყველაფერი თავის ადგილას იდგა, ყველაფერი ბზიანად და პრიალებდა.

— დაჯექი, — უთხრა ვაჩემ, სტუმარს სკამი დაუდგა, — ესეც ჩემი სავანე, ჩემი სადგომი და სამყოფელი...

აქ ისევ „ჩემს“ დაუბრუნდა ვაჩე, ამჯერად ასე ამჯობინა.

— კარგია, — უთხრა ირინემ, — ძალიან კარგია... გილოცავ.

ვაჩე ციბრუტივით დატრიალდა. გაზეთი, რომელიც ამ დილით დივანზე დარჩენოდა გადაშლილი, სწრაფად დაკეცა და სადღაც გააქრო, ოდნავ დაჭმუჭნილი, შეკეცილი მაგიდის საფარი ცალი ხელით მარჯვედ გაასწორა, ელვის სიჩქარეზე სწრაფით შეუცვალა ადგილები სკამებს, მერე ფრთხილად გადასწია ლამაზი, გემოვნებით შერჩეული ფარდები, აივანზე გასასვლელი კარი გააღო. მოდიო, მოუხმო სტუმარს, გადავიხედოთო. გოგო მივიდა და ქალაქს გადახედა. მაპირდაპირე მხარეზე მაღალი სახლი შენდებოდა. მარჯვნივ, ძველი, ორსართულიანი შენობის წინ, ნორჩი ფიჭვების ტეკრი მოჩანდა.

— ეს ფიჭვები თუ დაგვიტოვეს, კარგი იქნება, არა? — იკითხა ვაჩემ.

— კი, ლამაზი ფიჭვებია.

— მეზობლები ამბობენ, ის ორსართულიანი სახლი უნდა აიღონ და ფიჭვებიც მიაყოლონო... არა მგონია... რატომ უნდა მიაყოლონ? ჩვენც ხომ გვინდა ფიჭვები.

— რა სისულელეა, — თქვა ირინემ.

ცოტა ხანს დუმდნენ. მერე ოთახში შემობრუნდნენ. ვაჩემ ტელევიზორი ჩართო.

— იყოს დაბალ ხმაზე, იქნება საინტერესო გამოჩნდეს რამე.

— იყოს, — დაეთანხმა ირინე.

— გინდა, სამზარეულო გაჩვენო?

ირინე უსიტყვოდ დათანხმდა.

სამზარეულოში შევიდნენ. მაგიდას, გაზქურას, კარადას, მაცივარსა და კიდევ რაღაც-რაღაცებს სულ გამოეტენა იქაურობა და ორი ადამიანი ერთმანეთს გვერდს ძლივს აუქცევდა. მაგიდის ქვეშ ბორჯომის ბოთლები სავსე ყუთი იდგა. მაგიდაზეც იდგა რამდენიმე ცარიელი ბოთლი. იქვე ეყარა ალუჩის, ბლისა და ატმის კურკები. ირინე უნებურად წაეტანა ცარიელ ბოთლებს, მაგრამ ვაჩემ მკლავზე სტაცა ხელი და თითქმის ძალით დასვა სკამზე.

— იყოს... მე თვითონ...

ვაჩემ მაცივრის კარი გააღო და ატმებით, ალუჩითა და ბლით სავსე თეფში მაგიდაზე დადგა, მეორე ხელით ცარიელი ბოთლები აიღო და იატაკზე

ბ ი ო რ გ ი ბ ე ბ ი ნ ა ძ ე
ვაჟდი და ეკალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაამწკრივა. ირინემ იატაკს დახედა. იქაც ეყარა ატმის კურკები და ბურბუშელა, რომელიც, ეტყობა, ბოთლებიან ყუთს მოჰყოლოდა.

— მიირთვი.

— გმადლობ...

ირინემ ატამი აიღო და გახლიჩა, კურკა გამოვარდა და იატაკზე ხმაურით დაეცა. ქალიშვილი წამით შეკრთა, ვაჩეს თვალებში შეხედა. ვაჩემ გაიღიმა, დაიხარა, კურკას დასწვდა, აიღო და მაგიდაზე დადო. ირინეს რატომღაც ისევ მოაგონდა თავისი შეყვარებული და მოიწყინა, კინაღამ ისევ აუჩუყდა გული. ოო, ეს უკვე არაფრად აღარ ივარგებდა. ნეტა დღეს რა უბედურება მჭირსო, გაიფიქრა ირინემ და თავის თავზე გაბრაზდა. მაგიდის ქვეშ ხელი შეყო, ყუთიდან ბოთლი ამოიღო და თვალით საცობის ასახდელი მოძებნა. ვაჩემ ბოთლი გამოართვა და თავის ადგილას ჩადო, მერე მაცივრიდან გამოიღო დაორთქლილი ბორჯომის ბოთლი.

— იქნებ ლიმონათი გირჩევნია?

— არა, — მიუგო ირინემ, — თუმცა.. სულ ერთია.

— სულ ერთია? ჰოო, კარგი მაშინ...

— რა ცივი ყოფილა, — თქვა ირინემ, წყალი რომ მოსცა — ძალიან ცივია. ჭიქა დადგა.

— მაშინ სხვას გავხსნი, — თქვა ვაჩემ და ყუთისკენ დაიხარა, — გავხსნა?

— არა, აღარ მინდა.

მაგიდაზე უკვე აღარ ეტეოდა ატმისა და ალუჩის კურკები.

— ჭამე, — შეახსენა ვაჩემ სტუმარს, — რატომ არ ჭამ?

— არ მინდა, გმადლობ.

— ახლავე სუფრას გავაწყობ და ჩემი დაბადების დღე დავლოცოთ... კონიაკი მაქვს. გიყვარს კონიაკი?

— არც ისე...

ირინე ადგა. ამ დროს ხელი წამოჭკრა ცარიელ ბოთლს, რომელიც მაგიდის კიდეზე იდგა. ბოთლი გადმოვარდა, იატაკზე მეორეს დაეცა და ორივე დაიმსხვრა.

— ოჰ, — წამოსცდა ვაჩეს, — თუმცა, არაფერია, რა მოხდა მერე...

გავარდა, ცოცხი, აქანდაზი და ვედრო მოარბენინა, სწრაფად მოხვეტა ნამსხვრევები, ვედროში ჩაყარა.

ირინე უსიტყვოდ დაჰყურებდა იატაკს. ვაჩეს შეეცოდა სტუმარი, რამ შეაშინა ასე, რა უხერხულად გრძნობს თავს, რა საცოდავად გამოიყურება. ქალს კი უხდება მოკრძალება და მორიდება, მაგრამ ეს მეტისმეტი ხომ არაა? ბოთლი გაუტყდა და ღამის ტირილი დაიწყოს. მანქანაშიც რა ტყუილუბრალოდ მორთო ღრიალი. თუმცა, ვინ იცის...

ირინე ოთახში გავიდა და სავარძელში ჩაჯდა. უცნაურად დარტიანებული, გაბრუებული იყო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფეხქვეშ საყრდენი ეცლებოდა. ახლაღა დაინახა, რომ ტელევიზორი ჩართული იყო. მისკენ შებრუნდა. ეკრანს დააკვირდა. მაინც ვერაფერი გაარჩია, ვერაფერს ხედავდა, თავის ფიქრებში ჩაფლულიყო. არა, არც ფიქრს ჰგავდა ეს, რა იყო, თვითონაც ვერ გეტყოდათ. თითქოს სიზმარ-ცხადში იყო და ვერც სიზმრიდან გამოეტანა რამე აზრი და ვერც ცხადიდან. ვაჩე სამზარეულოში საქმიანობდა. ახლავე სუფრას გააწყობდა და ქეიფიც დაიწყებოდა. დღეს ხომ ქორწილი აქვს ვაჩეს. სხვანაირ ქორწილს იგი არ სცნობს და არც უნდა. თამადაც თვითონ იქნება, ნეფეცა და მასპინძელიც. სტუმრები? რა საჭირო არიან სტუმრები? განა ირინე არ კმარა? ვაჩე უკვე თავის პირველ სადღეგრძელოზე ფიქრობდა: „დღეს ჩვენი ქორწილია, ჩვენს ქორწილს გაუმარჯოს, ირინე!“ სტუმარმა ხომ არ მოიწყინა? ცოტა ხანიც და ყველაფერი მზად იქნება. ამ დროს ზარი დაირეკა. ვაჩე კარისკენ გავარდა, თან გოგოს გაუღიმა და შეთქმულივით ჩაუკრა თვალი: ნეტა ვინ გვესტუმრა კიდევ? ირინემაც გაიღიმა, მაგრამ რაღაც საწყლად, თითქოს არც მთლად სასიამოვნო მოვალეობას იხდისო. ვაჩემ კარი გააღო და სოლომონი შერჩა ხელში.

— მობრძანდი, ძია სოლომონ. გაიცანი, ეს ქალიშვილი ჩემი უახლოესი მეგობარია. მობრძანდი... შენისთანა სტუ-

მრისთვის შუდამ ღიაა ჩემი სახლის კარი.

სოლომონი ყოყმანობდა, ვაჩესთან სტუმარს არ ელოდა.

— მეგონა, მარტო იყავი...

— სულ მარტო ხომ არ ვიქნები, ძია სოლომონ, საზღვარი აქვს ყველაფერს. შემოდი, შემოდი...

სოლომონი და ვაჩე ერთ დაწესებულებაში მუშაობდნენ. სოლომონს ერთი წელიღა უკლდა პენსიაში გასვლას. იგი ზშირად შემოდიოდა ვაჩესთან და საათობით ემასლაათებოდა. ახლა შემოსვლისთანავე სახეზე შეატყო ვაჩეს, რომ ეს ქალიშვილი უბრალო სტუმარი არ უნდა ყოფილიყო, აქ უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული რამ ხდებოდა, ვიდრე უბრალო სტუმარ-მასპინძლობა. უამისოდ, ალბათ, მას ვაჩეც არ შემოიპატიჟებდა ასე დაბეჯითებით და გულწრფელად. ანდა როგორ არ უნდა გახარებოდა ვაჩეს მეზობლის გამოჩენა. ჯერ ერთი, ირინე გაერთობოდა მასთან საუბრით და, მეორე (უმთავრესი), სოლომონი გამოცდილი, ჭკვიანი კაცი იყო და ამ ქალიშვილის შეფასებაში არ მოტყუვდებოდა და სანამ ვაჩე თავის ისტორიულ სადღეგრძელოს იტყოდა, როგორმე მოახერხებდა, რომ კარის მეზობლისთვის ეკითხა, თუ რა თვალით უყურებდა ვაჩეს გადაწყვეტილებას...

ირინე და სოლომონი ტელევიზორს მიუსხდნენ. გადმოცემა საინტერესო არ იყო, მაგრამ ორივეს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დიდი გულისყურით უსმენდნენ. ამით ცდილობდნენ უეცრად ჩამოვარდნილი უხერხული დუმილი გაემართლებინათ.

— ხომ არ მოიწყინეთ? — ჰკითხა ბოლოს სოლომონმა.

— არა.. არც ისე.

— მე და ვაჩე კარგი მეგობრები ვართ. აქვე ვცხოვრობ მეც.

ირინეს არაფერი უთქვამს. მხოლოდ გაუღიმა, ნიშნად იმისა, რომ ხალისით უსმენდა.

— არაჩვეულებრივი ახალგაზრდაა, — განაგრძო სოლომონმა, — კარგად ვიცნობ. ჩვენ ხომ ერთად ვმუშაობთ. ოშვიათად ნახავთ ახლა ასეთებს. ასპირანტურაშიც სწავლობს დაუსწრებლად.

— ვიცი, — ჩაურთო სიტყვა ირინემ.

— ვეხვეწები, ცოლი შეირთე-მეთქი. არ დაადგა საშველი... არაფერი აკლია ამის გარდა.

— ბევრი საზრუნავი აქვს ოჯახს, — თქვა ირინემ, — მერე, ვინ იცის, როგორი მეუღლე შეხვდება. არაა ადვილი გადასაწყვეტი, ვერ გაამტყუნებთ.

— რაო? რას ჰქვია, ვერ გავამტყუნებ... ყველამ ასე თუ იფიქრა, ხომ დავიღუპეთ. მაგის ხნისას მე სამი შვილი მყავდა.

ამ დროს ვაჩეც შემოვიდა, მოღიმარი, თვალებგაბრწყინებული, სავარძელი დაიდგა და მოსაუბრეებს შეუერთდა.

— რაო, რაზე საუბრობდით?

— ოჯახზე. შენი მეგობარი გოგონა ამბობს, ცოლის შერთვა და ოჯახს მოკიდება მართლაც ძნელი გადასაწყვეტიაო...

— კი, ძნელია, — გაიცინა ვაჩემ, — მართალი უთქვამს, მაგრამ სიძნელეებს არ უნდა შევეშინდეთ.

მერე ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა.

— კაცი ფიცხი და სულწასული არ უნდა იყოს, — დაიწყო სოლომონმა, — არც ქალი, ცხადია... მოთმინების უნარი უნდა ქქონდეს. სულგრძელობამ არ უნდა გიღალატოს. წვრილმანებს არასდროს არ უნდა გამოეკიდო. მართლა, მართალი, რატომ იღიმებით? თითქოს მეტად უბრალო რამეა, მაგრამ სწორედ ესაა მთავარი. გგონიათ, ეს ყველამ იცის? ცოდნით შეიძლება კი იცოდეს ბევრმა, მაგრამ ცხოვრებაში სულ სხვანირად გამოდის... ენდეთ ჩემს გამოცდილებას.

სოლომონს უყვარდა დარიგებების მიცემა, სხვისთვის ჭკუის სწავლება. ბუნებით მშვიდი, უწყინარი კაცი იყო, ოჯახიც სანიმუშო ჰქონდა. ვაჩე ყოველთვის დიდი გულისყურით უსმენდა მას. ახლაც ხალისით უდასტურებდა, კი, რა თქმა უნდა, ასეო. კმაყოფილი იყო

იმით, რომ სოლომონმა სწორედ ამ თემაზე წამოიწყო საუბარი. მშვენიერი შესავალი იყო ვაჩეს პირველი სადღეგრძელოსათვის. დროდადრო თვალს ქალიშვილისაკენ გააპარებდა, რომელსაც ლოყებზე ალმური მოსდებოდა, თავი დაეხარა.

— დამიანში ყოველთვის კარგი უნდა ვძებნოთ და არა ცუდი, — განაგრძობდა სოლომონი, — ცუდის პოვნას რა დიდი ამბავი უნდა, ვინაა ამ ქვეყანაზე უნაკლო... ამიტომაც უნდა შეგვეძლოს მოთმენა და პატიება. — სოლომონი წამით ჩაფიქრდა, ყოყმანობდა, ამით დავამთავრო თუ საკითხი უფრო გავაღრმავოო, მერე განაგრძო: — თუ ნებას მომცემთ, ერთი ჩემი ნაცნობის ოჯახზე გიამბობთ... ახლახან განქორწინდნენ და რაზე, არ იკითხავთ? (ნაცნობები კი არა, მეზობლები იყვნენ ჩემი, ზუსტად ასე, როგორც მე და ვაჩე, კარის მეზობლები... სანამ აქ გადმოვიდოდი, ცხადია) ჰოდა განქორწინდნენ... პაპიროსის ნამწვის გამო... წარმოგიდგენიათ? მივყვე, ხომ? მოვიდა კაცი სამსახურიდან... მეუღლე რატომღაც ძალიან გაღიზიანებული დახვდა, ანჩხლობდა, კაპასობდა... ისე კი არ იყო ცუდი ქალი... კაცს ამასობაში პაპიროსის ნამწვი დაუვარდა იატაკზე... ცოლმა თოფის წამალივით იფეთქა... ჰოდა, დაინგრა ოჯახი.

— დაინგრა? — გაუკვირდა ვაჩეს, — როგორ დაინგრა... რაღაცას კი გვატყუებ ახლა, ძია სოლომონ.

— მე? მე და ტყუილი? — ეწყინა სოლომონს, — გაავდო ქალი. კინწისკვრით. გააღო კარი და გადაუშვა კიბეზე. წარმოგიდგენია? არ გაჭრა მერე არაფერმა. ხომ შეეძლო ეთქვა, რა მოგვიდა, ტყუილუბრალოდ რატომ ანჩხლობო. შეეძლო? შეეძლო თუ არა?

სოლომონი მიხვდა, რომ ამ ოჯახურმა დრამამ მაინცდამაინც ძლიერი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა (დამაჯერებლობა აკლდა), თავი შეგაწყინეთო, ბოდიში მოიხადა და წამოდგა.

ვაჩეც ადგა, მეზობელს მხარზე გადაჰკიდა ხელი და სიცილით უთხრა:

— სხვა არ ვიცი, ძია სოლომონ, ... იმ შენი მეზობლის ადგილას მეც...

— ნუ იცინი, ბიჭო, შენ, — გაუწყრა სოლომონი, — თუ ცოლის შერთვას აპირებ, ნერვებიც მაგარი უნდა გქონდეს. არაფერი გამოვა სხვანაირად.

— საზეიმოდ გპირდები, ძია სოლომონ, რომ...

— მე წავალ ახლა.

ირინეც ადგა:

—მეც უნდა წავიდე, — საათზე დაიხედა, — რა ხანი გასულა...

— არა, არა, შენ დარჩი. რა დროს წასვლაა, — ვაჩემ თითქმის ძალით ჩასვა ქალიშვილი სავარძელში, — რა გაჩქარებს? ან შენ რატომ აჩქარდი, ძია სოლომონ?

— არა... წავალ. დროა უკვე, — სოლომონმა ჩქარი ნაბიჯით გასწია კარისაკენ, თითქოს ეშინია, მეც ძალით არ შემაჩერონო, — ისაუბრეთ, გაერთეთ. მე რა თქვენი ამხანაგი ვარ, ბერიკაცი...

სოლომონი გავიდა. ვაჩეც გაჰყვა კვალდაკვალ.

— როგორი გოგოა? — ჰკითხა დერეფანში.

სოლომონმა მხარზე დაჰკრა ხელი.

— ყოჩაღ... ანგელოზია! ცოლად ირთავ, ხომ? ხელად შეგატყვე.

— ვფიქრობ, ძია სოლონომ. მაშ კარგი გოგოა, არა?

— დიდებულია. ყოჩაღ-მეთქი! არ გაუშვა ხელი.

—აბა, კარგად...

ვაჩე ოთახში შემობრუნდა და სწრაფად შეუდგა სუფრის გაწყობას. ირინე კი ოთახში დადიოდა, მოუსვენრობას შეეპყრო, დროდადრო წიგნების კარადასთან შეჩერდებოდა, ხან სურათებიან ალბომს გადაფურცლავდა უგულისყუროდ.

— ჰო, მართლა, რა ჩამომიტანე? — გაახსენდა უცებ.

— დაიცა, სულსწრაფი ნუ ხარ, — უთხრა ვაჩემ. — დაჯექი.

— დამაგვიანდა. რას იტყვიან ჩვენები.

— რა უნდა თქვანონ, თუ ძალიან სწუხარ მათზე, მეზობელთან გავიდეთ, ტელ-

ეფონი აქვთ. დეიდაშენს დაურეკე, გათხოვდი-თქვა.

ირინე პროვინციიდან იყო ჩამოსული, თბილისში დეიდასთან ცხოვრობდა.

— რა კარგი ხუმრობაა, — გაეცინა ირინეს.

— რატომაა ხუმრობა? — გაიცინა ვაჩემაც, — რაღა დროს ხუმრობაა...

უცებ იატაკზე დაიხედა და ელდა ეცა.

ეს ამბავი რომ მოხდა, წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი იყო მოდაში, ჰოდა ირინეს ფეხსაცმელებს ერთიანად გაეოხრებინა ახლახან საგულდაგულოდ გაპრიალებული პარკეტი. სადაც კი ფეხი დაედგა იატაკზე, წარუშლელი კვალი დაეტოვებინა.

— ირინე, არ გატკინა ფეხები მაგ ფეხსაცმელებმა? აგერ, ლამაზი ფოსტლები მაქვს, ჩაიცვი, უფრო ხალვათად იქნები.

—არა მიშავს. ნუ სწუხდები.

„როგორ ჩაიცვამს. ფოსტლებით ქორწილი გაგონილია?.. მეც რომ არაფერი ჩამომიტანია ისეთი? როგორ დაშავიწყდა“.

— მეზობელთან გავალ და რამეს გამოვართმევ... აქ გოგოები ცხოვრობენ.

— არა, არა. რაღას აწუხებ მეზობლებს. ახლა მაინც უნდა წავიდე.

— შენ მანდ ოჯექი. ეგ მე ვიცი, როდის წახვალ და როდის არა...

ვაჩე კარს ეცა, გული აჩქარებით უცემდა. ეს ვინ ყოფილა!

აშკარად ნაწყენი იყო თავის საცოლეზე. ამაზე მეტად როგორ არ... დამჯდარიყო მაინც, რა სიარული აუტყდა, მტრის ოჯახში ხომ არაა ბოლოს და ბოლოს... ვითომ მართლა ასეთი ანგელოზია, სოლომონს რომ ჰგონია? ღმერთმა ქნას... თითი ეტკინა, ისე მაგრად დააჭირა ზარის ღილაკს. აქ სამი ქალიშვილი ცხოვრობდა. ერთი აქაური იყო, თბილისელი, დანარჩენი ორი კი ნათესავები იყვნენ, სოფლიდან ჩამოსულები. უმაღლესში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდნენ და დღედაღამ შინ ისხდნენ, თავაუღებლად მეცადინეობდნენ. სამივენი უიმედოდ იყვნენ შეყვარებული ვაჩეზე. ვაჟი ამას თვალებზე ატყობდა ქალიშვილებს. არ მოსწონდა ისინი, ძალიან ცელქები არიანო, ამიტომ არაფერს იმჩნევდა, თითქოს სულაც ვერაფერს ხვდებოდა.

ზარის ხმაზე სამივენი გამოიკრიფნენ გარეთ.

— გოგოებო, მათხოვეთ ცოტა ხნით თქვენი ლამაზი ფეხსაცმელები. არ დაგეკარგებათ პატივისცემა.

— ჩვენი?

— ქალის?

— ჰო, რა თქმა უნდა.

— რად გინდათ?

— სტუმარი მყავს. უჭერს თავისი. ცოტა ხანს მათხოვეთ, ერთი საათით.

— ვინაა? — გაუბედავად იკითხა ერთმა. სხვებმა ხითხითი ატეხეს, ერთმანეთს მხარი გაჰკრეს.

— არის ერთი...

— გაუთხოვარია?

— კი... ამადამ აპირებს გათხოვებას.

— ვის მიჰყვება?

— მე...

ეს არ უნდა მეთქვაო, გაიფიქრა ვაჩემ, ვაითუ, გამაწბილონო.

— კარგი გოგოა?

—ანგელოზია.

— არ გვაჩვენებთ?

— რატომაც არა.

— ახლა?

— ახლა არა...

— რატომ?

— რა გაჩქარებთ? აქ არა ხართ? არსად გარბის.

— როგორ, სულ აქ იქნება?

— აბა ჩემი მეუღლე სად უნდა იყოს? — წამით დუმილი ჩამოვარდა, გოგოები ერთმანეთს შეჰყურებდნენ გაკვირვებით. ვაჩეს რომ ხუმრობა უყვარდა და საკმაოდ ენამახვილიც იყო, კარგად იცოდნენ, მაგრამ ეს ფეხსაცმელები მაინც რაღაც დასჭირდა? — მართლა არ გეგონოთ. გეხუმრებით. ნათესავი მესტუმრა.

ვაჩემ ძლივს იგდო ხელთ ფეხსაცმელები, გოგოებს დაუსხლტა და ირინესთან გამოცხადდა, მაგრამ ქალიშვილმა

ფეხსაცმელების გამოცვლაზე კატეგორიული უარი თქვა, სულაც არ მიჭირს, თავს მშვენიერად გვრძნობო.

— დაჯექი მაინც, — წყენით უთხრა ვაჩემ.

— ირინე დაჯდა.

ვაჩე პირისპირ დაუჯდა და კონიაკი დასცხა ბროლის პატარა, ცისფერ ჭიქებში, საგანგებო ამ ქორწილისთვის რომ ჰქონდა შეძენილი.

— დღეს ჩემი დაბადების დღეა, ოცდაათი წელი შემისრულდა, არ დამლოცავ?

— ბედნიერებას გისურვებ, — უთხრა ირინემ და ჭიქა ასწია, ფეხზე ადგა, კონიაკი მოსვა. — ახლა კი წავალ, — უთხრა ვაჩეს, მაღლა აწეული ჭიქა ისევ ხელში ეჭირა.

—მოიცა, ირინე...რაღაც... — სათქმელი მქონდაო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ უცნაურად შეეკრა ენა, სადღეგრძელო, უკვე კარგად მოფიქრებული და დალაგებული, სულ აერ-დაერია. რაო, რით იწყებოდა? სად გაქრა ის სიტყვები, წეღან ასე ლაღად და შეუფერხებლად რომ მოედინებოდა? მაინც, რა ატირებდა იქ, მანქანაში? — ამადამ კარგ ფილმს აჩვენებენ ტელევიზორში, ვნახოთ.

— არა, არა, რა დროს ფილმია. ჩვენებს შეეშინდებათ...

— დავრეკოთ, მეზობელს ტელეფონი აქვს.

და ამ დროს მოხდა ის, რაც ვაჩეს გათვალისწინებული არ ჰქონდა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რამაც ერობბშად შეცვალა მისი მომავლის გეგმები — ირინეს ხელიდან გაუვარდა ბროლის ლამაზი, ცისფერი, საქორწილო ჭიქა, რომელიც მაშინვე ნამსხვრევებად იქცა. ახლაც კი, ამ შემთხვევიდან ამდენი ხნის შემდეგ, ვაჩე არაა დარწმუნებული, რომ ჭიქა ირინეს ხელიდან განგებ არ გაუგდია. თუმცა, ასეც რომ არ ყოფილიყო, ქორწილი, ალბათ, მაინც ჩაიშლებოდა. შეიძლება იგი მაშინ უკვე ჩაშლილი იყო, ვაჩემ პირველ სადღეგრძელოს თავი რომ ვერ მოაბა. ვერც ირინე გეტყოდათ გარკვევით, რა მოხდა. შეიძლება მართლაც განზრახ გააგდო ჭიქა ხელიდან, მაგრამ, რატომ? რა მიზეზით? რა ქვეცნობიერი და ანგარიშმიუცემელი მოტივი ჰქონდა ამ მოქმედებისათვის?

ვაჩემ ფრთხილად, უსიტყვოდ დადგა თავისი ჭიქა მაგიდაზე, ბაგე მოიკვნიტა, გაფითრდა.

— ოჰ, მაპატიე, ვაჩე.

— არაფერია, — ვაჩეს მთელი თავისი ძალ-ღონის მოკრება დასჭირდა, რომ გაეღიმა, — ბედნიერების ნიშანია... შენ დღეს ბედნიერ ფეხზე მესტუმრე... ჰა-ჰა-ჰა... არაფერია, არაფერი, — ვაჩე ხარხარით გადასწვდა ირინეს, გაბედულად გადახვია მხრებზე ხელი, ერთბაშად დაუბრუნდა თავდაჯერება, ძალა, სითამამე, — დაჯექი, დაჯექი... ჰა-ჰა, — ახლა მას აღარაფერი ჰქონდა დასაკარგავი.

— არა, არა, წავალ, ვაჩე, მეჩქარება.

— კარგი, რა ხან ასეა...

მეზობელი ქალიშვილები დერეფანში დახვდათ. ირინეს არც კი შეუხედავს მათთვის, არც ვაჩეს. კიბეზე უსიტყვოდ ჩავიდნენ.

ავტობუსის გაჩერებასთან ვაჩემ ქალიშვილს უთხრა:

— გაგაცილებ...

— არა, არ ღირს... რა საჭიროა. მარტო წავალ, არაფერი მიჭირს.

— კარგი მაშინ...

— ჰო, მართლა, მაინც რომ დაგვავიწყდა?

— რა?

— რაღაც ჩამოგიტანეო...

„დამცინინ...“ ვაჩემ გამომცდელად შეხედა ქალიშვილს თვალებში, ირინე გულუბრყვილოდ, ალალმართლად უმზერდა ვაჩს და იღიმებოდა.

„ასე მიამიტი ხარ, ვითომ? არა მგონია...“

— აჰ, ზევით დამრჩენია... ავირბინოთ.

— ახლა რაღა დროს არბენაა. რა იყო, მითხარი მაინც.

— არა, წინასწარ ვერ გეტყვი. არ შეიძლება წინასწარ...

ამ დროს ავტობუსიც მოვიდა. ირინე

ავიდა, ვაჩემ ხელი დაუქნია. ქალიშვილმაც დაუქნია ხელი ისე რომ არ გაუღიმია. უცებ ტირილი მოუნდა. ო, რა კარგი იქნებოდა ახლა ტირილი, როგორ მოეშვებოდა გულზე, მაგრამ უნერხული იყო ამდენ ხალხში, რას იფიქრებდნენ. ძლივს შეიკავა თავი. „რატომ? რატომ? რატომ?“ ეს კითხვები ახლა მარტო სკოლისდროინდელ შეყვარებულს არ ეკუთვნოდა. ვაჩე კი ამ დროს ნელა ადიოდა კიბეზე და ფიქრობდა, რა ქარაფშუტა, რა უცნაური არიან ახლანდელი გოგოები, მათი ხასიათი რა ძნელი შესასწავლიაო. აი, თუნდაც ირინე. ერთი შეხედვით მამა აბრამის ბატკანი გეგონება, უწყინარი, გულუბრყვილო, მშვიდი, კეთილი, მეუღლის ნამდვილი იდეალი, მაგრამ გაიცნობ ახლოს და ყველაფერი საპირისპიროდ შებრუნდება. სოლომონიც რა სასტიკად შეცდა, ნამდვილი ანგელოზიაო. კარგი ანგელოზია, რაღა უჭირს მის პატრონს. ოთახში შევიდა, იატაკს რომ დახედა და თავისი საამაყო, საქორწილო ჭიქის ნამსხვრევები დაინახა, გულზე დარდი და სინანული შემოაწვა. მაინც აჩქარდა... ძალიან აჩქარდა... კინაღამ საბედისწერო ნაბიჯი გადადგა. ვაჩეს ტანში გააჟრჟოლა, შეძრწუნდა იმის გახსენებაზე, თუ რა განზრახვით, რა მიზნით მოიყვანა ირინე. აი, შეცდომაც ეს იქნებოდა. რაკი დაასკვნა, რომ შეიძლებოდა მომხდარიყო გაცილებით უარესი, ვიდრე მოხდა, ვაჩეს დარდი გადაეყარა, კარგ გუნებაზე დადგა. ისე გრძნობდა თავს, თითქოს ეს-ესაა ბეწვის ხიდი გაიარა მშვიდობიანად. გადარჩენას ზეიმობდა.

სუფრა აალაგა, დაწვა, სინათლე არ ჩაუქრია. ვაჩე შეჰყურებდა ჭერს, კედლებს, ყველაფერს, რისი დანახვაც აქედან შეიძლებოდა და თანდათან იკრებდა ძალას ხვალინდელი დღისთვის, თანდათან უბრუნდებოდა სიმშვიდე და რწმენა. ირგვლივ ჯერჯერობით კვლავ მდუმარება და მარტობა სუფევდა. ცხოვრება თავისი ჩვეული გზით მიდიოდა. ეს-ესაა ჩაიგრიალა იმ საბედისწერო, მღვრიე მდინარემ, სწორედ ამ ხ

ქვეშ, ვაჩემ რომ გაიარა ზედ ბეწვის ბის კანკალით, საათს შეხედა. რა ხანი გასულა! უნდა დაიძინოს როგორმე. ადგა, სინათლე ჩაქრო, ისევ დაწვა. ცხოვრება ცუდად არის მოწყობილიო, ფიქრობდა. არ ეძინებოდა. წრიალებდა, სწუხდა, თუ ახლა ვერ დავიძინე, ხვალ (!) დ გუნებაზე გამომეღვიძებაო. არა მგონია, ეს ცხოვრება მთლად კარგად იყოს აწყობილიო, ფიქრობდა. მთლად კარგად? აწყობილი? აწყობილი კი არა, საერთოდ, არაფერია, არარაობაა... ვინაა ვაჩე? რას წარმოადგენს? რამდენი ვინმეა ვაჩეს მსგავსი ამ ქვეყანაზე. ბინაც ბევრსა აქვს და აი, ეს ხარახურაც... ვის უკვირს ახლა ეს? არავის. ვთქვათ, ადგა და დაქორწინდა. შვილებიც გაუჩნდა. დიდი ამბავი. ვის არ ჰყავს შვილები. რამდენი რამ სჭირდებათ, რამდენი ზრუნვა, რამდენი დავიდარაბა. გაიზრდებიან და თავ-თავისი გზით წავლენ. ყველას თავისი ინტერესები და სურვილები გაუჩნდება, ყველა თავის თავზე იფიქრებს, თავის მიზნებს გამოეკიდება. შენ? შენ შენთვის... არავინ გადაგყვება ზედ. ასე იყო, ასე იქნება, ასეა დღესაც. არა, ნამდვილად დიდი უაზრობაა ყველაფერი. ამაოებაა. რა აკლია ახლა ვაჩეს? თითქმის არაფერი. მაინც უკმაყოფილოა. რატომ უნდა იყოს უკმაყოფილო? რატომაა კაცის გული ასე გაუმაძღარი? საოცარი მაინც ის იყო, რომ ასეთი ფიქრები მას ბოლოს და ბოლოს, ერთგვარ სიამოვნებასაც კი ანიჭებდა. რა იყო ეს, რა სიამოვნება, რა იყო აქ სასიამოვნო, ვერ გაერკვია. თანდათან დაავიწყდა დღევანდელი უსიამოვნებანი და ფათერაკები. წასთვლიმა. ეტყობა, შეგნებამ იმისა, რომ ამქვეყნად ყველაფერი ამაო, უაზრო და არარაობაა, დამაშშვიდა-ლად, კეთილისმყოფლად იმოქმედა ვაჩეზე.

ბოლოს დაეძინა კიდეც და დილამდე ეძინა ჯანსაღი, მშვიდი, უსიზმრო ძილით.

იორამ ქემერტელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ პოეტს **იორამ ქემერტელიძეს** დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. „ცისკრის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს პოეტს ამ მნიშვნელოვან თარიღს და უსურვებს მას ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

●

სანამდე
ბალახი
ბალახად
ბალახობს, —
ნუ შიშობ,
არ დარჩები, ირემო,
უველმინდვრებოდ
და უიალაღოდ,
უტყისპირებოდ და
უღელისპირებოდ...

ბიბინებს მდელო,
ველი და მინდორი —
ყამით ყამობითი
და დროის დროობით —
კიდით კიდეების
კიდიდან კიდობით,
უსასრულოობის
უსასრულოობით.

მოსწონდა,
მომწვანდა
ველი და მინდორი
ათასი მაყვლობით,
ბლობით და ყურძნობით, —
დასამკვიდრებელის —
მკვიდრობის მკვიდრობით,
დასაფუძნებელის —
ფუძნობის ფუძნობით...

გასახსენებელის —
გახსენების გახსენებით,
დასავიწყებელის —
დავიწყების დავიწყებით,
არსახსენებელის —
სახსენებლის სახსენებლით,
დასამიწებელის —
დამიწების დამიწებით —
საუკუნეებმა მოითავეს საქმეები —
ზეიმით,
გამტყუნებით,
ცრემლით და
გამართლებით, —
თავდაღმართების
დაღმართ-თავქვების,
და ამართების
დაღმართის ამართებით.

მცირეზე მცირენი,
დიდრონზე დიდრონი
აწყვია
უძველესი
ამბები
ტომობით —
მშვიდობიანობის —
მშვიდობით, მშვიდობით,
ომობიანობის —
ომების
ომებით.

დასაფიცებელის —
დაფიცების დაფიცებით,
გასაცილებელის —
გაცილების გაცილებით,
გასაფიცხებელის —
გაფიცხების გაფიცხებიო,
გასაჭირვებელის —
გაჭირვების გაჭირვებით —
საუკუნეებს კვლავ ელით საქმეები —
ზეიმით,
გამტყუნებით
ცრემლით და
გამართლებით —
თავდაღმართების
ღაღმართ-თავქვეებით,
და ამართების
დაღმართის ამართებით...

წონა-ასაწონის
და ზომა ზომების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირის — მცირეობით
და დიდის — დიდობით,
ომობიანობის —
ომების
ომებით,
მშვიდობიანობის —
მშვიდობის
მშვიდობით...
მაგრამ
სანამდე
ბალახი
ბალახობს,
ნუ შიშობ,
რომ დარჩე, ირემო —
უველმინდვრებოდ
და უიალაღოდ,
უტყისპირებოდ და
უღელისპირებოდ... —
ბიბინებს მდელო,
ველი და მინდორი,
ყამით ყამოობით
და დროის დროობით —
კიდით კიდეების
კიდიდან კიდობით,
უსასრულოობის —
უსასრულოობით.

სენტიმენტალური ლექსი

სიმაღლე არის
ტინი ფრიალო,
არის კიაფი
ფერად ჯავარდნის;
ყველაზე დიდი
საპრიწიალო,
ყველაზე დიდი
ჩამოსავარდნი.

სიმაღლე —
თვითონვე
გიხმობს და
გეძებს,
სიმაღლე —
არ არსებობს
თავისთავად, —
ან უნდა ახვიდე
მთაზე,
ან ხეზე,
ან —
რაღაც უნდა ქნა
ამისთანა...

და სანამ —
გასაცელავს გასცელავდე, —
გინდა გნებავდეს,
გინდ არა გნებავდეს, —
გზა გაქვს —
ამაღლებიდან
დაცემამდე,
და გზა —
დაცემიდან
ამაღლებამდე.
დაცემას —
სხეულივით
სხეულით
ზიდავ,
დაცემა —
დაცემაა
თავისთავად;
ან ჩამოვარდები
მთიდან
ან
ხიდან,
ან —
რაღაც იქნება
ამისთანა...

ყურთან კი —
სულ მუდამ
გიკრავენ
საარს —
რა უნდა გნებავდეს,
ან რა არ გნებავდეს, —
და სანამ
გასაცელავს გასცელავდე, —

ვერ გაგირკვევია,
        რომელი რაა,
რომელი
        უფრო
        ნეტარი
        გზაა,
გზა —
        ამაღლებიდან
        დაცემამდე,
თუ გზა —
        დაცემიდან
        ამაღლებამდე...
მაგრამ...
ჯერ გეძახის
ტინი და ფრიალო,
შორი კიაფი
ფერად ჯავარდნის, —
ყველაზე დიდი
        საპროწიალო,
ყველაზე დიდი
        ჩამოსავარდნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

უსასოობის სასოებავ —
        გულდამშვიდებავ, —
თავმიდებულს გძინავს ბალიშზე...
ირგვლივ —
        ფუტკრები დაბზუიან,
        კოღოებიც წივიან ყურთან...
და
გძინავს
ტკბილად
თავმიდებულს ნეტარ ბალიშზე...

შენი წამალი ახლა ძილია!
რომ გაიღვიძო,
უცებ ხელში შემოგაქრება
ფუტკრის გზუილიც,
კოღოს წუილიც,
რაც მთავარია — ტკბილი სიზმრები,
რომლითაც ცხოვრობ და არსებობ, —
თუ მაგ ცხოვრებას —
        ჰქვია ცხოვრება
და არსებობას —
        არსებობა...

იძინე მშვიდად...
დაე, გეგონოს,
რომ ყველაფერი ლამაზია,
ყველა საქმე — მოთავებული;
მადლი,
სიკეთე,
და ცოდვა-ბრალი
გამოწონილი დევს პინებზე
გრამგრამობით თუ მილიგრამობით...
რაღა საცმე გაქვს ძილის მეტი!
ან სხვა რა დაგრჩა მაგ ძილის გარდა!
შენ ახლა გინდა მოსვენება,
ტკბობა სიზმრებით და ოცნებებით,
მაგრამ...
        ფუტკრები დაბზუიან,
        და
კოღოებიც
წივიან
ყურთან...

გულდამშვიდებავ — სასოებავ
        უსასოობის, —
იძინე მშვიდად...
რაც შენ ძილში გაქვს —
        ამოდენა ავლა-დიდება,
რასაც უყურებ თვალდახუჭული,
        ასე ნუგეშით, —
ის სხვას ცხადში აქვს!
მაგრამ ვერ ხედავს,
თვალგახელილი ვერა ხედავს, —
არც გონია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ აქვს რაიმე,
რადგან სიზმარში არ უნახავს
თავის ქონება...

შენ კი...
უცებ რომ აიღო თავი,
რომ გამოერკვე,
მიიხედო და მოიხედო, —
ძილ-ბურანიდან იყვირებ უცებ,
რომ ყველაფერი არის ტყუილი...
და ამ ყვირილით
მეორესაც გამოაღვიძებ,
ეს კი ერთ ამბავს გამოიწვევს,
გნიასს და ყაყანს,
რაც შენი საქმე სულაც არ არი.

თორემ...
რასაც შენ ძილში ხედავ,
რომ ნახო ცხადში,
ცხადად რომ გექცეს ყოველივე
მოულოდნელად,
თან ასე უცებ, შენს უნებურად, —
აი, ცოდვა ხარ ამის მერე,
შენზე საბრალო —
არ იქნება ქვეყნად არავინ:
რაღაზე უნდა იოცნებო, უბედურო,
როცა გექნება
ყველა სიზმარი — ახდენილი,
ყველა საქმე — მოთავებული...
ხოლო გული —
დამშვიდებული.

თამარ პაპუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტია

მოთხრობა

ჩაკნა პაპას ჯეელობა გაეხსენებინა, კაკლი გრილოში სამეჟდლო გაემართა და ჯაჭვებსა კეერავდა. ადრე, როცა ჯანი მოსდევდა, ჯაჭვებზე აგრერიგად ვერ მოსცდებოდა, თანგირა ქვაბებისა და თუნგების ოსტატი გახლდათ, სპილენძს ალღობდა და ამღერებდა ხელში. ეამმა გადაიყოლა თან თუნგებიცა და ყურიანი თანგირა ქვაბებიც, იაფფასიანმა და მსუბუქმა ალუმინმა ჩაკნა პაპას ხელობა გაუხუნა, ხანდაზმულობამაც თავისი ქნა: მარჯვენა მკლავში ძალამ უმტყუნა, მოქნეულ ჩაქუჩს თან სულსა და გულს ვეღარ აყოლებდა და აბა რა საქმეს დაადგება ხეირი, თუ გული და სული ზედ არ მიაყოლე! ბერიკაცს ხელზე დამხმარეც აღარავინ შემორჩა და თვეში ერთხელღა თუ მოიხალისებდა მიტოვებულ საყვარელ საქმეს. — ვიღლაბუცებ ცოტაოდენსო, — იტყოდა წუნარ, მზიან ამინდში და კაკლის გრილოში გამართავდა ხოლმე ქურა-საბერველს.

ეტყობოდა, ხევს გაღმა, ზუზუმბოს მინდორზე ბალახი გაეთიბათ. ბალახისთვის მზეს დაეხედა და ნიავს სწორედ ის ტკბილი სურნელი მოჰქონდა, ჭანობაში ახლად შესული ბალახი რომ გამოსცემს ხოლმე.

დიდი კაკლის ძირას, ზედ ლობიოს ნაკაჭოს გროვაზე, ნატეხარში ხარალი ჩაელბოთ. იქვე, დაბალ ძელსკამზე პოლორჭიკივით წამომჯდარიყო წელანგარა მარტია და შიბაჭებსა თლიდა. ერთ ხელისდადება ქალაქს მარტია სულ ასეთი. ახსოვდა, წელკავიანი, „მიწისკენ და ოსაქოლოსკენ თავპირწაგდებული“, ერთი ახირებული და შარიანი ბერიკაცი.

ამბობდნენ, თავის დროზე მარტია კაი მამალი ბიჭი იყოო, მაგრამ ხალხს ეს ამბავი თან სჯეროდა და თან არც სჯეროდა. ღვთისმშობლის ეკლესია რომ ხორბლის საწყობად გადააქციეს, მარტიას მოენგრია გუმბათ-სამრეკლო. ამბობდნენ, მაგ ბეჩავს მას აქეთ გაუდგა წელკავიო.

ზოგი იმასაც იტყოდა, რა გუმბათი, რის გუმბათი, ნაძრახ თელაზე მძინარე დედა ალქაჯი გაუღვიძებია და წელზე იმას შემოუკრავსო.

სხვანი უფრო მეტ გასაქანს აძლევდნენ ენას: ეზოში, ცარიელა ზედაშზე გადაუვლია. ღამით, ვიღაც უხილავს პანღური ამოუკრავს მარტიასთვის: ე ზედაშე როდემდე უნდა გეგდოს ცარიელა, შე მეფდრეგო! მარტიას წელი ძლივს აუთრევია მიწიდან და მას აქეთ ასე დავაგლახობსო.

მარტია ენაზე ლაგამს ვის ამოსდებდა, საკვირველი ის იყო, მეჭორეთ თავისივე მოჩმახულის რომ სჯეროდათ. ხელების ქნევით, თვალების ჭყეტითა და იდუმალი გამომეტყველებით საკუთარ მონაგონზე დავობდნენ: — მაგრა კი არა, ივრე იყო, როგორც მე ეთქვეო. რაღა თქმა უნდა, მთავარი ზღაპარი იყო, გულის გადასაყოლებლად, მთქნარებით მოგონილ-მოყოლილი და არა საპყარი მარტიას ბედი, რომელიც ყველას უკაცრაული პასუხია და, ფეხებზე ეკიდა. არც მარტია დაგიდევდათ დიდად, რასა ყბედობდა ხალხი. რაც უნდრდათ, ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეგონათ, საითაც უნდოდათ, იქით გადასულიყვნენ, გინდა დაკრეფილში, გინდა დაუკრეფავში, ოღონდ სიახლოვეს არავინ გაჭაკრებოდა იმას, ან ერთადერთს, რომელიც უკვე სანახევროდ საფლავიანად გადაკრგულიყო, ხოლო სანახევროდ მის გულსა და გონებაში კიბოსავით გაედგა ბორკლლები; ეს მისი წილი ნახეკვარიც, ალბათ, მიწაში დაიფვნება, რადგან მარტია თავს არასდროს აალერებს და არ იტყვის: — თქვე ასეთ-ისეთებო, ეგ ზღაპრები თქვენ კრუხ-წიწილას დაუყარეთ, მე პირძალლს კი იმიტომ მჭირს წელკავი, რომ აი ესა და ეს დამემართაო...ან რაღა დროს რა არის, მას აქეთ რამდენმა წყალმა და ღვარმა ჩაიარა; რამდენი ლანძღა და აგინა საკუთარი გამჩენი და თავისი წილი წუთისოფელი... მერე მთელ ცხოვრებას ნავთის სუნი უდიოდა: ურემზე დადებულ ნავთის დიდ ცისტერნასაც, თვით ურემსაც, ცხენსაც და იმ ფულსაც, მარტია რომ ხურდად უწვდიდა მყიდველებს. აღარც საპონი შველოდა საქმეს, არც თბილი წყალი — პირიქით, საპონი ილესებოდა ნავთით და ბუხარში შემდგარი ცხელი წყლით სავსე ყურიანი ქვაბი ორთქლის მაგიერ ნავთის ოშხივარს ავრცელებდა...

ლოგინიც ნავთის სუნით აქოთებულიყო და ზედ ქვიტკირის გალავანზე ამოსული სოსან შაშვისპირებსაც ნავთის სუნი უდიოდათ.

— ჰაა, მარტი, შენ გეუბნები, კაცო, კიდე მოგდის ნავთის სუნი? — თითქოს მის ფიქრს მიეგულისპასუხა ჩაკნა პაპა.

— იიჰ, — უგულოდ მიუგო მარტიამ. — ურემს რო ვყიდდი, ი გასაწყალებელმა ცეთაანთ ბიუმა იცი, რა თქო? მაგისი ჯამით ლობიოს არ შეეჭამ და მაგის ნახმარ ურემზე დავჯდებიო? ყველამ მხარი აუბა, აქოთებულიაო, და ნახევარ ფასში გამაგდებინეს ის ტიალად დასარჩენი.

მარტიამ წვალებით ასწია თავი, ზურგით მდგარ ჩაკნა პაპას მჭედლურ მხარეზეს ჰკიდა თვალი და იმათდა დაეკვეთა: — ჩაკნი, დაიფიცე ერთი შენი მკვდარი და ცოცხალი, დავიჯერო მართლა ნავთის სუნი უდის ჩემ ჯამ-ჭურჭელსა?

ბერიკაცმა ქედი მოდრიკა, ხეიბრის თვალებში ჩამდგარ სისაწყლეს მზერით მიესალბუნა და სიცილით უთხრა:

— არ იცი მაგეთ რამეებს რად გეუბნებიან? იმიტომა რო, აჯამი ხარ, აჯამი. ხუმრობით ნათქვამი გწყინს და ცხარდები. აბა ერთი ძალლად ნუ ჩაგდებ ნურავის ყბედობას, მაშინვე დაგეხსნებიან, — ვინ იცის, მერამდენედ არიგებდა ჩაკნა პაპა.

ნაშუადღევს მარტიამ აიკრიფა გუდანაბადი, თან ჩაკნა პაპას ჯაჭვებიც გაიყოლია, ხვალ კვირაა და გაგიყიდიო, და ვაის-წვალებით გიტანა წელი სამეზობლო კუტიკარში.

●

ერთი ზორბა, მხრებგაშლილი გულაბი ედგა მარტიას. გულაბი ერქვა, თორემ ახოვნებით კაკალს არ ჩამოუვარდებოდა. არავინ იცოდა, რა მიწა იპოვნა, ან რა წყალი ამ დალოცვილი ხის ძირ-ფესვმა. აშრიალდებოდა გაზაფხულწე საყვარლად, თეთრი, მსხვილთაკა ყვავილების ზღვად იქცეოდა. დადგებოდა მარიამობისთვე და უამრავი დათაფლული, შავხალიანი გულაბი ლივლივებდა მზეში, ჩამოდიოდა მწიფე გულაბი გოდრებით, კალათებით, უბეებითა და კალთებით. პატრონებიც ბევრს მიირთმევდნენ, პატრონის ნაცნობ-მეზობლებიც, ამ ვლელ-ჩამვლელი მუცელღმერთა გოგო-ბიჭებიც; ბაზარშიც ეზიდებოდნენ გასაყიდად, ჩირსაც აკეთებდნენ შესანახად, ზოგი ქათამს გაჭერნდა, ზოგი ჩიტსა და ჩიტბატონას. მაინც არ ილეოდა, არ თავდებოდა, სანამ ღვინობისთვის აშარი ქარი არ წამოუბერავდა, და მაშინაც კი, აქა-იქ ფოთლებში შემალული

ნაყოფი ავი თვალის დასავსებად ისევ და ისევ გამოჰყოფდა ხოლმე თავს.

სწორედ შუა მწიფობაში იყო ეს ხეკეთილი, როცა მაღალ ტოტზე გასულ მარტიას ქალის სიშიშვლეშ მოჰკვეთა თვალი. ყმაწვილკაცს სუნთქვა შეეკრა, თვალი დახუჭა და კატასავით განაბული თუ რეტდასხმული დიდხანს ვეღარ იყურებოდა იმ ფანჯრისკენ, საიდანაც იმ პირველმა ხილვამ იკვეთა. დროს მოეწია, დროს მოეტანებინა მარტიასთვის, ხვალ არ იქნებოდა, ზეგ მაინც, აქ თუ არა, სადმე სხვაგან გადაეყრებოდა თავის წილ ქალს, თავის წილ აღფრთოვანებას და განკვიფრებას. აბა, როდემდე დააცდიდა ბუნება — მარტია, მისი გაჩენილი და ნასაზრდოები მოწიფული ბიჭი ცალკე მდგარიყო და მისგან შექმნილი ქვეყანა — ცალკე. ის წიგნი, რომელსაც ბუნება წერდა, მეტად საინტერესო იყო და შემოქმედი თუმცა ბევრს რამეს აუხსნელს და გაუგებარსაც სთავაზობდა მკითხველს, მაგრამ შიგ ჩაუნდეგობას არავის აპატიებდა, მთელი სიცოცხლე, ფურცელ-ფურცელ, სეკუნდ-სეკუნდით უნდა ეკითხა ეს სავალდებულო წიგნი და როცა მიხვდებოდა, რომ ყველაფერი ნათელია, იქნებ ამის თქმის თავიც აღარ ჰქონოდა... კი, მაგრამ, რა მეხის დაცემა იყო ჯერაც ქალის ალერსუგემებელი, ენებაგამოუცდელი, ცალი ფეხითა და ცალი ხელით ხის ტოტზე დაკიდული ყმაწვილი კაცისთვის სწორედ აქ, ამ გაგანია შუადღის მზის ქვეშ ეს დაუნდობელი გამოცხადება!

იმ ცოდვით სავსე ქალს კი არაფერი გაეგებოდა, მშვიდად აიკრიფა თავფუხისფერი, ხუჭუჭი თმა, კეფაზე სარჭით დაიმაგრა და მკერდზე ვარდისფერი ატლასის აზღუდის მორგება დაიწყო. ისე ნელა ირჯებოდა, ეტყობოდა, სიამოვნებდა ეს საქმინობა. მერე ... იქვე, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ნემსი და ძაფი მოიმარჯვა, მუხლი მუხლზე გადაიდო და რაღაც გაკერა. ისევ წამოდგა, ისევ მოისინჯა ვარდისფერი აზღუდი, გულდასმით მოირგო, თავი უკან გადაწია, ხელები ორ ატლასის მორცეს ჩამოაწყო და ასე იდგა ერთხანს... მწიფდა, მწიფდა და გულაბი. შუა მწიფობაში იყო. ყვითლად ლივლივებდა დაწინწკლული, უამრავი ნაყოფი. შუადღის მზეს ახლა არავისთვის ეცალა — მარტიას ბაღში ჩამოსულიყო და გულაბებს ამწიფებდა. არც ღრუბელს ეცალა ცისთვის — ნიავქარს საღდაც, ღრანტეში გადაჰყოლოდა. უღრუბლო ცა ლურჯად კამკამებდა. ცა კი არ იყო, იმისი თვალები იყო, ცისავით ლურჯი და უღრუბლო... მერე ეს ლურჯი თვალები თონნისძირივით გაწითლდნენ, გაფართოვდნენ, გაიშალნენ და ხის ძირში ტკივილისაგან დათრგუნვილი, შეშლილი კაცი ერთსლა ელოდა საშველს — ტიალ სიკვდილს...

იმავ დღეს, შედამებულზე ძირში მოჯრეს მსხმოიარე გულაბი. დასკდა, დაითხლაპა, კოღო-ბუზის და ღორ-ხბოს კერძად იქცა წამოქცეული მსხმოიარე ხის მადლი...

— შენ გახმი, ჩემმა მარტიამ გაიხარო!ო! მოჭრილ ძირს ჩასძახა მარტიას დედამ და ზედ გადანაჭერზე მდუღარე ნაცარტუტა გადაასხა.

— ხემ რაღა დააშავაო, — დაენანათ მეზობლებს. ვინ იცის, იქნებ დაეშავა ციდეკ; ქვეყნად ცოდო-მადლი ერთად გაჩენილა და ამ ხესაც, ნიადაგ დიდყვავილობას, დიდჩრდილობას და დიდმწიფობასთან ერთად, თავისი წილი ცოდოც ეტვირთებოდა, ვინ იცის, შუადღის მზით განათებული კენწეროები და მსხვილი ტოტები იმისთვის თუ აწვდიდნენ ქვესკნელში ჩამალულ ძირ-ძველს თბილისა და სანატრელ ერუანტელს, რომ ერთ უბედურ დღეს ზედ მარტია უნდა გასულიყო...

ტახტზე იწვა მარტია, ჩანავლულ ტკივილს მის სახეზე მიწისფერი დაეტოვებინა. მის ავადმას მიეჩვივნენ, როგორც საერთოდ, ჭირს ეჩვევიან ხოლმე. ყველანი სადღაც წასულიყვნენ თავთავის საქმის გასარიგებლად. — მარტია თავის დარდთან და საფიქრალთან დარჩენილიყო.

ცეცხლის ალი გველაქუა ბებერივით

იყურებოდა ბუხრიდან. ხან გამოაკვესებდა ჭრუტა თვალს, ხან შეშას გაეპარებოდა და სადღაც, მუგუზლის ქვეშ დაიწყებდა ლიფლიფს... მარტიამ ცეცხლს ხერგი შეაქცია და კედლისკენ გადაბრუნდა. უცბად ის გაპარული, გალეული ალი ავარდა, წამოეგზნო და ენით ბუხრის ყელამდე უწია. დაიძინნენ ცეცხლის ენები, ალოკეს ნედლი შეშა და ოთახი ბარე ათი ჩირაღდანივით გაანათეს. მარტიამ ისევ ცეცხლისკენ იქცია პირი. იცოდა, წელში ვეღარ გასწორდებოდა, სახეში ვეღარავის შეხედავდა ჯიქური, მაგრამ სიარული ხომ შეეძლო და მახლას, მისი ფეხით გასათელი ბალახი გაუთელავი არ დარჩებოდა. ასე თუ ისე, ყველაფერს ეშველებოდა, მაგრამ ის, რაც გულაბის ტოტზე გასულს თავს დაატყდა, ერთი წუთით აღარ ასვენებდა. ეგონა, ჩაიგლის, ამასაც დრო უწამლებსო, მაგრამ დრომ მწარე სატკივარს უწამლა, ის ტკბილი სატკივარი კი უფრო გაუძნელდა, გაუავნნდა. „აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია“ აეკვიატებინა გუნებაში და გათენება იყო თუ დაღამება, დაძინება თუ გაღვიძება, ამ აჩემებული სიტყვებით იწყებოდა.

ვიდაც მნახველმა მოაკითხა. ხელში მწიფე ბროწეულები ეჭირა და გულთბილად ულიმოდა. მერე წინ წამოდგა, მარტიას მუახლოვდა და მარტიამ ხელი მიაწვდინა მკერდზე მიწყობილი ბროწეულებს, სიმწიფით დამსქდარი ბროწეულები სადღაც, ტახტის ფეხისკენ დაგორდნენ, ქალს არ გაუხედავს იქით, საწოლთან ჩამოუჯდა და მარტიას მიუგდო ყური. მარტია ქალის მუხლებს გიეივით კოცნიდა და სულ ერთ სათქმელს იმეორებდა: ამ მუხლებს ვენაცვალე, აქ რომ მოგიყვანეს.

ქალს ახალგაზრდობიდან ცალი ფეხი შუახანობისკენ გადაედგა, მუხლები მოსწვა ამ საპყარის ტუჩებმა, მოსწვა, ცხელი ნაკადი მუხლებიდან ზემოთ აუტარა, მკერდში ისარივით გაუყარა და მთელი სიმწვავით გაახსენა საკუთარი მივიწყებული სხეული. რამდენ ხანია ეს აღარ განუცდია, — ასეთი მწველი და დამთრგუნველი. ცისფერი თვალები მადლიერებით მიანათა მის მუხლებზე დამკვდარი კაცის კოხტად ჩადგმულ, ხუუპუპა თავ-კისერს და მის გულგადაწურულ, აზავთებულ სურვილ ნებისად მიანდო თავიც და სხეულიც. ცალი ფეხი რომ ყმაწვილი კაცის უბედურებაში ედგა, მეორით ან ეს-ეს იყო, ახლა ამოებიჯებინა მისი ჭნების გავარვარებული თონიდან...

კართან მისულმა დიაცმა თავი მოაბრუნა და წარბაშეუხრელად უთხრა: „მე აქ არასდროს აღარ მოვალ“.

...მერე მთელ ცხოვრებას ნავთის სუნი უდიოდა... ნავთს გაეყღინთა ხორციც და სულიც; პურიც და მარილიც; ვარდიც და ძურწაბალახიც; მხოლოდ ეს იყო, აქ, ამ ნავთით აქოთებულ არსებობაში ერთადერთი მშვენიერი ყვავილიც ყვავილა, რომელთანაც ნავთის სუნი ვერაფერს გამხდარიყო: — მოწიფული ქალის ატლასის საფარველშემოხსნილი ხორბლისფერი მკერდი — დედასპურივით მშობლიური და ნამდვილი, დედასპურივით ნაფუარი და ყუთიანი.

●

ბაზრის დიდ კართან, ხელმარჯვნივ, დიდ ფარდულში თუშურ ყველს ყიდდნენ. ორ მანუთად და ათ შაურად ისეთ ყველს მოგითლიდნენ, დანის დასმაზე რომ იშლებოდა და ნასვრეტებიდან ერბო მოყონავდა. დახლებს იქით დაკლული ხბოებივით წამოქცეულიყვნენ თავმოკრული ყველის გუდები. იქვე, თავსაფრიანი დედაკაცები თხილის სველ ფოთლებში გახვეულ შინნადოვებ კარაქს ყიდდნენ. მათვე უხვად მოეზიდათ ქაშანურის ქილებში ჩადედებული კამეჩის მაწონი, ახალ-ახალი, ჯერ ისევ თბილი ხაჭო, მზესავით ყვითელი და მზესავით მაწიერი ხვესურული ერბო.

ზედ ფარდულის კართან მთელი დახლის სიგრძეზე დაეხვავებინათ ახლად

დახდილი შოთები, ლავაშები და დედასპურები. ზოგი გამტკიცული ფქვილისა, რბილი, ყაჭივით თეთრი, ზოგიც მახობელიანი, ზოგიერთი ქალივით ფერთალში, გამკრთალი, მაგრამ იშვიათად გემრიელი და სურნელოვანი. ვინც გემო იცის, ქალსაც და პურსაც სწორედ ასეთს ეტანება. კიბის საფეხურებზე ჩამწკრივებულ მეწვრილმანე დედაკაცებს კალთებზე გამოეფინათ თავიანთი ავლა-დიდება — ნართის ძაფი, მახათები, სანთელ-საკმეველი, დარიჩინი, ბაჰარი, შავი პილპილი. აქეთ-იქით, კიბის მოაჯირებზე კი ჭრელი თუშური ფარდაგები, ხურჯინები და ჩითები დაეწყოთ. აქვე ეჭირათ ყველა ჯურის და ზომის წინდები, შინნაქსოვი თათმანები, ფაჩუჩები, თხელი და ნაზი არშიით გაწყობილი მატყლის თეთრი შალები.

კიბის ძირში ქოთნის ყვავილები ჩაემწკრივებინთ: გერანი, ფუქსი, პატარძალა, ოთახის ლიმონი... აქ მთავრდებოდა შესასვლელი, და აქედან ხელისგულივით მოჩანდა თავქვეზე გაშლილი მთელი ბაზარი.

ცალი მხარე ხილისთვის დაეთმოთ: ვაშლის, კომშის, მსხლისა და წაბლის გორგის ზემოდან, სვეტებზე ჩამოკიდებული, აჯაგნული საფარავი და რქაწითელი დაჰყურებდა, ყურძენსაც და ახლად გავლებულ ჩურჩხელასაც ფუტკარი ესეოდა. აქვე იყო დაკერკილი შვინდი, ალუბალი, ლეღვის ჩირი და დაჩურჩული შავი ქლიავი, ბალის ზღმარტლი, ასკილი, წვრილი, შავად ჩამწიფებული ტყის პანტა. ცალკე ზვინებად ეწყო ნაგვიანვეი ნესვი, საზაბთრო და ჭრელი, სურნელოვანი დასტამბო. მეორე მხარე, იქ, სადაც გაზაფხულზე კალმახა, მაჩალო და რძიანა სოკო იყიდება, მთლიანად მწწილის კასრებს და ქილებს ჩაეხერგა. რაგინდ მწყარალი ყოფილიყავი, ხელი თავისით გაგეპარებოდა ჯიბისკენ, ისეთ სუნს გამოსცემდა ჯონჯოლი, წიწაკის, პამიდვრის, კომბოსტოს, კიტრის და ნივრის მწწილი. უფრო ქვემოთ ბოსტნეულით ვაჭრობდნენ.

აქვე იყო კონა-კონად შეკრული მწვანილი, თეთრი და ყვითელი ყელსხვიერი გოგრები, ნედლი სიმინდის ტაროები, წითელი წიწაკისა და ყვითელი ზაფრანის ასხმულები, გამხმარი ქინძი, ქონდარი, კამა, პიტნა და ანისული. სულ ბოლოში ქათმის დიდრონნი გალიები მოჩანდა. იდგა ერთი წივწივი და კრიაზი. იქაურობა ბუმბულითა და ბურტყლით გადაჭრელებულიყო. მოშორებით, აყირავებულ ურმებზე ბზე ჩაეფინათ ღვინის კასრებისთვის. ტიკები და ჩაფიანები პატრონებს პირდაპირ ურმის ღერძთან მიეწყოთ და წელში ჩაზნექილ „პრობის“ ჭიქებს მზისკენ იშვერდნენ — ჯერ ფერი უნახეთ, რა ფერი აქვსო.

იქ, სადაც ღვინის გრძელი რიგი მთავრდებოდა, მეჭურჭლეებს გამოეწყოთ თავისი საქონელი: ლობიოს ქოთნები, სარჩანახე ჯამები, ღვინის თასები, მაწვნის და მწწილის ქილები, ერბოს პირგანიერი კოჭები და წყლის ჭურჭელი — კოკები, კოკურები, სურები, ლიტრები და ლიტრის ბღარტები.

მეჭურჭლეებს გადადმა კრაველის ბოხოხიანი ლეკები ვაჭრობდნენ ნაბდებითა და ნაბდისძველებით, ტყავეულითა და მატყლით, თან მოსაკალ ქვაბებს აგროვებდნენ დიდრონ ტომრებში, რომ მომავალ კვირას გალაპლაპებული და გაახლებული ჩაებარებინათ ყონაღი პატრონებისთვის.

კაკლისა და წაბლის ტომრებთან რუსი პაშა ჩამჯდარიყო, სათაგურებსა ყიდდა.

პაშას რიგი ედგა. სულ ვარდისუბნელები იყვნენ.

— ვაჰ, ვარდისუბანში თაგვების შემოსევაა? ხმამაღლა, ანგლურად გაიკვირვა ღიპიანმა კაცმა.

— ორი თვეა, რაც არ გამოჩენილა ეს ლოთი, ესა! — გაეპასუხა არამკითხე დედაკაცი, თან ფოლადის კბილები მზეზე გაიელვა. ნედლი სიმინდის ტაროებით ვაჭრობდა, ეტყობოდა, ესეც აქაურობის ავან-ჩავანი იყო.

— ვაჰ, მესაზღვრეებს მისცა შენი

კბილები! ღმერთმანი, პრაქტიკორი არ დასჭირდებოდათ, — მთლად გადაავიწყდა თაგვები და ვარდისუბნელები ღიპიან კაცს.

— შენ ცოტა ფარანს ჩაუწი, თორემ, იქნება ეგ კბილები აი, ემ ღინკლა სიმინდივით გაგიხადო! — გამოენთო არამკითხეს დედაკაცი.

ამასობაში კი ხაფანგები გათავდა და მიწყვინილ შავოსან დედაბერს, ცხვირწინ რომ ააცალეს ხელიდან საბოლოო ხაფანგი, გამხიარულებულმა პაშამ: (ეხლა კი გადაკვრავთ!). ფერობით უთხრა: Ну, бабуля, пусть твои мышки еще неделю погуляют, ладно?

— რაღა უნდა ვადნო, შვილო, რაც გადამდნარი მქონდა, აკი თაგვებმა გამამეჭამეს... მიუგო ნაღვლიანად მოხუცმა და თავის გზას ეწია.

— გაიგე, ქალო, ახალი ამბავი? მაშ არ გაგიგია? კინკილას გოგო გათხოვილა ის მოსასპობი, ჯერ თექვსმეტისაც არ არი, ქალო — სალმის მაგიერ მიაგება ზეთის გამყიდველმა ვიღაც მაღალ, ჭაკრიელა დედაკაცს. ეტყობოდათ, თანასოფლელები იყვნენ.

— ი, შენც გიკვირს, რა — მაგას გათხოვება გაუკვირდებოდა? გაზის ბალონივით სულ ერთთავად გზაზე იყო გამოდგმული.

მარტიას გაეცინა. პირველად რომ დანახა გარეთ გამოდგმული წითელი ბალონი, წითელკაბიანი პატარა გოგო ეგონა... მერე ისე მომრავლდნენ ის წითელკაბიანი ბალონები, ისე მომრავლდნენ, რომ ქალაქში ნელ-ნელა შეწყდა მისი ნაღვლიანი ხმა: ნავთია, ნავთი!

ვიღაც თეთრ შლაპიანი კაცი მიუახლოვდა მარტიას, დაიხარა, შიბაქი ხელში აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა და პატრონს ინტერესით ჰკითხა:

— ეს რა არის?

— შიბაქი, — მოკლედ მიუგო მარტიამ.

იქვე, შორიახლოს უსაქმური, ანგალი ბიჭები იდგნენ, თვალებს აცეცებდნენ, გასართობს რასმე ეძებდნენ. უცნობი შლაპიანი, შიბაქს უცხო რამ ნივთივით რომ ათვალიერებდა, თვალში მოუვიდათ, — ივარგებსო, ანიშნეს ერთმანეთს და უკან აეტეზნენ.

— რისთვის ხმარობენ ამ თქვენს შიბაქს? — ისევ იკითხა უცხო კაცმა.

— განსხვავებული სასმისია, ბატონო, სმაში რომ შევლენ მაშინაა მოსახმარი. აი, აქედან ღვინოს ასხამენ ჭიქით, — მიუთითა ბიჭმა განიერ მხარზე, — აი, აქედან კი სვამენ, — ამჯერად ბიჭმა ხის მილზე ანიშნა.

— ოო... ეს საინტერესოა... რაღაც არსად მინახავს ასეთი რამ... ასე, არა? და კაცმა შიბაქის მილი პირთან მიიტანა.

მის ზურგს უკან ბიჭები იჭაჭებოდნენ, შეკავებული სიცილისგან ზოგს სახე წამოსწითლებოდა, ზოგს თვალზე ცრემლი მოსდგომოდა.

— იცით, დღეს ერთ ოჯახში ვარ მიწვეული. ვგონებ, ამ საჩუქრით დიასახლისს ვასიამოვნებ. თან არც ისე ძვირია. მომეცით ორი ცალი...

ბიჭებს ერთი გადახარხარება სიცოცხლეზე უღირდათ. დაბალი, მუგუზალა ბიჭი, კაი ქვეშევეშელა რომ ჩანდა, საუბარში დინჯად ჩაერია:

— ძია მარტი, ერთი ჯაჭვიც მიეცი ბარემ, მასპინძლისთვისა, კაცო... ნაღდად დასჭირდებათ.

— არც ჯაჭვსა ვყიდი და არც შიბაქებს! — მკვახედ განაცხადა მარტიამ. უცნობი გაბრუნდა. ეტყობოდა, მარტიაზე განაწყენდა.

— არა ჰყიდი თორე, ბებია გიცხონდა, ვარგა რათმე ეგ შენი ობიანი ჯაჭვი! იმ დღეს კრუხი დავაბით და არ აიწყვიტა? დამმალია, დამმალი! — ჯავრი იყარა მუგუზალა ბიჭმა.

— რაო? კრუხმა აიწყვიტაო? რას ამბობს ეს ჩჯულგაციებული, ხალხო? მოდი ერთი, რაც ძალი გაგეს, დაეჯაჯგურე და თუ გაწყვიტო, მუქთად მომიცია... — გაჯავრდა მარტია.

— რო წვიღო, რად მინდა ეგ კრუხის ჯაჭვი! — იუკადრისა ბიჭმა.

თამაზ კაკუნაშვილი
მარტია

— მამაშენს წაუღე, მამაშენს. შენს პატრონს ჯაჭვი მოსჭარბდება?! — მიუგო ჩონგურამ; იქვე, დაბალ სკამზე ჩამომჯდარს ფერხთით ტომარა გაეშალა და ზედ ხუთი-ექვსი ჩონგური დაეწყო. ერთიც ხელში ეჭირა და დროდადრო უგულოდ აწკარუნებდა.

— არა, დამმალიაო, კაცო. ჰა, დაეჭიდე, რა, კაცი არა ხარ? ამას რა გასწყვეტს, კაცო, ჩაკნა პაპას გამოკვერილი ჯაჭვია, გუშინა, კაკლის გრილოში კვერავდა... — უფრო მეტად ცხარობდა მარტია, თავადვე ეჭიდებოდა ჯაჭვს, აქეთ-იქით ეწეოდა და ჯაჭვის დამწუნებელს სულ კარგებსა და კეთილებს უმკობდა.

— კარგი, კაცო, დადექ, — თვითონაც იცოდა,რომ ყასიდად აწყნარებდა ჩონგურა, თან გარსშემოხვეულ ხალხს ულიმოდა, აქაოდა, ეს ვის გადავეყარეო.

— რა უნდა დავდგე, კაცო, შენ ხო არ გაცეტებულხარ. მაშ ეს ჯაჭვი დამბალია? მოდი ერთი, დაეჭიდე თუ მამაზეციერი გწამს... — ამოაჩრია მარტიამ ერთი ყველაზე სანდომიანი სახის კაცი.

— რა ვიცი, რა უნდა გავსინჯო, დღეს პური არ მიჭამნია და... ისე, ჩვენებიც იმდურებოდნენ, ბატმა გაწყვიტაო... — სწორედ სანდომიანი სახის კაცმა გადაუსხა ნავთი...

— ეს ოხერი და ტიალი, როდის აქეთ დაიწყეთ ქამეშისა და ბატების ჯაჭვით დაბმა? — ხმამაღლა იკითხა ჩონგურამ, მაგრამ მარტია მას ყურადღებას აღარ აქცევდა, მოსეირეთა შორის თვალით ეძებდა ვინმე სანდოს, რომ ჯაჭვი ხელში მიეჩეჩებინა.

— მოიტა, ძია კაცო, მე გავსინჯავ, — წინ მაღალი, თეთრი პირისახის ბიჭი წამოდგა, ასე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იქნებოდა. ესეც ამათი მარაქისა იქნებაო, იფიქრა მარტიამ და ის იყო, თავი ზეასწია და უნდა ეთქვა, — გადი, დაიკარგეო, მაგრამ შეჩერდა — ბიჭს აქაური წყლისა და ჰაერისა არაფერი ეტყობოდა. ბიჭმა თავაზიან გაუღიმა, ჯაჭვი ჩამოართვა და ყველას დასანახად ღონივრად გასწია აქეთ-იქით; ტანზე მიტმასინილ პერანგზე ნავარჯიშევი კუნთები გამოებერცა, ქედიც მძლავრად ჯიშიანი ჰქონდა. წამოწოლილებულ სახეზე ისეთი თავდაჯერებული კაცის იერი გადაჰფენოდა, ეტყობოდა, იმ მოდგმისა იყო, პატარაობიდანვე ადვილად რომ ვერაფერს უბედავენ.

— ჰა? რას იტყვი, შვილოსა? ხოა მაგარი? მა როგორა, კაცო, ჩაკნა პაპას გამოკვერილია, გუშინა კაკლის გრილოში კვერავდა. ამ წუნკლიანებს ვერ უყურებ, დამბალიო, — თანდათან დაცხრა მარტია, სახეზე გამარჯვებული, მართალი კაცის კმაყოფილება გადაეშალა.

— ძია კაცო, მე ვიყიდი, რა ღირს ეგ ჯაჭვები? — დაეკითხა ქერა ბიჭმა.

— თითო ორი მანეთი. ხუთი ცალია, წაიღე შვიდ მანეთად...

— აბა მაგასა ჰყოლია დასაბმელები, აი? — ჩაურთო მუგეზალამ.

ბიჭმა წარბი აისოროლა, მკვეთრად შებრუნდა მუგეზალასკენ და ყველასათვის მოულოდნელად ყურისძირში მოსცხო. მუგეზალამ ფეხი შეინაცვლა, წამოქოჩრილ ბიჭებს ანიშნა, გაჩერდითო და უცხო ბიჭს ბოდიშივით უთხრა:

— მე ისე ვთქვი... ჩემთვის.

—მეც ისე, ჩემთვის გავიქნიე... —უცხო ბიჭი წყნარად, აუჩქარებლად მოუბრუნდა მარტიას, ფული ისევ ხელში ეჭირა.

— მომეცი, ძია, ხუთივე.

მარტიამ ერთი კი ახედა მზით გაურუჯავ, ქერა ბიჭს, ჯაჭვებს ტომარაში ჩაუძახა და კუშტად ესროლა:

არც ჯაჭვსა ვყიდი და არც შიბაჭებს!..

●

კურდღლის თბილი სისხლით გაფიცხებული მწევრები ისევ წინ გაცვივდნენ. როგორც კი იგრძნეს, რომ უკვე შინისკენ მიმავალ გზას ადგნენ, უფრო მეტი თავქარი შეიყარეს, მეტად გაცეტდნენ და გიჟური თარეშით მთელი კვირის უძრაობით დახშული ენერგია ერთბაშად გადმოიბერტყეს, ყურპანტურა წითელმა მწევარმა აღმართი

ჩამოირბინა, ვეება მინდორი გადაჭრა და შორს, ვიწრო და წაგრძელებული მინდვრის ყელისკენ გაიჭრა. იქ ერთბაშად ჩაკუნქდა, თათებზე ფრთხილი, მწვევრული ხოხვით მიუახლოვდა რაღაც მოშავო ჯიუტს თუ ბუჩქს, მერე გაინბა, დაყნოსა და ისევ პატრონისკენ გამოვარდა ყეფით და წკავწკავით.

მწვევრის უჩვეულო ქცევა მონადირეს არ გამოჰპარვია, — ნეტავ რა ნახო, იფიქრა და ისიც მინდვრის ყელისაკენ გაეშურა. ოციოდე ნაბიჯზე უცებ შედგა, რაღაცნაირად, არამონადირულად შეცბუნებული და გაკვირვებული. საღამოვდებოდა, გვალვისაგან გადატუსულ მინდორს უსიამო ნაცრისფერი ედო. მთის კალთებიდანაც ნაცრისფერი ბინდი მოიწევდა. იქაც, ოციოდე ნაბიჯის მოშორებით, ნაცრისფერ სატინის კაბაში ჩაცმული თავსაფრიანი დედაბერი იჯდა. სწრეულ ისეთი დედაბერი, ზღაპრებში, მინდვრის შუაგულში რომ სხედან გზაგასაყართან და ბედის საწევნელად წასულ ბაბუკაებს ეუბნებიან: — აქეთ წახვალ, ინანებ, იქით წახვალ, მაინც ინანებო. ახლა ეს წითელი მწვევრებიც რომ გადანაცრისფერებულიყვნენ, ღმერთმანი, მონადირეს აღარც ეს გაუკვირდებოდა.

დედაბერი ძაღლების ხმამ შეაკრთო, რომ ვეღარაფერი მოახერხა, ნაცრისფერი თავსაფარი შემოიხსნა და ისევ მოუქნია ძაღლებს. ძაღლები ისევ პატრონს მიაჩერდნენ, მოხუცი ქალი ერთ ადგილზე წრიალებდა, თითქოს წამოდგომაც დაეპირა, მერე მიწაზე მოაფთიერა ხელები, გეგონებოდათ ქვას, ან ჯოხს ეძებსო, მერე, რაკი ვეღარაფერი იღონა, ისევ თავსაფარს წამოავლო ხელი, წელში იიმართა და თეთრხილაბანდიანი თავი უჩვეულოდ ზეასწია. მონადირე რომ მონადირეა, იმასაც არასდროს ენახა ასეთი დაძაბული მომლოდინე და შეშინებული არსება. კაცმა რომ თქვას, როდის იყო, მწვევარი ძაღლები დედაბერს ერჩოდნენ, ან მონადირისა რატომ უნდა შეშინებოდა, ბევრი-ბევრი გამარჯობა ეთქვა, ჩაივლიდა მწვევრებიანად და ეწეოდა თავის გზას. მაგრამ მონადირე უცებ მიხვდა: ქალი უსინათლო იყო, უსინათლო და უცხო გარეგმში მოხვედრილი, სადაც ვერც ფეხზე წამოდგომა გაებედა და ვერც ნაბიჯის გადადგმა. ის კი არა, ეტყობოდა, დედაბერს ხმის ამოღებისაც ეშინოდა და ასეთ ყოფაში ორი დღეც რომ გასულიყო, არაფერი შეიცვლებოდა. მონადირეს არც ის იცოდა, რომ ის ორი დღე ასეთ ყოფაში უკვე გასულიყო — უწყლოდ და უწყალოდ, უპუროდ და უპიროდ — ერთბაშად გამოუცნობ, ბნელ სივრცეში დაცურებული ორი დღე, რომლის სიგრძე-სიგანეშიც ერთი და იგივე შეკითხვა ტრიალებდა წყიმა-უკუღმა: — სად წახველ, ქალო? რაღა დაგემართა? მაგრამ ამ კითხვას ხმამაღლა იტყოდა მოხუცი თუ ჩუმად, სულ ერთი იყო. ხმის გამეცემი მაინც არ ჩანდა, — აკი ცოტა ხანს აქ დამეელოდე, ახლავე მოვალო? იკითხა პირველ დღეს ლოდინით გაბეზრებულმა, მეორე დღესაც იკითხა, მაგრამ გადატუსულ ნაცრისფერ მინდორს ხმა არ გაუცია. პირიქით, უფრო მეტად ჩაჩუმდა და გაირინდა.

ძაღლები რომ წამოადგნენ, ქალი ძალუბარაწში იყო. დიდი გულაბის ხე ეჩვენებოდა, შავხალიანი, ყვითელი გულაბებით დახუნძლული. ქალმა აიკნიდან ხელი გაიწოდა გულაბის მოსაწყვეტად, მაგრამ ვერ მისწვდა. მერე გულაბის ხე თავად დაიძრა, თავად მისწვდა, გულაბი ხელში შეაწყვიტა და ისევ თავის ძველ ადგილს დაუბრუნდა.

ძაღლების წკავწკავს ფეხის ხმაც მოჰყვა, მაგრამ დედაბერმა ვერ დააკავშირა ეს ძაღლები და ფეხის ხმა ერთმანეთთან, რადგან ის, ვინც აქ უნდა მოსულიყო, ძაღლით არ მოვიდოდა. დედაბერს გული მიეკა, ფეხის ხმას ერთხელ კიდევ მიაყურადა და მწყრალად თქვა:

— აკი ეხლავე მოვალო? ამ დრომდე სადა ხარ, ქალო?

— ქალი კი არა, მონადირე ვარ, აქ ვის ელოდები, ადამიანო?

— ჰოო... მონადირე ხარ? — ჩემს მულისშვილს ველოდები. საცაა მოვა... აბა კარგად გიიხედე, შვილო, იქნება მოდის კიდეც?

— არავის ვხედავ, — უთხრა მონადირემ და დედაბრის გვერდით ჩამოჯდა. არც ისე მოხუცი იყო, როგორი სამოსიც ეცვა. თეთრ ხილაბანდს ჯიუტად დაძვრენოდა ხშირი, ჭაღარა თმის რკალები.

— რა ვიცი, შვილო, აიჩემა, ვიღაც კარგი ექმნი ჩამოსულაო ქალაქში, დილაუთენია გამოვედით. ავტობუსითაც ვიმგზავრეთ, მერე გზასაქეთ გადმომიყვანა, აი, აქ დამსვა და მითხრა: ცოტა ხანს დამელოდე, მალე მოვალო. ალბათ, საცაა მოვა.

— რამდენი ხანია, რომ ელოდები?

ჭკითხა მონადირემ და ქალს დააკვირდა. არა, შეშლილობისა არაფერი ეტყობოდა. არც სახე ჰქონდა ზედმეტად დაღარული, დამჩაღარული, როგორც ნერვულ ქალებს ხშირეეიათ სიბერეში.

— მეორე დღეა, ჰო, მოვა, მოვა, მაშ სად წავა? — თქვა ქალმა და ჩინდაკარგული თვალები მოსაუბრეს მიაშტერა, თითქოს იმის თქმა უნდოდა, გეთაყვა, შემიცოდე, ნუ მეტყვი, რომ აღარ მოვაო. მონადირე უკვე დარწმუნებული იყო, რომ ეს უსინთლო ქალი აქ მის ბედზე დაესვა ვიღაცას, აქ მიეტოვებინა ერთხელ და სამუდამოდ და მის ნამუსზე შეეგდო იმისი ბედ-იღბალი; ოღონდ არა იმიტომ, რომ ეს უსინათლო დედაკაცი ვიღაც მულისშვილს თუ ოხრისშვილს მოსძულებოდა და თავიდან მოეცილებინა, არამედ მისი კაცობის, მისი ადამიანობის გამოსაცდელად. ვითომ, აბა, რა კაციც ხარ, ეხლა გამოჩნდებაო! სადღაც, ცნობიერების მიღმა უკვე გადწყვეტილებად მიეღო არაფრის გულისთვის არ მიეტოვებინა ეს დედაბერი და ახლა მხოლოდ იმის ფიქრში იყო, თუ რა ვიღონონ, როგორ მოვიქცე, ან ცოლს რა ვუთხრა, ან ამის ცრუ მოლოდინს როგორ მოვუღო ბოლოო.

ცოლს საკითხი მალევე გადაჭრა: თუ რამე ‘ეატყო საიმისო, სადმე ცალკე მოიხელთებს, თვალებს დაუშტერებს და მკაცრად ეტყვის: — დედას გიტირებ, ერთი უბატონოდ ხმა გაგიცია?! დედაბერს კი ცოტა შორიდან მოვუვლიო, გადაწყვიტა მონადირემ და ისე, დროის მოსაკლავად უფრო ჰკითხა:

— სადაური ხარ, დედი?

— აქაური, შვილო. ქმარი რომ მომიკვდა, აღარავინ დამრჩა ნათესავი. ჩემმა მულისშვილმა სახლ-კარი გამაყიდინა და თავისთან წამიყვანა მთისკარეთში, სიბერეზე მე გიპატრონებო. თვალის ჩინი რომ არ დამეკარგა, იმისთანა მკერავი ვიყავი, ვისი რა პატრონობა მინდოდა! ამ ბოლო ხანს კი დაიჩემა, აქეთ ძალიან კარგი თვალის ექიმი ჩამოსულაო, და იმასთან მივდიოდით...საგზალი მაინც წამოგვეღო...

ეეე... ერიჰაა... ორი სიტყვით არ გამანდო თავისი გამწარებული და მოტყუებული სიცოცხლე? მონადირე აწრიალდა. ჯერ ძაღლებს დაუტტანა, შორს გარეკა, მერე ისევ დაუძახა, უბრძანა, აქ იწექითო და თავად ფეხზე წამოდგა.

— უკვე ბინდდება... აღარ მოვა შენი მულისშვილი. ადექი და წავიდეთ, აქ ხომ არ დაგტოვებ?

— რა ვქნა, რომ მოვიდეს? ყოყმანით იკითხა ქალმა და გულწრფელად მიაჩერა უჩინოთვალებიანი სახე.

— ძაღლისშვილი ვიყო, თუ მოვიდეს! — დაარწმუნა მონადირემ. ქალმა მაშინვე დაუჯერა, წამოდგა, თავსაფარი მოიხვია და მონადირის გაწვდილ ხელს მხნედ, დანდობილად გაჰყვა.

— აი, გზამდე ჩავალთ და მერე გავაჩერებ რასმე, — უთხრა მონადირემ. ჩვენსას მივიდეთ. ჯავრი ნურაფრისა გექნება.

ქალი ერთხანს ჩუმად მიჰყვებოდა. ბოლოს ფიქრს თავი დააღწია და მორიდებით, თითქოს რაღაცის სცხვენიაო, ძლივს მოერია ორიოდე სიტყვას:

— შვილო, ერთი ახლობელი კიდევ მყავდა აქ, მაგრამ არ ვიცი, ცოცხალი იქნება კიდევ თუ არა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით მარტია მაგიდასთან იჯდა და პურს იფხვნიდა მაწვნით სავსე ჯამში. თავს ვიღაც უცნობი ჯეელი წამოადგა, სალამი უთხრა და ამბავი გადასცა. მარტიამ დიდხანს უყურა მოსულს გაშტერებით, მერე უცებ რაღაც იახრა, და ერთბაშად სიანჩხლემ წამოუარა. მაწონში ჩაყრილი ჯამი მაგიდაზე დაახეთქა, არყის მუცლიანი ჭიქა ბუხრის თავზე, ლამპის შუშას შეამსხვრია, მერე ის ლამპა სულაც თავის ნავთიან-პატრუქიანად ძირს დაანარცხა და როცა დაქცეული ნავთის სუნმა ყნოსვა გაუჟღინთა, ერთი საშინლად შეაძაგძგა, ატირდა და ბოლმა-გაჩხერილი ყელიდან ძლივსღ ამოუშვა სათქმელი:

— რა გინდათ, შვილოსა, რატო არ დამეხსნებით, ვის რა გველი შავიწვით, ვის რა ხვლიკი ჩაგიგდეთ უბეში? ამას, ამას მაინც როგორღა მისწვდით? ამასთან რაღა გინდოდათ? — ბერიკაცს მხრები უცახცახებდა, თავ-პირი ხელებში ჩაერგო და ბავშვივით ზლუქუნებდა.

კარებში უხეიროდ გახირული სტუმარი ერთხანს ჩუმად იყო, მერე ის იყო, უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. მარტიასთან მივიდა, ცრემლიან ხელებში ჩარგული თავი ძალით ზეაწევინა, თვალებში ჩახედა და გადაჭრით უთხრა:

— ძაღლისშვილი ვიყო, თუ ვტყუოდე.

მარტია მაშინვე წამოდგა. ოთახის ბნელიდან სტუმართან ერთად გარეთ გამოსულმა, მზით განათებულ ქვეყანას შვებით მოავლო თვალი.

ვითომ ისევ უდიოდათ ქვითკირზე ამოსულ სოსან შაშვისპირებს ნავთის სუნი? ვითომ ისევ აქოთებული იყო ეს მკათათვის თბილი დილა, საიდანღაც მონაქროლი ნამჯისა და ახლად გამომცხვარი პურის სურნელით გაზავებული?

გრიგოლ ჯულუხიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ე რ ე ბ ი

(ციკლიდან „ხურათები ჩემი სოფლის არქივიდან“)

1. ბებერი ცაცხვი

ცხოვრების შეუცნობელ ნისლში
მახსოვს ჩემი თავი:
მოცახცახე მუხლებით დაჩოქილი
ღია თვალებით შეცქეროდი ქვეყნიერებას,
რომელიც არ ვიცოდი რას მპირდებოდა,
რას მიქადდა,
რას მიმზადებდა...
ეს კი იყო,
იყო ფერები,
ფერები,
ფერები...
ლილოჭრილოები,
მომხიბვლელები,
საკვირველები...
და ხმები,
ხმები აურაცხელი.
ხმა და ფერი იყო დაბლა და მაღლა,
აქეთ და იქით,
ქარში და თოვლში,
ქვაში და ტალახში,
დედის ალერსში.
მზეში და ხეში, ღრუბლებში...
ახლა ის ხმები ფერებს მაგონებენ,
თავად ფერებიდან კი ცოტაღა მახსოვს,
ზოგი გახუნდა,
ზოგში სხვა ფერი განზავდა,
ზოგი სულ გაქრა,
ზოგის მხოლოდ სახელი შემრჩა.

ჩემი ჭიშკრის თვალსაწიერიდან
ედემის ბაღივით ჩანდა სოფლის სასაფლაო.
მაკვირვებდა ხეების სიმრავლე,
მრავალფეროვნება,
ნაირგვარი ასაკი.
მათში ყველაზე ხანდაზმული ცაცხვის ხე იყო,
რვა კაცი გაშლილი მკლავით თუ შემოწვდებოდა,
პატარა ჩიტები ეკრძალებოდნენ სიმაღლის შიშით.
ყვავი და ძერა თუ შემოჯდებოდა მის ნახევრად შემხმარ
და ხავსმოდებულ ტოტებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრანტალით იკლებდნენ სოფელს
და კენწეროდან ზვერავდნენ მსხვერპლს.
როცა ქარი მძვინვარებდა
ცაცხვი ქანდაკებას ჰგავდა,
იდგა თავისთვის, —
არ აკრთობდა ბუნების რისხვა,
ცხოვრების ვნებათაღელვა,
იდგა მედიდურად და მრისხანედ.
ის ცაცხვი სასაფლაოს პირველი მკვიდრის
მკერდზე იყო დარგული.
იმ ბებერი ცაცხვის ხნისა იყო ჩვენი სოფელიც,
სასაფლაოს ხეების რიცხვით ითვლებოდა
მიცვალებულთა სულები...
და ახლა ვხვდები
რატომ ისწრაფვოდნენ ცისკენ ხეები.
ხეები ადასტურებდნენ ასაკს საფლავებისა...
ამიტომ იყვნენ მაღალნი და დაბალნი,
მარად მწვანენი და გაძარცვულები,
კენარები და ჯუჯები,
ბებრები და ნორჩები,
ხაწში შესულები და უსუსურები...
ხეებსაც ჰქონდათ საკუთარი ცხოვრება,
ერთი მეორეს ჩრდილავდა,
ქარიან დღეში
დიდები პატარებს სცემდნენ ტოტებს...
ჩემი ეზოს ჭიშკრიდან ეს წვრილმანები არ ჩანდა,
არ ჩანდა და
ედემის ბაღს ჰგავდა სასაფლაო.
მაშინ სხვა ფერისა იყო იგი, —
საერთო არ ჰქონდა სოფლის სხვა ხეებთან,
სხვა სიმწვანესთან,
შრიალთან...
ის იყო სიმწვანე მკვდარი სულებისა.

როცა სასაფლაოს ჩემი დარგული ხეც შეემატა,
იმ ფერს ჩემი სევდაც შეერია და ფერი იცვალა,
და იმ დღიდან
სასაფლაოს ძველი ფერი დაეკარგა,
ხეების ხმებიღა შერჩა დაბინდულ ხსოვნას
და ის ხმები ხშირად მიხმობენ თავისკენ,
იმ ფერს კი აწი
მირიად ფერით ვერ დავხატავ,
ის ფერი მოკვდა,
ხმებიღა შემრჩა —
იმ ძველი ფერის მწუხარი ხმები.

ბებერი ცაცხვი გაზაფხულზე ვერ შეიფოთლა,
ერთ დღეში ერთად ჩამოყარა დიდი მკლავები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლოდებივით მიეფინა სოფლის საფლავებს.
ტანი კი,
ტანი საღამოხანს აღმოხდა ფესვებს
და მკლავებს მისას მთელი ძალით ისე დააკვდა
არ შეურხევია სხვა ხეების ერთი ფოთოლიც.
და გაქრა ცაცხვი,
აღარ იცის უკვე არავინ
საიდან მოვალთ,
რა ვიყავით,
ან რა ხნისაა ჩვენი სოფელი...
ეს კია ერთი —
მის ფესვებთან სხვას არ მარხავენ,
იმ ადგილს
სოფლის უხუცესი წინაპრის საფლავი ჰქვია.

ცაცხვის წაქცევის ხმამ
შეაკრთო სასაფლაო,
სხვა იყო ის ხმა,
ვერ გადმოცემს იმ ხმას ბგერები.
იმ ხმამ წაშალა სასაფლაოს ფერი სხვა ფერით,
მე კი,
მე იმ ხმამ დალტონიკად გადამაქცია,
ფერით კი ფერით
რა თქმა უნდა წარსულიც იზომება...
წაიქცა ბებერი ცაცხვი
და აღარ ვიცი რა ხნისაა ჩემი სოფელი.

ატმისფერი

დრო ცვლის ყველაფერს,
ახუნებს და ფერებს უკარგავს,
დრო ფერებს ებრძვის.
სიყმაწვილე ფერშია რადგან.
მე დალტონიკის თვალები შემრჩა
და მე ვანსხვავებ ფერებს აზრით,
ცრემლით,
ცხოვრებით...
ფერი არ მახსოვს ბევრი რამის,
ის დამეკარგა
და ვგრძნობ იმ ფერებს განსაცდელით,
განვლილ ცხოვრებით.

...მშიერი ბავშვი შევიპარე მეზობლის ბაღში,
ზაფხული იდგა.
იღვრებოდა ციდან მირონი.
ატმის ტოტებში განაბული ვივსებდი უბეს,
ვჭამდი ქურდულად,
ატმის ქინქლი მიწვავდა სხეულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იმდენად მძლავრი იყო შიმშილის გრძნობა,
აფერკმრთალებდა იგი შიშსაც და ტკივილებსაც.
მწვანე ფოთლებში ცისკარივით კრთოდა ნაყოფი,
იმ ატმის ფერი სხვა ფერებში არ ირეოდა...
ის ფერი ატმის გაირეცხა,
გაცვდა,
გახუნდა,
იმ ფერს ატმისას ჩაეღვარა შიმშილის ცრემლი
და ახლა მხოლოდ შიმშილს ვხედავ ატმის ფერებში.
ასე დავკარგე ფერის გრძნობა,
ჩემმა ბავშვობამ
თანდათანობით დალტონიკად გადამაქცია.

ციხეზერი ანუ მამის ხილვა

ჩემი ბავშვობა
დაობლებულ სოფლიდან მოდის:
მამიანები
ჯიბრში გვედგნენ უმამო ბიჭებს...
და რაკი ომი გამძლეობის პერანგს გვიქსოვდა,
ჩვენი ფილტვები წყალში ყვინთვას
დიდხანს იტანდა,
გვიჭრიდა მუშტი,
ზუსტი იყო ჩვენი მიზანი,
ჩვენ თავდაყირა საათობით შეგვეძლო დგომა...
დავბრძენდით ადრე,
ადრეულად გავეცალარავდით....
ეს იყო ერთი,
უმამო ბიჭებს მოლოდინი არ გვიმართლებდა.

იქნებ ამიტომ,
მოვიგონეთ ერთი თამაში:
მზიან ამინდში
გავწვებოდით ტრიალ მინდორზე,
სახით მზისაკენ,
ვუსწორებდით მზის სხივებს თვალებს,
მერე ვხუჭავდით ქუთუთოებს
დიდხანს და ძალით,
გავახელდით და ცის სილურჯეს ვაშტერდებოდით...
და ჩვენ შეგვეძლო მამის ხილვა ცის სილურჯეში.
არა, არ იყო ეს თამაში,
ამას სხვა ერქვა:
ნატვრის ახდენა,
ან იქნება თავის დაღწევა
იმ შიშისაგან,
ხიდან მოჭრილ ტოტს რომ უჩნდება?
და ჩვენ ვხედავდით მამებს მართლა,
რადგან გვინდოდა...

ცის სილურჯიდან გვიღიმოდნენ ჩვენი მამები.
ვყვიროდით:
— მამა! —
იღვიძებდა მთელი სოფელი.
ამ თამაშს სხვები, —
შინ დარჩენილი მამიანი ჩვენი ტოლები
ვერ ახერხებდნენ, —
ემალვოდნენ მამები შვილებს.

იმ ცის ფერს მაშინ დაეკარგა ფერი თავისი,
სხვა გახდა,
რადგან შეერია ფერი ობლობის.
ჩემთვის ცა ახლა
ის ცისფერი აღარ არსებობს,
მამის ხილვების ფერი დაკრავს,
ფერი ობლობის...
ჩემმა ობლობამ დალტონიკად გადამაქცია.

სეფედავლეს ბაირაღი

მიაფრიალებს სოფლის ბაირაღს სეფედავლე,
წინ მიუძღვის დამწუხრებულ პროცესიას...
ჩარეკაში ზის
და ერთი იმდენი ვახშამზე ელოდება.
სასაფლაოს მინდორზე
სეფედავლეს წინამძღოლობით
სამჯერ შემოატარებენ მიცვალებულს
და საქმეც მთავრდება.
ტარზე დაახვევს სირმებიან და ჯინჯილაკებიან
ბაირაღს,
მხარზე გაიდებს და
აქამდე თავშეკავებული,
ბორძიკ-ბორძიკ გაუყვება შარაგზას.
ქაცი დაიმარხა სოფლის სახელით,
რომლის უტყუარი საბუთი
მხარზე უდევს სეფედავლეს...
იმ ბაირაღის ნამდვილი ფერი არ მახსოვს,
მე სეფედავლეს ბაირაღში სიკვდილს ვხედავდი.
ჩემი ჭიშკრიდან,
შორიდანვე თვალს რომ მოვკრავდი
სეფედავლეს და ქარში გაშლილ სოფლის ბაირაღს,
უკვე ვიცოდი სეფედავლეს რა მოყვებოდა:
სიკვდილი, კუბო, სოფლის ტირილი.
ეს სამება ბაირაღის ფერში განზავდა
და ჩემთვის იგი სულ სხვა ფერია...
და მე არ ვიცი ბაირაღის ნამდვილი ფერი, —
მე იმ „სამებამ“
დალტონიკად გადამაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდან მოდიან მფრინავი თეფშები

მოთხრობა

სუფრასთან, სადაც მასპინძლის გარდა, ხუთნი ვიყავით, სრული წესრიგი და ურთიერთ კრძალვა-რიდი სუფევდა. მხოლოდ მასპინძელი ვერ ისვენებდა, მალმალაო გადი-გამოდიოდა, დედასა და დას წაეშველებოდა ხოლმე. დოქს მოწყურებულს არ დატოვებდა, მაგიდის სიმსუბუქეს ერიდებოდა, თუმცა ოჯახის დიასახლისი, ოდნავ შეჭაღარავებული, სათნო მანდილოსანი უამისოდაც ჩინებულად აუდიოდა სათავისო საქმეს, მისი სიკეთით სავსე თვალების შუქი სითბოთი გვავსებდა, უმცროსი ქალიშვილი, წარბხატულა ნათია, დედას ხუკრივით დასდევდა... ოჯახის თავკაცი, მოაროულ სენს აყოლილი, სადღაც შორეულში, საშოვარზე გადაკარგული, მაგრამ ამას საიდუმლოდ ინახავენ.

სანამ მაგიდას შემოვუსხდებოდით, ზაზამ, ვისი წყალობითაც ამ სუფრაზე ვიმყოფები, მაგიდის ყველა წევრი საითითოდ გამაცნო, მაგრამ მათი სახელები დამავიწყდა და ახლა ჩუმ-ჩუმად ვცდილობ, შევიტყო თითოეულის სახელი. ჩემს პირდაპირ ზაზას ყოფილი თანაკლასელი ზის — ქეთი, მასთან კიდევ ორნი სხედან... ერთი მათგანი ქეთის მარჯვნივ რომაა, ნამდვილი ბუღა-კამეჩია, კარადა, იქვე დავანათლე სახელიც. ზაზამ მიჩურჩულა, გოგო და ბიჭი თითქმის დანიშნულები არიანო, თითქმისო, ეს ვერ გავიგე და რატომღაც ძალიან მეწყინა. ახალგაზრდამ, მე რომ რატომღაც მხატვარი მგონია და გოგოს მხარმარცხნივ ზის, ამის შესახებ ალბად იცის, წყვილისაკენ როგორღაც ჩუმჩუმად აპარებს თვალს. მე ამჯერად ისევ იმ ტიპს, ქეთის საქმროს ვათვალიერებ, უდაოდ სადღაც მინახავს, მის გამოხედვაში ჩვენი ურთიერთშეხვედრის რაღაც წამმა გაიელვა, თითქოს დროის ეს უმნიშვნელო მონაკვეთი რაღაცით მაკავშირებდა მასთან. შემდეგ ჩვენი მზერაც შეეჯახა ერთმანეთს და სიცივემ სხეულში გამბურძგლა, მაინც საიდან მოვიდა ეს ყინული?.. ამ ზღვა ინფორმაციის ზვირთებში არც ისე ადვილია გონების სკივრიდან ამ ერთი წამის ამოქექვა და მასში ჩამწყვდეული საიდუმლოს გახსნა. მისი მეზობელი წითურთმიანი ყმაწვილი ძმაკაცს ფინიასავით თვალებში შესცინინებს, მისდამი ინტერესი უმალ დაკარგე.

მთავარი მაინც ისაა, მხატვარსა და კარადას შორის ქიშპობის ჩუმი ცეცხლი რომ ბრიალებს, ეს კი სახიფათოდ მეჩვენება, თითქოს ვიღაცა ჩამჩურჩულებს, ვიღაც ყურის ძირთან მიკაკუნებს, აქ რაღაც მოხდება... ტიკ-ტაკ... ტიკ-ტაკ... ტიკ-ტაკ... აქ რაღაც მოხდება...

მარცხნივ, ფინურ შპალიერგაკრულ კედელზე, ძველებური კამოდის თავთან, ხის დიდი საათი ჰკიდია, ოქროთი მოვარაყებული რგოლითა და შავი, დიდროონი ისრებით. საათის ჩარჩოს ზედა პირიალა ნაწილში პატარა სარკმელია დატანებული. იგი უთუოდ გაიღება, იქიდან გუგული გამოყოფს თავს და დაიძახებს „აქ რაღაც მოხდება, რაღაც მოხდება, გუ-გუ, გუ-გუ...“

თუ შიგ მართლა გუგული ზის, მხოლოდ თორმეტ საათზე ინებებს გამობრძანებას, მანამდე კი დიდი დროა, იმ რაღაცის მოლოდინი მაინც ძაბავს ჩემს

გონებას, ყოველ წვრილმანს სულ სხვა თვალითა და მნიშვნელობით ეუყურებ და ეს თავისებურად მაფორიაქებს.

ცხელი და დაუდეგარი იყო ჩვენი სისხლი ოდითგანვე, ამ სიფიცხესა და დაუდეგრობაში უდიდესი ენერგია და მშვენიერებაა, ხოლო ორი მძინარე ვულკანის გამოსაღვიძებლად ქეთის საკმაოდ დიდი ვნება ფაფას თვალებში.

თავიდან მხატვარიც როგორღაც ყველასგან გარიდებასა და განმარტოებას ცდილობდა. ალბათ უცხო საზოგადოებაში ყოფნას ვერ გუობდა. ამ სუფრაზე ჩემსავით მასაც მხოლოდ ერთი ნაცნობი, ისიც სუფრის თამადა ჰყავდა. როცა ლბინის უფალმა მამულის სადღეგრძელოს თითქმის მთელი საათი შესწირა, იგი სასმისს მხოლოდ ტუჩებით შეეხო, ოდნავ მოსცა და დადგა.

— აბა, ეგეთები არ იყოს! — გამკაცრება ძმაკაციდან დაიწყო თამადამ.

— დღეს რაღაც ვერა ვარ... ნუ დამამალებ! — ჩუმად, დაგუდული ხმით შეესთხოვა მეგობარს.

— სამშობლოს, მამულის სადღეგრძელო? — თამადა პრესტიჟს უფრთხილდებოდა, ძმაკაცს თუ ვაპატიე, სხვები რას მიზამენო. თამადას ერთხმად დავუჭირეთ მხარი, აბა ის რაღა სუფრაა, ასეთ სადღეგრძელოს გვერდს რომ აუქცევენ.

სხვა გზა არ იყო და მხატვარმა სასმისი უსიტყვოდ გამოსცალა.

— ვითომ ეგეც სადღეგრძელოა? როცა დასჭირდებათ გაიქაჩვიან, მამულიშვილები ვართო... — ქეთის საქმრო მძიმედ შეტორტმანდა და მომეჩვენა, ჭერი შეირყა, მან შავი წარბები აქაჩა, თუმცა სახის ფერში ბევრი ნაცარი ერია, მხოლოდ გაცხარებისას ოდნავ წამოჭარხლდა.

— შეეშვი, თენგო, ეს სადღეგრძელო ყველას როდი დაელევინება! — დაიჯღანა „კარადას“ წითური ძმაკაცი.

— თამადამ იმდენი ილაპარაკა, იმ საქართველოსაც ეყოფა, საზღვრებს მიღმა რომაა. — ისევ კეთილად გაიელვეს მხატვრის კბილებმა.

— შე კაცო, სიტყვას გვამადლი, მაშინ საქმეს რაღა ეშველება? — ... ...

ულელ რით მომეჯადოებინა, რა მეყიდა, ის კი არა, სიდედრისთვისაც, წარმოიდგინეთ, სიდედრისთვისაც დავაპირე საჩუქრის შეძენა. ამ დაეიდარაბაში ვიყავი ძმაბიეშვი დაბარებულებივით არ გამომექანინენ? მერე ნუღა იტყვი, რესტორნიდან ოფიციანტის ვალიც გამომყვა... სწორედ იმ საღამოს იყო, კარი გავაღე და ოთახში რომ შევბანცალდი, ხუთი ცალი თეფში კი დავითვალე, ჩემმა მეორე ნახევარმა ერთმანეთის მიყოლებით ჩემსკენ რომ გამოაფრინა...

ხუმრობა ძველი და გაცვეთილი იყო, მაინც ყველანი ხმაშეწყობილად ვიცინოდით, მაგიდა, და მგონი ჭერიც კი თახთაზებდა, ვიღაცამ — სიდედრმაო, სიდედრისაგან რამდენი... მხოლოდ მხატვარი მისჩერებოდა გოგას დაბნეული შეცბუნებული, მერე თავი ჩაღუნა და მაგიდას დაეჩერდა.

გოგამ მორიგი სადღეგრძელოსათვის ჭიქების შევსება ბრძანა. მხატვარი მოიბუზა, გუნება აშკარად წაუხდა, სიგარეტი აიღო, თითებით დიდხანს ნერვიულად სრესდა.

ამჯერად ხელებდაკაპიწებულმა თამადამ მგონი წინაპრების თუ მშობლების სადღეგრძელო წარმოთქვა, კარგად ვერ გავარკვევ, რადგან ხან მეფე ფარნავაზს ახსენებდა, ხან თავის პაპა სილიბისტროს, რომელიც საუკუნეს გადაცილებული ამგზავრებია მის ჭიშკართან ჩამოვლილ მიქელგაბრიელს.

ქეთი ხანდახან მოსაუბრეებს უსიტყვოდ მიაჩერდებოდა. თუ რამეს სასაცილოს იტყოდნენ, ისე გადაიკისკისებდა, ქალიშვილის წკრიალა ხმით ოთახი ერთბაშად ივსებოდა. მისი თვალების ცეცხლმა ერთიორჯერ მეც დამიარა ძარღვებში, ბერბიჭობის ზღვარამდე მიღწეული კაცისათვის, ერთდროულად ღვინო და ლამაზი ქალიშვილი, მოგეხსენებათ, ძლიერმოქმედი საშუალებაა. თავისი „თითქმის“ საქმრო ათასში ერთხელ თუ შეახსენებდა თავს. ქალიშვილი უხმოდ მიაჩერდებოდა. ეს „თითქმის“ დანიშნულები რას ნიშნავდა, ამის გაგება ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოვახერხე, ვიწრო სუფრაზე შეუჭიჭნელად, ბუზიც კი ვერ გაფრინდებოდა. მერე ზამ როგორღაც ამიხსნა, ორივეს მშობლები ფუღიანი ხალხი ყოფილან და შვილების მომავალზე ადრე გარიგებულან.

შუა ქეიფის ჟამს თამადამ შესვენება მიბრძანებაო, თქვა და მაგიდა პირველმა დატოვა, სუფრის ამ ახლებურ წესს ყველამ მხარი დაუჭირა, უმალ სანლების შუქზე ანანავებული მკრთალი ბინდი ჩამოწვა, იმავ წამს მაგნიტოფონი ჩართეს, გიეური რიტმი აცეკვდა სისხლის ბურთულებში, „თითქმის დანიშნულები“ უკვე ირწეოდნენ, რადგან ქალთა სქესის სხვა წარმომადგენელი არ იყო, მარტოდ დარჩენილები სიგარეტებს მივეძალეთ და ტაქტიც მათი კვამლის ლიცლიცს ავაყოლეთ. მხატვარი ჩემგან ოდნავ მოშორებით ჩამოჯდა ის ისევ საკუთარ სულში განმარტოებული და მოწყენილი ჩანდა, მარცხენა ხელით თხელ, მოკლე ნიკას აწვალებდა. მალე ალმოვაჩინე, რომ ჩვენი მზერა ხშირად ერთად მიიწევდა და ამის მიზეზი ქეთის ლამაზი სხეულის ნარნარი რხევა იყო.

ამ ქვეყნად რამდენი კარგი, ლამაზი, ქეთიზე ბევრად უკეთესი ქალიშვილია. მე და მხატვარს კი ახლა შური გვდებოდა, ამას უტყუარი ალღო მკარნახობდა, იგი ყველასაგან გამიჯნული, საკუთარ სამყაროში ცდილობდა ყოფნას და ქეთის პარტნიორისა ისევე შურდა, როგორც მე.

— კარგი ღვინოა, არა? დალოცვილი კახური, — ჩუმად ყოფნა დიდხანს არ შემეძლო და უდარდელი კაცის სიდინჯით ფეხი ფეხზე გადავიდე.

— ჰა? — შეცბა მხატვარი, დანაშაულზე წასწრებულივით გაწითლდა.— შემპარავია, მაცდურია, მალე ათრობს.

— ღვინოც და ქალიც მათრობელა სჯობია...

— ქალი მათრობელა? იქნებ სჯობდეს, თქვენი ასაკის კაცს დაეჯერება... მაპატიეთ, რამდენი შვილი გყავთ? —

ფრიად მოკლე მანძილზე დამიჭირა მისმა გამოხედვამ, იგი ახლა ჩემს სულში ფათურობდა.

— ჯერ არც ერთი, — მოულოდნელმა თავდასხმამ შემაცბუნა, ნაჩქარევადაც ვუპასუხე, უცოლო ვარ-მეთქი, ამის თქმა შეუძლებელი იყო.

— ერის დემოგრაფიული გასაჭირი შესანიშნავად გცოდნიათ, თქვენი სადღეგრძელოც ხომ ლოცვა იყო, მამულის ლოცვა.

— ეგ პროფესიული ამბავია, ჟურნალისტი სხვაგვარად წარმოუდგენელია. — მისმა სიტყვებმა ცივად დამიარა ძარღვებში და ორაზროვან პასუხს საიმედოდ ამოვეფარე.

— დღევანდელ გაზეთს წაიკითხავდით, თურმე უცხოეთში ზოგზოგები პარაზიტებად გვთვლიან.

— რომელი წერილი? — იმ დღეს გაზეთი არც მენახა.

— ჰო, ასეა, მომხვეჭელობას, ბიზნესს, უდარდელ ცხოვრებას გადაყოლილი პარაზიტები ვყოფილვართ... გვლანძღავენ კი ისინი, აქ რომ თან გადავყვებით, სულში ჩავიძერნთ, — ყრუდ, ტკივილნარევი ხმით გააგრძელა სათქმელი, ახია ჩვენს თავზეო.

— ისე, ზოგი რამ სიმართლესთან ახლოსაა.

მხატვარი დუმდა. კარგახანს მოპირდაპირე კედელს შეჰყურებდა, სადაც მეწამული ფერი სწორ ხაზებად გადადიოდა ოქროს ვარაყში. რატომღაც მომეჩვენა, რომ იგი სულ სხვა სამყაროში გადასახლდა. რომ მას ამ წუთებში ტილოზე ფუნჯით გადაჰქონდა უცნაური ფერები.

— აი, მფრინავი თეფშებისა, მგონი არც თქვენ გჯერათ? — იგი ერთბაშად მოტრიალდა ჩემსკენ და ისევ თვალი თვალში გამიყარა.

მოულოდნელობამ შემაკრთო და ღიმილიც მომგვარა, რაც მას არ გამოჰპარვია.

ანაზდად შექმნილმა ვითარებამ მხატვარი დამავიწყა, ქეთის საქმრომ ქალიშვილი უცებ შუა ოთახში მიატოვა და გარეთ გავიდა, წითურა, იქვე კუთხესთან, რომ იყო მიყუჩული, უკან მიჰყვა.

ქეთი უხერხულად შეწრიალდა, ხელები უმწეოდ ჩამოყარა, დაბნეულმა გადმომხედა, მერე როგორღაც აჩქარებით მომიახლოვდა და საცეკვაოდ გამიწვია, ყველა, ყველა, მაგრამ ამ საღამოს ასეთი ბედნიერებას ნამდვილად არ მოველოდი.

— ხომ არ მოიწყინეთ? — ისე მკითხა, ჩემთვის არ შემოუხედავს, სიხარულითა და ღვინით გაბრუებული რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ შევამჩნევდი მის ნაძალადევ ღიმილსაც.

— მოწყენა რა სათქმელია, ისიც ასე შესანიშნავ ახალგაზრდებთან, — შეეცადე გულწრფელი ვყოფილიყავი.

— ახალგაზრდები! — ცივად გამოსცრა მან და ტუჩები მოკუმა, ამის შემდეგ ხმა არ გაუღია. ქალ-ვაჟს შორის რაღაც მოხდა, თუმცა ეს რაღაც სულაც არ მაწაღვლებდა. ქეთისთან ცეკვა, მისი სურნელოვანი სხეულის სიახლოვე, თავბრუს მახვევდა და თავდავიწყებამდე მთაროობდა. ის დალოცვილი განგება ცოტათი მაინც რომ ყოფილიყო ჩემს მხარეს, თავზე ორიოდე ღერ თმას მეც შემარჩენდა.

ეტყობა, შესვენება ამოიწურა, თამადა თავის საბრძანისს დაუბრუნდა და მორიგი განკარგულება გასცა — სუფრასთანო. ძვირფასი წუთები რა უცებ ქრებიან ხოლმე, მერე მათზე ფიქრით თავი რომ იმტვრიო... ოთახი ისევ აივსო ოქროსფერი შუქით, სკამები ახმაურდნენ, ყველამ ჩვენ ჩვენი ადგილები დავიკავეთ, მხოლოდ ის ორნი არ ჩანდნენ, ალბათ წავიდნენ-მეთქი, რომ ერთმანეთს აკიდებულები შემოლაგდნენ, რა თქმა უნდა, წინ ის არჯალი მოაბოტებდა. როგორღაც შეცვლილები მეჩვენნენ, მომწვანო-მოშაბიამნისფერო სახე, ახლა წითლად უღვიოდათ, თვალები უბრწყინავდათ, ხმაურით ჩამოსხდნენ თავთავიანთ სკამებზე და სასმელს მიეძალნენ.

— მოსწიე! — მეგონა ვიღაცამ ჩამ-

ძახა, მაგრამ არა, ამის მთქმელი იქ არაკინ იყო, ის შინაგანი ხმა რეკდა, განგაშით თან რომ მსდეგს ხოლმე.

— სად მუშაობს ეგ ტიპი? — დრო ვიხელთე და ზაზას ჩავეკითხე.

— არსად სადღაც კი ირიცხება მგონია, მამამისს ეგ არ გაუჭირდება...

ალბათ ქვეყნად ფრიად საშური სამუშაო ადგილი ეგ „არსადაა“. რადგან ყველა წელმაგარი მშობლის შვილი მაგნაირ სამუშაოს ეტანება და მაინც ვერა და ვერ წარმოვიდგინე, თუ რა უნდა აკეთონ იქ, როგორ უნდა აღამ-ათენონ.

— ეგ წითურა ვინღაა?

ზაზამ ღამის ყურზე მიმაწება ტუჩები. — გახსოვს, ერთ მოლარე ქალზე რომ გიამბეთ... იმის შვილია.

ანაზდად გამიჭირდა გახსენება, — ვინ-მეთქი, ვერ ვკითხე ზაზას, დავიძაბე, გულისხმას ყური მივუგდე და მაშინ ამეტყველდა გუგული. არა, იგი სარკმელში არ გამოჩენილა, სიბნელეში საათის მექანიზმზე შემოსკუპებული მიყვებოდა, ერთი ვინმე წესიერი მანდილოსანი როგორ იქცა უდიდეს დამნაშავედ, როცა ერთი სოფლის ახლადგებული სალაროს გამგედ დანიშნეს.

ამ ფრიად გონებამახვილმა მანდილოსანმა, სადღაც შორეულიდან შემნახველი სალაროს წიგნაკები დიდი რაოდენობით შემოიტანა და მოიმარაგა. მერე ფულებს დახარბებულს სხვა ცეცხლი შეუნთო, თქვენთვის ათპროცენტიანის განადღების გრძელვადიანი კრედიტი გავკვაჭე, ძნელი საქმე კია, მაგრამ შეუძლებელი ამ ქვეყნად რა არისო, ორ სამ წელიწადში ფული ერთი ოთად გაგიმრავლდებათ... ახლა თქვენ იცით, იჩქარეთ, დროს ნუ კარგავთო.

და იმ დღიდან ფულის მდინარეების სათავეებმა ყველასაგან უჩუმრად ქალის ჯიბისკენ გადაინაცვლა. რაკი წყალი უხვად იყო, წისქვილიც ფქვავდა და ფქვავდა.

მოლარე ოსტატურად ნიღბავდა თავის ათპროცენტიან ანაბარს, მრავლი დღითიდღე მრავლდებოდა, დიდ მოგებას დახარბებულები ყოველ კაპიკს მის ყულაბაში ჩრიდნენ და ტენიდნენ, ქალმაც ჩხირივით რომ იყო, ბურთის ფორმა მიიღო, გაახალგაზრდავდა და ისე დამშვენდა, მამაკაცებს სხვა სადარდელიც გაუჩინა... იგი საკუთარი პროგრამით მოქმედებდა, ჯერ ქმარშვილს გაეყარა, თავისთვის საკუთარი მარტივი ბუდე გაიჩინა...

ბოლოს მოსახდენიც მოხდა. საქმე გაიხსნა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ დაზაფრულმა მეანაბრეებმა ცივი უარი იტკიცეს, რა ფული, რის ფული, სალაროში შესატანი რა გვაბადიაო.

მხოლოდ ორიოდე წვრილფეხა აწუწუნდა, გამომძიებელს თვალებში აფარეს შემნახველი სალაროს ყალბი წიგნაკები...

სასამართლოს დარბაზის კულისებში:

— ძუკნა, მერე რა ქორწილი გადაუხადა უფროს ვაჟს?

— მაშ კაცო, ზღაპარშიც გაჭირდება, ეგ ნავებია... სანთლებით გაჩირაღდნებული ზღვა? დამეც რო უმთვარო იყო, ტალღებს თითქოს ცეცხლი ეკიდა, მათს ხმაურს მწვადების შიშინი ახშობდა.

— შამპანურის ჭექა-ქუხილი...

— თურმე ჩვენი ფულები... გასკდა გული...

— ჩუ.. — გაჩუმა პირველმა.

— ჰაი დედასა, — ამოიოხრეს ორივემ ერთად.

მისი მეორე შვილი კი ახლა აგერ ჩემ პირდაპირ ზის ნარკოტიკით გაბრუებული და დამდოვრებული, ყველაფრისადმი ინტერესდაკარგული... გუგული გაჩუმდა.

თამადამ ამჯერად თავისუფალი სადღეგრძელოები გამოაცხადა, კაცმა რომ თქვას, ურიგო წესი რღდა. სუფრის წინამძღოლი ღმერთი არ არის, შენი სურვილ-სათქმელი გამოიცნოს, ხშირად გინდა, შენი თქვა, მოძალებულ სურვილს გადაუხსნა გული, მაგრამ ამჯერად სადღეგრძელოს წარმოთქმის მსურველი არ აღმოჩნდა, რატომღაც ყველამ შორს დაიჭირა, მაშინ თამადამ

რიგი დაიწესა და პირველი სიტყვაც მხატვარს ერგო.

ოდნავ ღვინომოძალებულმა ვაჟმა თავი ასწია, ფერმკრთალი სახე დაეძება, კარგახანს ათვალიერებდა ჭერზე უნილვა ნიშნებს, იფიქრებდი, მათგან შველას ითხოვდა, გრძელი ხელებით ჯერ ჭიქას აწვალებდა, მერე ოროგორაც იქნა, მოკლედ მოჭრა, ქვეყანაზე კაცურ კაცს გაუმარჯოსო.

— სულ ეგაა? — იკითხა „კარადამ“, როცა მხატვარმა ჭიქა მოსცა და დაჯდა.

ახლა კი ნამდვილად რაღაც მოხდება, გუგუ... გუგუ... გუგუ... გუგუ... მაგრამ არა ჯერ საამისოდ არა ჩანდა რა, თუმცა მომავალ დღეს, ჩვენსკენ კისრისტეხით რომ მოეშურება, კვლავ დიდი გზა აქვს გამოსავლელი... გუგულს ისევ მშვიდად სძინავს, მან იცის, როდის დაჭყიტოს თვალები და გვაფწყოს სათქმელი.

— დალიე მაინც? — დაიბუხუნა „კარადამ“.

— რავარიც სადღეგრძელო თქვა, ისე დალია... — წითურს, ეტყობა, თვითონვე მოეწონა საკუთარი მახვილსიტყვაობა და გაიკრიჭა.

მხატვარი შეცბა, მარცხენა წარბი შეუთამაშდა, დაგროვილი წყენა აბურთავდა, მაგრამ იმარჯვა სუფრის თავკაცმა, მისმა გამოხედვამ დამაწყნარებლად გადაუქროლა სუფრას. მართლაც კარგი თამადა ჩანდა. სხვის ოჯახში დაეა არ ივარგებდა, ჰოდა, ბიჭმაც ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა...

— სადღეგრძელოს გაუმარჯოს, ადამიანებს გაუმარჯოს — თქვა ქეთიმ, — შესანიშნავად იყო ნათქვამი, განა ყველას აქვს ამის უფლება!

ქალიშვილი ახლა უკვე აშკარად თანაუგრძნობდა გუჩას, მხატვრის გადამეტებული სიფრთხილე და უცნაური დუმილი რომ არა, ქეთი უფრო ხალისიანადაც იქნებოდა. ღიმილს ტუჩის მარცხენა კუთხე ოდნავ გაეპო, ამ ღიმილში რაღაც დიდი საიდუმლო იყო. ბოლოს თავისი თანაგრძნობა ვაჟისადმი აკი ვერ დამალა და მეგონა „კარადა“ ახლა კი იფეთქებდა, ერთი ამბავი იყოდებოდა, — მაგრამ „იგი“ მშვიდად იჯდა და ღვინოსაც თავისთვის წრუპავდა.

სათქმელი თამადამ აიტაცა და სადღეგრძელო სიგრძესიგანეზე გაფინა. ერთი ორჯერ ქეთიც დაიმოწმა, რომ დღეს კაცური კაცი გაძვირდა, ამ ქვეყნად ნადი სინდისით ცოტა დადის, რომ ნიღბები მომრავლდნენ. — დიდი ინტერესით ვუსმენდი, მისი ხმის მუსიკაც თითქოსდა მიპყრობდა, მატყვევებდა, სინამდვილეში კი სხვაგან ვყოფილვარ...

ჩემს წინ უკიდეგანოდ ვრცელი და უფსკერო ოკეანეა. გორიზი ტალღები ზათქითა და გრიალით ენარცხებიან სანაპიროს.

ოკეანის მშვიდ, მორონინე გულში კი ფუთფუთებენ ვეშაპები და დელფინები, ზვიგენები და ათასი ჯურის თევზები.

მერე ცხადად ვგრძნობდი პლანეტის ყველა საიდუმლოს, თუ მაჯისცემას, რომ სუფრასთან დაბრუნება ლამის გამიჭირდა... მე ახლა ის მაწუხებდა, თუ ვინ განამწესა ზვიგენები ოკეანეში და ეს წითურა კი საამსუფროდ. ან ეს „კარადა“ — ახლა რომ სიგარეტს სიგარეტზე ექაჩება და გაუთავებლად წრუპავს ღვინოს, რატომ არ ირის ვეშაპი...

ჩემს სულელურ ფიქრებზე გამეცინა, კიდევ კარგი, ასე რომაა ბუნება მოწყობილი და ჩემს ფიქრს ვერავინ ჩაწვდება, არც სიცილი შეუნიშნავთ, და რადგან თამადა ისევ კაცურ კაცს დიოგენის სანთურით დაეძებდა, იმით დავინტერესდი, თუ რაზე ფიქრობდნენ თითქოსდა სადღეგრძელოს მიყურადებული ჩემი თანამეინახენი.

— კარადა, მხოლოდ არა თავის საცოლეზე, სხვა ყველაფერზე, ან სულაც არაფერზე, რადგან მის გაფუებულ სახეზე და შუშასავით გაყინულ გამოხედვაში ფიქრის ჭიანჭველაც არ დაცოცავს. წითურს უკვე გამომლანტვია თევზის თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუჩა უთუოდ ან რაღაცას ხატავს, ან მფრინავ თეფშებს მიაჭენებს. ძალიან მინდოდა მისი ნამუშევრის ნახვა.

მხოლოდ მისი ხელების მკვეთრი, ზოგჯერ თითქოს მოუქნელი მოძრაობა მაფიქრებდა. ალბათ მხატვარს მეტი მოქნილობა უნდა ახლდეს.

მსპინძელი იმის ცდაშია, სტუმრები კმაყოფილები არიან თუ არაო, ან იქნებ როდის გავიფხიკებით აქედან...

მხოლოდ ქეთი მიყურადებია თამადას, რომელმაც ახლა ცოტად თუ დიდად გამორჩეული, არც ერთი წინაპარი საფლავში შეუშფოთებელი არ დატოვა.

თავისუფალმა საღღეგრძელომ ვერ გამმართალა. ისევ ერთმმართველობა, ოჰ, საძულველი და მაინც სუნთქვასავით აუცილებელი ტირანი, დიქტატი... უამოდ ანარქია შეგვეჯამს. თამადა კვლავ დაეპატრონა ძალაუფლებას და პერსონალურ საღღეგრძელოებზე გადავიდა: პირველად მის გვერდით მჯდომ გუჩას უთხრა სთქმელი და სწორედ აქ მოხდა ჩემთვის მოულოდნელი ამბავიც, საღღეგრძელო ლამაზი, მაღალფარდოვანი სიტყვებით დაიწყო და რომ მეგონა, უნიჭიერეს, გამორჩეულ, დიდი მომავლის მქონე მხატვარს წარმოგვიდგენდა, მოწინავე მუშა და მომავალი ინჟინერი არ გვიღღეგრძელა? ეს მუშა თუ მომავალი ინჟინერი ქებადიდების უხერხულობისაგან ისე დაპატარავდა და გაიწურა, შემეცოდა კიდეკაც. თამადამაც შენიშნა მისი გასაჭირი, გაიცინა და მოკლედ უთხრა — კაცურ კაცობაში გაგიმარჯოს ჩემო გუჩა, შენი ხალასი ნიჭითო.

— რაო? — შეეცბი მე და ზაზას მივუბრუნდი — განა მხატვარი არ არის?

— ეგ საიდან მოიტანე? — გაეცინა მას, — საამქროს მექანიკოსია, სხვათაშორის, ბევრი სანტერესო გამოგონება აქვს, მასზე კარგი ნარკვევის გაკეთება შეიძლება.

— მფრინავი თეფშებიც მან ხომ არ გამოიგონა? — ყური მოკრა თემომ ზაზას სიტყვებს და გაიღრიჭა.

ახლა კი ნაღდში იფეთქებდა გუჩა, რომ მათ შორის ქეთის მზერა არ ჩამდგარიყო. ბიჭის ხორბლისფერ სახეზე ისევ მშვიდი ღიმილი დამკვიდრდა.

უცებ თუჯის სუნმა დამკრა, ყურეში ბრძმედში გამომწყვდეული ცეცხლისა და ლითონის გუგუნი ჩამიდგა, აღრეჯალდნენ ფოლადის კბილანები და გორგოლაჭები, ნაცნობი ხმებით ამეკსო სხეული. ოფლით დაცავარულ ტუჩებთან რომ შეიგრძნობ მარილის გემოს, იმგვარად აღვითქვი ამ ახალგაზრდა კაცის ყოფნა ჩვენს შორის. ის იყო სადღეგრძელოში უნდა მეთქვა ყოველივე ეს, მაგრამ ქეთიმ დამასწრო. ქალიშვილის კბილა ცისფრად და მსუბუქად ლივლივებდა ნათურის შუქზე.

— გადღეგრძელებთ, მიხარია, რომ ადამიანს შევხვდი, გავიცანი, სიკეთე, გულწრფელობა და სითბო ოდითგან ყველაზე დიდი ნიჭი იყო, უძვირფასესი საუნჯე, ღღეს იგი განსაკუთრებით გეჭირდება ადამიანებს... გაგიმარჯოთ. — თქვა და ჭიქა ფრთხილად მიიტანა პატარა, თითქოსდა ბუტია ტუჩებთან.

გუჩას თვალებმა ისევ გამოაჩინეს ფოლადის ცეცხლი.

— ქეთი, აბა რას შვრები. ხომ არ გაგიყდი? — სავარაუდო საქმრომ ახლა უკვე იეჭვიანა, მაგრამ ქალიშვილს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ჭიქა გამოცალა, ძალიან მეჩქარებაო, დააყოლა და წვიდა.

ვიგრძენი, რომ ატმოსფერო დაიმუხტა, „კარადა“ ერთი შეჩქეიფდა, შეტოკდა, ახლა კი ნაღდად გამოხტება გუგული თავისი სარკმლიდან, გუგუ... გუგუ... გულმა რეჩხი მიყო, ეს ცხოვრება ასეა და... მაგრამ თემოს ბევრი ღვინისაგან და კიდევ რაღაცისაგან უცებ თვალები მიებლანტა, უზომოდ მოთეთრიდა-დამძიმებულმა ბომბორა თავი ჩამოჰკიდა.

— მე ვიცი ქალი, ფულისა და სამსახურის გამო ერთი შვილის მეტი რომ არ გააჩინა, მერე სავარძელი დაკარგა, ფული კი შემორჩა, მაგრამ...

ვ ი ვ ი ჯ ა ხ უ ა
საიდან მოდიან მფრინავი თეფშები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამრეკა ეს გუგული, რას გადამეკიდა, რა ჩემი საქმეა...

ქალიშვილის ცხელი სუნთქვა უკვე აღარ აფორიაქებდა იქურობას, სასტუმრო თთახი თითქოს ერთბაშად დაცარიელდა. ამჯერად თემოს დღეგრძელობის ჯერიც მოახლოვდა... ტანჯვად რომ მექცა, კვლავ ის ფიქრი ამეკვიატა, ეგ სახე საიდანღაც მახსოვდა, ტკივნს მიბურღავდა, სულს მიწიწკნიდა, მიგ რაღაც გამთანგავი ფათურობდა, ნიავი რომ ხეთა ჩეროს შეუჩნდება, გამხმარ ფოთლებს აწიოკებს, რაღაც ამგვარი არ მეშვებოდა და უცებ გონებაში ვაკვეთა ერთმა შემოხვევამ.

იმ დღეს მანქანით სადღაც მივიჩქაროდი. ზაფხულის თბილი დარი იდგა, უცებ მარცხნიდან წითელმა „ჟიგულმა“ ჩამიქროლა, გამისწრო და იქვე სწრაფად მარჯვნივ გადაუხვია სავალი. მანქანა მთელი სისწრაფით შეიჭრა სარწყავი წყლის გადმონაყოფ გუბეში, იქვე ტროტუარზე ბავშვიანი ქალი მოდიოდა, საპურავებმა წყლის ჭავლი მძლავრად მოისროლეს, დედა და შვილი ერთიანად გაწუწა, მაგრამ მძღოლს უკან არც მოუხედავს.

გზაჯვარედინთან წითელმა შუქმა შეაჩერა, იქვე წამოვეწიე და გზაც ეცვალა. გაიხსნა. ნომრების თვალის შევლებაზე მოვახერხე და კვლავ დამეკარგა, შემდეგ დიდხანს დავეძებდი, მაგრამ ამაოდ...

გუგუ... გუგუ... როგორც იქნა თავი გამოყო ჩიტმა, საათის ისრებმაც გაიტკაცუნეს. ამღვრეულმა შევხედე ფრინველს, მომჩჩვენა გუგულს ბუსავით ბომბორა თავი და ფოსფორის ციცხლში მოგიზგიზე თვალები ჰქონდა, მერე ნისკარტი ასწია და იქიდან უსაშველოდ გრძელი ენა გამომიყო.

აკი გითხარი, რომ არაფერი მოხდებოდა...

ცრუობდა, აშკარად ცრუობდა გუგული, ეს თვითონ მითხრა, ცხელი სისხლი აჯანყდებაო, მაგრამ თუ კი იმ სისხლს წყალი მოძალებია და შხამი გარევია?

სადარბაზოსთან ქუჩის ხმაური და ნაადრევი შემოდგომის ფუსფუსა ნიავი დამხვდა... საამო სიგრილე მკერდზე მომეფოფინა. უმთვარო ცა დიდი და მცირე ვარსკვლავებით იყო მოოჭვილი, შორს, დასავლეთის ცაზე კი ღუნღულა ღრუბლებს შორის თითქოს მთვარისოდენა მფრინავი თეფში ელვარებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ პოეტს **ხუტა გაგუას** დაბადებიდან ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. **ეროვნულ „ცისკრის“** რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს პოეტს დაბადების დღეს და უსურვებს შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

დღეს, როგორც არასდროს, მწვავე გლობალური ხასიათი მიიღო ჩვენი პლანეტის მოსახლეთა ყოფნა-არყოფნამ.

თერმობირთვული ომის საშინელება თანაბარი ძალით ემუქრება ყველას, განურჩეველად რასისა და ეროვნებისა.

კაცობრიობას დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება დაუგროვდა, მაგრამ, მრავალ ჭირ-ვარამ გამოელილი, თითქოს მხოლოდ ახლოა მიუახლოდა სიმწიფის ასაკს.

უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა თავის თავშივე საბოლოოდ უნდა დთრგუნოს ბოროტი, უნდა ამაღლდეს საკუთარ თავზე, რათა ჩვენი დედამიწა დიდი ნიდერლანდელი მხატვრის — ბოსხის „სიტკბოების ბაღს“ არ დაემსგავსოს.

ზემოთ გამოთქმული აზრი ღრმა ალეგორიულ ქვეტექსტშია გაცხადებული. ცხოველების, ფრინველებისა და მწერების სახეში გადატანილია თანამედროვე ადამიანის ტკივილიც, შეშფოთებაც, საწუხარიც, ირონიაც და იუმორიც.

პოემა საინტერესოა ფორმისა და ვერსიფიკაციის თვალსაზრისითაც.

ჩემი საყვარელი ჭრელეთი

პოემა-ზღაპარი

ქარი პირველი

1.

არც ისე მოკლე, არც ისე გრძელი —
ცოტა ნაკლები და ცოტა მეტი —
გამოიარა, მისჯილი ბედით,
ფიქრების ასი ათასი წელი.

ბრბოს მოალანდა მრისხანე შიავა
თვალები ელვა-ჭექა-ქუხილად,
როდესაც სულის ბნელ და უხილავ
ჭუჭრუტანებში შეიჭრა სხივად.

და, ჰა, შეირხა ზეცის თავანი,
ერთად განიხვნა თორმეტი კარი,
და ეცნო, თორმეტ კარშივე მდგარი,
ენცო—ბრჩეველთა მთავართმთავარი.

არც ცხოველს ჰგავდა და არცა
ფრინველს...
ხმები უცხო რამ ესმა ზევიდან —
და თორმეტივე კარში შევიდა
უსიამოვნოდ ნაცნობი ვინმე.

სტუმარს, იგივე პოეტს და მწერალს,
დაუდგეს სკამი, თლილი ხისაგან.
ენცომ პირჯვარი გადაისახა,
სტუმარმა ლოცვად აღაპყრო მზერა.

რა მოგვიტანე? — თვალით იკითხა
ენცომ, სტუმარმა: ჩვენთა წინაპართ

ამბავი ძველი...
და გაინაბა
დარბაზი: აქეთ — მგელი, იქით —
თხა...

2.

მაშ ასე. ზანტად წამოდგა ლომი,
თვალსევდიანი, როგორც ბატკანი,
ბატი მოდისო —
ერთი მათგანი,
გადაარჩინეს რომელთაც რომი.

ბატი მოდისო, ბატი მოდისო! —
ბაყაყდევების ამღერდა დასი.
იდგა შიმპანზე, ეწვოდა ნაზი
ხელისგულები და საბოდიშო.

ეკითხებოდა თითქოს ბეჩავ თავს,
იცქირებოდა იმგვარი რიდით:
მე ამ ბედოვლათს ვგავარო რითი?
იქნებ ვგავარო... — მხრებს იჩეჩავდა.

სახელდახელოდ რწყავდნენ
ქვაფენილს,
და მოდიოდა თვალგასახარი,
მკერდი — მეფური, ყელი — მაღალი,
ფრთები — გაშლილი თეთრი აფრები.

აბა, ბატური, გაუთავებლივ!
აბა, მინდვრული! აბა, მხედრული!
და ქირაფების ზედამხედველური —
ყოველი მხრიდან ჩანდა თავები.

მოაბიჯებდნენ — ერთი და ორი! —
აქეთ — მელები, იქით — ტურები:
აქეთურებიც, იქითურებიც
სახელოვანნი დიდებულთ შორის.

და სიცინოდა, — მიდის, რას მიდის! —
მიწას გაკრული მთელი სხეულით
და ოდნავ, ოდნავ თავაწეული,
ჩამორჩენილი ყველას, ასპიტი.

აგონდებოდა წამიწამ რაღაც
და ასხივებდა ენას წამიწამ, —
რანაირი ხარ, ჩემო ცა-მიწავ,
ბრძენმაც არ ვიცი, ვერწმუნო რა ხატს.

ბატი ჰგონიათ მართლა არიფებს,
არა, კეთილო ჩემო, იხვია! —
და, რა შესცივდა, შემოიხვია
ირგვლივ სხეული საკუთარივე.

3.

— სად არის ბატი? გვაღირსეთ ბატი! —
კაპუცინები და ბაჭიები
გულზე სკდებოდნენ დაბალ-ჩიები,
მაგრამ არავის სცხელოდა მათთვის.

თავს აქეთ-იქეთ აქნევდა დათვი,
ჩრდილივით შავი და უწყინარი:
—სად არის ბატი? ბატი ვინ არის?..
—ვაპატიოთო, ბელია რვა თვის.

—ბელია! — იქვე გაჩნდა ფერია, —
ბნელია, ეუ, — და მოადუნა:
—გამოიძინე, წადი, დათუნავ.
წავიდა, მაგრამ გზა აერია...

●

და შეკრთა დათვი ორბელიანი,
სამბელიანთა შთამომავალი,
სადაც ფერია დუმდა ამალით:
რა უცნაური სოფელი არი.

რაღას გაუგებ, ორფერი არი,
სამფერი არი, თუ ათფერია.
ჭრელია, ჭრელი, — დუმდა ფერია,
ჭრელია, — დუმდა ორბელიანი...

4.

ოჰ, თხუნელების მიწაში ჩასვლა,
მერე ამოსვლა და ჩასვლა ისევ!
ბეკრს გაეყინა ღიმილი პირზე:
არც კი მოგვსვლია აქამდე აზრად...

არ შეიძლება ამ საქმის ჩაშლა!
ატყდა ჩოჩქოლი, ბუზღუნ-ჩუჩუნი,
რაღაც არისო აქ ჯაშუშური,
მაგრამ — მიწაში არ გინდა ჩასვლა!

●

აქ არ იყოო?! — იკითხა ყინჩად
და გადმოყარა თვალები ძერამ.

—იპოვეთ? — ვერა.
იპოვეთ? — ვერა.
არც მინახავსო საერთოდ, სკვინჩამ.

—აქ იდექითო, თუ არა? — კიო.
—ხარ მატყუარა, თუ არა? — კიო.
—ეს სიმართლეა თუ?.. — არა — კიო...
—ერთი შეხედეთ ამ ცუღლუტ კიოს.

ქორმა მოკუტა თვალები ვიწროდ,
ქცეულმა მზერად და უფრო სმენად:
ვერ გავიგეო მე მაგის ენა,
და გაიყვანა — ვისწავლო, ვინძლო.

ნუ იზამ, ძერა შეემუდარა,
შენს თავში მაინც არ შევა, ქორო,
მაგრამ პასუხად წააწყდა კორომს —
ზამთრის უმთვარო ღამის სუდარას...
. . . . . .
და ხედავს სკვინჩა, გრძნეული ფუნჯით
ვით იხატება ცის დასავალი —
სულის კი არა, თვალის სამანი,
თხუნელასავით შავი და მუნჯი.

5.

—თხუნელა! — წამში გავრცელდა
ექოდ, —
რას დაგიღიათ, ბეკებო, ხახა!
და ჩადრიანმა ყარყატმა — ხა-ხა —
გველო, თვალთმაქცო, ზღარბია ეგო.

მზეზე თბება და სძინავსო თანაც.
თავზე დაადგნენ, ხედავენ, ხვრინავს:
რა სჯობიაო ამნაირ რინას,
ანუ ცხოვრებას, დიდოუ ნანა.

—გავჭყლიტოთ ფეხით, ძილშია სანამ,
უპირ-უთავოს მოვუღოთ ბოლო!
—მადლობელიო, ყურებზე ბოლოკს
თუ დამაჭრითო, დიდოუ ნანა.

ქორმა: ხახვიო ჩქარა, სტაფილო!
ზღარბმა: არ ვიყო მე სინიორი,
სტაფილოს თუ არ სჯობდეს ნიორი!
და შედრკა ქორი: გოლუაფირო,

საით წავიდა თხუნელა იგი,
თქვიო, თუ გინდა აგიგოთ ძეგლი.

და ზღარბმა ცხრაასცხრამეტი ეკლით
ანიშნა ცხრაასცხრამეტი იქით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წასკდა ასპიტს ცრემლები ობლის,
ჰაი, ჰაიო! — აქ — მიწამ, იქ — ცამ.
მუშტად შეიკრა და ზღარბად იქცა
უსამართლობა უგნური სოფლის.

ზღარბმა: ამ ბრიყვებს ჰგონიათ,
ვხვრინავ,
ვტირი, შენ ერთმა უწყი, ბალახო:
ვერ გამიგლია უიარაღოდ —
ესაა ჩემი ცხოვრება, რინა.

6.

ბედნიერი ხარ, ჭიაყელაო, —
ყურება ამდენ ჩლუნგთა სახეთა
მობეზრდებოდა საწყალ სახედარს, —
გამხადა შენი ჭკუის ხელაო.

შენ შენებური ჭკუა გაქვს, საღი,
მზე ანათებს, თუ გრიალებს მეხი. —
ასწია თავი, დაადგა ფეხი —
ჭყლიტ! — და წავიდა მწუხარე სახით.

—ესეც მენაო და ჩემი რისკი!
რა მოშავდაო ჩემს ბინა-ბუნაგს.
კრულვაო მაგათ — სახედრის ფუნა,
ეს ქვაფენილი მორწყაო ვინცკი.

7.

ეს გასართობი სჯობდა უარესს:
აქეთ-იქიდან მოჯარდნენ მგლები,
ამოგსვლიაო რამხელა რქები,
გადექი, ხარო, ფურს მოუარე!

გაგიყდა რწყილი, არ მახარხაროთ,
რისი ხარიო! ეჰე, ხარო,
რატომ ვერ გხედავ, თუ მართლა ხარო,
გამაგებინე: ხარ თუ არ ხარო!

თავად თავადი რწყილი კიკა ვარ!
და ხარს აეწვა ზურგი — ერიჰა! —
ძლივს მოიძია და რომელიღაც
გრძნობას მოუხმო და მოიქავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8.

მდორედ დიოდა მდინარე ურგო,
ხეებს პარავდა ჩრდილების კაბებს.
ჯდა წყლისა პირსა კაინ და აბელ:
ერთი — რქიანი, მეორე — ურქო.

რქიანმა: რატომ არ გაქვსო რქაი?
ურქომ: ნუ მიწყენ, არ მაქვს და რა ვქნა.
—არაფერია, მე უნდა ავქნა...
—ავის ქმნას ჭკუა არ უნდა, კაინ. —

შეეხვეწ-შეემუდარა გაინ-
თავისუფლეო ბინდისგან გონი.
—მე უნდა ავქნა, ვერ ხვდები, მგონი,
ვინც კი ურქოა!
— საბრალო კაინ,

გაფიცებ ძმობას!
— ყველაზე კაი
ძმობა — მტრობაა, შურია, აბელ,
მაგრამ შენს თავში ჭრელეთის ა-ბე
არ შედის, რადგან არა გაქვს რქაი.

—ალბათ ასეა... მეცა ვგრძნობ, ოღონდ,
ვით შეიძლება ის გშურდეს, კაინ,
რაც არ მაქვს. — თავი დახარა — აი!
—რა უმშაკი ხარ, აბელო, ხო-ხო!

კ ო ღ ო! — წუისო რქიანმა, — კ ო ღ ო!
(გაიჭრა კოღო: — დამიბრმეს თოლო!
დამეხშოს სმენა! — ტოლთაგან ტოლი
ვერ იპოვა და გაანდო ხოხობს).

რა მორჩა საქმეს, შეწუხდა კაინ,
ცაში აიჭრა ოცნების რაშით:
—ღმერთო, ერთი რომ მომეცი, რაში
დამიშლიდაო მეორე რქაი.

—არ არის ღმერთი! — გათავდა აბელ.
დაღონდა კაინ: — არ არის, ურქოვ!
...მდორედ დიოდა მდინარე ურგო,
გულში იხვევდა ნაჭურდალ კაბებს.

●

ორი და ერთი! — შუკები, შუკა.
ორი და ერთი! არ არის ღმერთი!
ორი და ერთი! ორი და ერთი! —
ხელები წინ და ფეხები უკან.

ორი და ერთი! — ვინ არი ეგ, ტო! —
ჯალათ-ფიქრები ნადირ-საქონლის,
უსახელონი და უსახონი
მოაბიჯებდნენ (კიტეს და ჰექტორ).

—შიდ რაც ასხია, ჰექტორ, ჭიდან ის
ამოდის თურმე . . .
—გასაკვირია!
და ფათურობდა სულში მირიად
საკრებულოთა ჭიტა-ჭიტანი.

9.

რა შეედრება შენს უშქარ ჭაობს,
ჭრელეთო, ჩემო იმედის ქოხო!
მე, შენი მონა-მსახური, კოღო
ბუხლმოდრეკილი ვლოცულობ . . .
— ჩ ა ო!

—რაო!
—შეხედე, ვერ ხედავ — ჭაო!
ახლოს მოდიო, ანიშნეს ძუთი.
მივიდა. დადგა. — წუთო? — ვწუი.
მერედა, წყალს რად გვიმღვრევო —
ჭაობს?

—ჰო... კი, ჭაობსო, წყაროობს, რუობს,
ნაკადულობს და ჩანჩქერობს კიდეც!
—ეაპატიოთო, რას იტყვი, ქიტეს?
—წავიდეთ. ეგრე ეკიდოს — სცრუობს.

—ვაიმე, ხოხო, თავო, რა თავო!..
და მოაგონდათ მყისვე ხოხბეთი...
—ხო ყბედიაო? ჯოჯან: ხო, ყბედი!
ბარე აქვეა და მოვათავოთ...

მივეშვნათ, მივაწვეთ, მივლეწოთ —
ულა!
და — მაღალს ენა დაება, ჰექტორს:
ხოხობი ტახტზე უსულოდ ეგდო,
საკვამურივით ბოლავდა ლულა...

●

და მოეღუნა რეჟისორს სახე:
ეს როლი უნდა მივანდოთ სხვასო —
არ ვარგოდაო...
ვიღაცამ: — ვასო
ბატონო, აღარ სუნთქავსო, ნახეთ!

ადგა. მივიდა. დარწმუნდა — ნახა.
იქვე ჭერისკენ გაიქცა მზერა:
კოღოს, თავდაღმა დაკიდულს ჯერაც,
ძალზე გაეხარდა-ეწყინა რაღაც.

10.

ჩამოიქროლა იმედით სავსე,
სიკეთით სავსე ჩიტმა პაწიამ
და, არც აცხელა და არც აცივა,
დასკუპდა შემცბარ ყირაფის თავზე.

„შე ბატის სკინტლო და გველის შხამო!“
ბრაზი მოაწვა ყირაფს იმხელა,
უნდოდა, მაგრამ ვერ მოიხელა
მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო.

„ესეც შენაო!“ ჩიტის საშინელ
გათავხედებას მიხვდა თუ არა,
გახვრიტა ტვინი და დაუარა
ფეხის ძირამდე დენმა, მაშინვე.

„მაღალი ხარო, ბიძავ, მაგარი!“ —
ფრინო და — ძერა შეასკდა ჭირად.
და ქვეყნის დარდად დაიწვა ყირაფს
ჩიტის — ფუთთხივით ნაეშმაკარი.

— ახავაჲ, ეს რა მიქნაო, ვაკვდები!
უკვე მიცვლილი ჩხაოდა ძერა:
გინახავთ ბედის ამგვარი წერა!
და ყირაფს წასკდა ხვიხვინი, დებილს.

11.

და შეეფეთა ანაზდად აფთარს
დაბერებული მწერალი წერო.
ჰკითხა აფთარმა: რასა იქმ, წერო?
—რასა ბრძანებთო, ბატონო ამდალ!

მას მერე, ჩემი ასტომეული
იმ კოცო კოცონს რაც შეაჭამეთ,
დარი დაუდგა ფიქრის აჯამეთს,
თვითონ დავწვიო ბოლო, რჩეული.

ჩაეღიმილა წეროთ ქომაგს,
დღეს თუ ერთობო თავს რაამეთი?
—ორივე ფეხზე დგომის იმედით,
მაგრამ მ ი ხ დ ე ბ ა ცალ ფეხზე დგომა.

— შეწევნით ღვთისა და მამამთავრის
და კიდევ სხვათა გამო, ეტყობა...
და, ქმაყოფილი, გამოეთხოვა
ოთხივე ფეხზე მდგარი აფთარი.

. . . მოსალოდნელი არისო მეხი, —
ჭერს — აბრეშუმის ახედა მიტკალს
და, რა ეგონა, ცალ ფეხზე იდგა,
ცას მიბჯენილი ორივე ფეხით,
ეგდო...

●

ეს სცენა კარგია, მაგრამ —
ამ აქტს, ფაქტია, არაფერს სძენსო.
აგერ ბრძანდება, ვკითხოთო ენზორს,
მე ჩემი ვთქვიო, ენზორის მახრამ.

მთავარიაო, ენზორმა, ტაქტი.
აქტი — ფაქტია, ფაქტი — აქტია,
ყველა ქუჩაში როდი აგდია,
ამიტომ — ფაქტად დარჩესო აქტი.

—თუ ვათამაშებთ ამ როლში მახრას,
მოიგებს, დიდო ლორდო და სერო.
ორ ფეხზე დადგა მწერალი წერო.
ახ, რას ბრძანებთო, მახრუკამ, ახ რას!

ასეც გადაწყდა...
— აქეთ, აქეთო.
დიდი არტისტიც ყოფილა — აქეთ.
ბოლო რჩეულიც დავწვიო — აქეთ!
იქით კიარა, წეროვ, აქეთო!

შეშინდა ქარი, განაბა სული —
დამიდასტურეთ: ალარ ვარ, ხედავთ?!
ხმელეთს დუმილი აღმოხდა ხეთა —
ჩვენი კისერი და მათი ცული!

12.

და სადღაც სულში და უფრო შიგნით
კვლავ აბრიალდა კოცო კოცონი.
წიგნები, დევთა სახორხოცონი,
იწვოდა: ასი ათასი წიგნი.

უცებ გაეპო თვალთა გუგები —
სასომიხდილმა ქარმა: კოცოო,
გემუდარები, არ მაკოცოო,
ალარ მინდაო, დავიბუგები.

ხომ გახმებიან ხენი უჩემოდ,
რა ეშველებათ უსიმღერებოდ! —
ვიფერფლებიო, ვაი, ხელებო!
—დაიფერფლეო!

— ვაი ტუჩებო!

და იქცნენ ფერფლად,
და იქცნენ ნაცრად.
მაგრამ გამოჩნდა მზით ნაფენი გზა.
და აღსდგა ქარი ფრინველ-ფენიქსად —
განახლდა, თითქოს მომხდარა არც რა.

შეირხა ტოტი, შეხტა ბეღურა,
მინდვრიდან გაქრა ხსენებაც ბუღის.
მადლი შენაო, და შვიდი მუხის
ცაში აიჭრა ხასანბეგურა.

13.

და ბოღმიანი წამოდგა ძერა,
მკვდარი ვარ მაინც, და სულერთია,
სად —ხორცეთია, სად — სულეთია,
თავიც იმტვრიო, მიხვდები ვერას.

სჯობს გავეცალო ჭრელეთს უშაროდ,
მაგრამ სად... მაგრამ — აუჭ, ღამურა!
გაცხარდა ძერა: რა უამურად
იცქირებიო, ბუს ნაბუშარო!

— რაღას მერჩიო, ბრმა ვარო დღისით.
—ისე კი ჰგავხარ ბულბულ-იადონს...
დღის ჰომეროსო, საილიადო
რა ხდება ღამით, აღნიშვნის ღირსი?

თუ ამაცდენო კაინის სასჯელს,
იმავ ჯოჯოხეთ-საიქიოსო,
თავი უკარით საით კიოსო,
გეტყვი: დღეს ღამე სჯობია ასჯელ!

ღამე — შრომაა არანაკლები,
თაგვთან ბოდიში: — მსხვილი აზრები
წვრილად ჩნდებიან — ცურცლის
ასლები,
ყველაზე კაი დღის სპექტაკლები.

—დიდუ! — და მოკვდა, სანთელ-
საკმელი! —
აღმოჩნდა ძერა ღამის დევებთან
და, საცოდავი, თავს იმხნევებდა,
საჰომეროსო მჭირსო საქმენი.

14.

ფარდა, ფარდაო, ძალიან ცხელა? —
და, მოთენთილი ღამეთა თევით,
უზარმაზარი წამოდგა დევი —
შემკრთალი ძერის თვალების ხელა!

და გადასწიეს ღრუბლების ფარდა.
იკითხა საღამ, მარტონი ვართო?
ცის საკრებულომ, პარდონო, პარდონ!
ისე, რა ჩვენი ბრალია, ვართ და!

საღამ: გეყოთო ლაყაფი, კმარა,
ყურად იღეთო, გითხარით რაიც,
თუმც იყავითო, ყრუნი ხართ მაინც.
—მა, რა, ყრუნი ვართ, ყრუნი ვართ,
მა-რა!

—დავიღალეო...
წამოხტა ყველა —
მუცლით მიასკდნენ ერთმანეთს დევნი
და ოცდაშვიდი მკლავ-ხელის მტევნით
საღას სამეფო მიართვეს კველა.

დაჯდა, ჩაღუნა თავი და: რისად
გარჯილხარ, დიდო სტუმარო ჰომერ?
ძერას თვალები გაუთბა: ჰო, მე...
რაიც გადამხდა, ჩიტისას, მტრისას!

დავბრმავდი, მაგრამ მისხალი სისხლი
არ დამიღვრია, მწყალობდა ბედი.
სისხლის კი ბევრი მინახავს ტბეთი.
დევებმა, მეტს ნუ იტყვიო, ზიზღით...

მე ერთხელ—ორჯერ მოვკვდიო ძერამ.
მადლობელი ვარ იმ სიკვდილების;
საღამოები, ღამე-დილები —
ერთია. ღირსო ამაზე წერა.

თქვენის წყალობით, საღავ, დიადო,
დღეს ჩემი საქმე, ვატყობ, ისეა:
გადავათეთრებ ხვალ ოდისეას,
ზეგ საგას დავწერ საღანთიადოს.

ცალთვალა გუგამ ამინო, ამინ.
მერე ხედავო? აი, ის მთები
ჩვენი უქნარა ძმებია, დები,
სულ ასე წვანან დღისით და ღამით.

ახლა კი, მგონი, შეხედე, სხედან.
ამ დოყლაპია ფხიზელ-მძინარეთ
(აქეთ — ჩანჩქერი, იქით — მდინარე)
გადმოუგდიათ ენები.
— ვხედავ!

— მოგზავნილია!—იბღავლა გუგამ, —
ეშმაკის კუდო, ტყუილის ტიკო!..
და ძერამ მშვიდად მიუგო: დიკონ.
გახედნენ!
— ეგრე, გაიწი უკან!

გაცისფეროვნდა სიჩუმე სრული:
ძერას იოტი შიშის ნასახიც
აღარ უგრძვნია ჟამს გარდასახვის
და — განიტვირთა ხორცთაგან სული.

—აჰა, გასკდითო! — მიუგდო გვამი, —
მე კი, მშვიდობით! მე კი, ნახვამდის!
და იგრძნო შვება — თქვენ კი
აყვავდით!
და ოდისეაც დამთავრდა ამით.

მივიდა გვამთან ზონზროხა ჩია:
მაპატიეო, დახარა მზერა,
მშიერი აკეცა — მხეცია, ძერავ,
დევი მით უფრო... ძალიან მშია.

15.

ჭრელეთის ბეღზე და მომავალზე,
ხის ძირში მეხმა რომ დაარბია,
ჭიანჭველების ბჭობდა არმია —
ასე იქნება კიდევ მრავალ წელს.

გამო ამისა ჭყლეტა ტვინ-თავის,
მკრეხელობაა და მკრეხელობა!
მადლობა გამჩენს, ჩვენი ხელობა
შრომა-გარჯაა და არ — ვინ და ვის...

არ გვირევია გვარში ურგები.
ყური ვათხოვოთ სულის იმ სიმებს,
ძალას რომ გვმატებს, და დაიმძიმეს
უშველებელი ტვირთით ზურგები.
. . . . . .
ხმა უცნაური, ხმა წივწივური,
ვეღარ აღწევდა ყველას ყურამდე.
მაგრამ გრძნობდნენ და თვალებს
წყურავდნენ:
ციურიაო — არმიწიური.

კარი მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.

და ისევ: ბატი მოდისო, ბატი!
და აბზუილდა ქსელი ობობის;
ვატყობ, გიქრისო თავში ოფოფი, —
ბუზს გაუჯავრდა ოფოფი ფატი.

გაბრაზდა ბატიც, არ მცემთო პატივს,
ინდაურებო, ნუ ხართ ღორები,
რაკი თქვენსავით არ ვიფხორები,
კაცად არ უნდა ჩამაგდოთ, ბატი!

ამის გამგონე ინდაურები, —
არიქა!
ჩქარა!
სხვამ არ
დაგვასწროს!
გარბოდნენ იქით, სადაც საბაზროდ
გამზადებული იდგა ურემი.

იქუჩებოდნენ სხვის კალათაში,
ზოგჯერ შორიდან მათი თავები
მოჩანდა, მთქმელს ნუ შევედავებით,
როგორც ასპიტთა თავი ათასი:

გესლიო მაგათ, უი და ვაი!
ვაი და უი — საუნჯე წვირის,
ვინც მოგვიშალა ფუძე და ძირი,
კაი ქვეყანას გიტოვებთ, კაინ!

2.

მაშინ ღორთათვის ოცნებად იქცა
გაქრობა, ანუ თაგდასამალი;
იმედი ჰქონდათ სანდო სამარის —
თხუნელებივით ჩიჩქნიდნენ მიწას.

მაგრამ გრძელყურა, მაგრამ უთავო,
გაჩნდა ვასაკე და იღრიალა,
საცუდო საქმე, ისე კიარა,
თუ დამიჯერებთ, ასე უნდაო...
. . . . . .
ამას მეტყველებს ოქმი ბეღურის,
ტომი სხვათა და სხვათა ჩვენების.
იმხანად კანონ-განაჩენები
იწერებოდა ბატიფეხურით.
. . . . . .

ასე უნდაო, გაჩნდა რეტიაც:
არ მოველოდი თქვენგან ამასო.
გადაიხდითო როცა სამას ომს,
მაშინ ვნახოთო...

— მეტისმეტია!

—ამიტომ: რადგან და ვინაიდან
თქვენი მამული საღ-ღორეთია,
სწორედ მაგიტომ!

— საღოლ, რეტიავ!
თქვენ აქ შემოხვევით ხართო! ჰაიდა!

3.

გზა განელეს დიდი — ზღაპარი, მითი,
და, ჰა, მიადგნენ რო-ოდის, როდის...
ყოჩაღ, გელოდით. მოდითო, მოდით,
მაშასადამე, მიდითო, მიდით!

რკინა ყოფილხართ უდრეკი, ტინკი!
დინგი იმასო, დინგი ამასო...
რაღა გაუძლებს, ღმერთო, სამას ომს!
დინგი და დინგი! დინგი და დინგი!

დინგი და დინგი! მშვიდობით, შვილო!
დინგი და დინგი! მშვიდობით, ცოლო!
დინგი და დინგი! დუეტი, სოლო...
დინგი და დინგი! ღორი ვარ — სპილო!

იმას — გვერდულ! ამას — თაური!
იმას — სარმული! ამას — სამბური!
იმას — ხანჯალი! ამას — შამფური!
დინგითაური! დინგითაური!

4.

და მიიწურა წელი სამასი.
და კაკა ღორმა შეაღო კარი...
და იცნო კოკომ ორ ფეხზე მდგარი,
კაკალი ცრემლი, მაგრამ ლამაზი.

ბეჩავო... დიდხანს აღარ ჩანდიო.
კაკამ გიყივით — ომი, ომიო!..
ჩქარა ცომიო, ჩქარა ღომიო,
შოთი, ჭადიო! — მოდი-წადიო.

—შეუჭამიხარ, კაკა, ტილებსო.
—სამაგიეროდ, ჰერი, ჰერიო,
ბდღვირი ვადინეთ, მოვსპეთ მტერიო!
— მერე, შე კაცო, რა გატირებსო!

—კი არა ვტირი, ვღრუტუნებ, რადგან
ფეხქვეშ მეცლება მიწა-საყრდენი.
ჩვენგან — გადავრჩი მე, მოსაკვდენი,
არ დარჩენილა ცოცხალი მათგან.

5.

—კოკო, შიმშილით ვკვდებიო, გოგო,
საღდა გაშპაო ის ქათამ-ქალი.
— წაიღო ჭირი, მოი, დამკალი
და მიმწვადეო, გენებოს როგორც.

— ქა! ეს როგორო!!
— როგორ და კარგად,
ორნი შევრჩითო, ვინცა ვართ, ღორეთს.
აღარც წვირეა და აღარც სკორე,
ღრო დაგვრჩა ცოტა, იმასაც ვკარგავთ.

—სირცხვილო! მე და — ასეთი ხამი!
აღარ მინდაო ფითიც, ყაურმაც...
მომკლა სიჩუმის დინგითაურმა,
დინგითაური დღისით და ღამით!

მაინც არ უნდა დაშრეს სათავე!
ფეხსაც არ გავდგამთ აქედანაო.
—მოი, მოი, აგე, დანაო:
დამკალ, ივახშმე და მოათავე...

6.

აღარ მინდაო ვახშამი, ღორმა.
ამ დროს ზეციდან გაჩნდა ცათელი —
ორი ხელი და ორი სანთელი:
ღორებო! ცოდვას ნუ იქმთო ორმაგს.

—მერე და ვინ ხარ?
— მე ვარ ცათელი.
მითაქამიდან მოვდიივარ ბარე...
—მალე მოსულხარ, ბარევო, ბარევ,
არც ვახშამი გვაქვს და არც სადილი.

— გმადლობთ, ვიცოო... რა სამაგისო
პასუხია და კიდეც მაგისთვის
ეწამა თქვენი რეგვენ-მაგისტრი...
— ნეტა მაგას და ნეტა მაგის ცოლს!..

(ღმერთო, ნუ გვიწყენ, სადაც არიან,
კარგად იყონ და იჭუკჭუკონონ).
იმას ვამბობდი, მსგავსი უგონო
ჯალათი მიწას არ აბარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მისი თავის, ბნელეთის,
კარი შეავღე — კარი პალატის,
სასაკლათთა, დიდთა, პალადინს
უკვე მოსვლოდა ელეთმელეთი...

—რად აჩქარდითო, გეცლიათ, ცათელ,
კი, ჩამორჩაო ჩვენი ღორეთი,
აშკარად გვჯობნის ხოხოხოეთი,
თუმც ბნელი იქაც ებრძვისო ნათელს.

ის ცრემლებს ღვრიდა...
— არ გვიხილია.
— რა არის თავსხმა, მით უფრო, წვიმა!
სინდის-ნამუსი არ ჰქონდა იმას...
— ხურმა თუ არის, კარგი ხილია.

—იყუჩე, კოკო! — გაჯავრდა კაკა.
ცათელ, მართალი ბრძანდებით ცამდე.
მაგრამ მითხარით, პატივი დამდეთ,
სანთლები რისთვის, ან ვისთვის
დაგაქვთ?

პირველად ვხედავ, ენთოს სანთელი
და არ დნებოდეს! როგორ ანთია!
—ეს სიკეთეა და მარადია,
ზესკნელურია — ქვესკნელამდელი.

ღორეთისა და ხოხოხოეთის
გაჭიანურდა სიბრძნის ასაკი.
იქ, სადაც ფასობს სიტყვა ვასაკის,
უსუსურია ბულბულ-პოეტი...

სხვა გააჩნია სულს საწადელი,
ხორცი ხარბია და მოისარი...
—ვერ გავიგეთო...
— საქმეც ის არი!
ჩაქრა სანთლები. გაქრა ცათელი.

—ქა, რა იქნაო, დაგვტოვა როგორ!
—რავი, კაცოო. და ისევ: ქა! ქა!
ცათელ! ხმამაღლა ჰყვიროდა კაკა,
ცათელ! — ხმამაღლა ტიროდა კოკო.

7.

ღონემიხდილი შიმშილით, მარხვით —
ჭირი იქაო და თევზი აქა —
ჩონჩხებად ქცეულ კოკოს და კაკას
თავზე დაადგა და ხედავს ვარხვი:

ორივე, ერთი ჯიშის და გვარის,
შეგუებული დუმილს ეკლიანს,
გაქვავებული ხსოვნის ძეგლია,
ქანდაკებაა ექვს ფეხზე მდგარი...

თითქოს წყლით სავსე გატყდა ხელადა,
წუთით, დაკარგა გრძნობა თუ არა,
გულზე ნაკადად გადაუარა
ცასავით შვებამ და მოელანდა:

აღმოჩნდა სადღაც დაწრეტილ ტბასთან,
აქაც იმედის გაუწყდა სიმი:
ლიფსიტამ, რითაც შეეძლო, იმით
ვერ გიშველიო, ანიშნა, ბასტა!

და ვარხვმა, თითქოს ცოცხალი თართი,
ოთხივე მხრიდან მიართვეს პინით,
ვეებერთელა დაადო პირი —
ქვეყნის ოდენა ჩაყლაპა დარდი
და აღესრულა.

8.

ფუძეთა ფუძევ,
დიდება შენდა, მფარველო ბინდო!
და თხუნელების ლაშქარი მინდორს
შავი ჭირივით მოედო უცებ.

მზე ჩადიოდა და უპოვარი
იმზირებოდა მთოვარე ციდან,
და სასაცილო რამ იყო ციდა
მოვალეობა მზის და მთოვარის.

შეიფერეთო ორდენ-მედლებად
განუზომელი ეს სიხარული:
მელოდიური ძვლების ჩხარუნი,
პირდაღებული ვარხვის ვედრება.

ტყეო, რა სხივთა ბუზანკლებს ისევ,
იდუმალებას აეხსნა რაზა... —
და თხუნელები ყველაფერს, რასაც
შეიძლებოდა, მიაწყდნენ ისევ.

აქეთ — ველები და ჰორიზონტი,
აქეთ — მდუმარე ხეების რიგი;
იქით — მინდვრები,
მინდვრების იქით—
ისევ მინდვრები — ასეც ვიცოდით!

ასეც ველოდით! — და ინტერესი
დაკარგა ყველამ. ნათელი კია,
რასაც ამათი სამზეო ჰქვია, —
ერესიაო მაინც, ერესი.

ვინც მზე ინატროს, იყოს დებილი,
დებილს დაეცეს მეხიც და დამბლაც!
ჩვენს სწორუპოვარ სავანე-საფლავს
ქებათქებაო! — და ჩრდილებიგით
გაუჩინარდნენ...

9.

ბატი, ბატონი,
როგორც გადმოგვცემს ჩიტი კანარის,
იმდენს ფიქრობდა, რომ უკანალი
ვეღარ დაჰქონდა — ორშაბათობით.

მაგრამ დგებოდა ჟამი დაისის,
და ისე შლიდა ფრთებს ვალიაჟნად,
გედი ვალია, თეთრი კნიაჟნა,
ამოდიოდა ტბიდან თავისით.

აი, ფიქრობდა ბუ, გაბუსული, —
შედეგი ცოდნის წყაროსი, რუსი.
ბატმა რუსული იცოდა, რუსი
ვერ დაიკვეხნის მსგავსი რუსულით...

გვამცნობს დღიურში ცხენი ბულონის:
ყვავ-ყორნებს ერგოთ ციცრების ფარჩა.
გაგიხარიათ, ბაყაყებს დარჩათ
საყიყინონი — საბულბულონი.

●

ესეც ოინი ხუმარა იხვის:
გაწყდაო ჯიში ორბელიანთა.
თავი სჭერიათ ნ ობ ე ლ ი ა ნ ტ ა დ!
(ხა-ხა და ხა-ხა, ხი-ხი და ხი-ხი).

იმათ კი, იცით, ვგულისხმობ ვისაც,
ვერ წარმოიდგენთ, თავი სჭერიათ!..
ცოტანი დარჩნენ. თავის ჭერი აქვთ
და იატაკი: ზეცა და მიწა.

იმ ასპიტს, ჩემი შეურაცხყოფის
გამო, თხუნელის ბუტი და ბატი —
საუზმედ, ხოლო სადილად — ბატის
გამოცხობილი მთელი საწყობი.

. . . . . .

იხვო, შამფურზე წამოსაგებო,
შე მადლიანო, როგორ გადარჩი!
ნუ იქიქები სხვათა დავთარში,
საკმარისია, რითაც ვსარგებლობ...

10.

მელას, ყველაფრის მომსწრეს და
მოწმეს,
ეს უწერია დათვის დავთარში:
არ მქონდა შიში ბედის დათარსვის,
რადგან თათარშიც ვჭვრეტდიო მომძეს.

მადარდებდაო, როცა ვფიქრობდი,
საქმე საერო და სადუნიო,
ხახვს მივირთმევდი, პრასსა თუ ნიორს
მე, პოეტესა და პოლიგლოტი.

(ქვემორე): ბატს კი რაც შეეხება
(გადაშლილია ტუშით და ფანქრით),
გაჩნდა ერთი პატარა ნაკლი —
მთელი ქათმეთი სისხლით შეღება.

მომაშორეთო ისინ-ესენი
(გადაშლილია); თქვენც სირაქლემა
მოგლანდებიათ იქნებ აქლემად?
ბატს, სამწუხაროდ, სჭირდა ეს სენი.

(ქვემორე): ზღვარი აქვს სიბოროტეს.
გაცივდა გული და აღარ გათბა,
კისერში კბილებწაჭერილ ქათმად
მაქცია (აქაც ტუშით ბოლომდე).

(აქ ხელთ ჭურვივით აზრი გვიჭირავს):
თუ მოგახტაო დარდი მსუნაგი,
თავი ანებე ცხენს და უნაგირს,
სად გაექცევი, სულო-ყვინჩილავ!

. . . . . .

ცხენს და უნაგირს... ბუნდად, ზემოდან,
იქნებ ქვემოდან, წყარო სინათლის
მოჩქრიალებდა, და როსინანტი,
ჯერ კიდევ ძილში, იშმუშნებოდა.

. . . . . .

არ უნდა გატყდე, რაც მთავარია,
თუმც ყველაფერი არს წარმავალი.

(გადაშლილია ფანქრით) მამალი,
(ტუშით) ინდაურ-ქათამ-ვარია.

(წვრილად) ვინც სოფელს გამოეთხოვა,
კვლავ თუ მადინა პირიდან დუქი,
თავს მოვიწამლავ, ეტყობა (ტუშით),
გულს გავიგმირავ (ფანქრით), ეტყობა.

(ზემორე): ვკვდები, ავე მარია,
ავე მარია (ზემორე) დაშთი.
ქოთა... ქოთანი (ქვემორე), ტაშტი.
შენ აქ რა გინდა, შტერო ვარიავ...

(ბოლოს): ვისთვისაც ვიყავი „მისის“,
ეკუთვნოდაო უმაღლეს რასას.
(დასკვნა): შენია, გასცემო რასაც...
მაგრამ ეს უკვე არ იყო მისი.

11.

„ხალხო, გონების მოკრება გვმართებს,
დრო გადის, ისევ ბევრი გავიდა, —
წუხდა ჩოჩორი, რომლის თავიდან
არ აფრენილა გუგულის მართვეც. —

გოგრა რომ მოგვაქვს — ჭკუის
ნაყოფი —
არ თვლემენ სხვათა საბატონიც,
ჩვენი მიწა და ცაა, ბატონი
ბატის სახატე, უკვდავსაყოფი!“

და დაიბადა დიადი აზრი,
ოცნება დღეის, იმედი ხვალის,
გედი ვალიას კვერცხივით მრგვალი,
ნათელი, როგორც გუმბათი ტაძრის.
. . . . . .
რეტი დაესხა იმ დღეს ვალიას,
ორივე თვალში ჩაუქრა შუქი.
ვინ იფიქრებდა: კვერცხიდან ჭუკი
გამოიჩეკა. შეცბნენ ძალიან!

ჭუკმა იწივლა: დედა, ლიაო!..
ვალიას ისევ დაესხა რეტი.
—მამალიაო?
— ჩიტია, მტრედი!
რისი მამალი, დედალიაო!

გამაპარეთო, გედმა, ამ ღამით.
ვირმა იკითხა, გზის ფული გაქო?
ჩემზე იყოსო კიკინა კაკომ, —
თქვა და აუტყდა თვალთა ხამხამი.

არ დაიჯეროთ, კაკო ტრეპაჩობს! —
ჭოტმა ორივე აანთო ჭაღი, —
მაგის ტანჯული სიფთი-სახის
ცქერა-ყურებას გაკოტრება სჯობს.

ვალიას უქეს შორი არაგო,
ბასკური ცა და როგორც პაიკი
ისროლეს მაღლა, ეს ამბავი კი
არც სალექსია, არც საარაკო.

ისე, ამბობენ, ვალიას მოთაც
შეემატაო, სახელად ფასკუნჯ,
აღარ ურევსო სომხურში ბასკურს,
ჰინდურ-სპარსულში — მოლდავურს...
. . . . . .
ჰოდა,
გაუფართოოდათ მზერა წიქარებს:
ძეგლი, ძეგლიო, ოცნება დღეის!
საშვილიშვილო ეს საქმე ხეირს
მოგვიტანს მხოლოდ — ისემც იხარეთ!

12.

ზღაპარიაო, ბევრმა, ზღაპარი,
იშვლეპდნენ ქუდებს და იხურავდნენ,
როცა მივიდა რომის ყურამდე
სახელგახთქმული ბატის ამბავი.

—ეს თუ ასეა!
— ასეა, ასე!
და დიდებულთა წამოდგა დასი:
ას წელს იმარებთ?..
— ცოტაა ასი.
ორბმა ამ საქმეს ვიღებო თავზე.

●

ასიც გავიდა და ასმეშვიდეც —
აღარც ორბი და აღარც ბატი ჩანს.
თოფემ ორბეთი მიიპატიჟა.
შეწუხდნენ თითქოს, მაგრამ
შეშინდნენ.

გაგეგონებათ ძველი ანდაზა, —
თოფემ ჩინურად წაუთათრესა,
ჯერ მოალანდა თავი ათ ლულად,
მერე ოც ლულად, მერე ათასად.

შეხედეს თოფეს — ამ თვალთა
გვირაბს
რა გაუძლებსო! და: საარაკო
საქმე რამ სჭირსო ორბს საარაყო...
კვირას გაძლევთო...
— ბევრია კვირა.

●

რად გვინდა კვირა! აბა, ჰე, ვირა! —
ჩაიღიღინეს: ედემ-სამოთხე,
რა კარგი ხარო, ორჯერ სამო დღევ!..
და დასს წარუდგნენ ორშაბათ
კვირას...

13.

—ეს არის? — ახედ-დახედეს ცერად,
იფ-იფ! სტუმარმა მე ვარო!
—ყიპ-ყიპ —
ღიპიანს წასკდა სიცილი ღიპ-ღიპ,
ახმახს აღმოხდა: ბუანასერა!

დაბრუნებული ჯიშიან გვარ-ტომს,
იქვე, დროდადრო, ძმებთან და
დებთან,
სასირცხეო საქმეს კვერცხიანთ
დებდა —
ინებეთ, რისი ღირსებიც ხართო...

ვინც იყო, უცებ მიხვდნენ ყველანი—
ცოცხალიც, მკვდარიც, ბრძანეს,
ჩვენია.
ეჭვი არავის არ გასჩენია,
არ შეჰხებია ქაღალდს მელანი.

ესეც ბატია, ყველა ბატივით
ჩვეულებრივი და საწყალია.
გამოუტანეს ოქროს გალია
და თავი უკრეს დიდის პატივით.

კვანტა მილაო? კვანტაო, კვანტა!..
არ დაიზარეს, დილაადრიან
სამასორმოცდა რაღაც ადლიან
კვარცხლბეკზე შედგეს — სასწაულს
ჰგვანდა!

უცებ განათდა ცა საყარყატო
და ბრ.ბომ ერთბაშად იხუვლა: ბრავო!

ხომ კარგად ჩანსო?
ჟირაფმა, ოაფო...
ჭიანჭველებმა: კარქათ, კარქათო!

●

ტკბილად იღვიძებს და დადის რომი,
რომ კიდევ ერთხელ შეავლოს თვალი,
და მოიხადოს ქუდი და ვალი
პატივისცემით და რიგში დგომით.

14.

—მორჩა, — შეხედა პოეტმა ენცოს,
ენცომ — მგელსა და თხასა და მახრას.
მახრამ: არ ვიცი, რა ვთქვაო, მაგრამ
ხომ უნდა ვთქვაო... რაღაცა
მბრწყენსო...

გადაჯდა ენცო, გადაჯდა მგელი,
თხამაც ადგომა დააპირა და
გადაიფიქრა.
მგელმა: პირადად
მე მომწონს თქვენი განზრახვა ქველი.

მაგრამ, მერწმუნეთ, დღეს არვინ იცის,
ხარი თუ იყო როსმე რქოსანი.
რქოსანი ერთი გვყავდა მგოსანი,
ხართან დავაბით და მორჩა ისიც.

საბაბი არ გვაქვს გაყოყოჩების...
ჟირაფსაც ესმის, ოდესღაც დებილს:
ძმები არიან, იგივე დები
მგლები, ხარები, თხები, ყოჩები.

ენცომ: თან აღარც ღორეთი ომობს.
—გაწყდნენ ყველანი...
— მით უფრო, მაღალ
ცივილიზებულ ჭრელეთში ახალ
სიტყვას მოველით... თქვენგანაც,
ლომო!

თქვენი პოემა მრუდე სარკეა:
თუ ჩაიხედავთ თვითონვე ნახავთ —
ურგოა, რასაც ქვიჯაში ნაყავთ.
აი, ხომ ნახეთ... ისე, კარგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—კარგი კიარა, ტყემლის ლეღვია.
ახალი სიტყვა, ახალი სარკე —
აი, პოემა! — პოეტი, ცალკერძ,
სამივეს ერთად გადაეხვია.

ამ ლეღვის ტყემალს — ჭირიმე
თქვენი! —
აბა რა თავში ვიხლი, გავატან
ზენა ქარს! — ამოიღლიავა და
თორმეტ კარშივე გავარდა სტვენით.

●

ოქმის სიზუსტით ყველაფერ ამას
კატალონელი გვიმტკიცებს კატა
და იფიცება საფიცარს ათასს
და კიდევ თაგვის დედას და მამას.

15.

და დაბაკუნობს, როგორც თიკანი,
ამბავი ესე და იძენს ძალას.
შვიდფერი ბინდი ადგება ქალაქს
და დიდებულად დუმს ვატიკანი.

დროდადრო კრთება შორი ნათელი:
ვარსკვლავ და ვარსკვლავ —
სანთელ და სანთელ —
არ ისმის, მაგრამ ივრძნობა, ცათელ!—
ხმა უხილავი, ვით ჟრუანტელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალფეხშიშველი ბავშვი

მოთხრობა

ვაზაფხულის შუა რიცხვებიდან სეკტემბრის ბოლომდე ბაბუაჩიეს თავისი თეთრი შლაპა ეხურა. ეს შლაპა, მზიან დღეებს, თბილ საღამოებს, ოჯახური ეკსკურსიების დადგომის დროს გვაუწუხებდა. შაბათობით უველაზე ადრე ილვიძებდა და მძღოლის მოლოდინში ბოლთას სცემდა. ცხრის ნახევარზე, უველანი მაგიდის გარშემო ვისხედით. „პირველი სიგარეტი, პირველი ქალალი საუვარელია!“, ამბობდა ბიძაჩიები. მთელი ბავშვობა მაღალუელიან წინდებს მაცმევდნენ, რომლებსაც მოკლე შარავლზე მიკერებული სამაგრები იქერდა. უხეში ტკავისგან შეკერილი, დიდი ზომის სანდლებსა და ბიძაჩიების ნაკონ თეთრ პერანგში ჩაცმული დავდიოდი. ფეხსაცმელებს ყოველთვის ორი ზომით დიდს ყიდულობდნენ. „ყოველდღე იზრდები, ხვალ პატარა გეკენება!“, ამბობდა ბაბუა. პარასკევ საღამოს ომის გასაკრეკად მივყავდი. „პოლუბოკსი?“, გეეკითხებოდა სუნანა პარიკმახერი. ჩვენ შავ მანქანას ამირანი მართავდა. სიხმარშიდა თუ მოკრაგ თვალს შემოდგომის ფოთლებივით ყვითელ ნომრებს, ვერცხლისფერ ემბლემას, „ეოლგის“ კაპიტეზე. გაზაფხულის ქარს, ნაცრისფერ წვიმიან დღეებს, თავგანწირული ნახტომით მიაპობდი ნიკელის ირემი.

აპრილისთვის უჩვეულო, ცხელი ქარი უბერავდა. ამირანი მანქანიდან გადმოსულიყო და ბორდიურის კუთხეში მიგდებულო, თავმოწყვეტილ თოჯინას დაესცქეროდა. ბიძაჩიემი, ბებია და მე უკან ჩავსხედით. ჩვენ მანქანაში ყოველთვის ძველმანებისა და ბენზინის სუნი იდგა. „თუ გულისრევას იგრძნობ, მანქანას გავაჩერებთ. წინ იყურე, ირემს უყურე!“, მეუბნებოდა ხოლმე ბაბუა. ამის გამო, რომ გული ხშირად მერევდა, ბებიას ქალალდის პარკები დაჰქონდა ჩანთით. დავინახავდი თუ არა პარკს მის ხელში თავბრეს მეხვეოდა. ბებიაჩიმის მზადეყოფნა უფრო ცუდად მხდიდა, ვიღრე უსახურული მოსახვევები. „ნელა, ბავშვი გვიზის!“, შეეხსენებდა ხოლმე ბაბუა ფიქრში გართულ მძღოლს. „ორმო-ო-ცდაათი“, ბუზღუნებდა ამირანი. „სამოცზე მეტი იყო!“, უწურეებოდა ბებია. ჩვენი მაქსიმალური სიჩქარე, საათში ორმოცდაათ კილომეტრს არ აღემატებოდა. ბაბუასავით სერიოზული გამომეტყველებით ვიყურებოდი მანქანის ფანჯრიდან. ყოველთვის მეგონა, რომ კარგ გუნებაზე ყოფნა, ხმის ამოუღებლად, სერიოზული სახით ჯდომასს ნიშნავდა. „ბაბუა კარგ გუნებაზეა!“, მეუბნებოდა ყურში ბებია...

მანქანის ღია ფანჯრიდან გრილი მაერი შემოვიდა. წამით განდევნა ძველმანების სუნი, სავარძლებს გადაკრულ ნაჭერს რომ ასდიოდა. ახლადგაშლილი ყვავილების, ბალახის სურნელმა დაუბერა. ბებიამ ხელჩანთაში ქიქვა დაიწყო და სათვალე გიიკეთა. ზუსტად ის, ყველაზე უფრო რომ ადდიეზდა მის თვალებს. „სეტტეხოფელი!“, წარმოთქვა ბაბუამ და ამირანის გარდა, ყველამ მარჯვნივ მივიხედეთ. მწვანე მინდორზე ფეიზბურთის თამაშობდნენ. ნელა მოძრაობდნენ, უხალისოდ დასდევდნენ ერთიმეორეს. სამეელი მომგაონდა. „ეელ, ეელ!“, გაიძახოდა ხოლმე ფეიზბურთის თამაშის დროს. „ნუ იხედები აქეთ-იქით, ირემს უყურე!“ მითხრა ბებიამ. ერთი სული მქონდა, სანამ ამირანი მანქანას გაიჩერებდა და ყველანი ბიძაჩემის გარდა, ბაზარში შევიდოდით, სურნელოვანი საწებელებით, წითელი წიწაკის მძივებით მორთულ დახლებს დავუვლიდით. „არ გაიჩერო!“, უთხრა ბაბუამ ამირანს, რომელიც ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ჭაბის პირას ამოტრიალებულ მანქანას. იქვე, რამდენიმე კაცი იდგა. „რა-ა-მო-ხდა?“, ჰკითხა ამირანმა მხუქან მძღოლს, რომელმაც პასუხის ნაცვლად მხრები აიჩეჩა. ვერც ერთხელ ვერ მოვკარი თვალი ავარიის მსხვერპლს. დაშავებულები ყოველთვის მანამდე მიმყავდით, სანამ ჩავიგლეოდით. „ეიერებივით დადიან!“, თქვა ბებიამ. ბაბუამ სიგარეტს მოუკიდა და რადიოს ღილაკი გადაატრიალა. სპექტაკლს გადმოსცემდნენ: „ვალენტინა, შენ აქ დარჩი, მე ეზოს დავზვერავ!“, უბრძანა აღელვებულმა მეიმრამა ქალს. „ბახ... ბახ!“, გაისმა თოფის გრუხუნი და ბაბუამ რადიო გამორთო. საოცრად დაცხა. ბებიამ ყავისფერი მოსასხამი გაიხადა. პატარა

ძალის ნაკბენს, ფრინველის ამოკორტნილს ბგავდა მის ნაოჭიან მკლავზე ბავშვობაში აცრილი ნაწიბური. ბიძაჩემი ეურნალს კითხულობდა. მანქანაში კითხვა დღესაც თავბრუს მხვევს. „მგზავრულად“ მგზავრობაში ხელს მოწყობდა ამირანის ღია ფანჯრიდან შემოსული ჰაერი, სიგარეტის კვამლი და მანქანის კაკობზე გაკვეთებული ნიკელის ემბლემა. მეგონა, ის ირემი ეკანებოდა ჩვენ ყველ „ეოლგას“... დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი ბორბლებანი თოთოა ირასოდეს შეიცცლებოდა და მთელი უსანტულოობა ერთად ვიმოგზაურებდით... მანქანაში თითქოს კანდაკებები ისხდნენ ბიძაჩემის, ბაბუის, ბებიის და მძღოლის, ან ყველანი ერთად წარმოვადგენდით კანდაკებას, რომელიც მანქანებით დატვირთული ტრასის შუაგულში იდგა. ყოველგვარი ხმა, თუ სიცილი ძლიერმოვიბინი ალწევდა ჩვენამდე. ცხოვრება მანქანის ფანჯრის იქით ჩქეფდა... მიხარიდა, როცა მოსაფალტებულ პლატოზე, ბაბუას თქმისა არ იყოს, „გმირულად“ გადმოვდიოდი. რამოდენიმე წუთი ვიტრფიფიდოდი იქ. ბაბუა ეწეოდა, მე კი სკამებს შორის დავაბიჯებდი. ხანდახან, გაკედილი ავტობუსებიდან ჩამოსულ მგზავრებს ვხედებოდი. „ქართველები არიან!“, ვეკითხებოდი ბაბუას. „ქართველები ჩვენ ვართ!“, მპასუხობდა ნიშნის მოგებით და მე წარმომედგინა, რომ ქართველები მხოლოდ ჩვენი ოჯახის წევრები ვიყავით! საქართველო კი ძველი გამოშვების „ვოლგა“, რომელსაც ამირანი მართავდა... „გადაუღე ბავშვს, რისთვის დგაჯავს ეს ასარატ?“, ეუბნებოდა ბებია ბიძაჩემს. ის ერთადერთი ფოტო, რომელიც მისგან სამახსოვრად დამრჩა, ერთი წლისას გადამიღია. ბაბუას შლაპარასავით თეთრ ღამის ჟურჟელზე ეზიარ და ბებიას ხელება პარაშუტის ქამრებივით ტანზე შემომხვევია.

უშველებელი, ხალხით სავსე მახსოვს საკომლეფრენო ბაზარი. ათასფერადი ვრანდიოზული, როგორც კვირა დღეს საცირკო წარმოდგენა. მე და ბაბუა ყოველთვის ლოყაში ვისხედით და მხოლოდ ზორიდან ვადევნებდი თვალს ულალთმიან მახსოვარს, რომელსაც სასტარტო პისტოლეტი ეჭირა და ამფითეატრის პირველ რიგებში მსხდომნი უფრნეზედა. ყურებს თითებით ვიცობდი, სანამ გაისროდა. მეშინოდა ტაკვიის დაქუხების. მშორდა პირველ რიგებში მსხდომი ბატარა გოგო-ბიებისა გულთანად, უშიშრად რომ იცინოდნენ. ჩვენგან შორს, ამფითეატრის პირველ რიგებში, მანქანის ფანჯრებს მიღმა, უშიშრია, მხიარული ხალხი ცხოვრობდა... ბაზარს ვუსახლოვდებოდით. გზის ნაპირებზე ჩამომსხდარი მოვაჭრეების გასწვრივ მიგორავდა ბორბლებიანი ოთახი. ცხელი ბაჭაურებით ხელში იდგნენ ქალები და მანქანებში მსხდომთ თავისაკენ უხმობდნენ. ბაზრის შესასვლელში უამრავი ხალხი გადი-გამოდიოდა. ყოველი მხრიდან მოვაჭრეთა ხმები ისმოდა. ბიძაჩემი, როგორც ყოველთვის, მანქანაში დარჩა. ბაბუას სახელოზე დავეკიდე. „ხელიდან ალმეცი!“, მითხრა ჩუმად. საოცარ სიმშვიდეს ვგრძნობდი, როცა ჩემი ხელი ეჭირა. მისი შშრალი ხელისგული უშველებელი ვეშპპავით გადასახსნელად ხოლმე ჩემს შიშს, რომელიც უცბო ხალხის დანახვაზე, მთ მანქანაში, დიდ საწოო ოთახში მეკარებოდა, სადაც ბაბუას და ბებიას გვერდით მეძინა. ბაბუასთან შეხებისას ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ერთ უძლეველ არსებად ვიქცეოდით. ბებია და ამირანი უკან მოგვეყვებოდნენ, დახლებთან ჩერდებოდნენ. ბებია, ყველას ეკვეჭრებოდა, ეკითხებოდა, რომელი სოფლიდან იყვნენ და რაკომ ჰყიდნენ საკონლის ძვირად. არ მახსოვს, ბაბუა ჩარეულიყო ვაჭრობაში. კანდაკებასავით ხმის ამოუღებლად იდგა. ზამთარ-ზაფხულ ინგლისური ტვიდის პიჯაკი ეცვა, რომელიც მის ქამარზე დაკიდებულ პისტოლეტს ფარავდა.

ამირანის ხმა უკნიდან მომესმა. შუახნის, შავკაბიანი ქალის გვერდით იდგა. ქალს ხელში თეთრი ძალი ეჭირა. „ეხუთომეტ მანუთად, შვილო!“, უთხრა ქალმა ამირანს. მძღოლმა სულელივით გაიცინა და ძალლს მოეფერა. ფინიამ მორჩილებით გააყოლა თვალი მის ბენზინით აყრილებულ ხელს, კუდი გააქიცინა, გალოკა კიდეც, მაგრამ უცებ აუეფდა და თითში ხვნდა. გაავებული ძალი ქალს ხელიდან გაუვარდა და ამირანის შარვლის ტოტს კბილებით ჩაეკბიდა. მძღოლი ჯერ ყურადღებას არ აქცევდა, თავის თითს დასცქეროდა, სიდანაც სისხლმა გამოყოფნა. „ყაარგი ძაალია!“, ეუბნებოდა დახლთან ატუზული ქალს.

ერთი შეხედვით უწყინარი ცხოვლის სითამამემ რამოდენიმე კაცის ყურადღება მიიპყრო. მათ ამირანის გარშემო წრე შეკრეს და სერიოზული სახეებით დასცქეროდნენ ძალლს, რომელიც მძღოლის შარვალს, ეჭიკჭიკუნებდა. „იქნებ ცოფიანია?“, იკითხა მოკლეკაბიანმა ქალმა. მხარზე პატარა ჩანთა გადაკეკიდა და მრგვალ თვალებს გიჟივით აცეცებდა. „ცოფიანი არ იყოს!“, იმეორებდა ქალი, როცა ამირანი ძალლის მოშორებას ცდილობდა. „წეიკვნე, ქალო!“, უყვირა ძალლის პატრონს, რომელიც ულონოდ ასაცხავებდა ხელებს. თვითონაც ეშინოდა გაავებული ცხოველის. მოალეკაბიანი მანდილოსანი წრის გარშემო დაბიჯებდა. „ცოფიანია, ცოფიანი!“, გაიძახოდა ნერვიულად. არავის მოუქცევია მისთვის ყურადღება, სანამ ადგილს არ მოსწყვდა, წრის შუაგულში შეიჭრა, ჩანთა მოიქნია და მთელი ძალით ძალლს ჩაარტყა. ყველი გაჩუმდა, როცა საბრალო ცხოველი ამირანის ფეხებთან

ირაკლი ჩარკვიანი
ცალფეხშვიდელი გაკვეთილი

გაგორდა. ქალი კი გაუნძრეველად იდგა და თვალებს აცეცებდა, მერე ვიღაც თმაჯიჩილ კაცს ხელკავი მოსდო და ბაზრის გადასასვლელისაკენ წავიდა. უცნაურ წყვილს ყველამ თვალი გააყოლა. ქალი და კაცი ძველებური გამოშვების „ზოსკკენში" ჩასხდნენ და მანქანა მტკრიან გზაზე გაგორდა. პატარა ძაღლი რამდენიმე წამი გაუნძრეველად იწვა, მერე თვალები გაახილა, ფეხზე წამოდგა და ამირანის ფეხსაცმელი დაუნუსა. მძღოლი კვლავ წრის შუაგულში იდგა და თითზე შედედებულ სისხლს აკვირდებოდა. „თამბაქო დაიდე!", უთხრა გლეხმა, რომელსაც სვანური ქუდი ეხურა და შუბლზე ოფლის ნაიალარი ჩამოსდიოდა. „თამბაქო!", გაუმეორა ამირანს და ღობესთან ჩამოჯდა. დარტყიანებული ძაღლი ბარბაცით მიუახლოდა პატრონს და მის ფეხებთან მიწვა. ხალხი დაიშალა, ტენტების შორის მიმოსვლა განახლდა. „აქეთ, ჩემკენ მობრძანდით!", გაისმა მოვაჭრეთა ხმები. შუახნის ქალი ძაღლისკენ დაიხარა, ხელში აიყვანა და ტენტის ჭვეშ დადგა.

ფერადი ტელევიზორი ახალ წლამდე შევიძინეთ. „სარეცხი მანქანა იყიდე!", ეუბნებოდა ბებია, მაგრამ ბაბუა ჭიუტად იმეორებდა: „ახალი წელი, ფერადი ტელევიზორი, ყველაფერს ფერადად ნახავ!", და ხელს რატომღაც ეჭირსკენ ალაპყრობდა, თითქოს ახალ ტელევიზორს იქ დაჰკიდებდნენ. ოცდაათი დეკემბერი იყო, როცა ბაბუამ და ამირანმა ძლივძლივობით ამოთრიეს უშველებელი ყუთი, რომელიც თითქმის ბალდასარას ბარაკის ოდენა იყო. როცა ამირანმა ტელევიზორი ჩართო, ბებია პროტესტის ნიშნად სამზარეულოდან არ გამოსულა... ბაბუაჩემი ყოველთვის ინტერესით ადევნებდა თვალს მძღოლის ხელებს, საოცარი მოხერხებით რომ აწყობდნენ და შლიდნენ ნივთებს. „ნიგბა!", ეუბნებოდა ბებიას, რომელსაც მუდამ ეგონა, რომ ჩვენ ძველ მანქანას ამირანმა მოუკიდა ცეცხლი. „სველი ხელსახელები აქვს!", ამბობდა ხოლმე ზიზღით. მე, ბიძაჩემი და ბაბუა ტელევიზორთან ვიდექით. განათებული, შვინდისფერ ეკრანზე ქალის ფოტოსურათი გამოჩნდა. „ის ქალი, ბაზარში ძაღლი რომ სცემდა!", დავიყვირე მე. „მედეა ნათლიაშვილი. გავიდა სახლიდან და არ დაბრუნებულა!", გამოაცხადა დიქტორმა. დაიგარუნუნა, ეკრანი ჩაქრა და ახალმა ტელევიზორმა ბოლი ამოუშვა. ფერადი ტელევიზორის აფეთქებით აღშფოთებული ბაბუა მთელი დღე ბოლოს სცემდა. არავისთვის ხმა არ გაუცია, ზღაპარიც კი არ მოუყოლია იმ ღამეს. მედეა ნათლიაშვილი მხლოდ ჩემთვის გამოჩნდა, რადგან ყველა მიმტკიცებდა, რომ მომეჩვენა ან ვიღაცას მივამსგავსე. ყოველთვის ჩემს გადარწმუნებას ცდილობდნენ. მაშინაც კი, როცა ვამბობდი, რომ ბოსტნეულის მაღაზიაში მინდოდა მუშობა და რომ ვიტრინა, რომელზეც წყლის ნაკადულები ჩამოდიოდა, წვიმაზე უფრო თამამი იყო. ბოსტნეულის გრილ მაღაზიაში, მეც წაში ბანოჩინი კარტოფილის და არაბისის სუნი იდგა. მეგონა, რომ ჭერის კუთხეში, სადანაც შუშის ვიტრინა იწყებოდა, გოლიათი იწვა და ტიროდა. ყველი ჩემი ასაკის ბავშვი, სამეელას ჩათვლით, მფრინავობაზე, კოსმონავტობაზე ოცნებობდა იმ დროს... „თვითმფრინავობანას", ბიძაჩემი მეთამაშებოდა. ორ სკამს გვერდგვერდ დავდგამდით და ერთ საათში მოვიფრენდით ხოლმე მთელ მსოფლიოს. „საათ გავფრინდეთ?", მეკითხებოდა თამაშის დასაწყისში ბიძაჩემი. უკვე მეოთხე კლასში ვიქავი, როცა რუსი ტურისტი ქალი შეუუვარდა, ბარგი ჩალაგება და რუსეთში წვიდა საცხოვრებლად. „საათ გავფრინდეთ?", მეკითხება ხოლმე სიზზრიფში დღესაც.

სვანური ქუდი ეხურა და ოფლის ნაკადულები სახეზე ჩამოსდიოდა.

ამირანმა თითზე ცხვირსახოცი შემოიხვია და ღობეს გამობმულ ჩალისფერ ხბოს მოეფერა. „რვა თუმანი, ნაკლები არ იქნება!", უთხრა გლეხმა ბაბუას. „სამამულო ომის ინვალიდი ვარ!", დააყოლა ხრინწიანი ხმით. და ქლეკინვითი დაახველა... „სამოც მანეთად მოგვეცი და მიგვყავს!", უთხრა გლეხს ბებიამ და მოუახლოდა ღობეს, სადაც ჩალისფერი ხბო იდგა. „თუმანსაც ვერ დავუკლებ, რვად ვყიდი, თუ გინდა, წაიეკვნე!", კვლავ ხრინწიანი ხმით თქვა გლეხმა. ბაბუა ჩუმად იდგა და კაცს აკვირდებოდა. „რიმელ ფრონტზე იბრძოდი?", ჰკითხა მშვიდად, როცა ჯიბიდან საფფუნე ამოიღო და რვა თუმანი გადაუთვალა. ამირანს თოკის ერთი ბოლო ეჭირა და ხბო ბაზრის გასასვლელისკენ მიჰყავდა. „ინვალიდი!", ჩაილაპარაკა ბაბუამ. „რა ეტყობოდა ინვალიდობა!", იკითხა ბებიამ. როცა ომზე ვფიქრობდი, მხოლოდ ბაბუაჩემი წარმომედგინა, თავისი ვერტნლიფური პისტოლეტით ხელში. ყოველივე ისეთე იდუმალებით იყო მოცული, როგორც ეს ბაბუას ვერცხლისფერი პისტოლეტი. „არაფოდეს უტარებია იარაღი!", ამბობდა ბებია. ყველა ერთხმად მიმტკიცებდა, რომ ბაბუას პისტოლეტი არ არსებობდა. სამეელა მეუბნებოდა, მამაჩემი შუშის ჭიქებს ჭამსო, მანქანის შეგმაც შეუქმნიაო. ზხლოდ ჩემიანები არ აკეთებდნენ არაფერ უცნაურს. ბაბუა ბოლოთას სცემდა, ბებია სადილს ამზადებდა და ბიძაჩემი ფოტოფირებს ამყოვნებდა, მაგრამ არასოდეს ბეჭდავდა სურათებს. ერთ შუმოდგომის საღამოს ბალდასარას ოჯახი ჩვენი ეზოდან გადასახლდა, რადგან „თეგზის დასახლებაში" მიიღეს ბინა. ბარაკი, კი სადაც, ათნი ცხოვრობდნენ, ერთ დღეში დაანგრიეს. მას შემდეგ, ეზოს ახალი მეეზოვე ჰგვიდა, რომელსაც ზვილლშვილი გოგონა მოჰყავდა ხოლმე

თან. მე და ალა ოქროს მედლებით სავსე ტომარას ვეძებდით ბალღასრას ნასახლარში. ხაზელას სატყეველთან, ბაბუამისი ტომარას ერთერთ კედელში ინახავდა. მთელი ნოემბერი ვეძებდით, სანამ სპარგო მანქანა მოვიდოდა და ნაგრეგებს სადღაც წაიღებდა.

ბაზრის შესასვლელთან ხალხი ირეოდა. წრედ შემოკრებილნი შესცქეროდნენ ბაბუას და ამირანს, როცა ისინი ჩალისფერ ხბოს თოკის ბოძოკლებს ადებდნენ. „დრუ-უ-ნჩა!“, ეძახდა ამირანი სიცხისგან მოთენილი ცხოველს. „ალეკტო!“, ამბობდა ბაბუა და ხბოს ეფერებოდა. მოეკვეთაილო თოკით გაკოჭილი ალეკტო მორჩილად იწვა სპარგულის ქვეშ. ადამიანური, მრგვალი თვალებით შესცქეროდა შემოკრებილ ხალხს. „რას ნიშნავს ალეკტო?“, ეკითხა ბიძაჩემმა, როცა მანქანაში ჩავსხედით. „ბერძნული სიტყვაა... შეუშვარო“, გაიღიმა ბაბუამ. „ბერძნული გინაზიაში ისწავლე?“, — განაგრძო ბიძაჩემმა. „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროზე სახრჩობელა!“, — წარმოსთქვა ბაბუამ სერიოზული სახით. მანქანაში ხიჩუმე ჩამოვადგა და ბებიამ ქაღალდის პარკი აუშრაშუნა. ყველამ მოტორის მიაყურა. მე გაკოჭილ ალეკტოზე ვფიქრობდი, რომელიც მანქანის სპარგულში იწვა და თავი რეზნილის სახურავზე ედო. „სუონ არ ვიეიდოთ?“, კითხა ბებიამ. გამეკვირვალე პარკი გამომიწოდა, ხელნანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სათვალე გაწმინდა. „წინ იყურე, ირემს უყურე!“, მითხრა სხვათა შორის. ნიკელის ირემი ნელა ექანებოდა მანქანას გზაკვარდინისაკენ, რომელს ერთ კუთხეში ცისფერი საფუნთუშე იდგა. „ხბო არ დაიბრჩობა?“, კვლიე ბაბუას, როცა ამირანი პურის საყიდლად გადავიდა. მანქანაში, ახლად გამომცხვარი პურის სუნი დადგა. ამირანმა მარჯვნივ გადაუხვია. მიწაყრილ გზაზე გაგორდა მანქანა. სირენები, საკვირები, შორიდან გაისმა. ჩვენი მანქანაც თითქოს დაშუნჯდა და გემივით უხმოდ გაცურდა ხავსით, მაღალი ბალახით დაფარულ ნასახლარებს შორის. მატოვებული, ერთიბეწო სოფლის ბოლოს, დაბალ ბორცვზე, ხუთიოდ ხელგაშლილი ჭკარი იდგა და შეფოთილიკი ხე, რომელზეც სხვადასხვა ფერის ნაჭრები ეკიდა. როცა ნასახლარებს და სასაფლაოს გავცდით, გზა ოდ-ნარჩოლრო ბილიკად გადაიქცა. მწვანე მინდორი გამოჩნდა და ბაბუამ ამირანს ანიშნა, შეუხვიეო. ასიოდე მეტრი მივსრიალებდით ბალახში. სპარგულში დაშეკვედიულ ალეკტოზე ვფიქრობდი. არც კი გაფაჩუნებულა, სპარგულის ბანსნის, ხელმეორედ დაბადების მოლოდინში გარინდულიყო. პატარა ხევში უხმაურო ნაკადლები მიედინებოდა, ზედ მანქანის სახურავი ხიდივით იყო გადებული. ამირანმა სპარგული გახსნა, მაგრამ ხბოს თავიც კი არ წამოუწევია, როცა იასამნისფერი ცა და ნუშის ჭალაჭალა ყვავილები დაინახა. „დრუ-უ-ნჩა!“, უთხრა ამირანმა და ყურებზე ხელი გადაუსვა. ეს სპარგიულიდან რეზნილის და ბენზინის სუნი ამოდიოდა. ალეკტოს გარშემო მანქანის ზეთში გათხვრილი ნაჭრები ეყარა. ნაირფერადი, როგორც მატოვებული სოფლის ბოლოს, ნატვრის ხეს გამობმული ჩვრები. ხბო გაუნძრეველად იწვა. მისი ჩალისფერი ბეწვი და მთვარესავით მრგვალი თვალები ისეთ გრძნობას იწვევდნენ, თითქოს ოდესღაც ნანახი მიმეორდებოდა. „კაცია თუ ქალი?“, კვლიე ბაბუას, რომელმაც ამირანთან ერთად ხბო სპარგულიდან ამოიყვანა და რამოდენიმე ნაბიჯის მოშორებით, ხის ძირას დაუწვინა. „გაიძინა.-გამოიორბინე, რას დამდგარხარ!“, მიბრძანა ბაბუამ. ბიძაჩემმა სპარგულიდან ტკავის ბურთი ამოიღო, ფეხი დაარტყა და ხის კენწეროებზე უფრო მაღლა, თითქმის სასტუმრო „ოვერიოს“ სიმაღლეზე აადო. „ოვერია“ მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა მეგონა იმ დროს. „ბიძაჩემი „ოვერიოს“ სახურავზე აადგებს ბურთს!“, ვუმტკიცებდი სამეგობროს, რომელსაც არასოდეს სჯეროდა ჩემი. ღრუბლებისკენ ატყორცნილ ბურთს გავეკიდე, ხის ტოტებში რომ ჭიკჭროდა, ბზეს გაეტოლა და ვიწრო ხევზე ჩაგორდა. მიწის ბოლქვებზე ერთმანეთში განასკუდულ ხის ფესვებზე ჩავრიბნენ, ტოტს ჩავეხლეშუე, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და წყალში ჩავეტაპე. „სათო, შვილო!“, მოიმესმა ბებიას ხმა. ტოტებს ჩაჭიდებული წყაროსთან ჩამოცოცებას ცდილობდა. ბურთი დინებამ წაიღო და უკან გავეკიდე. როცა ბურთთანაც ნაბიჯზე გავმოვბაბეე, ბებია უკვე ნაკადლის პირას იდგა და ხელს მიქნევდა. მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ ერთი სანდალი ალარ მეცვა და ცალფეხშეშველი ვიდექი სველ მიწაზე. წყალში შესვლას ბებიას შიშით ველარ ვბედავდი. ხევს ნაბიჯ-ნაბიჯ მივუვლეთდა და ვცდილობდი ჩაძირული ფეხსაცმელისთვის მომეკრა თვალი. ბებია ჩემ წინ იდგა და ხის ტოტებს შორის გამომკრთალი მზის სხივი სახეზე ეცემოდა... პროფესიითან ფურნალისტი იყო, მაგრამ მთელ დღეს სამზარეულოში ატარებდა. უყვარდა, როცა ბაბუას კარგ სადილს დაახვედრებდა. „ჩემი პროფესია ბამბა!“, ამბობდა ბაბუა. მშვენივრად ესმოდათ ერთმანეთის. არასოდეს გამიგია მათი ჩხუბი. ბოლო დროს მხოლოდ ფერადი ტელევიზორის თაობაზე კამათობდნენ. ბებიას ჯერით ნარეკი ნამ მანქანა უფრო გვესაჭიროებოდა, ვიდრე ახალი ტელევიზორი.

ხის ფესვებს და ტოტებს ვეკიდებოდი, ზევით მივიცოცავდი, სადაც ბაბუა, ამირანი და ბიძაჩემი იდგნენ. ბიძაჩემი ხის ტოტს ფლიდა. „ტორო!“, მითხრა ღიმილით და წყვეტტებული ჯოხი მომიშვირა. „წყალში ჩატოპა და სანდალი გაძვრა“, უთხრა ბიბიამ. „ტორო!“, გაიმეორა ხრინწიანი ხმით

ბიძაჩემმა, ზუსტად ისე, როგორც ინვალიდმა, ვისგანაც ალექტორი ვიყიდეთ. „წადი, ბალაი, ყვავილები მოუტანე ხბოს!", მითხრა ბაბუამ და ხელი დაბალი ბორკვისაკენ გაიშვირა. „სად უნდა წვიდეს ცალფეზშიშველი?", გაიკვირვა ბებიამ. „ბალაი და ყვავილები დაუკრიფეთ!", გვიბძანა. ორივეს მოხუცმა. ხის ძირას მიწოლილი ალექტორს შეეხედა. მზის სხივი ეცემოდა და მისი ჩალისფერი ბეწვი ამირანის ოქროს კბილივით ბზინავდა. „ბავშვობაში სულ ფეხშიშველი დავდიოდით!", ამბობდა ბებია და ბორკვისაკენ მიეკავდი. თავის ბავშვობაზე მიეკვიდა, როგორ იქერწენა ის და ოჯახი ძმა ჩიტებს. „ტაფაზე" ვწვავდით, პური არ გვკონდა, პატარა მკადეს ვაცხობდეთ!", ამბობდა ამაკად და მინდვრის ყვავილების მოსაწყვეტად დახრილს, შავი წინდისთავები მოურანდა. თავის საყვარეკი, რუსულ რომანსს ღიღინებდა, რომელსაც ძალიან იშვიათად, ფორტეპიანოს თანხლებით ასრულებდა. ბაბუას ერთადერთი მეგობარი ვასიკო უკრავდა ხოლმე ჩვენ მოწოთალო, ფდუმრე ინსტრუმენტზე.

ყვავილებსაც შეეპარა, თუ მარტო ბალაი დავწყვეტო?", ჯეთხე ბებიას, როცა ის ბალაზში ჩავდა. „ყვავილები და ბეგრი ბალაი!", მომაძახა ულნიან. ბორკვიდან ჩავრიანენე და ბალაზში გაგვიჩერი. წინდის სამაგრი მიმწყდა. არაფერს არ ველოდი ისეთი სიხარულით, როგორც თხუტტტ მაისს, რადგან ნებას მრთავდნენ მოკლე შარვალი, მაღალსელიანები წინდების გარეშე მეტარებინა. ბალაზში ვიწექი და ვნატრობდი მალე დამდგარიყო საოცნებო დრო. ბუსუსებიანები, ბუზლუნოს მსგავსი ბალაზის ღერო მოვწყვეტე და ენაზე დავედე. ამ ბალაზის პირში ჩადებას ყოველთვის მიკრძალავდნენ. „სასულეზი ჩაცოცდება, დაიხრჩობი!" მეუბნებოდა ბებია. „ეკვდები!", დავიყვირე რაც ძალი და ღონე მქონდა. მაღალი ბალაზიდან ვუყურებდი, როგორ წამოდგა ბებია, მიიხედ-მოიხედა და ისევ დაჯდა. „სად ხარ, მოდი!", გადმომძახა ბორკვიდან ან სახე მზის სხივებს მიაპყრო. ბუსუსებიანი ბალაზი გადმოვიფურთხე.

ზუსტად ისეთი იყო ბებია ამ დღეს, როგორიც ძველ ფოტოებზე. ახალგაზრდობის სულ ორი თუ სამი ფოტოსურათი ჰქონდა. „ძალიან ლარბაგდ ცხოვრობდნენ ის დროს, მხოლოდ მეფე იყო მდიდარი!", მიუკვდება ბაბუა. წრედ შემოკრებილი, აუარებელი ხალხი წარმომედგინა. მაღალი მთის გარშემო იდგნენ, რომლის მწვეტვალზე, ოქროს სავარძელში მისვენებული მეფე ნებივრობდა. „გვიშველი, მეფეო, გვშველ!", ყვიროდა ხალხი. მეფეს კი თითქოს არ ესმოდა მათი ხვეწნა-მუდარა. ცაში იყურებოდა ((ა ზეთისხილს შეექცეოდა. ჩემ წარმოდგენებში ყოველთვის ბაბუა იყო მეფე. მასაც უყვარდა ზეთისხილი, რომლის დანახვაზეც კი გული მერეოდა. ზღაპრებში, ბაბუა ძალის წინ რომ მიუვებოდა, მთავარი მოკმედი გმირები მეფეები იყვნენ. ისინი, როგორც წესი, „ეფლებელ ტატანებს ებრძოდნენ და „ცაბ" ითვლებოდნენ. „სულ ძველად, ერთი კეთილი მეფე ცხოვრობდა, რომელმაც ყველაფერი დაარიგა და მხლოდ ცა დაიტოვა თავისთვის!", მიუკვიდა ბაბუა. ხშირად მესიზრეზოდა მოხუცი მეფე, ორ, გვერდგვერდ მიდგამულ სკამზე იწდა და ჰაერში დაფრინავდა. „ეს ყველაფერი ჩემია!", მიუყიროდა ციდან და სკამებს ჩაჭიდებული, |ვარსკვლავებს შორის დაკრთდა.

ყვავილების ბლუკას ხელი წვავდეთ და ბორკვზე ავირბენდა. „შეიგროვე, შეიგროვე, ეს არ ეყოფა!", მითხრა ბებიამ, მაგრამ ხელიდან გავუსხლტე და მანქანისკენ გავიქეცი, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს ყველას მიეტოვებინა. „ამირან!", მომესმა ბაბუას ხმა და მისი თეთრი შლაპა დავინახე. მანქანის უკან, სისხლში გათხვრილ ბიძაჩემს და ამირანს შევეფეთე. თავმოყვეთილ ალექტორს ფეხებს უბერდნენ. ხბოს დასისხლიანებული თავი ორიოდ ნაბიჯის მოშორებით, ხის ძირას ეგდო და თვალდაჭყეტილი, ვიწრო ხეეზი მორაკრაკე ნაკადულს ჩაშბერებოდა. „ცინლამ" ფეხზე წამოხტა!", ჩაილაპარაკა ამირანმა. „რისთვის დაფუკრიფე?", ვიკითხე მანქანის ღია კართან მდგომმა. „ცუდად მოიქცა!", მიპასუხა ბაბუამ. „ეამომექეცა, რა ჩემი ბრალია!", თავს იმართლეზდა ბებია და ბიძაჩემისკენ მიდიოდა. „წწვადები ხომ გიოვარს?", მკითხა ბაბუამ. ბიძაჩემი ხის ტოტს დაეკიდა. „გაუფლეზს!", უთხრა ბაბუას. ბებიიან სისხლიანი დანა ზეკალში გასაფლეზად წაიღო. ბაბუამ და ამირანმა ხბო ხის ტოტზე დკიდეს. „ფეხზე კი-ი-ნალამ წამო-ოხტა!", ამბობდა ამირანი და ხეზე დაკიდებულ ალექტორს ფაშეზზე ხელს უთათუნებდა. მანქანის ღია კართან ვიდექი და ბაბუას ვუყურებდი. სუსანა პარიკმაზერის გაშტერებული მზერით აკვირდებოდა ხბოს, რომლის სისხლიანი კისრიდან ვარდისფერი ბუშტი გამოიბერა და გასკდა. ბაბუა და ბებია ერთმანეთის ვვერდგვერდ იდგნენ, როგორც იმ ფოტოსურათზე, რომელიც ერთ-ერთი ექსკურსიის დროს, წითელკეკიანმა ფოტოგრაფმა გადაეკვლო... ბიძაჩემი ყოველთვის შურით აკვირდებოდა ამირანის ხბორ და ხვეულ თმას, ალექტორს ჩალისფერ ბეწვსაც კი. მისი საყვარელი დრო შემოდგომა იყო. საათობით შეხცქერიოდა ქარიან დღეებს, ფოთოლცვენას. ყველაზე უფრო მის გასაჯარს ებრიალ ვანიცდიდა. ერთიხანობა, „თვითმფრინავზანას!" თამაშიც შეეშვეკიტეო, რადგან ბიძაჩემი ბებიას გაკეთებულ საფეხეს იდებდა თავზე და დადგრეზილი დაანაჯეზდა ოთახებში. გაზაფხულზე, როცა ყველაფერი ყვავიდა, მხლოდ მისი მარმარილოსავით პრიალა თავი იყო გლუვი და უცვლელი.

„ლრმაა!", თქვა ამირანმა, როცა ბაბუამ ხბოს ტუავი გაკეთო. ტკავს შიგნით, ბაბუას პერანგ-

გივით ქაძალთა აპკი გამოჩნდა. საოცარი სისწრაფით ატაკვებდნენ ხბოს ბაბუა და ამირანი. რამოდენიმე წუთში ოქროსხმეწვიანი ალეტტო თეთრი იალქანივით ეკიდა ტოტზე. ალარაფრით ბგავდა იმ მორჩილ, მშვიდ ცხოველს, რომელიც ბაზრის გადასასვლელისაკენ მიმყავდა ამირანს. ფიჩხის მოსატანად მე და ბებია წავედით. უხაროდა, როცა ვეკითხებოდი, როგორ იკერძნენ ის და მისი ძმა ჩიტებს... ტოტს დაკიდებული ხბოს შიგნეული თეთრი აპკიდან ველალებივით მოციცავდა. ჩქარ-ჩქარა ვაგრძოვებდი გამმბარ ჯოხებს და ერთი სული მქონდა, სანამ უკან მოვბრუნდებოდი, ველიფში ამოუფდგებოდი ბაბუას, რომელიც, როგორც ოვითონ ამბობდა, გაკვეთილს ჩამიტარებდა. ვარსკვლავებით მოჭედილ ცასავით მშვენიერი და მიმზიდველი იყო ხბოს ნაირფერადი შიგნეული. ათასობით ერთიმეორეში გადასული-რთული, სისხლიანი თასმებით ნაქსოვი იდემალი სამყარო. ჭიანჭველებიც კი სისხლიანი ხლართებისაგან შესდგომოდნენ თურმე. ბაბუას სიტყვებით, მის თეთრ შლაპაშიც გადათვალილებოდა მოლეკულოსაო ჯარები. „ველა ნივთში მიედინება სიცოცხლე!", მეუბნებოდა მოხუცი. „ეს არის გული!", წარმოთქვა მერე გამარჯვებული სახით. ჩვენ გაკვეთილს ყველა ყურადღებით უსმენდა. უცებ ამირანს სიცელი აუტაცდა. ბაბუას გარდა, ყველა იცინოდა. „ნაწყალი, საჭირო ოთახში სდომებია!", ჩაიხითხითა ბებიამ ჩემ გასაგონად და ცხვრსახოცით ცრემლი მოიწმინდა. „ფი-ი-ზის შვე-ე-ბა!", მითხრა ამირანმა და მხოლოდ მაშინ მიეხედა, რა იყო ხბოს მოცელილან გადმოღვრილი სითხე. „ბაზტეტი ხომ გიყვარს?", მკითხა ბაბუამ და სისხლიანი ხელებით მუქი ზეწდნისფერი ღვიძილი დამანახა. ბებიამ ღვიძლი ქაღალდის პარკში ჩადო, რომელსაც მანამდე ხელში ამარაზუნებდა. „რა ტკუილად დაგაკვეს ეს აპარატი!", უთხრა ბიძაჩემს. არასოდეს გამიგია ბიძაჩემის აპარატის გაჩხაკუნება. როცა ის ერთადერთი ფოტო გადამიღო, ძალიან პატარა ვიყავი. არ ვიცოდი, ვინ იყო მელოტი კაცი, რომელზეც მეუბნებოდნენ, „აბა, თქვი ბიძია", მერე უნდა მეთქვა „ბებია, ბაბუა, მაჩქანა, ირემი..." ახე განჩდა ჩემ გარშემო სამყარო. მხოლოდ ერთ ფოტოსურათზე ვართ გადადებული ყველა ერთად. იმ წითელქუდიანი ფოტოგრაფის მიერ გადადებული სურათი დღესაც ბაბუას კანაფენში ჰკიდია. ბებია და ბაბუა სურათის შუაგულში დგანან. ბიძაჩემს, როგორც ყოველთვის, უკმაყოფილო სახე აქვს, თითქოს ძალით შეეგდესო გადასაღებად. ამირანი რატომღაც ცდილობს ხელი წამაღლოს, მე კი ბაბუას და ბებიას შორის ვიმალები. იმ სურათზე მხოლოდ ჩვენი „ველგა" არ ჩანს, რომელიც მხოლოდ სიზმრებშიღა დაგორავს ზუსტად ისეთი, როგორიც იყო.

ჩაფერფლილი კოცონის გარშემო ვისხედით. ყველაზე მეტს ამირანი ჭამდა. თითქოს არ ეყოფოდა ბავდა, პირდაპირ ულაპაკად ხორცის ნაჭრებს ბიძაჩემი ზიზღით ათვალიერებდა, დიდნახს არჩევდა ლანგარზე დაწყობილ მწვადის ნაჭრებს და მხოლოდ ერთის შემჭამს ასწერებდა, სანამ ამირანი ოთხს გადაყლაპავდა. ალარ მახსოდა, ჭამდი თუ არა ბაბუა. ვერ ვიხსენებ მის სახეს, ხელს, რომლითაც ხორცის ნაჭერი პირისკენ მიჰქონდა. როცა ჩვენ ვეპაფდით, უმ ხორცს კალათაში აწყობდა, მერე ხბოს თავი მიჰქონდა სადღაც. ვერ ვხედავდიდი, დამარხა თუ სადმე დატოვა ტყეში გაგვეული ცხოველის თავი. იმ დღეს ფერმკრთალი და ანერვიულებულები დაბრუნდნა. „ამინდი ფუჭდება!", წარმოთქვა დალლილი სახით. პირველად მაშინ შეენიშნე დალლილი სახით. ბებიამ ტანდაბალი მოიჩეენა. წარმოვიდგინე, რომ შეიძლებოდა როდესმე მომკვდარიყო. მოგვიანებით გავიფიქრე იგივე ბებიაზე, ამირანზე, მაგრამ თავდაპირველად სიტყვა სიკვდილმა მაშინ შემაძარწუნა, როცა ჩვენი მანქანა ბაბუას გარეშე წარმოვიდგინე. მან ამიხსნა, რა იყო საგნები და რანი იყვნენ ადამიანები. მისი სიტყვებით დავიწყე ლაპარაკი, მიხვრა-მოხვრაში ვგამაკედი. მეგონა, ბაბუას განუუოფელი ნაწილი ვიყავი და მისი სიკვდილი ჩემსასაც ნიშნავდა. ყოველივე მის მიერ ნათქვამი განქერბოდა. დარჩებოდა ის არაფერი, რომელიც მხოლოდ ცუდად გამეკვანებულ ფოტოფირებზე მქონდა ნანახი. ერთმანეთში არიელი ჩრდილები და ფორმები. „ქაოსი!", როგორც ამბობდა ბაბუა.

ცხელმა ქარმა დაუბერა და მოლრუბლული ციდან წვიმის პირველმა წვეთებმა გამოეთნეს. ყველანი წამოვდექით, მხოლოდ ამირანი იჯდა ჩაფერფლილ კოცონთან და ლანგარზე დარჩენილ ხორცის ნაჭრებს პირში იტენიდა. როცა საქეს მიეჯდა, კვლავ იღებებოდა. ჩვენ ულებრივზე უფრო ნელა მიგორავდა ჩვენი „ველგა". თითქოს წყალქვეშა ვეშში ვისხედით და ოკეანის ფსკერზე მივცურავდით. ბინდბუნდში ჩაფლული სასოფლო უფრო შორი მოიჩენენა. წყალში ჩაძირული ქალაქის ნანგრევებს ჰგავდა ხავსით დაფარული ნასოფლარი. ნატეხის ხეს დაკიდებული ჩრენი, თევზის კუდებივით ირწეოდნენ. „წინ იყურე, ირემს უყურე!", მითხრა ბაბუამ. ნიკელის ირემი წყლით დამძიმებულ სივრცეს მიაპობდა. ბაბუამ სიგარეტს მოუკიდა. წვიმიან ამინდში უფრო მკვეთრად ვგრძნობდი თამბაჭოს სუნს. მოხუცს ეგონა, მაღიზიანებდა, გუულს მირეცდა კვამლი. მე კი მსიამოვნებდა, როცა მოცისფრო მოლის ჩიგკენ უშვებდა. ვცდილობდი, ღრმად ჩაეხუნთქა. „აქეთ გამოგბოლე!", ვეუბნებოდი ბაბუას. ის კი თავს იყრუებდა და გამოღებული ფანჯრის ბერილში უშვებდა კვამლის ბოლქვებს. რატომ არ სჯეროდა, რომ თამბაჭოს სუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშველდა „გმირულად“ მოგზაურობაში, რომ სავარძლის გადაკრული ნაჭრების, ძველმანების სუნი, ბებიას ქაღალდის პარკი მხვევდა თავბრუს და არა ზღაპრული, ლურჯი კვამლი. „სისულელეა!“, მეუბნებოდა მკაცრად, თითქოს თვითონ უკეთ იცოდა რიდის მერეოდა გული. „საზღაწლრობაა!“, ამბობდა სიგარეტზე და ხარბად ისუნთქავდა კვამლს. ამირანმა სვლას აუჩქარა. „სეტყიცხოველის!“, თქვა ბაბუამ და მძღოლის გარდა, ყველამ მარჯვნივ მიეთვიდეთო. ფეხბურთის მოედანზე რამდენიმე ბიჭი დარჩოდა, გაწუწულები წყლის გუბეებში დაგაორებდნენ ბურთს. ჩემს ცხოვრებაში პირველი ეჭაკურია იყო, როცა გული არ აბრეკია. ბებია შემპირდა, რომ თუ „მმირულად“ მიგიღწევთ სახლამდე, ვასიკოს მოგანილი კანფეტებს მაჯმევდა. ვასიკოს ყოველთვის „ციბორჩხალას კიხერი“, ჩემი საყვარელი კანფეტები მოჰქონდა. „ბევრი ტკბილი მავნებელია!“, მეუბნებოდა ბებია და კანფეტებს მიმალავდა. „პიტკოლეტს მარვენებ?“, ეკითხე ბაბუას მანქანაში. გაკვირებული სახე მიიღო. საიდან მოიგონე ეს პიტკოლეტი, რიდის მოგეჩვენა?“, მიპასუხა კითხვით. დარწმუნებული ვიყავი, იწყოთაც პიჯაკს შიგნით, ქამარზე ეკიდა. რას არ გავაკეთებდი, ერთხელ მაინც რომ ეჩვენებინა, მთელი თვე გაზით წყალს არ დავლეკდი, ნაყინის ფულს არ ვთხოვდი, სამეელის ველოსიპედზე არ შემოვუჯდებოდი. არასოდეს არ ვიტყოდი, რომ ბოსტნეულის მაღაზიაში მინდოდა მუშაობა და რომ გოლიათის ვიტრინაზე დგომრებული ნაკადულები უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ზეგმა.

თბილისს ვუახლოვდებოდით და გული მიძგერდა, როცა ბაბუას მეედეს, ვასიკოს კანფეტებს წარმოვიდგენენი. მაშინ საღეკი რეზინის არსებობა ჯერ არ ვიცოდი. მხოლოდ მერე, როცა ჩემი დედ-მამა ალეირიდან ჩამოვიდა, გავიგე, რომ ვასიკოს კანფეტებზე უკეთესი, საღეკი კანფეტები არსებობდა. როცა ეზოში შევედით, უფრო ჩამობნელდა. ამირანი სახლში არ ამოგვყვა და ბებიამ მანქანაში გაუწოდა ქაღალდის პარკი, რომელშიც ხმის ღვინით და ბარძაყის ნაწილი იდო. ამირანმა საჩუქარი უსიტყვოდ გამოართვა და მადლობის ნიშნად ოფლიანი ხელისგულები შარვალზე შეიწმინდა. იმ საღამოს მეედეზე გულზე დამაკიდეს და ბებიამ კარადის თავიდან ვასიკოს მოტანილი კანფეტები ჩამოიღო. იმდენად აღგზნებული და ბედნიერი ვიყავი, რომ ოლიგინში თვალი ვერ მოვხუმე. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემ სხეულში სხვა ბავშვი ჩასახლებულიყო და მოსვენებას არ მაძლევდა. თვალებს ვხუჭავდი, ის კი ახედდა. საბანი გადავიხურე, მას კი ფეხზე ეამოხტომა უნდოდა. „სიცხე გავუზომოთ!“, თქვა ბებიამ, სანამ იღლიაში თერმომეტრი მედო, ბაბუა ზღაპარს მიყვებოდა. იმ პირველ დღე დიდებული ბედნიერი რომელშიც ყველაფერი დაარღვა ეს ამირანიც დაიტოვა თავისთვის... მაღალი სიცხე მქონდა. თვალდახუმული, ნაცრისფერპიჯამაში მოხუცი მელანდებოდა, რომელიც ხელებს იქნევდა და ცისკენ აფრენას ლამობდა; მისი ხელები უშველებელ ფრთებად გადაქცეულიყვნენ. ობობას ელექტრომავთულებივით შავი ესხესია იყო დაფარული სივრცე. „არა, არ შეიძლება!“, ვბობდით მთელი ღამე და ბაბუას ხელი მეჭირა. „ნუ გეშინია, აქ ვარ!“, მამშვიდებდა ჩემს ლოგინზე ჩამომჯდარი მოხუცი. უშველებელი რკინის ფრთები ნელა იკრეხდა ძალას. მძიმედ, ჩემი გულისცემის რიტმში ირწეოდა. „არ წაბვიდე!“, ვევედრებოდი მთელი ღამე და ბაბუას ხელი მეჭირა. ჩემს ლოგინთან გაათენა და მხოლოდ დილით დაწვა დასაძინებელად. ერთი თვე ლოგინში ვიწექი და ვიღაც ქალაბატონ ექთანი ნემსებს მიკეთებდა. ბებია, ყოველდღე უკვებოდა, როგორ გავცივდი და რატომ დამემართა ფილტვების ანთება. ერთხელ, ჩემ სანანახავად ვასიკო მოვიდა და კანფეტების ნაცვლად, სათამაშო თვითმფრინავი მომიტანა. მისი გარდაცვალების ამბავი მაშინ შეეიტყვე, როცა ექიმმა ფეხზე წამოდგომის ნება დამრთო. ყველაზე ზზრარდ სამეელი მოდიოდა, იმ დროს ჯერ კიდევ ჩვენს ეზოში ცხოვრობდა. ველოსიპედის ზეთში გათხვრილი ხელებს ბებია ძალით ანაბნევნდა. ლოგინის კუთხეში ჩამომჯდარი მიეკვებოდა, რა ხდებოდა ფანჯრებს იქით, ფეხბურთის მოედანზე. მითხრა, რომ მალე სხვა სახლში გადადიოდნენ საცხოვრებლად. როცა ვასიკო გარდაიცვალა, ბებია და ბაბუა მის დასაფლავებაზე რომელიღაც სოფელში წავიდნენ. ბიძაჩემი „თვითმფრინავობანას“ მეთამაშებოდა. ეს, მისი აზრით, საუკეთესო თამაში იყო, ისევე, როგორც ოფიდრიანელი, გერმანული ფოტოალბომები. ყველაფერს რაც მას ეკუთვნოდა ან მისი მოგონილი იყო, მსოფლიოში საუკეთესოს ეძახდა. „თვითმფრინავობანას“ თამაშში მთელი მსოფლიოს რუკა შემოფიფინეთ. ერთი წელიდან მაშორებდა იმ დროს, როცა ავთიელ ზურგჩანთგადაკიდებული, ყვავილების თაიგულით ხელში, პირველ კლასში წავიდოდი.

დღეკმბრის შუა რიცხვებიდან თოვდა. შინიდან თითქმის არ გავდიოდი. ერთი ორჯერ ვიტირე კიდეც, როცა გამახსენდა სამეელი, მისი შეუპოვარი ხასიათი და მაზუთში დასვრილი ხელები. ვიტირე, რადგან არ ვიცოდი, სად გადავიდა საცხოვრებლად. ბაბუას სიტყვებით, „თევზის დასახლება“ იმ სიშორეზე იყო ჩვენი სახლიდან, როგორც მეტეთა. როცა სამეელზე ვფიქრობდი, სეტყიცხოველი წარმომედგინა, რომელსაც საცხოვრებელი სახლივით ფართო ფანჯრები ჰქონდა. ბაღდასარა

ეზოს ხვეტავდა და ველოსიპედზე შემომჯდარი სამეელი ეკლესიის გარშემო დაქროდა... სახლში შემოსულები თოვლს იბერტყავდნენ და ერთხმად გაიძახოდნენ, რომ თბილისში არაოდეს უთოვია ასე დიდხანს. იქ, სადაც ბაღდასარას ბარაკი იდგა, მეზობლის ბავშვებმა წყალი დასახეს და სასრიალო მოაწყვეს. ერთხელ გავხარალდი იმ ენულუზე და ისე დავეცი, რომ ტვინის შერყეცა დამემართა. სამი კვირა გაუნძრეველად ვიწექი. მთელი ღამეები ბერს შევცქეროდი და ისეთ ტელეფაზორზე ვოცდებიდი, რომლის ბერზე დაკიდება შეიძლებოდა. ბაბუა, ზღაპრებს მიუვბოდა, რადგან ექიმი სურათების დათვალიერებასაც კი მიკრძალავდა. ფრიცხვი მეფეი ცხოვრობდენ ჩემ წარმოდგენებსა და სიზმრებში. ბებია ამბობდა, რომ ჩემი ტვინის შერყეცის მიზეზი ის გაცივება იყო, ფილტვების ანთებით რომ დასრულდა. მას შემდეგ დავსუსტდი, დავავდაყოფდი და ფეხიც არ დამიცდებოდა, სხვა ბავშვებივით ღონეები რომ ვყოფილიყავი. ტვინის შერყეცას, როგორც იქნა, ბოლო მოეღო, მხოლოდ ზამთრის დასასრულს არ უნანდა ბოლო. თოვა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა ერთ თებერვალს ღილას ჩვენ ეზოში ჩოჩქოლი ატყდა. მახსოვს, ძალზე ჩაქუსა გაუგებარი სიტყვები და როცა თვალები გავახილე, ბაბუას გაფითრებული სახე დავინახე. ბებიას და ბიძაჩემს სიგარეტის კვამლით ცისფერი სახეები ჰქონდათ. აივნებიდან მეზობლები გადმოდგარიყვნენ და ეზოს დასცქეროდნენ, რომელიც შავ ღრუბელს დაეფარა. კვამლი თანდათან გაიფანტა და ამირანი დავინახე, რომელიც ვეღრთი ხელში ჩვენი ცეცხლწაკიდებული მანქანის გარშემო დარბოდა. ეზოში არ ჩამოშვებს და აივნიდან დაცქერიდი კვამლში გახვეული მანქანის გარშემო შემოკრებილ მეზობლებს. ათასნაირი თითქმა-თითქმა მოპყვა უცნაური ხანძარს, რომელმაც ჩვენი მანქანა შთანთქა. რამოდენიმე დღე ჩვენი ჩუმი ოჯახი, ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ სულ მალე კარგი ამინდები დაიპირა, ხალმაჯ ქუჩებში სეირნობა დაიწყო. ყველას გადაავიწყდა ხანძარი, მხოლოდ ბაბუა იყო კვლავ გაფითრებული. ამბობდა, გული მაწუხებსო. სამსახურში სიარულს თავი დაანება და მთელი დღეები ოთახებში ბოლთას სცემდა, მისი ზღაპრები ერთიმეორეს დაემსგავსა. სულ იმ ერთ, ჭვეენნად პირველ და უძლიერეს მეფეზე მიყვებოდა, რომელმაც ყველაფერი დაარიგა და მხოლოდ ცა დაიტოვა თავისთვის. „რად უნდოდა ცა?", ვეკითხებოდი ძალის წინ...

ახალი შავი „ვოლგა" მარტში იყიდა. ყველაზე ბედნიერი იმ დროს ამირანი იყო. ისე უხაროდა მანქანის მრთვა, რომ ენა აღარ ებმოდა. ბებია სამზარეულოდან არ გამოდიოდა, აბაზანაში ჩაკეტილი ბიძაჩემი ჩვენთვის უცნობ ფირებს ამყოვნებდა. დამწვარი მანქანა ბაღდასარას ბარაკის ადგილას გადათრიეს და რაკრაკ-დენიმე დღე, სანამ ამწეთი წაიღებდნენ, ჩვენი ეზოს ბავშვები შიგ სახლობანას თამაშობენენ, მერე მანქანა წაიღეს და ბაღდასარას სახლის ადგილას კვლავ სიცარიელე დარჩა, მოასფალტებული ოთხკუთხეები, რომელნენე პატარა ალამ „ალასობანას" სათამაშო დახატა და დილიდან სალამამდე ცალ ფეხზე დახტოდა, გაზაფხულის დღეები ჩქარა გადიოდა. ბაბუამ თეთრი შლაპა დაიხურა, რაც ძალი მაწუწუნელი იყო, რომ ექსკურსიების დროც დადგა. ჩვენი უკანასკნელი ექსკურსია მაისის პირველ რიცხვებში მოეწყო. ბაბუამ ბაზარში გოჯი იიღო, რომელსაც ამირანი ღრუტუს უძახდა. ახალ მანქანაში გუდი არ მერეოდა, მაგრამ ბებიას მაინც დაეკმინდა გამჭირვალე პარკი. „წინ იყურე, ირემს უყურე!" წამოსცდა რამოდენიმეჯერ ბაბუას. ახალი მანქანის კაპოტზე ნიკელის ემბლემა აღარ იყო. არაფერი არ იდგა მის ნაცვლად, როგორც ბაღდასარას ბარაკის ნაცვლად არ იდგა არაფერი. როცა უკან ბრუნდებოდით, სვეტტეხოველთან ფეხბურთს თამაშობდნენ. იმ დღეს შევიტყვე, რომ თემმა, რომელსაც მაშინ „თეეზ"ის დასახელებას" ვეძახდი, სხვა მიმართულებით იყო. უშველებელი ვეშაპი წარმომედგინა, რომელსაც თავისი მაცხოვრებელთანად მთელი დასახლება გადაეყლაპა. სამეელი და ბაღდასარაც მის ფაშვში ცხოვრობდნენ თითქოს.

მოოთმენელად ველოდი თხუთმეტ მაისს. იმ დილას, როცა მაღალეელინან წინდებს გავიხდიდი, ეზოში ჩასვლა მრცხვენოდა, რადგან მეგონა, ბიჭები პატივს არ მცემდნენ, წინდების გამო ზურგს უკან დამცინოდნენ. ყველამ იცოდა, როგორ ველოდი თხუთმეტ მაისს, ბაბუას კალენდარს ფურცლები ჩამოვახიე, თითქოს უფრო მალე მოვიიყვანდი საბატრელ დღეს. დღეები ერთიმეორეს აღარ მისდევდნენ. ბაბუას კალენდარჰა შვიდ რიცხვში თხუთმეტი ჩაეკვა და მას შემდეგ ერთი დღესავით გაიწელა ღრო. თხუთმეტზე ღამე, ბაბუას თხოვნით, ადრე დავწექი. არც ტელევიზორისფვის მიყურებია. სიხარულისაგან აქეთ-იქეთ ვტრიალებდი და არ ვუსმენდი მოხუცის ზღაპარს. მომავალი ცხოვრებასავით უსასრულო და ბედნიერი ღილა წარმომედგინა. მხოლოდ ბოლოს ჩამეძინა ბაბუას სიტყვები. კვლავ იმ მეფეზე მიყვებოდა, რომელიც ზღაპრის ბოლოს ცაზე დასახლდა ოჭროს ტახტი ფიცარზე. „როგორ ჰაერზე?", ვკითხე მე. „ჰაერშია!", მიპასუხა მოხუცმა და ლოყაზე მაკოცა.

იმ ღამით ბაბუა სახლიდან წავიდა. დილით დარეკეს, რომ მზის ამოსვლას ქალაქგარეთ, ჩვენი ფინეური სახლის თეთრ აივანზე, ესტატი ხელში შეხვდა. თეორი შლაპა ეხურა და ტკვია საფეიქელში ჰქონდა ნასროილი. მთე-

ლი ეზო, ჩემ თვითმკვლელ ბაბუაზე ლაპარაკობდა. არ მჯერდა, რომ ბაბუა ადარ იყო. მეგონა, მატყუუებენენ, ჩემს გადარწმუნებას ცდილობდნენ. ბაბუა ისევე არ არსებობდა, როგორც მისი ვერცხლისფერი პისტოლეტი, მედეა ნთლილაშვილი... ბებიიმ ბაბუას ფოტოსურათი ფერფოტენის საკრავთან დაკიდა: ახალგაზრდა დესანტი, წელზე ტყვიის ქამრები აჭვს შემორტყმული - და ზურგზე პარაშუტის თოკები ჩკიდია. არაფერი შეცვლილა ბაბუას სიკვდილის შემდეგ. მე და ბებია ღამ-ღამობით ვტიროდით, ბიძაჩემი კი მთელი სალამოობა საპაზანინი ჩაკეტილი ფოტოფირებს ამზადებენდა. ამირანს ბაზრიდან სანოვაგე მოაქონდა და ენა კვლავინდებურად ებმოდა. „წა-ავიდე?", ეკითხებოდა ბებიას, რომელსაც შავი კაბა ეცვა და მხოლოდ პირველი სეკტემბერს გაიხადა სამგლოვიარო სამოსი. ბაბუას კალენდარი მაისის ბოლომდე თხუთმეტ რიცხვს ან-ვენებდა და ივლისის შუაგულშიც, როცა ჩემი მეზობლები სხვადასხვა კურორტებზე დასასვენებლად წავიდნენ. მხოლოდ მე და ახალი მეეზოვის შვილშვილი დავრჩით ინ ცხელ ზაფხულს თბილისში. ბებია ამბობდა, აგვისტოში მამაშენი ალეურიდან უნდა ჩამოვიდესო და მთელი ზაფხული მის ჩამოსვლას ველოდით. ბოლოს წერილი მოგვივიდა, რომ გადაუდებელი საქმეების გამო ნოემბრამდე ვერ ჩამოვალო. ბებია ალა ჩემსავით არსად არ წაიყვანს დასასვენებლად. დილამობით ბაბუამისთან ერთად მოდიოდა. ისინი მზოგიელ ეზოში ჩვეულებრივ ჭვის სახლში ცხოვრობდნენ და არა ისეთ ბარაკში, სადაც ბაღდასარამ თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა. ბაბუას სიკვდილის შემდეგ ბიძაჩემი თავის „საუკეთესო თვითმფრინავობასაც" ადარ მეთამაშებოდა. თამაშის ნაცვლად, ძალლივით მიეუფდა: „უუუ, უუუ!", გაიძახოდა უკმაყოფილო სახით, თითქოს ჩემ გამხიარულებას ცდილობდა. ყველაზე მეტ დროს ბაბუას ბიბლიოთეკაში ვატარებდი. ანდერსენის ზღაპრების ილუსტრაციებს ვათვალიერებდი და თეფშისთვალება ძალლს ველოდებოდი. დარწმუნებული ვიყავი, ჩემ წასაყვანად მოვიდოდა. მეგონა, ბაბუას კარადიდან გამოძვრებოდა, ზედ შემისვამდა და გავფრინდებოდით. „შვიდო!", ჩაესმოდა ოცნებაში გართულს ბებიას ხმა. წარმომედგინა, როგორ იდგებოდა ატირებული ბებია ივანაზე. „სიით მიფრინავ?", მომძახებედა უკნიდან, რომ თეფშისთვალებაზე ამხედრებული შვინდოსფერ ღრუბელს გავპობდი. ბაბუას კანინტები ოცნება საყვარელ გართობად გადაქცეა. წიგნებით სავსე ოთახში, ტახტზე წამოწოლილი, თვალებს დავხუმავდი და მივქროდი იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი მე მეკუთვნოდა. ცაში გამოყიდებულ ოქროს ტახტზე ვიჯექი და ბრძანებებს გავცემდი. იმ სამეფოში, მხოლოდ მე მემორჩილებოდნენ. ჩემი სურვილების თანახმად ანგრევდნენ და აშენებდნენ. „ეცადეთ მსახურები, გარეგნულად ბიძაჩემს და ამირანს ჩამოგვგავდნენ. ეპარა ალასაც ვუუვებოდი ჩემს მოგონილ, ულინარ ქვეყანაზე, მაგრამ ის არასოდეს არ მისმენდა. „ამის ბატარონმა რა ქნას!"-ხ თამაში ერჩივნა ჩემ ზღაპრებს. „რა ქნას?", ეეკითხებოდი მე. „მაკოცოს!" მპასუხობდა ის და წოლილებოდა. ბაბუას შვილი ხმა ჩემმა წარმოდგენებმა შეცვალა. საკუთარ თავს ვუუვებოდი ზღაპრებს. სიზმრებში კი, ზღაპრები იცვლებოდნენ. ჩემი ქვეშევრდოსნი, მორჩილების ნაცვლად, მიჯანყდებოდნენ, სამაგიეროს მიხდიდნენ: სამეფოს ჭიკჭამია მაჰა, ჩვენი ძველი „ვოლგის" გადაელაპვამ მპირდებოდა. ზზრაფდ, ოფფში ვალერიანი ვიდვიძებდი. „მაშინ რომ ჩატოვე ენაფში, ამის ბრალია! დასუტანდი, დავავდეფოდი და კოშმარებიც გესიზმრებიან!", მეუბნებოდა ბებია და ყოველ დილით სიცხეს მიზმავდა. იმ ზაფხულს თბილისში ისე დაცხა, რომ ასფალტი დადნა და, ამბობდნენ, სადღაც მანქანა გადაეცხესო მდულარე ქეჩის. აგვისტოს შუა რიცხვებში „ამის პატრონმა რა ქნას!"-ხ მე და ალა ჩემი მომავალი სკოლის ეზოში ვთამაშობდით, რომელიც ახიოდ მეტრის მოშორებით იყო სახლიდან. სკოლის ეზოში ფეხბურთთან მოყვითალო კარები იდგა და გახუნებული კედლებზე უცენზურო სიტყვები ეწერა, რომლებსაც ალა ლექსივით იმორებდა. „ამის პატრონმა რა ქნას?", ეეკითხებოდი მე. „კიბეზე ამჯრეს!", მიპასუხებ ერთხელ. მაშინ შევნიშნე უშველებელი სახანძრო კიბე, რომელთაც სკოლის შენობის სახურავზე ასვლა შეიძლებოდა. კიბე ორი მეტრის სიმაღლედან იწყებოდა. ძლივძლივობით მივწიეთ ცარიელი ცისტერნა, ზედ შევეკვეი და როცა რკინის საფეხურს დავეკიდე, კიბე აგრუხუნდა. მეგონა, კედელს მოსწყვდებოდა და შიშით მივეცოცავი ზევით. როცა მეორე სართულამდე აკვეკი, უცაბ ჩამობნელდა და ცხელმა პაერმა დაუბერა. „ეეი!", დამძახა ქვეკვიდან ალამ, რომელიც ჭიანჭველასავით ერთობეწო მოჩანდა. მოლრუსლული ცა, ფუქი ნაცრისფერი, ბაბუას ტკიცის პიჯაკივით ხორკლიანი იყო. „ბაბუა იქ ცხოვრობს!" გავიფიქრე კიბეს ჩაჭიდებულმა. კოკისპირული წვიმა წამოვიდა. შინ მივრბოდი და ბაბუა წარმომედგინა, რომელსაც უშველებელი ზურგი დედმიწისაკენ მოეშვირა. თავის ნაცრისფერ პიჯაკში, ცის გასწორივ იწვა. „ეეი!", მეძახდა ზურგს უკნიდან ალა... „რა ფერი გადევს?", მკითხა ბებიამ, როცა შინ შევედი. იმ ღამეს სიცხემ ამიწია და ჩემი საკვარელი ბოსტნეულის მაღაზია მესიზმრებოდა.

„პოლუბოკსი!", უთხრა ბებიამ ხუსანა პარიკმახერს, რომელმაც სელი ზელი თავზე გადამისვა. „სკოლაში მიდიხარ!", მკითხა სხვათა

შორის. „ხვალ, პირველი კლასის მოსწავლე გახდები“, თქვა ჩემს ზურგს უკნიდან ბებიამ. ყოველი მხრიდან ერთი და იგივე მესმოდა: „პირველ კლასში, პირველკლასელი, პირველი...“ სიზმრებშიც პირველ კლასს ვხედავდი. ცარიელ საკლასო ოთახში მე და ალა ვისხედით. „რა ქნას?“, ვეკითხებოდი მე, „მაკოცოს!“, მპასუხობდა გოგონა და ლოყას მიშვებოდა. ახალთალი ყვითელი ზურგჩანთა, წიგნები და რვეულები ბაბუას კაბინეტში, საწერ მაგიდაზე ეწყო. უცნაურმა შიშმა დაისადგურა ჩემში. ერთი ბეწო და უსუსური წარმომდგარა საყუთარი თავი, როცა ბავშვებით გაჭედილი სკოლის ეზოზე ვფეიქრობდი. მალე პირველკლასელი უნდა გავმხდარიყავი, რომელსაც მხოლოდ მისი მოგონილი ზღაპრის გმირები ემორჩილებოდნენ.

ოცდათრთმეტი აგვისტოს ქარიან დილას ბებიამ პარიკმახერთან წამიყვანა. ისეთი უნდა გავმხდარიყავი, როგორიც ბაბუას აზრით იყო ბავშვი, ყველა ბავშვი მთელ მსოფლიოში. „ნამდვილი ვიკაკეცი!“, ამბობდა დროგამოშვებით სუსანა პარიკმახერი. ტირილი მომინდა, როცა გაკრეჭილმა ბაბუას კაბინეტში დაკიდებულ სარკეში ჩავიხედე. დღესაც ზუსტად ისეთია მისი კაბინეტი. მაღალი თაროებით, წიგნებით და ოდუმალებით სავსე. დღესაც ისეთი ბინდია. ბაბუ, ბებია, ალა, ბაბუ, ბებია, ალა, ბაბუ, ბებია, ალა,

ბიამ და მის სიტყვებზე უფრო დამეხვა თავბრუ. მეგონა, ვერც კი მამჩნევდნენ გარშემო მყოფნი. „ბევრი ბალახი და ყვავილები მოუტანე!", ჩამესმოდა ბაბუას სიტყვები. „ყველას დედაშენი ვგონიარ!", ამბობდა სიხარულით ბებია. ჩვენი ძველი „ეოლგა" მედგა თვალწინ, ლოყა, რომლიდანაც მე და ბაბუა საციცოო წარმოდგენას შევცქერიოდით. მეგაფონში მოლაპარაკე კაცის სიტყვები ტკივიბივით ვუხდა: „პირველი ა, პირველი ბ, ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ. პირველი „ბ" კლასის ბავშვებთან დაბაყნენს. „ხელი ჩაჰკიდეთ!", ამბობდა შუახნის ქალი და რვეულს ატრიალებდა. მხოლოდ გოგონებს ეჭიროთ ყვავილები „ბები, გამომაწოვეს!", შეეცვალდრე, როცა ვვერდით სათვალიანი გოგონა დამიყენეს. „მე ვარ თქვენი მასწავლებელი!" ამბობდა შუახნის ჭაღარაშერეული ქალი. სათვალიან გოგონას ყინულივით ცივი და ასტარა ხელი ჰქონდა. „ზარი დაირეკება თუ არა, ყველა მე წამომყევით!", ამბობდა მასწავლებელი და ბავშვებს ითვლიდა. „არ წაბვიდე!", ვთხოვე ბებიას და თვალებზე ცრემლები მომაწვა. იმ ქალს ელპარაკებოდა, რომელმაც სათვალიანი გოგონა მოიყვანა. მხოლოდ მაშინ გამომხედა, როცა მასწავლებელი ადგილიდან დაიძრა და უკან წავეკეთე. „არ წახვიდე!", დავუყვირე მოელი ხმით და მან თვნხმობის ნიშნად თავი დამიქნია. გოგონას ცივი ხელი მეკიჩა და განათებულ დერეფანში მივაბიჯებდი. მეგონა, ყოველი ნაბიჯი მაპატარავებდა, მაშორებდა ჩვენი ოჯახის, ჩემი ზღაპრების სინამდვილეს. სალათოსფერ საკლასო ოთახში ყველაზე მაღალ მერხთან დამსვეს. მასწავლებელი სიას კითხულობდა და ბავშვები ფეხზე დგებოდნენ. „ვარ!", ამბობდნენ ხალისიანად. რაც უფრო აყოვნებდა ჩემი გვარის ამოკითხვას, მით უფრო ვაპატარავდებოდი. „ვინ ვარ?", ვეკითხებოდი ცხოვრებაში პირველად საკუთარ თავს. ყველაფერი რაც იყო გარეთ, თავში მატარიალებდა: „ირემს უყურე!", მიბრძანებდა ბაბუა, ვასიკოს ალებული აკორდები, ბებიას სიმღერა მესმოდა, ცეცხლწაკიდებულ „ეოლგას" ვხედავდი. ხმის მოკეთილი თავი ხევს ჩაშტერებოდა. ტირილი მინდოდა. ვიცოდი, ბაბუაზე ფიქრი ამატირებდა, მისი მშრალი ხელისგული, მშვიდი ხმა, ჩუმი, თვითმკვლელობა... ნაცრისფერი ზურგი მენატრებოდა, რომელსაც ცის გასწვრივ მწოლი, წვიმიან ამინდში, დედამიწას უშვერდა. „ვარ!", წარმოვთქვი ხმამაღალი და ყველამ მე შემომხედა. „დღეს პირველი გაკეთილია თქვენს ცხოვრებაში!", ამბობდა მასწავლებელი. მთელი გაკეთილის განმავლობაში სიის მიხედვით აყენებდა ბავშვებს და ეკითხებოდა, სად მუშაობდნენ მათი მშობლები. რამდენიმე წუთი აკლდა ზარის დარეკვას, როცა ჩემი გვარი ამოიკითხა. „სად მუშაობს მამაშენი?", მკითხა ღიმილით და საწერ-კალამი მოიმარჯვა. „ავლეფორში!" ვუპასუხე ცრემლნარევი ხმით. „დედაშენი?", ფუვე ინტერესით მეკითხებოდა. ბოლოდდა პასუხი გამეცა, მაგრამ სლუკუნი და ცრემლები ასწრებდა ჩემ სიტყვებს. დაბნეული მასწავლებელი მომიბაჯოოვდა. „რა მოგივიდა, შვილო?", მეკითხებოდა და ჩემ თვალებში ჩახედვას ცდილობდა. „ნუ მეგობით!", ვსლუკუნებდი აკანკალებული, როცა მკლავზე შემეხო... რამოდენიმე წამში ბავშვებით გაქედილ ეზოში ვიდეკი. ბებია იქ არ იყო. ჩემ გარშემო იცინოდნენ, დარბოდნენ. ცოტა ხანი თვალს ვადევნებდი ეზოში მოთამაშე ბავშვებს. არც ერთი მთავარ არ იყო ჩემსავით მტირალი და მარტოსული. კედელთან მიდგომელ ცისტერნაზე ავმდგარი და კიბეს დავეკიდე. აგრუხუნდა. დარწმუნებულები ვიყავი, რომ არ ჩამოწყდებოდა, რომ საბოლოოდ მარტო დავრჩი. ბაბუას ნაცრისფერი ზურგი მოეშვირა და მარადიულ წყვდიადში მოციმციმე ვარსკვლავებს შესცქეროდა. „ბიჭი, ბიჭი!", მეხმოდა კვემოდან ქალის ხმა. ხმები ძალას მპატებდნენ. რაც უფრო ზევით მივცოცავდი, მით უფრო მიზიდავდა მოლურჯული, ცხელი ცა და ფანგისფერი სახურავის კუთხე. ჩემთვის იმ დღემდე უცნობი ძალა მეკარებოდა ცისკენ. „სად მიიერეხი!", მიეკეროდა მეგაფონში ქალი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ფილეკი ქალთა მოდგმა სკოლის ეზოში შეერბილიყო. უკან მეკარებოდნენ, მიეკეროდნენ. სახურავზე ავმდგარი. ჭიანქვლების ბუდეს ბგავდა სკოლის ეზო. ორივე ხელით რკინის მილებს ჩაეფიფქნეული, თვალცრემლიანი ვიდექი, დაკცეროდი უცნობი ხალხით გაჭედილ ეზოს, უკაცრიელ სახურავებს, თბილისს, მოელ მსოფლიოს... არაგინ იყო ჩემ გარშემო, მხოლოდ სადღაც, ქვეშეთ ფუსფუსებდნენ ადამიანები, თავებს აწენევდნენ, ხელებს აშვერდნენ ჩემკენ. ბაბუას პიჯაკითი ხორკლიანი, მოლურჯებული ცა მიზიდავდა. იქ ესვენა ჩემი ბაბუშვრობის ოდუმალეთმი მოცული სინამდვილე... კაცი მეგაფონში მბრძანებლობდა. „არ მომეკაროთ!", ვყვიროდი მთელი ძალით. „მე მეფე ვარ, მეფე!".

ნოემბრის ბოლოს, დედაჩემი და მამაჩემი ჩამოვიდნენ. უამრავი სალეში რეზნინი და ტელევიზორი ჩამოიტანეს, რომელიც მართლა ფერადდა აჩვენებდა. ისეთი, როგორზეც ბაბუა ოცნებობდა. არაფერი არ შეცვლილა. ამირანს ენა ებმოდა, ბიძაჩემი ფოტოფფირებს ამღვნეებდა... ჰაერში გამოკიდებულ სასახლეებს ეხატვდნი და ყველას უკვირდა, რატომ მაინც დამანიც ლრუნლებზე ვაშენებდი მათ. რუსთველის პროსპექტზე, ბოსტნეულის მაღაზიაში, ყველასათვის უცნობი გოლიათი ტირიდა. ტირიდა განუწყვეტლივ, მთელი ჩემი ბავშვობის მანძილზე.

ნუ გეშინიათ, ბავშვებო!

ეს, ვერცხლისფერი, ყვითელნისკარტა
ჩიტებია
თქვენს სიზმრებში შემოპარული,
ჩუმჩუმად რომ გინანავებენ და
თქვენს ქუთუთოებს იზეპირებენ.
მე კი ისღა დამრჩა
ჩემი გალახული სტრიქონებიდან
შემოგძახოთ ყოველცისმარე
ნუ გეშინიათ-მეთქი, ბავშვებო,
იძინეთ, მშვიდად!
თუმცა ბეჯითად დავისწავლე ამ
იდუმალი
ქალაქის ენა
და მის კედელზე ამოტვიფრული
უძველესი წარწერა: „იყო და არა
იყო რა,
ღვთის უკეთესი რა იქნებოდა...“

და მაინც
თქვენს უჩუმრად ვიმეორებ
თუთიყუშივით:
რას ჩამორეკილან ეს ღრუბლები
ამ უთენია?
რას ჩამორეკილან ეს ღრუბლები
ამ უთენია?
თქვენ კი ბავშვებო, ნუ გეშინიათ,
იძინეთ მშვიდად.
მე თქვენი თოთო ქუთუთოებიდან —
თქვენი სიზმრის კალეიდოსკოპიდან
გადმოვრეკავ ყვითელნისკარტა,
ვერცხლისფერ ჩიტებს,
ლამაზი სიზმრები რომ დაგესიზმროთ,
ნამდვილი ჩიტებით სავსე ლამაზი
სიზმრები.
ნუ გეშინიათ, ბავშვებო,
იძინეთ მშვიდად!

●

ცრემლო ჩემო,
შენ ვეღარ დაიშლები,
შენ ვეღარ დანამავ ალმურმოდებულ
ყვავილებს.
მოვა მეწყერი და ჩაგიტანს ქვესკნელში.
და ასე დარჩები...
შენ აღარ გავხარ ვიტრინაში
გამოდგმულ
სათამაშოს,

არც ლამაზ მანეკენს
ყველამ რომ შეგამჩნიოს,
ყველამ რომ იცოდეს,
რომ შენ ცრემლი ხარ
უვარსკვლავებო ცას მოწყეტილი,
უსივრცოო,
უდროოვ და უმანძილოვ,
აღარც მე ვუწყი შენი სახელი.

როგორც ჭრელ-ჭრელა, პაწია კენჭებს

ტირიან ხეები,
ქვები, ყვავილები
ტირიან შენი ცისფერი ქარები,
გაძევებულნი ლურჯ სიზმრებიდან.
და ასე გგონია ვეღარაფერს გეტყვიან,
ვეღარასდროს გიერთგულებენ.
მაგრამ, ერთხელაც მოეღება
ამ ტირილს ბოლო
და იმ კოშმარულ სიზმრებიდან

ამოკენკავ სანატრელ სიტყვებს,
როგორც ჭრელ-ჭრელა, პაწია კენჭებს
ზღვის ნაპირიდან.
გადაეხვევა ყვავილი ყვავილს,
ქვები ქვებს და
ხეები ხეებს
და შენ, დარცხვენილი
საკუთარი უსუსურობით,
ჩიტებმოსხმული ხეების ჩრდილში
ჩამოისვენებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავის არ გვინდა ომი!

გაზაფხულდა. გაიშალა იასამანი. გარემოს მოფერქვია სურნელი. მიწას გადმოაღვარა ზამთრისაგან დამზრალი, დასუსხული სევდა. გავთავისუფლდი, ავეშვი, გავლაღდი, განახლდა სისხლი. ადრე მეღვიძება და შევხარი სიცოცხლეს. გუშინ დილით შაშვის გალობა მესმა, დღეს კი გათენებას დაველოდეთ. რომ იცოდეთ, რა ძნელად აღწევდა თავს მზე ღამის ტყვეობას. ნაზად ამოდიოდა ჩვეული ლაბირინთებიდან. ჯერ წვრი ამოჰყო, წაბლისფერი, შემდეგ გაყვითლდა, ყვითელს წითელი შეერია, იმძლავრა ბდღვრიალა ფერმა, სხივებმა შეაკრთეს ცის კაბადონი და დაბინდული ცა გადაალურჯეს. მზემ თავი დააღწია ტყვეობას, ერთიანად ამოეწთო, თვალსმომჭრელი სიკაშკაშით მოფინა ნათელი გარემოს. სულისშემძვრელი რიბირაბო მაგზნებდა სიცოცხლისათვის, სიყვარულისათვის...

შაბათი დღეა. ბავშვები სკოლისაკენ მოეშურებიან, მე სკოლასთან ვცხოვრობ. აივანზე ვდგავარ და თვალს ვადევნებ მათ ანცობას. ქუჩა სავსეა ჟრიამულით. სახლის წინ ყვავილნარია გადაშლილი. პატარები მშობლებს მიჰყავთ სკოლისაკენ. ვატყობ, ერთი ბავშვი დედიკოს ეურჩება. დავინტერესდი. მივხედი, რომ მშობელმა შემნიშნა.

— დედიკო, აი, ის ყვავილი მომიწყვიტე რა?..

— არ შეიძლება! — მკაცრად უპასუხა ქალმა.

— აი, ის, დედიკო, ის...

— ხომ გითხარი, არ შეიძლება, წამოდი, დაგვაგვიანდება!

ბავშვი ეურჩება დედას და არ მიჰყვება.

— წამო, ფეხი გამოადგი, ზარი დარეკებოდა უკვე.

— ყვავილი მომიწყვიტე რა, აი ის, თეთრი რომაა.

— არ შეიძლება, ვერ გაიგე წამოდი ჩქარა!

— გუშინ რომ მომიწყვიტე?!...

ქალს სახეზე ალმური მოედო. შემრცხვა მეც და ოთახში შევედი. იწვოდა ღილა.

საგულდაგულოდ გავიპარსე. ტანთ გამოვიცვალე. გავლამაზდი, როგორც შემძლო და შინიდან გამოვედი. ქუჩაში ხალვათობაა. გაკვეთილები დაიწყო. ვფიქრობ, საით წავიდე. სტვენა წამოვიწყე. თავდაღმართს ჩავუყევი. პროსპექტზე გავედი და შეჩერდი. ველოდი ნაცნობ სახეებს. ვდუმდი და ვიცდიდი. ვიცოდი, ვინმე გამოჩნდებოდა. რამდენიმე ნაცნობი დავლანდე, მაგრამ დადავიფიქრე გამოლაპარაკება. გადავწყვიტე, ბაღისაკენ ამეღო გეზი. გავცდი ფილარმონიას და რედაქციასთან შევჩერდი. სტენდი გადავთვალიერე. ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო. მოვიხედე, მეზობელი აღმოჩნდა. მივესალმეთ მოვიკითხეთ ერთმანეთი. მივლინებიდან ყოფილა ახლად დაბრუნებული. მანქანა იქვე გაეჩერებინა. წაგიყვანო, შემომთავაზა. უსიტყვოდ დავყაბულდი. მალე ჩავსხედით სალონში და ვარაზისხევით დავუყევით გზას ბაღისაკენ. ბაღს სანაპიროდან მივადექით. დავემშვიდობეთ ერთმიმორეს.

ახლად ამწვანებულ ჭადრის ხეთა ფოთლებიდან თვალისმომჭრელად იღვრებოდა ბდღვრიალა შუქი. მოდიდებული მტკვარი ეხლება ჯებირებს, დგაფუნობს წყალი. გადავკვეთე სკვერი და შევედი ბაღში. ატრაქციონს მუშაობა დაეწყო. ავტოდრომთან რიგი იდგა. ტრიალებდა კარუსელი. ბავშვები სხვადასხვა ცხოველებს მოვლებოდნენ თავს, მიაგელვებდნენ უმიზნოდ, ცემა-ტყეპაში გართულნი. მოვშორდი იქაურობას, ჩამოვჯექი ძელსკამზე. ფეხი ფეხს გადავდე, მივეყრდენი საზურგეს. ჩემს წინ გოგო-ბიჭები კლასობანას თამაშობდნენ. ყურადღება არ მომიქცევია მათი ჟრიამულისათვის. ვიჯექი ჩემთვის განმარტოებით და ვფიქრობდი. ფიქრებმა შორეულ წარსულში გადამისროლეს. ვერ იქნა და ვერ მოვუყარე თავი ზმანებებს. არ ვიცი, რა დრო გასულიყო, ყვირილმა რომ გამომიყვანა ფიქრებიდან. ბავშვები ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ.

— ცეცხლია, ცეცხლი!

— ცეცხლი კი არა წყალია!

— წყალი, მაშ!

— ცეცხლია, ცეცხლი.

გამეცინა. ნეტავი რა აფორიაქებთმეთქი. გავიტრუნე და ახლა მათ მივაპყარი გულისყური. „კლასობანა“ ვის არ გვითამაშია, მაგრამ რა გრძნობაც მაშინ დამეუფლა, არ შემიძლია, ჩემშიე ჩავიგუბო და იმდღევანდელი შეხედულება ვინმეს არ გავუზიარო, რადგან ჩემს საქციელს ხალხმა სიგიჟე დაარქვა და გვარიანადაც გამათხეს. გამთათხესო?... გიჟიაო, თავი დავანებოთ, სანამ ყველას დაგვერეოდესო.

მაშ ასე, დავიწყოთ:

ბავშვებს ცარცით სამყარო, ვიმეორებ, სამყარო შემოეხაზათ და ქვებს უშენდნენ.

სკუპ-სკუპ, სკუპ-სკუპ... დახტუნავდნენ ზედ რიგრიგობით.

— ახლა ჩემი ჯერია. ჩემი...

— რას ამბობთ, ხომ არ გადამითელავს, ის კი არა, ფეხიც არ დამიდგამს ხაზზე, მოდით და ნახეთ!

სკუპ-სკუპ, სკუპ-სკუპ... შეეცნო ფრთები.

— ფრთები კი არა, წყალში ჩავარდი!

— მოგართმევენ, როგორ გეტყობათ, თამაში რომ არ იცით. როგორ ჩავვარდებოდი წყალში, როცა ცეცხლსაც გადავაფრინდი.

— გადააფრინდი და გავარდები! გავარდი. თუ არა გკერა სხვებს ეკითხოთ.

— გავვარდი, მაშ... ახლიდან დავიწყებ, თუ გინდათ!

— დაიწყე, დაიწყე...

ბიჭმა ქვა სამყაროს დაუმიზნა და ესროლა.

— ცეცხლი!... — გაპყვიროდნენ ბიჭები.

— წყალი, წყალი. — გაჩკიოდნენ გოგონები.

მივედი და ქვა საზღვარზე ეგდო.

— თქვენ რას იტყვით, ბიძია, ცეცხლია თუ წყალი?

გავჩუმდი.

— შენ რა, დამუნჯდი? ცეცხლია თუ წყალი?...

— არც ერთი და არც მეორე.

— როგორ არა... დიახ, ცეცხლია, ცეცხლი!

— არა, წყალია, წყალი!

— ცეცხლი, წყალი! წყალი, ცეცხლი!... — ყურები დამიგუბდა, დავბარბაცდი, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ წავქცეულიყავი. სახეზე ალმური მომეკიდა, ვგრძნობდი, როგორ ღვივდებოდა ფეხქვეშ დედამიწა და ხანძარი ეკიდებოდა სხეულს. ავილეწე, ამახურა, ავგურგურდი, ვიწვოდი ცოცხლად. ძალ-ღონე მოვიკრიბე და ვეცი ცარცით შემოხაზულ სამყაროს გაბრაზებული. ლანჩებს ვუსვამდი დაუზოგავად ცარცს, ვშლიდი რიცხვებს, საზღვრებს, განსაკუთრებით ცეცხლსა და წყალს, სადაც ყველაზე მეტად შეიძლებოდა პატარების დაღუპვა. შემომესივნენ ბავშვები და ხელს მკრა-

ვდნენ, უნდოდათ, გავეგდე იქიდან. ყვიროდნენ, იქნევდნენ ხელებსა და ფეხებს და მაძკობდნენ ათასფერად.

ხმაურზე ხალხი შემოგვეხვია და გაოცებულები თვალით არნახსული თამაშით, ხმას ვეღარ იღებდნენ. როგორც იქნა, მიმოვშალე იქაურობა, ასოები ერთმანეთში ავზილე, მოვკიდე ქვას ხელი და მაღლა შევტყორცნე. ზხუილმა გაჰკვეთა იქაურობა, ხალხი გონს მოეგო და დამესია, დამესია და...

ერთი კვირის შემდეგ — მითხრეს, კვირა გავიდაო, — საავადმყოფოში ვიწევ, ერთსაწოლიან პალატაში. სასთუმალთან მეუღლე მეჯდა და სახეში შემომციცინებდა. თვალები დაეხუჭე, ფფიქრობდი, ყოველივე აღმედგინა. როგორ მოვხვდი აქ, რა ჩავიდინე ასეთი, რომ ლოგინს მიმაჯაჭვეს. მალე დასუსტებულს რული მომერია, წამთვლიმა, წამთვლიმა და... აირინენ ველური სახეები.

— ცეცხლი, ცეცხლი, ცეცხლი!.. — გაპკიოდნენ გამხეცებული ხმები...

●

— არა, ცოცხალი იქნება! სიკვდილი ვერ მოერეოდა! შეცდომა იქნება...

უკვე მერამდენედ კითხულობდა ქალი ჭრაქის შუქზე გმირულად დაღუპვის ბარათს. გარუჯულ ასოებს მლაშე წვეთები ეღვენთებოდა, გათხუპნილ ქაღალდზე ძნელი ხდებოდა მწარე, მტკივნეული სიტყვების ამოკითხვა...

— ნუთუ მართალია, რა მეშველება, რაღა ვქნა, რა გადამატანინებს უმისობას.

დროგამოშვებით თვალს მაგიდის ქვეშ გააპარებდა. ბიჭი იწვა ლეიბზე, ფეხები საბანში ლამაზად მოეკუნტა და მისი ნაზი სუნთქვა ოთახს გაზაფხულის სურნელით ავსებდა. ბობოქარი, უძილო ღამე ზანტად მიიზლაზნებოდა. უმანკო სახეს ღიმილი დასთამაშებდა.

ქარხნის საყვირმა ქალი ფიქრებიდან გამოიყვანა, სკამიდან წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, ჩაი აადუღა, [illegible] შეისაკენ გაეშურა: ჩაიცუცქა. თავზე ხელი გადაუსვა. ბიჭი შეინძრა.

— გაიღვიძე, დედა გენაცვალოს, დროა ავდგეთ. — ბიჭი ძილბურანისგან გამოერკვა, თვალები დააჭყიტა და მაღლა ცისკენ აღაპყრო ხელები.

დედამ ბიჭს შუბლზე აკოცა, მაგიდის ქვეშიდან გამოიყვანა, რამდენჯერმე გადაუსვა თავზე ხელი, მიუალერსა, მიიკრა მკერდზე და მოწოლილი ცრემლი შეიმშრალა.

— გაიღვიძე, დედა გენაცვალოს! მოდი, დავიბანოთ, დროზე ჩავიცვათ, ბაღში არ დაგვაგვიანდეს!

— დედი, მალე მოხვალ სამსახურიდან?... არ მინდა ბაღში, შენთან მირჩევნია! ერთად ვიყოთ, ერთად. იცი, როგორ მიყვარხარ? აი, ასე! — და ბავშვმა ხელები უსაზღვროდ გაშალა. დედამ ისევ მიიკრა პატარა მკერდზე, კვლავ მიუალერსა.

— დღეს მაინც მალე წამომიყვანე ბაღიდან?! — ქარხნის საყვირმა კივილი შეწყვიტა.

— ჰო, შვილო, შევეცდები მალე გათვისუფლდე.

— სულ ასე მეუბნები, მაგრამ ადრე არასოდეს არ მოდიხარ!

— დღეს აუცილებლად ადრე წამოგიყვან. რა ვქნა, ჩემი ნება რომ იყოს, სულ ერთად ვიქნებოდით, წუთითაც არ დაგტოვებდი მარტო.

აღელვებული სახე მიატრიალა და გულიდან მოწოლილი ცრემლი კვლავ შეიმშრალა.

საბავშვო ბაღის ეზოში ხეშეშ თოვლს პაწაწინა ფეხებს ქვეშ ხრაშახრუში გაუდიოდა.

— დათუნა, შემოდი ოთხაში, გაცივდება. გესმის, შემოდი!

— რა ვქნა, რა მოვუხერხო ამ ბავშვს? ვერ იქნა და ვერ შეეჩვია აქაურობას. დედამისის მომლოდინე ერთთავად ღობესთანაა ატუზული, გამუდმებით გზას გასცქერის. — შესჩოდა აღმზრდელი ბაღის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამოდი დათუნა, შემოგეელე, წამოდი ჩემთან. დედა მალე მოვა, სადაცაა დამთავრდება სამუშაო დღე. აი, შენთვის რა მაქვს! — გამგემ ბავშვს რამოდენიმე ცალი ბალიშის კამფეტი გაუწოდა. ბუთხუზამ კანფეტები ჯიბეში ჩაიწყო, ხელები მაგრად მოუჭირა — თითებით ეფერებოდა საჩუქარს.

— ნუ გეშინია, დათუნა, არავინ წაგართმევს კანფეტებს. ამოიღე, შეჭამე, გენაცვალე.

— არა, შევინახავ, მერე მირჩევნია! — ბავშვი გამგეს ოთახიდან გაჰყვა და თვალს მიეფარა.

ქარხნის გაბმული საყვირის კივილმა ზამთრის ისედაც მოქუფრულ ცას ნაღველი შემატა. კვამლმა ბინდი გადაუშავა.

მშობლებმა ბავშვები შინ წაიყვანეს.

— რა არის, შვილო, რასა ჰგავს შენი პალტოს ჯიბეები? რით მოახერხე ასე გაზუქმპვა, რა უნდა მოგიხერხო, რა გვეშველება, ხვალისათვის როგორ გავაშრო, რა ჩაგაცვა ბაღში? მითხარი, რასა ჰგავს ეს, ყველაფერი ჯიბით უნდა ატარო, ვინ მოგცა კანფეტები?

ბიჭი ერთ ადგილზე გაჩერებულიყო, თვალცრემლიანი შეჰყურებდა დედის შეშფოთებულ სახეს, ხმას არ იღებდა.

— რა მოხდა, რა იყო, გამეცი პასუხი, ვინ მოგცა კანფეტები?

— ანეტა დეიდამ, ანეტა დეიდამ. დედი, ამაღამ ჩაის დასალევად მოგიტანე. — უკვე ზლუქუნებდა პატარა.

შუაღამისას დედა შეუწვა ლოგინში თავის პირმშოს. გულაჩუყებულმა თავი ბალიშში ჩარგო, ეალერსებოდა შვილს და თავშეუკავებლად ქვითინებდა.

...

იმ ღამეს, სიზმარში ფრონტის ხაზზე გავლილურებული შიშველი ხეების ქვეშ მიძუნძულებულნდნენ გადამჭლევებული, ველური ძაღლები, ყმუილით ფხრეწდნენ ზამთრის სუსხით გახევებულ, შიმშილისაგან გამომშრალ ჰაერს.

გადათეთრებულ ხეშეშ თოვლზე ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ახლად დაღვენთილი სისხლის წვეთების გაშავებული ანაბეჭდები.

ქარს მიუყვებოდა სამგლოვიარო და ტრიუმფალური მარშების გულსაკლავი ბგერები.

...

1952 წელი. ომი რამდენიმე წელია დამთავრდა. ცივა. გეოგრაფიის მასწავლებელი გვიხსნის გაკვეთილს.

— დღეს თბილისში მოსახლეობა 450 ათასამდეა, მალე ნახევარ მილიონს მიაღწევს. ამჟამად მსოფლიოში 2 მილიარდამდეა მოსახლეობა. დადგება დრო, როდესაც მიწაზე მოწეული საკვები ხალხს აღარ ეყოფა...

...

1978 წელი. ზეიმობს თბილის-ქალაქი. მოსახლეობამ ერთ მილიონს გადააჭარბა, მსოფლიო მოსახლეობა კი თითქმის ხუთ მილიარდს ითვლის. მაგონდება ჩემი გეოგრაფიის მასწავლებლის სიტყვები. დღეს ხომ კოსმოსური სამყაროს თვისების ხანაა. — გვჯერა, მეცნიერება დაიპყრობს ახალ-ახალ მწვერვალებს და აღმოაჩენს ჩვენთვის უხილავ სიცოცხლისუნარიან სამყაროს.

არავის არ გვინდა ომი!...

ერთი შემთხვევა

დღეს ჩვენ ორნი ვართ: მე და ის.

მე — კაცი, ის ქალი. უფრო სწორად, ჩვენ ოთხნი ვართ.

მე — ჩემში ორი ადამიანია: ქალი და კაცი.

ის — კაცი და ქალი.

ჩემში კაცი სრულყოფამდეა მიღწეული.

მასში ქალი — ნაკლებად.

მე არასოდეს არ მჭონია სურვილი, ქალად დავბადებულიყავი, არც არასოდეს მომსურვებია ქალად ყოფნა.

მას კი კაცად დაბადება ერჩიენა.

ჩვენ ოთხნი კი არა, ექვსნი ვართ, შეიძლება — რვაც, ათიც, უფრო მეტიც, სანამ გამრავლების უნარი შეგვწევს. თუმცა შეიძლება ესეც ცალმხრივი იყოს, რადგან მე ნამდვილად ნაყოფიერი გახლავართ, ვარ ცოლშვილიანი, ის კი — უქმარშვილო. ჩვენ სარეცელი არ გაგვიყვია და არც გამჩენია ამის სურვილი. მას ეს აფორიაქებს, სურს უპირატესობა, ვერ კი აღწევს, რადგან ჩემში ისეთივე ამაყი სული ბუღობს, როგორიც მასში.

მე კაცი ვარ, ის — ლამაზი ქალი, ჩემთვის მიუღებელი. აი, ყველაფრის მიზეზი.

ამ წუთში მე ღმერთი ვარ, რადგან ღმერთი ჩემშია და ამიტომ ანგარიშს არავის ვუწევ.

ასევეა ისიც.

მე — კაცი და ის — ქალი.

მე მას ვხედავ ისე, როგორც მე ვხედავ.

ის მე მიყურებს ისე, როგორც მე იმისგან აღვიქვები. რადგან მე სრულიად ნორმალური ვარ და მე მას ასეთს ვხედავ, ამიტომ მრავალი სხვაც ასევე დაინახავს.

კაცი — მე...

ქალი — ის...

. . . . . .

კაცი — შენ მე მაღიზიანებ შენივე ქალობით, გაღიზიანება ზიზღში გადადის. მშვენივრად გრძნობ ყოველივეს.

ქალი — ვხედავ და უფრო მეტად მიჩნდება სურვილი, შემომთავაზო თავი შენი, რათა დაგამცირო. შენ გინდა, ირგვლივ მყოფ ყველა ქალს უყვარდე, აღწევ ამას და ესა მკლავს.

კაცი — მართალი ხარ, ჭეშმარიტებაა, მაგრამ შენ ვერ ხვდები ამ სიყვარულის არსს.

ქალი — მე მინახავს მრავალი მამაკაცი და შენც არ განსხვავდები მათგან, რადგან მიზანი ბოლოს ერთი გაქვთ — დასაკუთრება!...

კაცი — შენ ეგოისტი ხარ, ეგოცენტრიზმი შენში მოჭარბებულადაა. ნორმალური მამაკაცისათვის მიუღებელი ხარ. გრძნობ და არ გინდა, დაინახო, არ გინდა, დაიჯერო. ამიტომაც ცხოვრებაზე გულაყრილი ხარ, გაგიჟებული, გძულს ყოველივე და გეზიზღება ხალხი. თუმცა ჩლუნგისა და დავრდომილისაგან შეეშინაც კი გახარებს, ადგფრთოვანებს და სულ ქებათა-ქების მოსმენა გწადია. საბრალოვ!

ქალი — როგორ გინდა, მომახალო სიმართლე, მაგრამ გამბედაობა არ გყოფნის, მშიშარა ხარ, როგორც თქვენი უმრავლესობა!

კაცი — მე ამას არ ჩავდივარ, მეცოდება, მეშინია ისტერიებისა, რაც თვითმკვლელობამდე მიგიყვანს. რადგან გაჩნდი, უნდა იცოცხლო, იტვირთო შენი ხვედრი!

ქალი — მე ყველაზე მშვენიერი ვარ და ყველაზე ჭკვიანი. ისეთი მღილები, როგორიც შენ ხარ, ჭკუას ვერ მასწავლიან. ვისურვებ, მოვიკლავ თავს, ვისურვებ — ვიცოცხლებ, უფრო — იმიტომ, რომ შენისთანები დავლეწო.

კაცი — გიყურებ და მეცოდები! რა გეშველება, ჩემისთანები გგერდით რომ არ გყავდნენ. ვის გაეკეკლუცებოდი, ვისთვის აიშლებოდი, ვის ააფორიაქებდი?! ჩემი ნება რომ იყოს მოგიკვეთავდი. შენს ადგილს იპოვიდი და ადამიანებიც შეგიყვარებდნენ.

ქალი — გინდა, ყველა გადათელო? ფეხი არ ჩაგივა, არა! მე ჯერ კიდევ ვცოცხლობ!

კაცი — გაბრაზდი, გადირიე და დავიწყე ის, რაც შენ გაცოცხლებს. გინდა, გაგიმიჯნურდე. არ გამოგივა, ვიცი, გინდა დამამცირო მაგრამ გაიგე ერთხელ და სამუდამოდ, მიუღებელი ხარ ჩემთვის, მიუღებელი.

ქალი — ნუ გამამეორებინებ ნათქვამს, გიცნობ ვინცა ხარ, მოგტეხავ და თავს კედლზე გარტყმევინებ. აბა, ჩაიხედე გულში, ხომ მეთამაშები?

კაცი — რა ვქნა, ავადმყოფებს ვერ განვკურნავ, ხომ გახსოვს რუსოს — „ემილი?“ ექვსი თვის ბავშვის გამოსწორებაც შეუძლებელია!

ქალი — ბრიყვო, თითქოს ცხოველი არ ბუდობდეს შენში, როგორც ყველაში. შენ რა, განსხვავდები სხვათაგან?

კაცი — (დაღლილი, მოშვებული) რა ვქნა, რომ არ განვსხვავდები, მაგრამ არიან შედარებით ნორმალური ადამიანებიც, რომელთაც მინდა დავემსგავსო. მაგალითები მრავალია, თუნდაც...

ქალი — შენ არ ამბობდი, ღმერთი ვარო, ღმერთი ჩემშიაო?! ახლა სხვისი მიბაძვა დაიწყე? არც კი გრცხვენია, არარაობავ!

კაცი — მე გავიძახოდი, ამ წუთში ვარ ღმერთი-მეთქი და არა საერთოდ. ამის უფლება თავს მივეცი მხოლოდ, შენთან ლაპარაკის დროს. გესმის, ლაპარაკის და არა საუბრისას, რადგან შენ ადამიანმა მხოლოდ „შენობით“ უნდა მოგმართოს და მხოლოდ გელაპარაკოს. ჭირვეულები მარტო წიგნებში რჯულდებიან, მე კი გადავიღალე და გავჩუმდები.

...

ქალი ადგილზე ვერ ჩერდება, მიდი-მოდის, იქნევს ხელებს, ვერ ისვენებს, აღარ იცის, რა ქნას. დაავლებს ხელს წიგნს და გარბის უმიზნოდ. (წიგნი მხოლოდ თავშესაფარია და სხვა არაფერი)...

კაცი ზის ოთახში, თავი გასკდომაზე აქვს, ნანობს პაექრობას. იღებს სიგარეტს და აბოლებს.

გადის ხანი და გაეცალებული ქალი ოთახში ბრუნდება. სახეზე ძალდატანებული ღიმილი დასთამაშებს.

ქალი — გრცხვენია საკუთარი თავისა? აბა, რა გეგონა, ყველა მოგელაქუცებოდა? წაიტეხე ცხვირი?.. იდინოს სისხლმა, ჭკუაზე მოხვალ!

კაცი — შეაყარე კედელს ცერცვი... კრუნი ვარიად ვერ გადაკეთდება... ყველაფერი ამაოა, სუფთა წყლის ნაყვა. ნაკადული მდინარეს შეუერთდება, დაისვრება, ატალახდება, მაგრამ ზღვას მაინც ვერ დასვრის. რაც მეტი ნაგავი ჩავა ან ჩაიყრება ზღვაში მეტად გასუფთავდება, რადგან ზღვით ნაკადულები იბადებიან.

ქალი — ჰოდა, ნაკადული ვარ მე, ნაკადული და სხვა არაფერი... მშვენივრად ამჩნევ ყოველივეს, მაგრამ გიჭირს აღიარება. ამოშაქრე, ნუ გესირცხვილება.

კაცი — მოდი, დავამთავროთ, გადავიღალე. შენ შენი გზა გაქვს, მე — ჩემი ეკალბარდები. იავარდქმნილად გევლოს გზაზე, იარე დაუსრულებლივ. მე კი ხელ-ფეხი დამისისხლიანდა, მალე დავიცლები და ვეღარასოდეს შევხვდებით.

...

შარაზე ყვავები ჩამომსხდარიყვნენ და ყრანტალებდნენ.

ეკალბარდებში ბულბული ჩამალულიყო და სიყვარულს უგალობდა.

კაცი წამოდგა, მიუახლოვდა ქალს, ლოყაზე მოუთათუნა ხელი, ქალი სიცბომ შეაწუხა, ხელი აუკრა კაცს, ლოყა გადაიწიწინა. სისველემ შეაწუხა. დაიხედა ხელისგულზე, სისხლმა შეაკრთო, ფერი დაკარგა და გულწასული ჩაუვარდა მკლავებში კაცს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო მუმლაძე

●

ისევ აფეთქდა ეზოში ნუში
და გაზაფხული გვეწვია ისევ.
დარდში, წუხილში და სიყვარულში
შემოათენდა ნაზამთრალ სივრცეს.

შენ მოგელოდი და ვცახცახებდი,
ვწუხდი: ცრემლებით გულს ვიოხებდი.
მახსოვს, ზამთართან ერთად წახვედი
დღეს გაზაფხულთან ერთად მოხვედი.

ისევ აფეთქდა ეზოში ნუში
და გაზაფხული გვეწვია ისევ.
კვლავ ოცნებებში,
კვლავ სიყვარულში
შემოათენდა ნაზამთრალ სივრცეს.

ნინელი პერტენავა

●

ის ცისფერი აისები,
ვარდისფერი დაისები
მაგონდება ისევ.

ახლა, მხოლოდ ქარვისფერი...
ცისფერი და ვარდისფერი
შორეთშია. არ ჩანს.

ვით მძივები ქარვისფერი
კრიალოსნად ავისხმები,
სულო ჩემო, მყისვე.

იმ ცისფერი აისების,
ვარდისფერი დაისების
მოგონება დამრჩა.

ნინო მდივანი

ნიში — სასწაული

ვცოდევ — ცოდვა ვქმენ, ვცრემლობ
ჰოი, რამხელა დარდია.
მთვარეა აქანებული,
თუ ამარტის გულქანდია.

ცისკიდე მიწას მირქმია
ნიში თქეშივით მომსქდარა
ისე ლამაზად თენდება,
თითქო ცოდვა არ მომხდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა შაბათაშვილი

●

ღამით იფეთქეს ბაღში ატმებმა
საპატარძლოებს ჰგავდნენ თითქოს და...
მთვარე სუყველას თავს დასდგომოდა
და არჩევანზე დიდხანს ფიქრობდა.

მერე... ქუჩები დაატყდნენ შურით
მკერდი უთრთოდა ყველა ხეივანს,
ქვევით კი — მთვარის დასალიერში
ამოდიოდა მზე არხეინად.

ნათელა მამარდაშვილი

იმედი

დამათრობს შენი სიმართლე და
სიტყვის მარილი,
მე სულ მცირედით, სულ მცირედით
მოვიხიბლები,
ოღონდ ამღერდეს ლურჯი დილა
ზეცის ნამივით,
ოღონდ გაბრწყინდეს
თეთრი იმედი.

ეს დედამიწა მშობლიური
ჩემი სახლია
შიგ ჩემი სულის მობრიალე
ცეცხლი მარხია!
კი არ მარხია — მიირწევა
ლამაზ მდინარედ
და... ვარ წყალუხვი,
და ვარ მდიდარი.

●

უბერავს ქარი, რტოები ჭადრის
ქარის მკლავებში, ვხედავ, იმსხვრევა
და ცხოვრობს ჩემი ქალური დარდი,
როგორც უცნობი გზების სიმღერა.

უბერავს ქარი, ოცნება ჩემი
ამ ლამაზ ფოთლებს თავზე ევლება,
თუ დამილეწა ქარმა ჭადარი
რა მეშველება?

●

რა მაწუხებს და
რა მაღელვებს ასე ძალიან?
დედაბუნების ეს დუმილი
ვისი ბრალია?
დავეხეტები მწვანე ტყეში —
გალობს ფრთოსანი
მაშ რატომ წუხს და
რატომ დრტვინავს
სული -- მგოსანი?

ჩუმი ტკივილით დამუნჯებულს
ვინღა მიშველოს,
ო, შეიფოთლე, შეიბუმბლე
დღეო შიშველო.
იშარიშურეთ მუხნარებო
ჩემო კარგებო,
გზა და გზაწვრილო
რად მეკრძალვით,
რად მეკარგებით?

ლევან სანიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ათონელი

რომანი

ბასილი კეისარი მაშინ ნიკომედიაში იყო. სიომარ მზადყოფნას ამოწმებდა. უფრო რუსი დრუჟინების მოხილვას ჩაეთრია იმპერატორი.

სიძეს, კიევის მთავარს, ვლადიმერ სვიატოსლავის ძეს გამოეგზავნა ცოლისძმისთვის თავის ლაშქარი.

ბუნებით გულგრილი და აუღელვებელი ბასილი სწორედ გულგრილად ვეღარ უცქერდა, როგორ იძვროდა დედამიწა რუს მეომართა მწყობრი და მძლავრი ნაბიჯების ქვეშ...

ბორკილდადებული შეთქმულები მოჰგვარეს კეისარს.

სამი ბერძენი იყო, ერთი ქართველი.

ჯალათებიც მოჰყვნენ, წითლადმოსილნი და ნაჯახშემართულნი.

სამხედრო ბანაკი დადგა და გაირინდა.

წყრთანახევარი სიგრძე-სიგანის ფიცარნაგზე, შუაგულში, დიდი ხის კუნძი ელოდათ სიკვდილმისჯილებს.

ჯალათებმა ერთმანეთის მიყოლებით აიყვანეს სამივე ბერძენი ფიცარნაგზე. სამივეს ჯერ ენები ამოჰგლიჯეს მარწუხებით, მერე გაშშვლებულებს ნაჯახებით დაჰკვეთეს ხელები, ფეხები, ამოჰკვეთეს საწულონი, დასწვეს თვალები და ბოლოს, როგორც იქნა, საშველი დააყენეს თავების დაყრევინებას.

და ფერის ჯოჯიკისძეს მიაშურეს ჯალათებმა.

კეისარმა ანიშნა, ხელები გაუხსნინეთ და ახლოს მოიყვანეთო.

აღასრულეს.

უცქირა ერთხანს ბასილიმ, მშრალი თვალით და უძრავი სახით, მის წინ აშვეტილ, საოცრად ხატკეთილ ჭარმაგ ვაჟკაცს.

უკეთუ ცსურს სიცოცხლე გაჩუქო, თავზე ნაცრის დაყრით მოინანე დანაშაულიო, — უთხრა ბოლოს კეისარმა ფერისს.

მწარედ გაეცინა ქართველს: ჯერ ერთი, მოსანანიებელი არაფერი მაქვსო, რადგან ჩასაფრებით და მზაკვრობით შენი დამხობა არც მიფიქრიაო: მე მხოლოდ დაუფარავად შემძლია გითხრა, ქართულ მიწებზე ხელის პოტინს დაანებე თავი-მეთქი; მერე, მოსანანიებელიც რომ მქონდეს, ჩემი უფალი გიორგი მეფეა და მხოლოდ მას ერთს ხელწოფების ჩემი შერისხვაც, განპატიჟებაც და სიკვდილით დასჯაცო.

სახე ჩამოუბნელდა ბასილის.

და ანიშნა ჯალათებს.

მაგრამ გარყევაც ვერ მოასწრეს ვერც ჯალათებმა, ვერცა ვინმე იქ მდგომთაგანმა, რომ ელვასავით მივარდა ფერისი მეწინავე რუს მეომარს, მახვილიც ელვასავით ამოაძრო, ვადით მიწას დასცა და წვერით ზეაღმართულს ზედ გულით წამოეგო.

წუთში დასრულდა ყოველივე.

მარჯვენა გვერდზე, ომმშვილდული ეგდო ფერისი.

პირველი შეირხა რუსი, იმ მახვილის პატრონი.

მკვდარს მიეახლა. წამოიჩოქა. დასწვდა, ასწია მძლავრი ხელებით და

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულაღმა ფრთხილად დააწვინა მიცვალებული მიწაზე.

გულზე ხელები დაუკრიბა.

და თვალები დაუხუჭა.

ხოლო, ბასილი ბასილევსმა ეს უთხრა ფერის ჯოჯიკისძის საკვირველად წყნარ სახეს:

— შენ რომ მოკვდი, მე დავმშვიდდი!..

ქართულ მიწაში დამიწებაც არ უნდა ჰპირისებოდა ქარული მიწის დიდ შვილს. ბიზანტიის გულმშრალმა ავტოკრატორმა აკრძალა მისი გადასვენება საქართველოში.

სამშობლოში დაბრუნება ფერისის სახლეულსაც აღუკვეთა ბასილიმ.

ფერისის ცხედარი მისმა ქვრივმა მეუღლემ, კრავაიმ, კონსტანტინოპოლს გადაასვენა და იქ, ქართველთა სასაფლაოზე დაკრძალა.

კონსტანტინოპოლს დარჩნენ ქართველები.

მათ შორის — ჭაბუკი გიორგი ბერი.

ისევ მოვიდა ბასილი ბულგართმფლეტელი დიდძალი ლეგიონებით ბასიანს და მოსახოვა გიორგი მეფეს იმიერ და ამიერ ტაო-სამაგიეროდ სამარადჟამო მშვიდობას, კავშირს, მეგობრობასა და მოყვრობას აღუთქვამდა კეისარი ქართველ ხელმწიფეს.

გიორგიც ჩაეგება აბეზარ მოსისხლეს.

ჩაეგება და ლაშქრის ერთი ნაწილი, ცხენ-კაციანად მძიმე აბჯრით შერკინული მხედრობა, ზვიად ერისთავს ჩაბარა და ბიზანტიელთა ბანაკისკენ გაგზავნა.

ზვიადი, ბასილი კეისრის შემოთავაზების პასუხად, მასთან სამშვიდობო სიტყვამიგებაში უნდა ჩაბმულიყო, ხოლო გიორგი, ყოველ შემთხვევისთვის, მაინც საომრად უნდა გამზადებულიყო.

„უკეთუ ინებოს ზაკი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ, და უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მის თვის“, ფიქრობდა გიორგი მეფე.

ბოლოს და ბოლოს, მაინც არ მიხვდნენ ფსისხლოდ საქმის გათავება.

ზვიად სპასალარს მისმა მზრახებმა აცნობეს, ისე ეტყობა, კეისარი იდუმალ თავდასხმას უმზადებს ქართველებსო.

აგრე არ უნდაო და, ზვიად ერისთავის თოროსანი მხედრობა თვითონ დაესხა ბიზანტიელთა ბანაკს.

და ქართველებმა „აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა“.

კეისარმა გაქცეულები შეაყენა, თავი მოუყარა და ლეგიონები მტკიცედ შეკრა ქართველთა უკუსაქცევად.

ბრძოლად გასვლის წინ ბასილიმ ქართველი მეფის ხელმოწერილი და მისი ბეჭედით დაბეჭდილი საზაგო წერილი შუბის წვერზე წამოაგო, მაღლა ამართა, ჯარებს დაანახვა და ზეცას შესძახა:

— აჰა, ესერა, იხილე და საჯე, უფალო, წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა აწ იქმან!

მას უკან ჯვარი მოაღებინა, მიწაზე მანდილი გაშალა, ჯვარი ზედ დაასვენა და ზემოდან დასძახა:

— უკეთუ მიმცე მე ხელთა მტერთასა, არღარა თაყვანი გცე უკუნისამდე!

ეს თქვა და ნიშანი მისცა.

და გამოეყო რუსული დრუჟინა ბიზანტიელთა ლეგიონებს.

მჭიდრო, განურღვეველ რიგებად შეყრილიყვნენ, ბრგანი, სრულტანოვანნი, ჩალისფერნი. მოდიოდნენ მწყობრი, მძლავრი ნაბიჯით და საჭურველის ზრიალით.

მდუმარედ ელოდნენ ქართველნი.

პირველად ხვდებოდნენ მანამდე უთვალავი მტრის მხილველნი ეგზომ უცხო მტერს.

გული, რეცა, უშლიდა მახვილის დაძვრას.

უკუიქცა ზვიად ერისთავის ლაშქარი. სრულის ძალებით გამოედევნა ბასილი კეისარი.

მეფე გიორგიც ფიცხლად დაიძრა ქართველთა მთავარი ლაშქრით.

სასისხლე ხაზს მიუახლოვდნენ, შედგნენ და ისევ დასცეს ბანაკი ორსავ მხარეზე.

მძიმედ ჩაეფიქრებინა გიორგი ზვიად სპასალარის თოროსან სპათა მარცხს.

ახლა კი ენიშნა თრიალეთელი ულუკის ნამისნარი — მწითურნი დაგამარცხებენო.

ბასილი კეისარიც მძიმე საგონებელს მისცემოდა. ყველაზე ძვირი სისხლი ქართველებთან ბრძოლაში მექცევაო, ფიქრობდა იგი ფიქრითა შფოთიანითა.

იმისიც ეშინოდა კეისარს, სანამ აქ, ქართულ მიწაზე ფეხს ვიბორძიკებ, ვაი თუ ზურგში, ჩემს სატახტოში ჩემი მტრები კიდევ რაიმე სამტრო ხვანჯებს მიხლართავენო.

და ისევ გამოუგზავნა დესპანი ბასილი კეისარმა გიორგი მეფეს: რაც იყო, იყო — დავივიწყოთ და ერთხელ და სამუდამოდ შევრიგდეთო.

რაკი შერიგებაა, შევრიგდეთო — უპასუხა გიორგიმ.

და ისევ მიუსხდნენ სამშვიდობო მაგიდას.

ტაო-ბასიანის ციხე-ქალაქები შუა გაიყვეს.

შენი უფროსი ძე, უფლისწული ბაგრატი, კონსტანტინოპოლს უნდა გამატანოო, — უთხრა ბასილიმ გიორგის. სამი წელიწადი იყოს ჩემთანო, შვილზე უტკბესად შეგინახავო, — ეჩიჩინებოდა თვითონ უძეო კეისარი — ისედაც არ აწყენს კონსტანტინოპოლში ზრდა და წვრთნა ბატონიშვილსო.

— გეფიცები ფიცითა მტკიცითა: წელსა მესამესა გამოგიგზავნო ძე შენი, — დაასრულა ბასილიმ.

და წაიყვანა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინოპოლს ბატონიშვილი ბაგრატ, ოთხი წლისა.

უარი შეუბედა თვალშვენიერ არსუკისძემ გიორგი მეფეს: საღვთო სალოცავზე მიწიერი კაცის სახელის მიწერა ღვთის გმობა და შეურაცხება ოქნებაო. ამიტომ არ მივაწერ ჩემს ეკლესიას სახელს სვეტიცხოვლის ტაძარზეო.

გაწყრა გიორგი მეფე: მე მიბრძანებია და აღესრულება, არა და... მხარზე მარჯვენა არ შეგრჩებაო...

მარჯვენა არ შეგრჩებაო?!

ეს მერამდენედ ითქვა არსუკისძის მარჯვენის დაგდებინებაზ?!

და აღესრულა ნაბრძანები გიორგი მეფისა.

და უკვე ღაღადებდა წარწერა ესე ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე:

„ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმიდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაითა“.

ხოლო, ჩრდილოეთის კედელზე გონიო და მასზე ჩაჭიდებული მარჯვენა ხელი იყო ამოკვეთილი, იქვე წარწერით:

„ხელი მონისა არსუკისძისაი. შეუნდეთ“.

გაეცინა გიორგის, ეს რომ წაიკითხა, და უთხრა თვალშვენიერს: ამ ნახატზე და წარწერაზე გინდა გადაიაროს მკლავის მოკვეთის მუქარამ?

ეგ არ მიფიქრია, თუმცაღა კარგად კი გამომსვლიაო, იცინოდა არსუკისძეც.

კათალიკოსს კი გაუხარდებოდა მისი სახელის ეგზომ ხმამაღლა მოხსენიებაო, და მელქისედეკის ზვიადმა სახემ გაუელვა წამით გიორგის.

მცირედად კი მისაყვედურა კათალიკოსმა და ესეც გაიხსენა — „ნუ აღმერთებ თავისა შენისა ძეგლსაო“, — მაგრამ უმალვე ჩაშოშმინდაო, — ამბობდა ღიმილით თვალშვენიერი.

მაინც იმდენი გიქნია, შენი სახელი არ დაგიწერიაო, — უთხრა გიორგიმ.

სახელი კი არა, თქვენი ბრძანება რომ არ ყოფილიყო, გვარსაც არ მივაწერდიო, — თავისას არ იშლიდა ხუროთმოძღვარი.

გიორგი კიდევ დიდხანს უცქერდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერას. მანამ უყურებდა, სანამ მისი სიმაღლითა ნაჩქერალმა შუქმა თვალები არ ატკინა.

წარწერის თავს გასდევდა გარდანაკვეთი ტაძრისა.

— მაინც რას ფიქრობ, არსუკიძეე, უნდა მომასწრო და დამასწრო თუ არა სვეტიცხოვლის თავის დაბურვას? — უცებ იკითხა მეფემ და თვალები მოისრისა.

გაჰკვირდა თვალშვენიერი. ნაღვლიანი ეჩვენა ეგზომ ახალგაზრდა და სიმხნევით განთქმული ხელმწიფის ნათქვამი.

უკეთუ მოსწრება არ უწერია, უმალ მე ვერ მოვესწრები და შენს შემდგომ არც უნდა მოვესწრო სვეტიცხოვლის დასრულებასო, — მიუგო მეფეს.

— აბა, შენ იცოდე, ვინძლო ორივე მოვესწროთ! — გაიღიმა მეფემ კეთილი, თუმცაღა ნაღვლიანი ღიმილით.

ერთხელ კიდევ შემოუარეს ტაძარს მეფემ და ხუროთმოძღვარმა.

ერთხელ კიდევ შედგა და მიაჩერდა გიორგი მკლავს, გონიოს და წარწერას.

— შენს ბრძანებამდე, მეფეთმეფეო, კიდევ ერთი ვინმე შემომიჩნდა, სახელი მიაწერეო სვეტიცხოველს, მაგრამ უარი ვუთხარ და არ შევასრულე მე მისი თხოვნა, — უცებ თქვა თვალშვენიერმა.

— ვინ იყო ის ერთი ვინმე? — სწრაფად მოუტრიალა კითხვა გიორგიმ.

— მწირი ერთი, ახალგაზრდა, შენი სახელმოდგამი, მეფეთმეფეო.

— გიორგი? — გაკვირვებით შესძახა მეფემ.

— დიახ, ხელმწიფეო, — განცვიფრდა თვალშვენიერიც.

— ის აქ იყო?

— დიახ.

იმის კითხვა კი ვეღარ შეჰბედა, საიდან იცნობდა მეფე იმ კრძალულ მწირს.

— საიდან სადაო? — თვითონ ჩაილაპარაკა მეფემ თავისთვის.

— ნინოს გზა გამოევლო, ფარავნიდან მცხეთამდე.

— ნინოს გზაო?

— და ერთი დღე-ღამე ვიყავით ერთად. ღამე აი, იქ გავათიეთ და ის ქვაჯვარი, ვაზიცხოველი, ერთად ავზიდეთ და ერთად ჩავასადაგეთ, — აირთხა ხელი არსუკიძემ.

—საოცარია, საოცარი, — ამბობდა მეფე — სწორედ ღვთის ხელნადები არის ის ბერი.

—სწორედ ჭური სიბრძნისა და სათნოებისა.

ჭკუის გვადრუცი.

— დიახ, სწორედ.

— და იმან ვთხოვა, მიგეწერა შენი სახელი ტაძრის კედელზე?

—იმან მთხოვა თავდაპირველად, სწორედ იმან.

— და უარი უთხარ?

— დიახ, უარი.

— ძალიან სცდები, — დაბეჯითებით უთხრა მეფემ — სწორედ მისი თხოვნა აღგისრულებია შენ.

—?!

—ამინ ვეტყვი შენ: მე აზრად არ მომსვლია ის, რაც გიბრძანე, მაგრამ სწორედ იმ ჩემმა სეხნა ბერმა მთხოვა მებრძანებია შენთვის სვეტიცხოველზე ამოტვიფრა ალმშენებლის სახელისა.

ამას კი სრულებით აღარ ელოდა არსუკიძე.

საიდან და როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ორი გიორგი — მეფე და მწირი — ვერც კითხვა გაუბედა მეფეს და აღარც თვითონ ეწადინებოდა ამის შეტყობა. აღარ უნდოდა, რადგან, რეცა, გულიც წყდებოდა, რომ მისი სულის მარჩენელი მისგან სადღაც ისე შორს წასულიყო, მათ ნაზრევთა მანამდელი თანხვდომილობა აგრე რიგად მოშლილიყო და დაწრეტილიყო.

— ახლა იგი ჩვენგან შორს არის, სთქვა მეფემ და წასასვლელად აემზადა.

ისრის სასროლზე მეფეს ამალა უცდიდა.

მეფის ამალაში არსუკისძის თვალმა ერთი ვინმე გამოარჩია — ანაგებით, ფერით, მიმოხრით.

და გაახსენდა, რომ იმ „გამორჩეულს“ ქირქინ აბულახტარი ერქვა.

— როცა ქირქინში ფეიზლობს, მე მშვიდად ძინავს, — იტყოდა ხოლმე გიორგი მეფე.

მაშ გიორგი მწირი კონსტანტინოპოლს იყო.

კონსტანტინოპოლი!

სატახტო აღმოსავლეთ რომის იმპერიისა, ანუ ბიზანტიისა.

ოქროს ჭიპი დედამიწისა!

გიორგის მისვლამდე ქალაქს გადახდილი ჰქონდა თავგადასავალი ათას ექვსას ოთხმოცი წლისა.

კონსტანტინე დიდიდან ბასილი ბულგართმძლეტელამდე, 640 წლის მანძილზე, კონსტანტინოპოლს, მსოფლიოს ჭიპზე“ — დრომ მოიყვანა და დრომ წაიყვანა:

იმპერატორი — 52.
დედოფალი — 71.
სასახლის საჭურისი — 104.
მწერალი და ფილოსოფოსი — 50.

და ყველა ერთად რომ არ ჰღირდა ფეხის ფრჩხილად ჰომეროსისა, ან ესქილესი, სოფოკლესი, ევრიპიდესი, არისტოფანესი, პინდაროსისა, საფოსი, სოკრატესი, პლატონისა, არისტოტელესი, და სხვათა მრვალთა ძველთა ჭელინთა ფრჩხილთა ღირსებისად რომ არავინ მოიძევებოდა ბიზანტიის ათასწლოვანი ისტორიის წიაღში.

და მაინც იყო მსოფლიოს აზრობრივი კორიფეესი ბიზანტია.

და მაინც იყო დედამიწის ოქროს ჭიპი კონსტანტინოპოლი.

ჩამქრალი და ჩამკვდარი იყო ძველი ჭელადის ცხოველი დვრტა ადამიანის იდეალური მთლიანობისა — სხეულისა და სულის ერთნაირად, ჰარმონიულ ამაღლებისა, აღზევებისა და განსპეტაკებისა.

ბიზანტიური იდეალი ადამიანის სულისა და სხეულის გახლეჩას [illegible] და თავგამოდებით.

სხეული უნდა დაკნინებულიყო, მკლავისა და მუხლის სიმკვრივე და სისწრაფე მოშლილიყო, გონებისა და აზრის თავისუფალი სალმასურობაც დაჩლუნგებულიყო.

მაგრამ მაინც სუნთქვა არ შეეძლო ბიზანტიას მარად ცხოველყოფელი ჭელინური სუნთქვის გარეშე.

და სუნთქავდა ბიზანტია ანტიკურ-ჭელინურ ნასუნთქს.

და კვლავ ლოშნიდა ბიზანტია უნდილი ტუჩით ანტიკურობის მხურვალე ძეძუს.

ბიზანტია ანტიკურობის ნამღერს მღეროდა.

რა ვუყოთ, რომ გამხელასაც არ კადრულობდა, მაგრამ მაინც ანტიკურობიდან ნასუნთქარით და ნაწოვარით ედგა სული ბიზანტიას.

ამიტომ კორიფეესობდა ბიზანტია.
ამიტომ ჭიპობდა მისი სატახტო.

და, როცა დრომ გიორგი ქართველი კონსტანტინოპოლს მიიყვანა, ანუ დედამიწის ჭიპზე ფეხი დაადგმევინა, მაშინ მას იქ დახვდა:

საიმპერატორო სასახლე — 3.
წარჩინებულთა სახლი — 777.
ეკლესია — 96.
ჰიპოდრომი — 1.
უნივერსიტეტი — 1.
მეძავთსაძოვნებელი — 1001.
აკადემია — 1.
იმპერატორი (კეისარი, ბასილევსი, ავტოკრატორი, ავგუსტუსი) — 1.
დედოფალი (ავგუსტა, ბასილისა) — 1.
უფლისწული — 0.
სასახლის საჭურისი — 1.
პატრიარქი — 1.
ბერ-მონაზონი — 1001.
ფერეზიკი — 3000.
ჯამბაზი — 502.
ულუკი — 59.

მსტოვარი, იმპერატორის ნებით — 1000.

მსტოვარი, საკუთარი ნებით, ანუ მოხალისე — 100 000.

მკვლელი იმპერატორის ნებით —130.

მკვლელი, საკუთარი ნებით, ანუ მოხალისე — 3333.

მათხოვარი — 7000.

სოდომიტი აშკარად (თავს რომ ნეკით იქეიქავს) — 127.

სოდომიტი მალულად (თავს რომ სალოკი თითით იქეიქავს) — 127000.

ხოლო, სულ ოქროს ჭიპელნი — 900000 (შეიძლება 1 მილიონიც).

და ხასიათით ოქროს ჭიპელნი — ნერვიული, მღელვარე, ხმაურიანი, მალემრწმენი, ჭორიანი, ღვთისმორწმუნეც და ეშმასმორწმუნეც, ნათლისმიყვარეც და ჯადოსმადევარიც, მოაზროვნეც და ლაზღანდარაც, მშიშარაც და მოჯანყეც.

ერთ პირგახეულ ჭორიკანას შეუძლია შიშის ზარი დასცეს მთელ ქალაქს.

შიში, მერე, შიშს გააჩნია. ის კიდევ არაფერი, მამაკაცები უეცრად ცვდებად რომ გადაიქცევიან, არამედ მოხდება ხოლმე, დიდი შიშისგან ქალებსაც საწიდოვნო რიგი მოუწყდებათ და ერთბაშად ქალობა ეკარგებათ. და გარბიან ოქროს ჭიპელნი — მამაკაცყოფილნი და დიაცყოფილნი — გარბიან, სადაც და საითაც მოუხდებათ, უგზოუკვლოდ, ბღავილით, წივილით, წრიპინით, კრჩხიალებით, გოდებით, ვედრებით. შერბიან ეკლესიებში და ყელს იღადრავენ უსაშველოდ მწუხარე ლოცვით:

„კირიელეისონ!!!“

ხოლო ჩვენ კვლავ მოვიცვალოთ ფიქრი ჩვენი და ისევ პირველ სიტყვათა სარბიელზე მოვიდეთ.

ფერის ჯოჯიკისძის ქვრივი, კრავაი, და მისი სახლეული, კეისრის ნებით, პატივში იყვნენ კონსტანტინოპოლის სასახლის კარზე, რადგან მაინც და მაინც, კრავაი დაი იყო გიორგი ქართველთა მეფისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრავაიმ და გიორგი მწერალმა ერთად ბევრ ბევრ ბევრ

იყო კერძო სასწავლებლები, სადაც ასწავლიდნენ ტრივიუმისა და კვადრიუმის თანმიმდევრული განწესებით: ჯერ — ფილოსოფია, გრამატიკა და რიტორიკა, შემდეგ — არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა.

და შევიდა გიორგი კერძო სკოლაში, თანაც ისე შევიდა, საპატრიარქო აკადემიაში სწავლაც არ შეუწყვეტია.

ხოლო, კერძო სკოლა, რომელიც გიორგიმ აკადემიასთან ერთად დაიწყვილა, იყო იოანე მავროპოდისა, მოკრძალებული პოეტისა და რიტორისა.

იოანე მავროპოდი გატაცებული იყო ძველი ბერძნული ხელოვნებით და ფილოსოფიით, გამორჩევით პლატონი და პლუტარქოსი უყვარდა და ერთი ეპიგრამით ასე მიმართავდა იესო მაცხოვარს:

ქრისტეკ,
უკეთუ წარმართთაგანის
ვისმეს გამოხსნას დაეპირები,
გემეფარები:
პლატონი და პლუტარქოსი გადამირჩინე!

„საოცარია სწორედ, — ფიქრობდა გიორგი — ეს ბერძენნი იმ წინაპარ ბერძნებს წარმართებს და ბარბაროსებს ეძახიან და მათი სულით კი უდგათ პირში სული.

„ათენს, მთელი მსოფლიოს მასწავლებელს, უნივერსიტეტი დაუხურეს, მაგრამ ვერა რომ არ დაჩრდილულიყო. ახლა აღარც მაგნავრაა, აღარც ათენი, ათენურის გარეშე კი სუნთქვაც არ ძალუძთ.

„ბერძნები არიან და ბერძნობას არ კადრულობენ: ჩვენ რომეები — რომაელები — ვართო, გაიძახიან ბერძენნი ბერძნულად.

„და უმრავლესნი ეს „რომაელნი“ ისე იბადებიან, იზრდებიან და იხოცებიან, რომს ერთხელაც თვალითაც რომ არ იხილავენ.

„სახელმწიფოც ბერძნული აქვთ და სახელმწიფოსაც „რომს“ ეძახიან, ძველი „ჰელადის“ ათვალწუნებით.

„მეტყველებაც ბერძნული აქვთ, ფიქრომეტყველებაც, ყველაფერი და ყოველივე ბერძნული. მაგრამ მშობლიურს მაინც სხვისი ურჩევნიან, ნათხოვარი ურჩევნიან, სხვისი ნათქვამი, სხვისი ნამღერალი, სხვისი ნახმარი...

„თანაც — სხვისას სხვისად როდი თვლიან“.

„სხვისი სიკეთით იკოხნება ჰიპი დედამიწისა, მაგრამ სხვისი სიკეთე არასდიდებით არ უხარია.“

ფიქრობდა გიორგი, ქართული ფიქრომეტყველებით.

ბერძნული ენა უკვე ბერძენზე უსრულესად იცოდა, მაგრამ ფიქრომეტყველება მისი იყო მაინც ქართული.

და ფიქრომეტყველება არის სწორედ ჯიში და ჯილაგი ადამიანისა.

დიდებულად იცოდა ბერძნული, არაბული, სომხური. მაგრამ ქართველს ქართული ჯიში ფიქრით ქართულად ამეტყველებდა.

ფიქრობდა და სწავლობდა გიორგი.

ყველაფერს ფიქრობდა და სწავლობდა, რაის სწავლაც მოხერხდებოდა მსოფლიოს ჰიპზე. ყველაფერს სწავლობდა — ქრისტეშდეულსაც და ქრისტეს შემდგომსაც.

მაინც ბაბილონის გოდოლს ამსგავსებდა გიორგი კონსტანტინოპოლს.

მრავალი ჯიშისა და გვარჯილაგის ტერფი ტერფავდა ჰიპსა დედამიწისასა.

მრავალი ენა სხეპავდა მის ცისგვამს.
ბერძენნი
ლათინნი
თრაკიელნი
ბულგარელნი
გერმანელნი
არაბნი
ილირიელნი
ისავრიელნი
პისიდიელნი
ლიკაონელნი
ჰაბირუელნი
სომეხნი
ქართველნი

რუსნი.

ახლად შემოსულნი იყვნენ რუსნი.

უცხო ქალაქში ზომ ყოველ პირველად შემოსულს ნაბიჯი ერევა, გული უკრთება, მუხლი ეკვეთება.

მაგრამ რუსნი ისე გულდანდობილად დაადიჯებდნენ, როგორც ყრმობითვე ნაჩვევ, ტანურღვეველ მშობელ მიწაზე.

ყველაზე მძლავრად და სრულნაკვთიანად სწორედ რუსული ტერფი ებჯინებოდა დედამიწის ჭიპს.

გუშინ მესამედ დაინახა გიორგიმ ის რუსი, ფერის ჯოჯიკისძემ რომ მახვილი ამოართვა და გულში დაიკრა, და მერე თვითონ თავისი ხელით რომ დაუხუჭა თვალები იმ რუსმა მკვდარ ქართველს.

ძლიერი, უდიერი ნაბიჯით მოდიოდა რუსი.

ქართველები და სომხები კი დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ კონსტანტინოპოლისა, იმდენი ხნის ნაცნობნი, რამდენი ხნისაც იყო თვითონ კონსტანტინოპოლი.

მარტო ნაცნობი კი არა, შინაურები იყვნენ სომხები და ქართველები კონსტანტინოპოლის სასახლის კარზე.

ხშირად მაჭიკი მსოფლიოისა ქართველებს და სომხებს მაჭიკივით ეჭირათ ხელში.

ან ქართველებს, ან სომხებს.

ან ერთად — სომხებს და ქართველებს.

კონსტანტინოპოლის დაარსებიდან კონსტანტინოპოლში გიორგის მისვლამდე, 680 წლის გასწვრივ, მტკიცედ შემუშავებულიყო საყოველთაო აზრი, ანუ „მსოფლიო აზრი“ ქართველთა და სომხეთა მიმართ.

და ამბობდნენ დაბეჯითებით:

ქართველები და სომხები ღვთაებრივი მოდგმისანი არიან.

ქართველები — მარსისა,
სომხები — მერკურისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მარსი და მეკურეია, — ლათინური, რომაულით ამბობდნენ, ხოლო პირველობილი ბერძნულით რომ ეთქვათ — არესი და ჰერმესიო — ამას თითქოს აღარც კადრულობდნენ ეს „გარომაელებული ბერძენნი“).

საშიშია, ფრიად საშიში ყველა სამტრო ქვეყნისათვის, ოდეს ეს ორი ხალხი, არესისა და ჰერმესის მოდგმისანი, ერთად არიან, ერთიმეორეს ავსებენ და ერთიმეორეს განამტკიცებენ.

და მადლობა ღმერთსო, — გაიძახდნენ ბიზანტიაში — რომ ქართველები და სომხები ერთად ყოფნას, თანადგომას და თანალმობას უმტეს წელ ვერ ახერხებენ, და ერთიმეორის მარადიული მოყვარენი, ერთიმეორეს მარადიულად ექიშპებიან.

მაშინაც, ყრმა ბასილი ბასილევსს ბარდა სკლიაროსი რომ აუჯანყდა, აჯანყებულებს სომხები დაეხმარნენ, ქართველები კი დაემტერნენ და თორნიკე ერისთავმა კიდევაც მოინელა ბარდა სკლიაროსი, მაგრამ ამით რა გამოვიდა?

როგორც ეტყობა, სომხები უფრო მართალი ყოფილან, რადგან ქართველთა წყალობით გადარჩენილმა ბასილი კეისარმა აღარც სომხები დაზოგა და აღარც ქართველები.

სომხებს ბასილიმ ჯერ ტარონი წაართვა, მერე ვასპურაკანი. ესეც არ აკმარა და, საქართველოს ერთგულ მოკავშირეს, ანისის მეფეს, იოანე-სუმბატს, ანდრძი დაწერინა ბასილიმ — ჩემი სიკვდილის შემდეგ ანისი კონსტანტინოპოლის სასახლეს ებოძოსო.

ქართველებს კი უმადურმა იმპერატორმა სამხრეთი ტაო წაჰგლიჯა და მისგან ცალკე საკატაპანო შექმნა.

ვინ იცის, ქართველები და სომხები

რომ ერთად ყოფილიყვნენ და კონსტანტინოპოლის ტახტზე ბარდა სკლიაროსი აეყვანათ, იქნებ ის მაინც დაიხსომებდა და ამაგს ამაგით მიუზღავდა ერთსაც და მეორესაც — საქართველოსაც და სომხეთსაც?

თუმცა ვინ იცის!

ან, ბარდა რით იქნებოდა ბასილზე უკეთესი?

ან, რად უნდა აეყვანათ ტახტზე ვინმე სხვა თესლი და ჯილაგი, როცა თვითონ ქართველებს და სომხებს, ერთიანი ძალით, ტახტზე აყვანა თუ შეეძლოთ, განა ტახტზე დაბრძანებას ვეღარ შეიძლებდნენ?

განა აკლდათ ქართველებს და სომხებს ღირსეული თავები, რომლებიც მსოფლიო იმპერიის გვირგვინს კიდევაც დაიმშვენებდნენ და კიდევაც მოიხდენდნენ?

მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ სწორედ აკლდათ ყველაზე საჭირო თავი — თავი ერთად ყოფნისა და ერთად მოქმედებისა.

სომეხი თავდაუზოგავად, გასაოცარი სიბეჯითით, წადნიერებით, ფრჩხილების ცვეთამდე ჩხრეკს და ეძიებს ყოველივეს, რასაც გარდასული ისტორიის წიაღში სომხური ერქვა, ან რასაც შეიძლება სომხური ერქვას, ან დაერქვას.

ქართველს კი ქართველის და ქართულის მოძებნა იშვიათად გახსენება.

არ გახსენება, რადგან მისთვის ყველაფერი მხოლოდ მ ი ს ი თ იწყება.

სომხებს წვრილად შეუსწავლიათ და აღუწერიათ ცხოვრებანი ყოველი სომხისა, ნამდვილისა და სავარაუდებელისა, რომელსაც კი ოდესმე ამ უზარმაზარ სახელმწიფოში თავისი მკლავით, ხმალით, თუ გონებით რაიმე გაუკეთებია, ყოველივე სომხის ნაქმნარი, საქმე დიდი თუ საქმე მცირე, დაწყებული საიმპერიო ტახტისთვის ბრძოლით, გათავებული სადმე ნესტიან [illegible] ცხვირის დაცემინებით.

ქართველებს კი მსგავსი ჩხრეკისთვის ვერ მოუცლიათ.

ვერ მოუცლიათ, რადგან საკუთარი, პიროვნული „ჩხრეკისთვისაც“ არა ჰყოფნით ეს ერთადერთი წუთისოფელი.

და არ იძვროდა მელანი ქართული სისხლის აღსადგენად და ასაღორძინებლად.

ხოლო, უმელნოდ სისხლი მკვდარია, მარად მკვდარი, დამშრალი და დამიწებული.

სისხლის აღდგომა და აღორძინება მემატიანის მელანია.

მემატიანის მელანი სისხლის ფერისცვალებაა.

და აჰა, ესერა, ახლა გიორგი ქართველი, ჭაბუკი მწირი და სწავლული სრული, ეძიებდა, ჩხრეკდა, სწავლობდა და წერდა ცხოვრებას ყოველი ქართველისას, რომელთა სახელიც დიდად თუ მცირედ, უხვად თუ მწირად, შემორჩენოდათ „რომეების“ (თუ ბერძნების) უზარმაზარი სახელმწიფოს საისტორიო დანაშრევებს.

და მოიღვენთებოდა მელანი დამშრალი და დამიწებული ქართული სისხლის გასაცოცხლებლად და ასაღორძინებლად.

და ამოდიოდნენ სულეთიდან ქართველნი, უცხოეთში ნახარჯი წუთისოფლებით, ამოდიოდნენ, ეტრატზე ეფინებოდნენ და ლაგდებოდნენ.

დრო კი მიჰქროდა უსულთქმოდ და უწერტილოდ. მიჰქროდა ნახმარ და ნახარჯ ფრთათა დაცვენით, ახლად ანასხამ ფრთათა ქნევით, ტლაშუნით.

დრო მიაქროლებდა მიწის კერძებს და მოაქროლებდა მიწის მკერძველებს.

დრომ დაჰბადა მუჰამედი, ყურანი, ისლამი, გინა მუსლიმობა, გინა მაჰმადიანობა.

და დრომ აიღოზეცა მოდგმა არაბისა, ანუ საარკინოზისა, ანუ აგარიანისა.

აიღზეცა და გაბატონა დრომ არაბეთი, არაბეთის ზღვიდან ატლანტის ოკეანემდე — გასწვრივი სასისხლო ხაზით ქრისტიანულ სამყაროსადმი.

ხოლო, ქრისტიანული სამყარო მოქცეულია ორ იბერიას შორის.

დასაწყისი, ანუ აღმოსავლეთით — ქართული იბერია.

დაბოლოება, ანუ დასავლეთით — ესპანური იბერია.

და ორივე ხელთ იგდეს არაბებმა — დასაწყისიც და დაბოლოებაც, თავიც და ბოლოც.

და იბატონეს არაბებმა:

თავში, ანუ ქართულ იბერიაში — 400 წელიწადი.

ბოლოში, ანუ ესპანურ იბერიაში 800 წელიწადი.

ქართულმა იბერიამ — არცა სულში და არცა სისხლში არ გაიკარა, არ შერია და არ შეინაკადა არავითარი ნიშატი არაბულისა (და არავინ იცის, სჯობდა თუ არა ასე, მაგრამ ასე კი იყო).

ესპანურმა იბერიამ კი — სრულიად შერიწყა და შეითავისა ნიშატი ყოველი არაბულისა, მისი სულიც, მისი სისხლიც, მისი სხეულიც (და არავინ იცის, სჯობდა თუ არა ასე, მაგრამ ასე კი იყო.

ახალმა უმძიმესმა და უხანგრძლივესმა სისხლიანმა ავდარმა მოიცვა მსოფლიო.

იბადებოდნენ, იზრდებოდნენ და იხოცებოდნენ თაობები, სამშვიდობო ცხოვრებით გაუხარელნი, მარად მეომარნი და სისხლმათხევარნი.

უკვე დიდი ხანია, მშობლები ასაფლავებდნენ შვილებს და არა შვილები მშობლებს.

ანუ შვილებს, საომარ ველზე აჩეხილებს, მშობლების ნაცვლად ყორნები სტირიან და ასაფლავებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბადებოდნენ და დედის საშოთგან მუჭით სისხლი გამოჰქონდათ სისხლის თხევისათვის დაბადებულებს.

და იდგა მარად გამოუდარებელი ავდარი სისხლიანი, მუსლიმთა და ქრისტიანთა ხმალთაკვეთებით.

ომები უმძიმესი და უთავეკმონი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულიყო: რომელ არს ჭეშმარიტი ჭიპი დედამიწისა — მუსლიმთა მექა, თუ ქრისტიანთა კონსტანტინოპოლი?

ანუ — რომელ არს სალოცავი ჭეშმარიტად ზესთასოფლური — ქაბა, თუ აია სოფია?

და სცემდნენ ერთმანეთს, და სისხლს აქცევნებდნენ ერთმანეთს — ბიზანტია და არაბეთი, არაბეთი და ბიზანტია.

და უფრორე თავგამოდებით და თავგადაკვდომით იბრძოდნენ ერნი მცირენი, იმის შიშით, სიპატარავე არ დაგვწამონო დიდთა ვეშაპთა, მყლაპავთა მსოფლიოისა.

არც ერთი ბრძოლა, არცა დიდი და არცა მცირე, არ გადაუხდიათ ბიზანტიელებს, მათში რომ მეწინავე სისხლმაქცევრებად ქართველები და სომხები არ გამოსულიყვნენ.

და უცხო თესლთათვის ეგზომი „თავგადაკვდომის“ მუქაფად ერთიც და მეორეც ღებულობდა მხოლოდ უმადურობას ღორისსულოვანს.

(საერთოდ კი ასე მოსდგამს დიდისა და მცირის მარად უსწორო „წონასწორობას“).

მაგრამ რაკი უქართველოდ და უსომხოდ მაინც არა საქმის გამოწყობა და გადაწყვეტა არ შეეძლოთ, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მაინც აძლევდნენ ბიზანტიელნი წამდაუწუმ სახელმწიფოს საჭენებელ ლაგამ-უნაგირს სომეხს თუ ქართველს.

და იყვნენ გამუდმებით ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ქართველნი და

სომეხნი — ნაშიერნი მარსისა და მერკურისა:

დომესტიკოსნი
კომიტნი
მაგისტროსნი
პატრიკიოსნი
ნობილისიმოსნი
სპასპოსნი
კურაპალატნი
ეპარქოსნი
რეფერენდარნი
დიასპანნი
პარაკიმომენოსნი
პროედროსნი
სინკლიტიკოსნი
ჰეტერიარქოსნი
დრუნგარიოსნი
მისტიკოსნი
ლოგოთეტნი
ბასილეოპატორნი
ბუკელარიოსნი
ვიკარიოსნი
კუბიკულარიოსნი
პროთოსპათეროსნი
პრეპოზიტოსნი
სქოლარიოსნი
სპათაროსნი
ანთიპატოსნი
პრიმიკირიოსნი
პროტოვესტიარიოსნი.

ბანიერი, თამამი ნაბიჯებით დაადგებდნენ ავგუსტეონზე და კონსტანტინეონზე, კონსისტორიონში და ტრიკლინიუმში, ხალკასა და დაფნაში, ქრიზოტრიკლინიუმში და ტრიკონქში, მაგნავრაში და აია სოფიაში.

სომხები საიმპერატორო ტახტსაც სინჯავდნენ შუაღამისას, ქართველები კი — სადედოფლო სარეცელისკენ მიჩუმათობდნენ შუაღამისას.

(ქართველებს შეეძლოთ სამეფო ტახტი სატრფიალო სარეცელზე ისე იოლად გაეცვალთ, როგორც ესავმა პირმშოობა გაცვალა ოსპის ნახარშზე).

ქართველებისა და სომხებისა იყო ჭიპი მსოფლიოისა — მათი არ ერქვა, თორემ მათი იყო.

თუმცაღა — კიდეკიც ეკუთვნოდათ მათ ოქროს ჭიპი, კიდეკიც არ ეკუთვნოდათ. ასე იყო, რადგან — კიდეკიც ერთად იყვნენ ქართველნი და სომეხნი, კიდეკიც არ იყვნენ ერთად.

არ იყვნენ ერთად, რადგან მათ შორის იდგა სული უდიადესი, მაგრამ არცა ქართველი, არცა სომეხი, არამედ ტომით ჰაბირუ.

და სახელი მისი — იეშუა ნაზარეველი, ანუ იესო ქრისტე.

იესო ქრისტე, რომელ არს ღმერთი და მხოლოდ ღმერთი! — იძახდა სომეხი.

იესო ქრისტე, რომელ არს ღმერთიც და არს კაციც! — იძახდა ქართველი.

და მხოლოდღა ამის გამო არ იყვნენ ერთად სომეხ-ქართველნი.

და ჰხარობდნენ ყოველნი, ოქროსჭიპელნი და არაოქროსჭიპელნი, ერთად ყოფნას რომ ვერ ახერხებდნენ ქართველები და სომეხები.

ისლამი კი მძინვარებდა იბერიიდან იბერიამდე.

იბერიიდან იბერიამდე იძვროდა დედამიწა ქრისტიანთა სისხლში ამოვლებული ჩალმებით შუბლდამშვენებული მხედრობის ფერხთა ქვეშ.

(წესად ჰქონდა არაბს: ქრისტიანს მოჰკლავდა, მის სისხლში ჩალმას ამოავლებდა აღტაცებული).

— ალლაჰ-ილალლაჰ — ძახილი ყოველ ძახილთა დამჩაგვრელი და დამამხობელი იმა დრო-ჟამისა.

იბერიიდან იბერიამდე!

ქართული იბერიიდან ესპანურ იბერიამდე!

ესპანურმა იბერიამ იცნო, მიიღო, შეირწყა და შეისეფეა ისლამი, არაბობა, სარკინოზობა, აგარიანობა.

აღმოსავლეთში კი, ორი დიდი ძალიდან ერთმა იცნო და შეირწყა ისლამი, მეორემ — ახლოსაც არ გაიკარა. სპარსეთმა იცნო, შეითვისა და შეითავისა. ქართულმა იბერიამ კი — მარჯვენით ხმალი აიღო, მარცხენათი ჯვარი და

ოთხასი წელიწადი იომა ისლამისგან, ქვეყნის ან რჯულის გადასარჩენად.

და ოთხასი წელიწადი, ანუ თორმეტი თაობა ქართველობისა ეძღვნება ისლამის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ომის დროს კი — მუდამ მშობლები დაიტირებენ შვილებს.

ხოლო მშობლები შვილმკვდარნი და შვილთაგან დაუტირალნი მიდიან მარად მგლოვიარე წუთისოფლიდან.

ოთხასი წელიწადი ეწერა ქართული იბერიის ავდრიან დროშებს:

„ქრისტიანობისთვის! ქართლოსიანობისთვის!“

მაგრამ ქართული იბერია არ იყო მხოლოდ ქართული სისხლის იბერიისთვის.

არამედ, იგი იყო ერთმორწმუნე, ქრისტესმიერ ბიზანტიისთვის.

ბიზანტიისთვის იგი იყო აღმოსავლური ბურჯი რვალისა, სწორედ ისლამის გახელებული შემოტევის უკუსაგდებად.

საქართველო იყო საფეთქელი ქრისტიანული სამყაროისა.

და იბრძოდა ოთხასი წელიწადი ქართველობა — იბრძოდა: საქართველოსთვის და ბიზანტიისთვის.

„შენ უნდა მიხსნა მე და შენ თვითონ უნდა იქნე ჩემი,“ — აი, რა ესმოდა „სამაგიეროდ“ საქართველოს მთელი ოთხასი წელიწადი ოქროს ჭიპიდან.

„მე გიხსნი შენ და ვიქნები შენთან,“ — ესმოდა პასუხად ოქროს ჭიპს მცხეთიდან, არტანუჯიდან, ქუთათისიდან.

და არ მოსწონდა ეს „შესწორება“ ბიზანტიას.

„შენ ჩემი უნდა იყო, ჩემი!!!“ — ჭიპზე იხეოდა ჭიპი დედამიწისა.

„შენი კი არა, შენთან ვიქნები, შენთან!!!“ — თავისას არ იშლიდა საფეთქელი დედამიწისა.

„ჩემთან კი არა, ჩემი!“

„შენი კი არა, შენთან!“

და აღენდნენ ერთმანეთს ხან სისხლს და ხან ძმარს ერთმორწმუნენი და შმანი ქრისტესმიერნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადენდნენ, ანთხევინებდნენ და მერე ერთმანეთს შეუღოცავდნენ სისხლის დენისას:

ძმამან ძმა მოკლა — კაენმა აბელი —
სისხლო, გეყოფა ნადენი მაგდენი.

და ორივე, ცალკეულად, თავისთვის თავს ინუგეშებდა:

„საქართველო ჩემი საკუთრებაა მხოლოდ!“ — ეს იყო ნუგეში ბიზანტიისა.

„მე ბიზანტიის მოკავშირე ვარ მხოლოდ!“ — ეს იყო ნუგეში საქართველოსი.

და აქცევინებდნენ ერთმანეთს — თუ სისხლს, თუ ძმარს „თანასაკუთრებისანნი“, თუ „თანამოკავშირეობისანნი“.

და ასე — ოთხასი წელიწადი იყო საქართველო თუ სისხლისა და თუ ძმრის ქცევაში „მსოფლიო ჭიპობისთვის“ დანასისხლად გადამტერებულ ორივე ჭიპთან — მექასთან და კონსტანტინოპოლთან.

ხოლო, საკუთარი ჭიპი ჯერ ისევ ვერ გამოეხსნა — ტფილისი ისევ არაბებს ეპყრა.

საქართველო გაერთიანებული იყო — უტფილისოდ.

და ტფილისობა — ერთიანი საქართველოს დედქალაქობა ეტვირთა ქუთათისს, ქართულ ქალაქთა მადლიან დედას.

შუალამემდე კითხულობდა გიორგი, შუალამემდე აწვალებდა და ამღერებდა საწერანს. ნაშუალამევს სენაკიდან გავიდოდა ნამაშვრალევი.

და მივიდოდა ბოსფორისა და ოქროს რქის შესაყარზე.

და უმალვე ფიქრის ფრთებით მცხეთის მიწაზე დაფრინდებოდა მისი გონება.

რაღაცით ჰგავდა ოქროს ჭიპს მცხეთა.

სხეულებრივი ანაგებით მაინც ჰგავდა ერთმანეთს ეს ორი მიწა.

ორივე ჰგავდა გუთნის დარად დალა-

გებულ წეროების გუნდს, გუთნის ერთი მხარე ბოსფორს, ანუ მტკვარს რომ მისდევს, ხოლო მეორე — ოქროს რქას, ანუ არაგვს.

იქნება ბოსფორი მტკვარს სულაც არ ჰგავს, არც მდგნე ოქროს რქა მშფოთვარე არაგვს, მაგრამ გუთნის, თუ სახნისის ანაგება, წეროების მწუხარე ფრთებით გაფრენილი, მაინც მიაფრენს მის გონებას მცხეთის მიწაზე.

და აქ — ბიზანტიური გუთნის წვერზე აღმართულა აია სოფია.

და იქ — მცხეთური გუთნის წვერზე აღიმართება სვეტიცხოველი.

და ახსენდება, განუწყვეტლივ და განიადაგებით ახსენდება თვალშვენიერ არსუკისძე, ტყუბისცალი მისი სულისა.

და თვალწინ უდგას სვეტიცხოველი, შუა გარდაკვეთილი და გამოლიანების წყურვილით გაშმაგებული.

და ჰხედავს, როგორ ფეთქავს, ვითარცა ძარღვი კათოლიკე, საქართველოს საფეთქელზე სვეტიცხოველი.

ყრმა იყო მზის ანასხლეტი.

უფლისწული ბაგრატ, იმავარი ძე გიორგი ქართველთა მეფისა.

ჩამოიყვანეს კონსტანტინოპოლს, ბასილი კეისრის შვილობილად (აჰ, მძეკავი არავის ეგონოს!).

სამი წელიწადი უნდა მოეხადა კეისრის შვილობილობა (არა მძეკლობა!)

მართლა საკვირველი იყო სილამაზე ქართველი უფლისწულისა.

უკეთუ გაზრდა დასცალდა, იქნება იგი უმშვენიერეს იოსებ მშვენიერისა, — იძახდნენ ოქროს ჭიპელნი, ბაგრატის ხილვით გაკვირვებულნი.

შავი და ლურჯი ფერი ირასოდეს ასე ბუნებიათად არ შერწყმია ერთმანეთს, როგორც ქართველი უფლისწულის თვალებშია, — ამასაც გაიძახოდნენ.

გაიძახოდნენ, რადგან ბაგრატ ბატონიშვილს მარჯვენა თვალი შავი ჰქონდა, მარცხენა — ლურჯი.

ალექსანდრე მაკედონელის შემდგომ ასეთი თვალები არც ერთ უფლისწულს! ღარ მოსწრებიაო.

შავი თვალი დედისგან აქვს, ლურჯი მამისგანო, — ამასაც ამბობდნენ.

სიმშვენიერის გამქირდველი ბასილი კეისარიც აღტაცებული იყო ქართველი „შვილობილის“ სიმშვენიერით.

და კიდევაც წრფელად უყვარდა არავის მოყვარულ იმპერატორს ყრმა ბაგრატი.

ისურვე, რაიც გსურდეს და უმალვე შეგისრულდებაო, ეუბნებოდა დღენიადაგ ყრმას კეისარი.

და ბაგრატიც დღენიადაგ ერთადერთ სასურველსა და სანატრელს აღავლენდა პასუხად ხელმწიფის ღრტენისა:

— დამაბრუნე საქართველოში!

— საქართველო და საქართველო! არსად დაგეკარგოს ეგ შენი საქართველო! — ანჩხლობდა კეისარი.

და მაშინ, როცა ყრმას სახე გაუფითრდებოდა და თვალებშიც ბოღმის ავდარი ჩაუდგებოდა, ბასილი წამსვე დაუყვავებდა:

— ჰა, ნუ წაგვლეკავ მაგ შენი ცრემლითა შავითა და ცრემლითა ლურჯითა, ირწმუნე, მალე დაბრუნდები მაგ შენს საქართველოში.

— გარნა, არა ვირწმუნო, რაიცა თვალითა არა ვიხილო, — უცებ თქვა ერთხელ ბაგრატმა, მკაცრი, ურღვეველი ხმით.

გულზე შხამმა გადაუარა ბასილის.

მამამისზე უარესი უტეხი და შეუპოვარი იქნება ეს ლაწირაკიო, — ჯერ ეს გაიფიქრა და მერე იქვე, დამანძილებით მდგარ გიორგის მიუბრუნდა კეისარი:

— ეს შენგან ექნება გაგონილი ყმაწვილს, ბერო!

— ეგ თვითონ მისგან გამიგონია, — მშვიდად უპასუხა გიორგიმ.

— აბა, კიდევ გაიმეორე! — ისევ ბაგრატს მიექცა ბასილი.

— ვიდრე თვალითა არა ვიხილო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არცა ვიწამო, — გაიმეორა ბაგრატმა ისევ გულდებულად.

— შენს ნათქვამს ჰგავს-მეთქი! — კვლავ მიუტრიალდა გიორგის კეისარი.

— დიახ და დიდად მახარებს, ჩემსას რომ ჰგავს და ჩემი არ არის, არამედ მისი, საქართველოს მომავალი გვირგვინსნისა, — მხურვალედ თქვა გიორგიმ.

— შენ ზრდი, თუ მე ვზრდი ქართველ უფლისწულს? — იყვირა ბასილიმ.

— იგი თვითონ იზრდება.

ეს ისეთი სიმშვიდით თქვა გიორგიმ, მუხლი მოეჭრა კეისარს: ასეთი მშვიდი, შიშისგან განწმენდილი და განსპეტაკებული თვალები არც ენახა და არც წარმოედგინა არასდროს.

ერთხანს ასე განლიგებით უცქირა გიორგის თვალებს, მას უკან ისევ ბაგრატს მიუბრუნდა კეისარი:

— მაშ, ირწმუნე, ოდეს იხილავ!

— დიახ, ხელწიფევ!

— კიდევაც იხილავ და კიდევაც ირწმუნებ, მაგრამ შენ რომ წახვალ, მე სიცოცხლე გამიმწარდება.

გაჰკვირდნენ ბაგრატი და გიორგი, ისე უმწეო ეჩვენათ კეისრის სიტყვა. წუთით კეისარიც კეისრად ვეღარ დაიჯერეს. ნუთუ ეს სახსარმოშლილი, ენადამული და სახედამეწყრილი კაცი აზანზარებს შიშით მთელს ქვეყანასო, და, თითქოს, შეეცოდა კიდეც გიორგის ეს მარტოხელა, უშვილძირო და უთვისტომო ბებერი.

— ასე ძნელია უქართველობა? — ჰკითხა უცებ ბაგრატმა ბასილის.

ქართველი უფლისწულის უცნაურ სიტყვიგებას მიჩვეულნი იყვნენ კეისრის სახლისანი, მაგრამ ეს კითხვა სწორედ უცნაურსა და მოულოდნელში აღარც ეტეოდა. გონება სულ გაუშეთდა ბასილის. უქართველობა არ შეგძლებიათო, — ამას ეუბნებოდა ახლა ეს ღლაპი, არა და, თითქოს მართალიც იყო... მართალი...

— იქნებ აგრემც იყოს და, გიხაროდეთ, გეამაყებოდეთ თქვენ, ქართველებს! — თქვა ბოლოს დაქანცული ხმით.

ბაგრატმა პასუხი დააპირა, მაგრამ ბასილიმ გაჩუმება ანიშნა ხელით, და თვითონ განაგრძო, ენის ბორძიკით და კისრის ძარღვთა თრთოლვით:

— მამაშენი, გიორგი მეფე, ისეთია, ჩემი სისხლის დალევა არ მოეყიჩეგა, მაგრამ უმისობა მე მაინც არ შემიძლია.

— თქვენ ორივეს ერთმანეთის სისხლის დალევა არ მოგყიჩეგდებათ, მაგრამ უერთმანეთობაც არ შეგიძლიათ, — მაშინვე მიუგო ყრმამ, წყნარად, დალაგებით და დაჯერებით.

— ეს კი უეჭველ შენგან ისწავლა ყრმა უფლისწულმა, — ისევ მიუბრუნდა გიორგის ბასილი.

— შესაძლოა, თუმცაღა რა ბედენაა, როცა ეგზომ თვალნათლივი ჭეშმარიტების დანახვა და გაგზრება შვიდი წლის ყრმასაც ისე იოლად შეუძლია, როგორც კაცსა ასაკით და გონებით მოწიფულსა და დამწვისებულს, — ისევ უდრტვინველად და უშფოთველად თქვა გიორგიმ.

— მაინც შენს ნაწრთვნევს ჰგავს ყოველივე, მაინც შენს ნაწრთვნევს! — არ მოუშვა იმპერატორი.

— ჩემი წვრთნა კაი ყმას რად დასჭირდება, ავტოკრატორო, იგი თვითონ ჯიშად მოდის გაწრთვნილ-გაზრდილი, ვითარცა...

და უცებ სიტყვა წაართვა ბაგრატმა გიორგის:

სამი რამ არ გაიწურთნება —
მგელი, არწივი, კაი ყმა:
მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა — მამაცობასა,
არწივი — არწივობასა,
კლდის ქიმზე თამაშობასა.

ლექსი ესე, უფლისწულმა რომ ქართულად თქვა, ბერძნულად როგორ იქნებაო, ჰკითხა ბასილიმ გიორგის.

და გადაუთარგმნა გიორგიმ ბერძნულად.

ლევან სანიკიძე
ვიორგი მთაწმინდელი

— კარგი ყოფილა! — ბალღივით გაიხარა კეისარმა.

კარგა ხანს სცემდა ბოლთას სახეგაღიმებულმა, ბოლოს ისევ ბაგრატს მიადგა და ჰკითხა:

— მაინც რა გენატრება და გეწადნიერება უაღრეს ყოველთა საქართველოში?

— რიონი, — მაშინვე მიუგო ბაგრატმა.

— რიონი? რა უნდა იყოს რიონი? — გაიკვირვა კეისარმა.

— იგივე, რაც ფასისი, — წამოეშველა გიორგი.

— ქალაქი? მდინარე? — ისევ იკითხა ბასილიმ.

— მდინარე, რომელი არს გამნათლავი ემბაზი ჩემი! — გულმხურვალედ შესძახა ბაგრატმა.

— ოჰო! — გაიკვირვა კეისარმა.

— სწორედ რიონი, რომელი არს მდინარე სრულად ქართული, დასაწყისით დასასრულამდე.

გაუკვირდა ბასილს. ამას კი ვეღარ წარმოიდგენდა, თუ კი მდინარესაც „ქართული“, „ბერძნული“, თუ „რომაული“ დაერქმეოდა. წყალს კი არა, მისთვის აზრი უკვე იმასაც დაჰკარგვოდა, ყოველი კაცი რომ ცალკე ერისაგანი და ჯიშისაგანი იყო ამ ქვეყნად. თვითონ ბასილის წინაპრები, რომელთაც საისტორიო ბედისწერამ, კეთილი თუ ბოროტი ხუმრობით, ბიზანტიის კეისრის ტახტ-გვირგვინი არგუნათ, წარმომავლობით მაკედონელი მეჯოგეები იყვნენ. თვითონ კიდევ, ბასილი, აკი ქალებს გადაყოლილ რომან უფლისწულს მიკიტნის ქალისგან გაუჩნდა, სამიკიტნოში რომ ანასტასია და უფრო აგდებულად — ანასტო ერქვა, დედოფლობისას კი თეოფანო დაერქვა... და მოდი ახლა და ირკვიე, რა „ერისაგანი“ და რა „სისხლისაგანი“ იყო თვითონ იმპერატორი.

ეს ქართველები კი მომდგარან და მდინარის „სისხლსა“ და „ჯიშსაც“ ადგენენ აგერ...

ჰმ, საოცარნი არიან სწორედ ეს ქართველები... საოცარნი... და რა ჰქვია ამათ... ახირებულნი?.. ჭკვიანები?.. გიჟნი?

— მაინც რითი სჯობს ეგ შენი რიონი, თუ ფასისი ბოსფორს? — მიადგა ისევ კეისარი ბაგრატ უფლისწულს — აი, გახედე, აქეთ ევროპაა გაშლილი, იქით აზია.

— იქაც აგრეა, რიონზე, მარჯვნივ ევროპა, მარცხნივ აზია და ქუთათისიც ასეა — ევროპაც და აზიაც, ვითარცა კონსტანტინოპოლი, — თქვა ბაგრატმა.

— მერე და, თუ იქაც ისეა, როგორც აქ, ქალაქებიც, გაღმა-გამოღმაც, ევროპაც, აზიაც, ყოველივე ერთნაირი, — მაშ, რაღა აზრი აქვს შენს აჩქარებას ასე წადნიერად რომ მიილტვი საქართველოსკენ?

— იქ არის კიდევ უმთავრესი, — შესძახა ბაგრატმა.

— რა უმთავრესი?

— ადგილის დედა.

— რაის დედა?!

— ადგილის დედა, — გაიმეორა ბაგრატმა მკვეთრად.

სულ გამოლენჩდა კეისარი. მერე მიუბრუნდა გიორგის და ჰკითხა:

— შენ მითხარი, გიორგი, რას ამბობს ყრმაი ესე და რაი არს იგი... ადგილის დედა?

და აუხსნა გიორგიმ.

მაგრამ ამაოდ აუხსნა: ვერ იქნა და ვერ გაიგო, ვერ გულისხმაჰყო ბასილი კეისარმა, რა იყო ეს ქართული ჭკუით ახირებული „ადგილის დედა“.

— აი, ის ლექსი კი გავიგე — მგე-

ლი, არწივი, კაი ყმაო — ეს კი ვერ გავიგე, ადგილის დედაა თუ დედის ადგილი, ისევ ვერ გავიგე. და გამოტყდა ბოლოს ბასილი, ერთხელ ათონიდან ჩამოსულმა ეფთვიმე ქართველმაც ახსენა ეგე ადგილის დედა, კიდევაც ამიხსნა, მაგრამ ვერც მაშინ გავიგე და ვერც ახლა, შენც ვერ გამაგებინეო, — ეუბნეოდა გიორგის.

ხოლო რაკი ეფთვიმე ათონელმა და გიორგი ბერმა ვერ მიმახვედრეს და ვერ გულისხმამყვეს, გამოდის, ამა ქვეყნიდან ისე წავალ, არც არასდროს მეცოდინება რა არის და რა ჯადო უძევთ ქართველებს რაღაც იმ „ადგილის დედაშიო“, — თქვა ბასილი კეისარმა, რეცა სიცილით, რეცა სინანულით.

ბაგრატ ბატონიშვილის დაბრუნების დრო კი დამდგარიყო. უკვე გასრულებულიყო მსოფლიო ჭიპზე მისი „შვილობის“, თუ „მძევლობის“ სამწლიანი ვადა.

ბასილი კეისარმა გამომშვიდობების წინ მაგისტროსის წოდება უძღვნა ბაგრატს და უთხრა, რაღაც გულდაწყვეტით:

— მაშ, არ იშლი და მტოვებ, არა, მაგისტროს?

სხვანაირად როგორ იქნებაო, — უხმოდ, მხრების აწურვით ამცნო პასუხი ბაგრატმა.

— შენი დედის ადგილი გეძახის, არა? — წყენით ნაკმაზი სიცილით გაიცინა კეისარმა.

— ადგილის დედა, — გაუსწორა კრძალვით უფლისწულმა.

გაჩუმდა ბასილი ბასილევსი. ფიქრმა გაითრია ძალუმად. მერე ქართველებს აჰხედა და თქვა რაღაც სინანულით თუ სიქადულით:

— ჟამკამეულად მე ისეთი ფიქრიც მქონია, საქართველო ძირბუდიანად ამომეწყვიტა — ისე ამომეწყვიტა, არცა კაცი და არცა ქალი აღარ დარჩენილიყო ქართველის თესლად დედამიწაზე, მაგრამ, ახლა, არ ვქენ, ოღ ვერ ვქენ, — გადარჩით და ბედნიერ ხარეთ, ქართველებო!

ეს სთქვა და პასუხს დაელოდა.

მაგრამ ქართველებმა არ უპასუხეს.

გაოცებამ მოიცვა კეისრის სახე.

ჯერ გიორგის უცქირა დიდხანს, მაგრამ ვერ იქნა და მისი მზერა ვერ დაიჭირა.

იდგა ბერი, სხეულით უძვრელი და სულით განუკვეთელი.

მერე ისევ ბაგრატს მიუბრუნდა კეისარი, სახეზე ღიმილჩამომხრჩვალი.

— აბა, მშვიდობით და ამიერიდან დაისვენეთქო, უთხარ მამაშენს.

მცირე ხანს კიდევ იყუჩა და ბოლოს დასძინა:

— და ჩემგან ყველა დაისვენებს...

ეს კი რაღაც სანაწეროსავით იყო ნათქვამი.

დღე იდგა მსოფლიოს ჭიპიდან ქართველი უფლისწულის გამომგზავრებისა.

და ეზრახებოდა გიორგი ბაგრატს ხმითა განუკრეელითა და სიტყვითა განუკვეთელითა:

— მუდამ გახსოვდეს ტფილისი, მომავალო გვირგვინოსანო. გახსოვდეს, რადგან ტფილისი თავი არს საქართველოსი, ანუ გონება, ანუ აზრი, ისე ვითარცა ქუთათისი გული არს, ხოლო მცხეთა — საფეთქელი საქართველოსი. უტფილისოდ საქართველო უთავოაა, უაზრობაა. ამად იზრუნე, მუდამ ტფილისის დახსნისთვის, საქართველოს გონების, აზრის დაბრუნებისთვის!

— გწამდეს, ასე იქნება, განმაბრძნობელო! — მხურვალედ მიუგო ბაგრატმა.

— უკეთუ ვიწამო, უნდა ვიხილო.

— ჭეშმარიტად!

— და არა ვიწამო, ვიდრე თვალითა არა ვიხილო!

— არა ვიწამო, ვიდრე თვალითა არა ვიხილო! — გაიმეორა უფლისწულმა.

საქართველოსკენ მოიჩქაროდა ბაგრატ უფლისწული.

ტფილისი — თავი და აზრი საქართველოსი.

ქუთათისი — გული საქართველოსი.

მცხეთა — საფეთქელი საქართველოსი.

ფიქრობდა...

ფიქრი ფიქრს ათოვდა, ათოვდა...

მოდიოდა ქართველი უფლისწული საქართველოსკენ, სულწასული მოდიოდა, და კონსტანტინოპოლის საღვთო კონსისტორიონის კატაპანი მოაცილებდა, საპატო კენტურიის თანხლებით.

ის იყო, კიდეც შემოდგეს ფეხი ქართულ მიწაზე და უცებ ახალი მანდატური წამოეწიათ ახალი, ცინცხალი ამბით: მოულოდნელად გარდაცვლილა კეისარი ბასილი მეორე და მის ნაცვლად კეისარ-იმპერატორ-ბასილევს-ავგუსტუს-ავტოკრატორი შექნილა მისივე ძმა, კონსტანტინე მერვე.

და ბრძანებდა ახალი კეისარი: სასწრაფოდ უკანვე, კონსტანტინოპოლს დაბრუნეთ ქართველი უფლისწული ბაგრატ გიორგის ძე!

ბაგრატს კი ფეხად გადმოესწრო ქართულ სამანზე.

ბიზანტიელებიც მოჰყვნენ ზლიგინით, მაგრამ „რომეების“ ვერაგობის მცოდნე გიორგი მეფეს დროულად უზრუნვია მოსალოდნელი ხიფთისაგან შვილის დასახსნელად: უკვე ქართულ მიწაზე გადმოსულ უფლისწულს ეგებებოდნენ ალმაჯურ აღჭურვილი „დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართლელნი“.

მათ შორის იყო იაკობ თათქირისძე.

და კიდევ — ქირქიშ აბულახტარი.

ბიზანტიელები ერთხანს ბრაზიანად ათვალიერებდნენ ბაგრატ უფლისწულის კედლად აღმართულ ქართველობას...

მერე, ბასილი მიცვალებულის მანდატურმა დაცინვით უთხრა კონსტანტინე ცოცხალის მანდატურს: უკეთუ ძალგიძს, ახლა შენ გამოიყვანე უკან ბაგრატ უფლისწული, ჩემი იმედი კი ნუღარ გექნებაო. თქვა, გაბრუნდა, ბაქუსლა და თავისი კენტურიაც გაიყვანა. ლია უკანმოუხედავი სრბოლით.

ახალი იმპერატორის მანდატურმაც ისღა მოახერხა, მათრახის ტარი დაეკბინა და ისიც, თავისი კენტურიით უკან გაბრუნებულიყო.

ჰხედავდა ბაგრატ უფლისწული ბიზანტიელთა გაქცეულ ზურგებს და გონებას უკბენდა ფიქრები კონსტანტინოპოლში გატარებულ წლებზე: მაშ, მომკვდარა დიდი კეისარი ბასილი მეორე, ორმოცდაათი წელიწადი რომ მის ნებაზე ათამაშებდა მსოფლიოში უდიდეს სახელმწიფოს. ისე მომკვდარა, რომ არ „ყოვლისშემძლეს“ და „ყოვლისმცოდნეს“ არ ჰორისება შეგრძნობა და შეცნობა ადგილის დედისა... ამ უცნაური, ახირებული თუ გიჟი ქართველების ადგილის დედა... ახლა იწვა, გაუნძრეველად ესვენა, სხეული, ანუ ქვეყნის მზარავი ბასილის სულისგან დაცლილი და მიტოვებული ჭურჭელი, ესვენა და აღარავის აღარ აშინებდა, აღარც აფიქრებდა იგი... ხოლო ახალი იმპერატორი? კიდევ მისი მომდევნო? კიდევ, კიდევ...

— მშვიდობით მოგვიხვევ სათაყვანო უფლისწულო ჩვენო!

ეს ქირქიშ აბულახტარი იყო.

ბაგრატი ფიქრს გაეყარა და შემობრუნდა.

თვალი მოავლო შემხვედრ ქართველობას და უმალვე პირზე მზე აუყავადა.

— ღვთის მადლით, კარგად ბრძანდებით, უფლისწულო!

ბაგრატმა თვალით იაკობ თაქთირისძე მოიძია, მიეახლა და უთხრა:

— კარგად ვარ ღვთის მადლითა და წყალობითა შენის ძისათა, რომელ იყო მზრდელი ჩემი კონსტანტინოპოლს.

— ჩემი გიორგი! — შესძახა იაკობმა, თავშეკავებული აღტაცებით.

— შენი გიორგი და ჩვენი გიორგი! — შეაგება უფლისწულმა.

ქირქიშ აბულახტარს პირზე ღიმილი ჩამოხრჩობოდა...

ქუთათისის სასახლე დიდის ზარზეიმით ელოდა „ვერაგთა ქვეყნიდან“ უფლისწულის დაბრუნებას.

მოეზვია გიორგი მეფე სამი წლის უნახავ შვილს.

იგრძნო ბაგრატმა თბილი, ძალიან თბილი მკერდი ჰქონდა მამას. მკერდი რვალისა, განურღვეველი, ვითარცა გლემურძი ველური ტახისა.

მაგრამ გლემურძი იგი მაინც ამხელდა გულის მძლავრ ცემას...

მამას სიკვდილისა არ ეშინია — საკუთარი სიკვდილისა.

მამას სიკვდილისა მაინც ეშინია — შვილის სიკვდილისა.

უშიში, ვითარცა უხოროცო აგრეთვე მამა იყო და იმასაც მუდამ თან სდევდა შიში შვილის სიკვდილისა.

სამი წელიწადი განიადაგებით იმის შიშში იყო, ბაგრატი არ მომიკლან კონსტანტინოპოლს, მზაკვართა, მკელელთა და მეჯურმუცეთა საუფლოშიო.

ახლა ბაგრატი დაბრუნებულიყო.

ერთად იყვნენ მამა და შვილი, და შიშიც უნდა მოხსნოდა გიორგი მეფის გულსა უშიშსა და უზაროსა.

უშიშოსა და უზაროსა, ვითარცა უხორცოსა!

მაინც რაი არს აზრი უშიშისა და უზაროსი, ვითარცა უხორცოისა?

დაძლევა ხორცის ტკივილისა?

სწორედ — ხორცის ტკივილი, ტკივილი სალმობიერი, ჰბადებს შიშს არსებაში ძეხორციელისა.

და უკეთუ კაცთაგანნი დაძლევს ტკივილს ხორცისას, მხოლოდ მას ძალუძს დასძლიოს შიში სრულად არსებისა.

და იყო ასეთი კაცთაგანი გიორგი, მეფე ქართველთა, მძლეველი ხორცის ტკივილისა და მძლეველი შიშისა სრულისა.

მაგრამ შიში შვილის სიკვდილისა მაინც განიადაგებით თან სდევდა უშიშსა და უზაროსა.

და სტანჯავდა გიორგი მეფეს შიში ბაგრატ უფლისწულისა, ძისა იმამავრისა, გინა მხოლოდშობილსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უსაყვარლესი შვილის სიკვდილი ყველას მოინელებს, და მეფესაც მოინელებს, — ეუბნებოდა იოანე აბაზაისძე თავის დისწულს.

— მოინელებს... მოინელებს, ბუტ-ბუტით იმეორებდა ქირქიშ აბულახტარი.

ბიძას შავი ნაღველი ედგა სანაღვლეში, დისწულს მწითური ნაღველი.

იმიტომაც: იოანეს წუკდიადის ფერი ეფინა სახეზე, ქირქიშს — ფერი ზაფრანისა.

—აბა, შენ იცი! მარტო მე როდი მაქვს შენი იმედი. ყველას სჯერა, რომ ძარღვებში სისხლის ნაცვლად ფელგამს არ ჩაიყენებ!

— შევეცდები... შევეცდები...

საწმართულოს მარჯვენა ჯიბეში ქირქიშს ღრიანკალი უფათურებდა და მწითურ ნაღველს უხელებდა.

დაილია ღამე, დადგა ძაღლის ძილზე. ცისკრის ვარსკვლავსაც გაუდნა სახე.

და იმ დილით, უზმოზე, ულუკმო კუჭზე და ღამისტეხვით ნანჯღრევ სულზე, ქირქიშ აბულახტარმა ბარძაყი იშიშვლა და კიდევ ერთხელ, ანუ ასმეერთედ დაისვა ღრიანკალი ბარძაყზე.

დაისვა და დანერწყვინა, უფრო დიდი ნანერწყვავითი, ვიდრე ადრინდელი ასი დანერწყვა.

იმ ღამით მთვარე არ მოეწონა მეფეს, ახალი შეშლილი მთვარე. ყვიციან ნამგალას წითელი ბაკმით მოსილტული შავი დისკო ესვენა ხელისგულზე.

ვარსკვლავებიც მოღნაშულად ბჟუტავდნენ ცაზედეთზე.

მაჩქათელებიც ჯგროვებად დარიალებდნენ სასახლის ირგვლივ.

მხოლოდ მაშინ ჩაეძინა გიორგის, როცა ის წითელსალოთვინი დისკო გადაგორდა უხეირო ზმორივით მესხეთის მთის გადაღმა.

ჩაეძინა, მაგრამ მართამ გაღვიძა,

უმრწემესმა და უსაყვარლესმა ასულმა.

— მამ!

— რა იყო, მარ?

ფეხზე წამოიჭრა და ხელში აიტაცა ბავშვი.

იგრძნო, ტანი უთრთოდა მართას.

— გესმის, მამ?

— რა, შვილო?

სარკმლისკენ ანიშნა მართამ.

— ყური უგდე!

რწმოლის შორეული წივილი მოესმა გიორგის.

—ჰო, მესმის, მესმის.

— და ისიც თუ გესმის, მამ, რას იძახის ფრინველი იგი? — ჰკითხა მართამ მთრთოლვარე ხმით.

— არ ვიცი. მაინც რას იძახის?

— „ძმაო“, „ძმაო“, „ძმაო!“ ასე იძახის.

ტანზე ცივმა ეკალმა გამოჰყარა გიორგის.

იცოდა, გაგიეგებით უყვარდა დას ძმა. ბაგრატის დაბრუნებამ საკვირველად გაახარა მართა, სული აუყვავა და გაუცისკროვნა.

კონსტანტინოპოლიდან ვერცხლის კუმკუმა ჩამოუტანა საჩუქრად ბაგრატმა მართას, საკვირველი თხზულვარდულებით მოხატული, მაღალყელიანი და ირმის სატუჩურიანი.

ალარ იშორებდა მართა ძმის ნაჩუქარს.

ბინულზე ჩადიოდა, წყლით აავსებდა კუმკუმას, აავსებდა, სარმუჩებს წაიძრობდა და წყალს შიშველ ფეხებზე დაიღვრიდა, ან ისე უსაზმნოდ გადაქცევდა, ისევ და ისევ.

წყალსაც და ყოველ სხვა სასმიერსაც, რაიც ხუთი წლის უსუარას დაელევნებოდა, მუდამ ძმისეული კუმკუმით ეწაფებოდა მართა, ირმის სატუჩურით ტუჩზე მიდგმული კუმკუმით...

— შენ გეჩვენება, მარ! — ძლივს ამოიღო ხმა გიორგიმ.

— რას ამბობ, მამ, ნუთუ მართლა არ გესმის როგორ გაჰკივის — „ძმაო“, „ძმაო“, „ძმაო!“

გიორგის რწმოლის ხმა ესმოდა, ბაგრამ „ძმაო“ კი არა, ასე ესმოდა:

— „შვილო“, „შვილო“, „შვილო!“

— შენ გცივა, მამ?

— არა. ჰო, გრილა, — ძლივს თქვა და ბავშვი მჭიდროდ მიიკრა მკერდზე.

— იმას ყური არ ათხოვო, შვილო, პატარა ფრინველია, ლამაზი, ცეცხლისფერი ფრთებით.

საუფლისწულო სანთიობოში შეიყვანა, დაიწვინა და უჩურჩულა:

— شششششش

შინაგანი ისევ არ იყო ფიქრი ესე შავნაბდიანი.

ისევ სადღაც გარესკნელიდან მოწვეთავდა ფიქრი ესე სისხლის გამაშრობელი და ძვალსახსართა დამადნობელი.

„იქნება დემეტრე?!“

დემეტრე ალდესაგან ჰყავდა გიორგის, ოსის ქალისგან.

(არავის ქვეყანაზე ისეთი ჯიშიანი ძუძუ არა აქვს, როგორც ოსის ქალსო, იტყოდა ხოლმე გიორგი მეფე).

ალდე და დემეტრე იმჟამად ანაკოფიას აფარებდნენ თავს, მარიამ დედოფლის რისხვისგან განლტოლვილნი.

დემეტრე! უიღბლო (თუ იღბლიანი) ნაყოფი გიორგი მეფის აკრძალული ტრფიალებისა.

და, ვითარცა ყოველთვის, თავისი გაიტანა ადამიანის საწუთისოფლო ბედისწერამ: გიორგი მეფეს აუხდა რწმოლის ძახილი.

და მოუკვდა შვილი.

მოუკვდა... მართა.

წყაროზე იპოვეს მკვდარი.

გულღმა იწვა, სახით გაკვირვებული და ქერუბიმის ღიმილით გაღიმებული.

მარჯვენა ხელში ცარიელი კუმკუმა შესცივებოდა, ძმის ნაჩუქარი.

კუმკუმას სატუჩურიდან ღრიანკალი გამოძვრა, ნასწრაფევად გაიშხორკალა და ბალახებში გაუჩინარდა.

ქუთათისის ბაგრატის ტაძარში დაკრძალეს მართა.

გიორგი მეფე ოდენ სასახლეში მობრუნებისას დარწმუნდა, რომ მართა სავსებით წასულიყო მისგან.

ამიერიდან გიორგის სიკვდილამდე თან დაჰყვებოდა წუხილი უკურნებელი, ჩასახლებული გულში, სისხლში და ფიქრში, მაშინაც კი, როცა მასზე არა ფიქრობდა. და დაჰყვებოდა წუხილი იგი, ვითარცა დედის საშოით თანდაყოლილი. დაჰყვებოდა ხან შორიახლო, ოდნავ მცირე, შეკუმშული და შემკვრივებული, ხან ერთბაშად, ყოვლისმომცველად გაზრდილი და აღზვებული. ხოლო, როცა ეს მოხდებოდა, — როცა წუხილად გარდასული მართას სახება მის სულში გრიგალივით შეიჭრებოდა, ორივე მკერდს დაუწვავდა და სისხლსაც ცრემლად დაუდუღებდა — გიორგი მეფე ცხენს მოახტებოდა, სათაფლიის ტყე-მაღნარში გაჭენდებოდა და, ცხენიდან გარდამხდარი, პირდაპირ მღვიმეში ჩაინთქმებოდა.

სათაფლიის ქარანძავი იყო მისი საცრემლე, ბნელი, უჩინო, ვრცელი და ტევადი. შვილმკვდარი მეფის ცრემლთა სათხევრად.

და გლოვას უჩინოდ განასრულებდა მეფე.

უჩინოდ ეცვა ხელმწიფური სამოსის შიგნით კვართი შავი, საგლოველი, განუშორებლად.

უჩინოდ, — ვინათგან მეფე იყო და ჩვეულებრივი ადამიანური გლოვის უფლებაც არა ჰქონდა საჩინოდ.

და დაუნდობლად არღვევდა მის ჩაკრულ სხეულს სიმძიმილი ვითარცა ცალკე კაცისა და ვითარცა საზოგადო ქვეყნის პატრონისა.

შეუსვენებელი შრომით ცდილობდა დაეთრგუნა სატკივარნი და საწუხარნი პირადულიც და სახელმწიფურიც.

დადიოდა საქართველოს ყოველ კუთხეში, ციხე-ქალაქებს ამაგრებდა, ხალხს ამხნევებდა, ქვრივ-ობოლთა და უპოვართა, საპყართა და უმწეოთა განიკითხავდა და ეხმარებოდა.

წარბგაშლილი, პირზე ღიმილგადაფენილი ეგებებოდა ყველას, თვითონ უჩინო სიმძიმილით გულდალახვრული.

— ლამის მოინელოს უსაყვარლესი შვილის სიკვდილი, მაგ ყოვლისმომნელებელმა ეშმას ნაშობმა, — თქვა იოანე აბაზაისძემ.

— ტყუილად მოჰკალ შენ საბრალო ბავშვი, ტყუილად შეჩურთე ღრიანკალი კუმკუმას ყელში, — უთხრა ქირქმს კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშმა.

— მაინც მოინელებს მეფეს მართას სიკვდილი, — თქვა ქირქიშმა.

— მაინცობას დიდი დრო მიაქვს, — ჩაუჭრა ლიპარიტმა.

— და დროს ჩვენც მივყავართ, — დაუმატა იოანემ.

დუმილი ჩამოწვა და ჩამოლპა.

— მაინც რით იქნება ბაგრატი გიორგიზე უკეთესი? — უცებ იკითხა ქირქიშმა.

— ბაგრატი ყმაწვილია, ჩვენს ნებაზე მოვიქცევთ და მოვირგებთ.

— მაგრამ ეკალზე რომ მაინც ეკალი ამოდის?

— ეკალიცაა და ეკალიც.

— ჰო, სად ქაცვი, ან ნარ-ეკალი, სად კიდევ ღიჭი და წიწვი.

ისევ დუმილი.

— ისევ შენი იმედი გვაქვს ქირქიშ!

ისევ მძინვარე გამოხედვა ჰქონდა სამივეს, მაგრამ... სამივეს ისევ ღარიბი თვალები.

ხოლო, ქირქიშ აბულხტარს საწმარ-თულოს ორივე ჯიბეში ღრიანკალნი უფათურებდნენ და მწითურ ნაღველს უხელებდნენ.

შვიდი ერთ ჯიბეში სხმარტალებდა, შვიდი მეორეში.

ისევ ღამე იდგა, ბერბეცი, შავნაბდიანნი და შავფიქრიანნი.

რეცა, ღამეები საქართველოში რიცხვით კიდევაც სჭარბობდნენ დღეებს.

მასვე ჟამს კათალიკოს-პატრიარქი მელქისედეკი კონსტანტინოპოლს გაემგზავრა, კონსტანტინე კეისართან შესახვერდად.

მას შემდგომ, რაც ბაგრატ უფლისწულმა, მძვლობიდან თავდახსნილმა, ქართულ სამანებში შემოასწრო, უმძრახობა სუფევდა კონსტანტინოპოლსა და ქუთათისს შორის.

ხოლო უმძრახობა და უსიტყვობა ბიზანტიასა და საქართველოს შორის შეუძლებელი იყო დიდხანს გაგრძელებულიყო და იგი უნდა დარღვეულიყო ან კარგად ან ავად, ან პირზე მთხვევით (წრფელით თუ ფარისევლურით), ან სისხლის თხევით (უკვე წრფელით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სწორედ ამად მიიქცეოდა კათალიკოსი მელქისედეკი კონსტანტინოპოლს, გიორგი მეფის ნაზრახვეით და ნასაუბრალით. ბოლოს და ბოლოს, უნდა გარკვეულიყო, რას ფიქრობდა ახალი ავტოკრატორი, საქართველოსთან მტრობას თუ მოყვრობას, ან რა თხოვნა ჰქონდა, ან რა მოთხოვნა.

ან კიდევ: რა წონისა იქნებოდა თხოვნა და რა წონისა — მოთხოვნა.

ყოველივე მაინც კეისარ-იმპერატორის პირადი ბუნებისად უნდა ყოფილიყო ნავარაუდევი და ნაზრევი.

ხოლო თვითონ კეისარ-იმპერატორი კონსტანტინე მერვე ტახტზე ასვლისას უკვე სამოცდაათ წელს მიტანებული კაცი იყო. მას ორმოცდაათი წელიწადი თავისი დიდი ძმის, ბასილი მეორის თანამმართველის სახელი ისე ეტარებინა, იმპერიის თანამმართველობა და თანამოსაყდრეობა კი არა, არასოდეს საკუთარი კუჭის გარდა არაფერი არც თვითონ გახსენებია და გახსენებით არც სხვას ვისმეს შეუწუხებია. კარგი ჭამა-სმა იმპერიიის ტახტ-გვირგვინსაც ერჩივნა და მთელს სამყაროსაც. ან და, თუ კეისრობა, ან თანაკეისრობა რამედ უნდოდა, მხოლოდ პოხიერი და გემრიელი საჭმელ-სასმელისთვის უნდოდა.

მხოლოდ ერთ რამეში ჰგავდა ძმას, ნიჭიერ ბასილის ეს კონსტანტინე უნიჭო: ქალები არ უყვარდა, არც გარდარეულად, არც ზომიერად, არც ზომადაკლებულად. ეს იყო და ეს.

კოჭის თამაშში დროს ანიავებდა.

ჭამა-სმაში სახელმწიფო საჭურჭლეებს ანიავებდა.

და საკუთარი ჯანმრთელობაც გაანიავა ამ კეისარმა „გამნიავებელმა“: უზომო ჭამისგან პოდაგრა შეეყარა, ორივე ფეხი დაუსივდა, ორივეში ჩირქი, თხრამლი და შალალი ჩაუდგა.

მაინც არ იმოკლებს სივრცეს ჭამისას. არც ერთ დღეს არც ერთ რგოლს არ

გამოტოვებს ჭამის ჯაჭვიდან: საუზმარი, სადილი, სამხარი, ზარმელი, სეროება, სეროობისკუდი.

ვიტელიუსის შემდგომ ასეთი მშამელი გვირგვინოსანი არ მოსწრებია ქვეყნიერებას.

(ვიტელიუსმა რომის ტახტზე სამი თვე ძლივს მოათია, მაგრამ იმ სამ თვეში მარტო მის მოცელს ცხრაასი მილიონი სესტერციუმი დასჭირვებია. ვიტელიუსის მარტო ერთი სადილი ოთხასი ათასი სესტერციუმი დასჯღომია სახელმწიფოს. მარტო ერთ რომელიღაც კერძის დამზადებაზე ასი ათასი სესტერციუმი დახარჯულა).

ხალხში კონსტანტინე კეისარს უკან-საყვარო სახელად უკვე ზოგი „მთქვლეფავს“ ეძახის, ზოგი „ღორმუცელას“, ზოგიც „ფუტუროს“.

ყველა ეს ცნობა კონსტანტინოპოლელ ქართველთაგან შეიტყო მელქისედეკმა.

ჩასვლისთანავე ქართველთა კურიას ეწვია მელქისედეკი, ღამეც იმათთან სიტყვაქცევაში გაათია.

პირველად ისიც აქაურ ქართველთა შორის კათალიკოსმა ახალგაზრდა გიორგი, საკვირველსახოვანი და მეტყველნოვანი.

— უფლისა ნათლული მვონია მე ყრმაი ესე! — აზარვიო თქვა მან და ჯვარი გარდასახა გიორგის...

და კვლავ ისმენდა და გაიაზრებდა კათალიკოსი ქართველთა ნაამბობს.

ახალი კეისარ-იმპერატორი, სხვა სიკეთესთან ერთად, ყოფილა ყოვლად მშიშარა, ეშვიანი, ცილნაწამების მალმრწმენი და სასჯელისაც მალემიმგები.

ყოველ სასჯელთაგან თვალსასეიროდ ამჯობინებს თვალების დათხრას.

ყოველ ნიჭიერს ეშვით და მტრობით უთვალთვალებს. ბასილის დროინდელი წარჩინებული და ღირსეული კარისკაცები გაამეცა და თავისი თანამეინახენი, თანამჯამელნი და თანამემუცლენი შემოიყარა სასახლის კარზე.

ქართველები შეიძულა ჭირის დღესავით. ქართველებმა ნადიმი დიდებული იციან, მაგრამ თავი ძალიან მაღლა უჭირავთ და იმავ მაღლაპარეხილ ფაეში დიდად თამამი აზრებიც ებადებათო.

ყველასგან დამფრთხალი და ყველას მიმართ დაეჭვებული ბებერი კეისარი ერთადერთს პატრიარქ ალექსი სტუდიტს უსმენს და უჯერებს თვითნებურად.

და შეხვდნენ ერთმანეთს მეორე დღეს საქართველოს და ბიზანტიის საეკლესიო მამანი.

დიდის პატივით და სიყვარულით მიეგება ალექსი მაღალღირსეულ სტუმარს.

ერთად მოიარეს და მოიხილეს კონსტანტინოპოლის ყოველი ღირსსახილველი ადგილი. მოილოცეს ყოველი სალოცავი და ბოლოს, უამრავი ხალხის თანდასწრებით, ერთად აღასრულეს საღმრთო-საადღესასწაულო ლიტურღია აია სოფიაში.

მომდევნო დღეს, ალექსი სტუდიტის წარდგენებით, საქართველოს მწყემსმთავარს საღვთო კონსისტორიონში შეხვდა კეისარი კონსტანტინე მერვე.

კარგახანს გაგრძელდა სიტყვადგება. ნელინელ მოხიბლა და მოიარშივა მელქისედეკმა ქართველებზე შემომწყარალი ბასილევსი. ბოლოს გული სულ დაუჩვილდა და უთხრა კონსტანტინემ მელქისედეკს: ქართველი სამღვდელონი მირჩევნიან ქართველ ერისკაცებსო. სამღვდელონი უწყინარნი არიან, მხოლოდ ლოცულობენ, ან კიდევ წერასა და გარდაწერაში არიან ერთთავად ჩაძირულნიო, ერისკაცნი კი მუდამ ტახტის სავნებლად და სარეცელის საბილწავად არიან ერთთავად გამეცადინებულნიო.

ძეხოროელთაგან ვინ შეუბედავს ან შენს ღვთაებრივ ტახტს, ან შენს წმიდათაწმიდა სარეცელსო, — გაიოცა მელქისედეკმა.

ტახტი დიახაც საფრთხილო და საფიქრალია, ხოლო სარეცელი, მართლაც და, თქვენი უწმიდესობის ბრძანებისა არ იყოს, რაღა საფიქრალი და საზრუ-

ნავი მაქვს, ვინთგან მე ხომ ეს ათი წელიწადია ქვრივი გახლავართო, — თქვა და სიცილი აუვარდა კეისარს, უცებ სიცილში ხველა გაერია, კარგა ხანს ხველებით იჯახირა და აგერ როდის, როგორც იქნა სული მოიბრუნა.

სული მოიბრუნა და გიორგი მეფეს გადაწვდა კონსტანტინე კეისარი. ცუდად მომექცა შენი მეფეო, — ეუბნებოდა მელქისედეკს — თავისი ძე, ბაგრატ უფლისწული, ჩემს ძმას ბასილის ანდო, მე კი არ მანდო და ერთი დღითაც არ დამიტოვაო. ასე გამოდის, არ მენდობა მე გიორგი მეფე და რაკი არ მენდობა, გამოდის, მეც არ უნდა ვენდო! — ეს ბოლო სიტყვა ისე ხმამაღლა თქვა, რეცა ღვთაებრივი სიბრძნე წამოესროლოს პირიდან.

მაშინვე ტკბილსიტყვაობით შეუტრიალა პასუხი მელქისედეკმა: უნდობლობაზე რად ინებებთ სიტყვისგებასო, აკი დათქმული იყო თავიდან, მხოლოდ სამი წელიწადი უნდა დაეყო ბაგრატ უფლისწულს კონსტანტინოპოლში და, დათქმული ვადა რომ განესრულა, მხოლოდ მაშინ გამოემგზავრა ბაგრატი საქართველოსკენ, და ვინ იფიქრებდა, რომ მაინცა და მაინც მაშინ აღესრულებოდა სულკურთხეული ბასილი კეისარი ამა წუთისოფლიდანო.

— ჰო, ვინ იფიქრებდა, ვინ იფიქრებდა, ვინ იფიქრებდა, — რატომდაც სამჯერ წარმოთქვა კეისარმა დაღლილად და დადუმდა.

მცირე ხანს აცალა და ისევ აღუტევა სიტყვა ძლიერი მელქისედეკმა. ქრისტესმიერი ძმობა მოისაძირკვლა, შვიდასწლოვანი კავშირი და მეგობრობა „გაახსენა“ კეისარს (ვითომ იცოდა და „გაახსენა“!), მირიანისა და კონსტანტინე დიდის დროიდან ნეტარხსენებული ბასილის დრომდე.

რადაცნაირი ნეტარებით ისმენდა კეისარი ქართველი სტუმრის სიტყვაობას, გალობასავით მომდინარეს.

— და ღვთის ნებით, ასევე დავრჩებით ჩვენ — რომაელნი და თქვენ — იბერიელნი, ქრისტესმიერნი ძმანი, მეგობარნი და მოყვარენი! — დასასრულ ლა კონსტანტინე კეისარმა ნაუბარი მელქისედეკისა. დაასრულა და დამთქნარა.

მელქისედეკი შეშინდა, ვაითუ კეისარს დაეძინოსო და მაშინვე სვეტიცხოველზე ჩამოადგომ ახალი სიტყვა.

— სვეტიცხოველი? — ძილს გამოექცა ბასილევსი.

— დიახ, სვეტიცხოველი, — მოსდგა მელქისედეკი ახსნას, რა აზრი აქვს სიტყვას და სახელს სვეტიცხოვლისას, ვითარ დაიბადა, ვითარ გარდასახა ერთხელ, მეორედ და ახლა ვითარ შენდება ახალთახალი ფერისცვალებით იბერიის ტაძარი კათოლიკე.

— ტაძარი კათოლიკე?! — გაიკვირვა კონსტანტინემ — განა, თქვენთვის, საქართველოსთვის, ათონის ივერონი არ არის ტაძარი კათოლიკე?

ამოდენა „ცოდნას“ კი ადარ მოელოდა მელქისედეკი უმეცარი კეისრისგან, მაგრამ მცირეხნიანი შეცბუნება მაინც დასძლია:

— ათონის ივერონი საქართველოს გარეთ ქართველთა კათოლიკე სავანე და სალოცავია, თქვენის მაღალღვთაებრივი ზრუნვით მოვლილი და ნაპატრონევი, ხოლო თვითონ საქართველოში ტაძარი კათოლიკე ჟამსა ამასა არს ტაძარი ქუთათისისა, გარნა უნდა იქნას მაინც მცხეთის სვეტიცხოველი.

— მაგრამ მაინც ქუთათისმა რა დააშავა უნეტარესო? — უცებ, თითქოს საქმიანად იკითხა კონსტანტინემ. ასეთმა მოულოდნელმა კითხვამ, მართლაც, კიდამ დააბნია მელქისიდეკი.

— დაეშავაო? დაეშავა კი არა, ქუთათისმა იხსნა სრულიად საქართველო, გარნა მაინც და მაინც ასე იყო და ასე არს დასაბამიდან დღემდე, აწამდე: ერთობილი საქართველოსთვის და ქართველობისთვის უმჯობესია, მისი ერთიანი სხეულის, აზრისა და სულის კათოლიკე ტაძარი, გინა პასტოფორიონი, ტაძარი სამეუფო და სრულიად სა-

ერისო — მაინც აღმოსავლეთში უნდა სუფევდეს და არა დასავლეთში, ანუ იბერიაში და არა კოლხეთში.

— მაინც რადაო?! სულ გამოფხიზლდა კეისარი, წადნიერებით შეპყრობილი.

— იმად, რომ ქრისტიანობას და ქართველობას უფრო ნაკლებად უჭირს კოლხეთში, ვიდრე იბერიაში. კოლხეთი თქვენთან არის გადაბმული, გადაჭდობილი, განსხეულებული, ერთმორწმუნე ქრისტესმიერ ბიზანტიასთან, ხოლო იბერია უფრო შორსაა კონსტანტინოპოლიდან და უცხო თესლი და უცხო რჯული უფრორე მუდამ იბერიას აწუხებს, ავიწროებს და გადაშენებადგადაჯიშებით ემუქრება იქაურ ქრისტიანობას, იქაურ ქართველობას.

— ქრისტიანობას და ქართველობას? — გაიკვირვა კეისარმა.

— დიახ.

— თუ უფრო ქრისტიანობას, ვიდრე ქართველობას? — ჩასდია კეისარმა.

— ერთსაც და მეორესაც, ორივეს ერთნაირად.

— ვერ გავიგე, — მხრები აიჩჩა ავტოკრატორმა.

— ასეა, რადგან ქრისტიანობა და ქართველობა ერთი გააზრებაა ყოველი ქართველისთვის.

— ?!

გაოცებისაგან სულ გამოლენჩდა კონსტანტინე.

ქრისტიანობა კარგად მესმის რაც არისო, მაგრამ ქრისტიანობა რატომ არის ქართველობა და ქართველობა რატომ არის ქრისტიანობაო, — ამას კი ვეღარ გაუგო თავი და ბოლო. ასე რომ ვისმჯელოთ, მაშინ მე თვითონ რაღა გამოვდივარო?!

თვითონ ქრისტიანი რომ იყო, ამის გააზრება აღვილად შეეძლო, მაგრამ ვინ იყო იგი, ვითარცა „ერის შვილი“, ამის ამოცნობა მის ღატაკ სულს კი არა, მამაზეციერსაც აღარ შეეძლო.

ვთქვათ და იყო ბიზანტიელი.

მაგრამ „ბიზანტიელობა“ ხომ არ იყო „ერის შვილობა“?! არამედ ეს იყო ოდენ „მცხოვრებლობა“ ბიზანტიის იმპერიაში.

„ერის შვილობა“ კი არის, ვთქვათ — ქართველობა, ბერძნობა, სომხობა, არაბობა, გერმანელობა, ბულგარელობა...

და არც ერთი არ იყო, არც ერთი „ერის შვილი“ კეისარი კონსტანტინე მერჩვე. მისი ოდინდელი „მაკედონელობაც“ წაეშალა „ბიზანტიელობას“.

გული დაწყდა კეისარს, ერისშვილობის უნარდაკარგულს.

— მაშ, კათოლიკე პასტოფორიონი თქვენი ქრისტიანობისა და ქართველობისა უნდა იქნეს სვეტიცხოველი! — მიუბრუნდა უცვე მელქისედეკს.

— დიახ, ღვთაებრივო ავტოკრატორო.

— და სვეტიცხოველი იქნება აღმოსავლეთში კათოლიკე ბურჯი ქრისტიანობისა!

— დიახ.

— ჩვენი და თქვენი ქრისტიანობისა?

— ყოველი ქრისტიანობისა, — მტკიცედ გაასწორა მელქისედეკმა.

წამოიწია ტახტიდან და დადგა პოდაგრიან ფეხზე კონსტანტინე იმპერატორი.

ისევ სამივემ მოვიყაროთ თავი, ბრძანა და შეუთვალა ალექსი სტუდიტს: ჩემი ფეხების პატრონს ამბეე, რომ თვითონ ვერ გეახლება და იქნება შენი უწმიდესობა მობრძანდეს საღვთო კონსისტორიონშიო.

და მოვიდა ალექსი სტუდიტი.

და ურჩია კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კეისარს, რით დაეჯილდოებინა მწყემსმთავარი საქართველოსი.

და „მოსცა კეისარმან კონსტანტინემ მელქისედეკს შესამკობელნი ეკლესიათა, ხატნი და ჯუარნი, და ყოველნი სამღდელმთავრო და სამღდელო სამკაულნი“.

და წამოვიდა მელქისედეკი კონსტანტინოპოლიდან საქართველოში. წამოვიდა და „მოვიდა ქუეყანასა და სამწ-

ყსოსა თვისსა და იყიდა სოფლები ტაოს: ზადკარეკი ხუთითა აგარაითა, და ძაღლის-ხეკს იყიდა სოფელი ოროთა სამითა აგარაითა. ესე ორნივე სოფელნი მათითა აგარაითა თვისთა ძმათა განძითა იყიდა. და კლარჯეთს მოიგო სოფელი ერთი სხლოანი. და შავშეთს მოიგო სოფელი დიდი სხლობანი, აგარა მისი ნაღუარევი. და ჯავახეთს მოიგო სოფელი ტონთიო. და კოლას მოიგო და დააშენა სოფელი დიდი ოროტანი აგარაითა. და ფარავანს ააშენა სოფელი ერთი მახაროვანი. და საკოოეს შეიპყრნა და ააშენნა სოფელნი ორნი: ნაქალაქევი და ბერდაძონი, და დაუდგა წმიდასა ამას დედაქალაქსა მცხეთას, სუეტსა ცხოველსა".

და კათალიოსმა რომ სვეტიცხოველისთვის ჯავახეთს სოფელი ტონთიო „მოიგო" — სოფელი იგი იყო სამშობლო გიორგისი.

— შენ იმდენს იზამ, ისე ვითარცა არც მამაჩემს, აღარც მე დამასწრებ სვეტიცხოვლის კურთხევას, — უთხრა მწარე ღიმილით გიორგი მეფემ არსუკისძეს.

ესა სთქვა მეფემ, როცა ტაძარი საბეჭურებზე ამოსულიყო.

— ჯერ კვლავ ჭაბუკი, ეგზომ ცოდვას რად ბრძანებ, მეფევ? — გაკვირვებით ჰკითხა თვალშვენიერმა.

— ვგრძნობ, მალე დავუტეეებ მე მდენსა ამასა საწუთროსა.

სთქვა და ჰასუხი აღარ დაანება გიორგიმ ხუროთმოძღვარს.

შვილმკვდარ მამას სიკვდილზე ფიქრი სიკვდილამდე არ გაეყრებაო, — მწარედ გაიფიქრა თვალშვენიერმა.

ცხოჯჯერ გადაიწერა პირჯვარი მეფემ: სამ-სამჯერ სამივ ტაძრისა — სვეტიცხოვლისა, ჯვარისა და სამთავროისა.

ამის შემდეგ აღარც სვეტიცხოველი უნახავს გიორგი მეფეს და აღარც მისი ამშენებელი.

ღამდგარიყო და დაქვავებულიყო წელიწადი, ქრისტეს დაბადებიდან 1027.

16 აგვისტო. დღე პირველმოწამისა რაჟდენისა.

ზოდიაქური ბედისწერიით — ეს დღე ღრიანკალს ესესხებინა ქალწულისაგან.

გიორგი მეფე თრიალეთს ჩასულიყო, „ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი გინა იწრონი".

მართას სიკვდილის შემდგომ სულ იმას ნატრობდა, მართა დასიზმრებოდა და სიზმარში მაინც ენახა მისი ღვთაებრივი სახე.

ყოველ ღამე ამ იმედით იძინებდა, იქნებ ამ ღამით მაინც შეეხვედე შვილსა სანატრელსაო.

და იმ ღამეს ესიზმრა.

მრეში ღრუბლისფერ ირემზე იჯდა თეთრკაბიანი გოგონა, სხივთა მფრქვეველი, ნიავქარზე გაშლილი ოქროს თმებით. მოფრინავდა და მოაფრენდა რქაღრუბლიან ირემს მართა. მარცხენა ხელი ჯიდაოზე ჩაეკლო ნადირთა თავადისთვის, მარჯვენთი კი თეთრ, ქათქათა ღრუბელს, თუ კვართს თვისას მოაფრიალებდა, — აი, იმ პერანგს, იმ გლოვის დღეს რომ დედამისს, დედოფალ მარიამს გულზე მიბმული უფრიალებდა.

წამოიჭრა და გაეგება გიორგი. უნდა მივარდეს, აიტაცოს და ჩაიკრას შვილი ამდენი ხნის წუხილით ნათოვარ და ნათოშარ გულში, ახლა ერთბაშად გულგაბედნიერებულმა.

— შვილო მართა, ხმა გამე, შვილო! — დაძახება უნდოდა, თუ დაუძახა, ვერ გაარკვია, რომ მართას ხმა შემოესმა სწორედ გარკვევით:

— მამ, მამ, საყვარელო, გვიშველე, მამ!!!

გვიშველეო?!

და ახლა დაჭკრა გიორგიმ თვალი: შავი აფთარი მოჰქრიდა ირმის კვალდაკვალ, და სადაც არის წამწამისად, უნდა წამოსწეოდა შუან-და ღრჭენილი და ბაგედალოშქრილი.

უმალვე გამართა მშვილდ-ისარი გიორგიმ და მარად უცთომელ ხელით სტყორცნა ძალსრულად, სტყორცნა და მთელის ტარით ჩაურჭო ისარი წარბს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წარბს შუა აფთარს, ჩაუჭეს და განუპო შუბლი. ხმა აღუტევა ალტაცებით და გაექანა დარეცილი ნადირსაკენ, გაექანა, რათა ეკოცნა ნაისრალზე. აი, მიეჭრა უძრავად მწოლარე აფთარს გიორგი, დაიდრიკა და ის იყო, განპებულ შუბლს კონცით უნდა დასწფებოდა, რომ ანაზდეათად პირი გახსნა და წრიულ განავრცო გახსნილი პირი შავმა აფთარმა. და უეცრადვე ჯოჯოხეთივით ბნელმა ხახამ მოიცცა გიორგიც და ყოველივე მის გარშემო. წამსვე ალმასის უზარმაზარმა შუანებმა გაიელვეს და შვიდგან იგრძნო შვიდი შუანის ცივი ძგერება შვილმკვდარმა მეფემ:

მარცხენა საფეთქელზე,
მარჯვენა ყელზე,
მარცხენა ძუძუზე,
მარჯვენა თეძოზე,
მარცხენა საურვალზე,
მარჯვენა ბარძაყზე,
მარცხენა კოჭის კვირისტავზე.

ღილით კარავში მკვდარი იპოვნეს ღრიანკალთაგან დაკბენილი გიორგი მეფე.

კარვის კარებთან კი მეფის ერთგული მეხმლე იწვა, ქირქილ აბულახტარი, ისიც ღრიანკალთაგან შვიდგზის დანესტრილი:

მარჯვენა საფეთქელზე,
მარცხენა ყელზე,
მარჯვენა ძუძუზე,
მარცხენა თეძოზე,
მარჯვენა საურვალზე,
მარცხენა ბარძაყზე,
მარჯვენა კოჭის კვირისტავზე.

და არავინ იცოდა, რა სასწაულით გადაურჩა სიკვდილს ქირქილ აბულახტარი.

ხოლო, საქართველოს მეფე გიორგი პირველი უკვე სიკვდილის საუფლოში ესვენა.

ლირწი შხამის არშივი გამხდარიყო მირონცხებული გვირგვინოსანი, „სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არვინ გამოჩენილიყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა სახელი მწიფოთა“.

აღესრულა „და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკვიდრთა მამულისა და სამეფოსა მისისასა, იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა, და სიჭაბუკისა, და ახოვნებისა მისისათვის“.

თრიალეთიდან ჩამოასვენეს და ქუთათის ბაგრატოვანში დაკრძალეს, მართას გვერდით გათხრილ სამარტვილეში.

და იყო მშვიდ: განტევებულ ყოველგვარი საწუთისოფლო საზრუნავისგან.

და იყო ბედნიერ: სანატრელი შვილის გვერდით განისვენებდა.

საქართველოს ტახტზე ახალი გვირგვინოსანი იჯდა:

ბაგრატ მეოთხე.

ძე მეფე გიორგი პირველისა.

ცხრა წლისა.

და ჩამოიღო გარაბადიდან მამისეული სამეფო ხმალი ყმაწვილმა მეფემ.

და უსაშველოდ ემძიმა ხელში.

და ძლივს აზიდა ჯერ საზარდულამდე, მერე მკერდამდე.

ყველას დაასწრეს ლიპარიტ ბაღვაშმა კლდეკარის ერისთავმა და იოანე აბაზაისძემ.

ახალ ხელმწიფეს ეახლნენ.

ხელმწიფობა მიეულოცეს.

მუხლებში ჩაუვარდნენ.

სამარის კარამდე ერთგულება შეჰფიცეს.

ამა ორგულთა ცრუფიცილისგან განვიწმინდებიო, იფიქრა ყრმა ხელმწიფემ და მცხეთას მივიდა. კიდევაც მოილოცა და ახალი სვეტიცხოველის აღმშენებელიც ინახულა.

დიდხანს უცქირა მეფემ სვეტიცხოველს, ჯერაც უსრულოს, გარშემო შემოუარა გულმოდგინე ჭვრეტით და ჩხრეკით, ბოლოს დამანძილებით მომავალ არსუკისძეს მიუბრუნდა და უთხრა:

— უკეთუ პაპიჩემის და მამიჩემის დროს შენგან ნაშენებს შენვე ჩემს დროში ვერ დაეჯარბებ, იცოდე მარჯვენს დაგაგდებინებ!

—. ?!

ესეც მესამეო, — გაიცლო გულში არსუკისძემ.

გიორგი მეფის სიკვდილმა მიხრწნილი სული აუფოფინა კონსტანტინე კეისარს.

საქართველოს ლომი მოჰკვდენია და მისი ბოკვერის გალომებამდე დრო დავიცეთ და ჩვენ ჩვენი ვქმნათო, — კვლავ აფუსფუსდა და აფუთფუთდა ჭიპი დედამიწისა.

და დაიწყო იმით, რომ ბიზანტიელებმა ბასილი კეისრის დროს მიტაცებული ქართული თემებისაგან შექმნეს იბერიის საკატპანო. და ცდილობდნენ ყოველი საშუალებებით მის გაფართოებას ისევ ქართული მიწების ხარჯზე.

და ამისთვის არ ერიდებოდნენ — არა ქრთამს, არა **მოს**ყიდვას, არა ღალატს, არა პირისშლას, არა იარაღს და არა სისხლს.

საქართველოს **კი** ისევ ღალატობდნენ მეფის მცირ**ეწ**ლოვნებით გათამამებული აზნაურ**ები**.

(სხვა რომ **არაფერი**, ისე მაინც — **ე**ღალატებოდათ **და** ღალატობდნენ, ვითარცა — **ემღერ**ებოდათ და მღეროდნენ).

ბაგრატის **გამ**ეფების ჟამსვე ტაოელ დიდებულთა **უმრ**ავლესობა, „რომელნიმე ციხოვან**ნი** და რომელნიმე უციხონი“, **კონსტანტ**ინოპოლს ჩავიდა, კეისარს ეთაყვ**ანა**, ეყმო და თავი ბაგრატ მეფისგან **განდ**ეგომილად გამოაცხადა.

ამ მოღალატე ერისწყეულთაგან ყველაზე დიდები იყვნენ: საეროთაგან — ვაჩე **კარიჭ**ისძე, სამღვდელოთაგან — იოანე ბანელი.

შინაურთა ღალატს გარედან ახალი მაოხარი ლაშქრობა მოჰყვა საქართველოში. კეისარმა **კონსტ**ანტინე მერვემ ქართველთა სისხლის დაუქცევლად არ ინება საკაოდან საიქიოში გადატარება. 1028 წელს მან ნიკიტა პარაკიმომენოსი წარმოგზავნა „მიუწ**ერ**ლ**�digitalibrary.com** ძალითა, ლაშქრითა თვისითა და განძითა ურიცხვითა“.

ბიზანტიელებმა ხელახლა ააოხრეს ბასილი კეისრისაგან ნაოხარი, ჯერ ისევ ჭრილობაშეუკრავი მესხეთ-ჯავახეთი, ხოლო როცა თრიალეთს შემოუდგნენ, აქ ბაგრატ მეფის ერთგული აზნაურები დაუხვდნენ მტერს, კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტ ლიპარიტის ძის წინამძღოლობით.

დაუხვდნენ და მარცხნაჰმი უკუაქციეს ბიზანტიელნი, მაგრამ უკუქცეულებმა მაინც მოახერხეს კიდევ ორი ქართველი დიდაზნაურის გადაბირება: ჩანჩახა ფალელმა გარყლობის ციხე გადასცა უცხოელებს, ხოლო არჯევან ჰოლოლას ძემ წერეფთის ციხე.

მაინც თავგამოდებით იბრძოდნენ სამხრეთელი მამულიშვილნი. ტბეთის ეპისკოპოსმა, საბა მტბევარმა ჯვარი და ლოცვანი გადასდო, აბჯარი აისხა, ხმალი აიღო და მტერზე საცემად წარუძღვა შავშეთელ მამულიშვილებს.

საბამ ტბეთის ეკლესიასთან ძლიერ გამაგრებული საომარი ბანაკი განაჩინა, სახელად „სვეტი“ დაარქვა და შიგ მისებრ გულმხურვალე თანამემამულეთა ლაშქარი ჩააყენა.

სვეტიდან გამოიჭრებოდნენ ანაზდეითად საბას მეომარნი, აზნაურნი და უაზნონი, მტერს ესხმოდნენ და შავ დღეს უთენებდნენ.

საბას მარჯვენა ხელად უდგა მისებრ იარაღასხმული ბერი, ანჩის ეპისკოპოსი ეზრა ანჩელი.

მთელი შავშეთი ფეხზე დაეყენებიათ სამშობლოს საკეთილდღეოდ გასამხედროებულ ბერ-ფიჩოსნებს.

მაინც არ ცხრებოდნენ ბიზანტიელნი. ახლა უფრო ვერაგი, მზაკვარი და ბოროტ ჯარა დაატრიალეს ჭიპზე დედამიწისა. თურმე ოდენ ზოგიერთი სულმოკლე ქართველი აზნაურის ღალატი არ ყოფილა საკმარისი და ახლა ხალხის, „წვრილი ერის“ მოღორებაც გაუ-

ჩარხიათ ბიზანტიელ სამართლის ქურუმთ.

კონსტანტინოპოლს აწამდე თავს აფარებდა დემეტრე გურგენის ძე კლარჯი, რომელიც ადრე საქართველოს ტახტისთვის ებრძოდა ბაგრატ მესამეს. ებრძოდა, დამარცხდა, სიკვდილს ძლივს გადაურჩა და კონსტანტინოპოლს გადაიხვეწა. და აი, ახლა კონსტანტინე კეისარს აღმოუჩენია, რომ ბაგრატ მეოთხე საქართველოს ტატზზე უკანონოდ მჯდარა, ხოლო კანონიერი ხელმწიფე, დემეტრე გურგენის ძე, თურმე ამდენხანს უსამართლოდ ისჯება, „კანონიერ ტახტს“ მოკლებული! ამიტომ სიმართლისა და სამართლისთვის თავგადამკვდარი კეისარი ახალ ჯარებს აგზავნიდა „დიდსულოვნური დავალებით“: ხალხი დაარწმუნეთ და მისი მხარდაჭერა მოიპოვეთ, რათა საქართველოში „უკანონო ბაგრატი“ დაემხოს და „კანონიერი დემეტრე“ აღზეიდეს!

და მოუძღვა ახალ ბიზანტიურ ლეგიონებს საქართველოში „საქართველოს კანონიერი მეფე“.

და, რეცა, გაჭრა კიდეც ბიზანტიელთა მზაკვრულმა ქადაგებამ, მოსყიდვამ, მოპოხებამ ხელის გულისა, ტრელობამ და თითლიბაზობამ. წვრილ ერში ბევრი დაიყოლიეს ბაგრატ მეოთხის წინააღმდეგ ასამხედრებლად.

საომარ უნაგირზე აღჯდა ყმაწვილი მეფე საქართველოსი. შემოიყარა ლაშქარი ქუთათისის სამოქალაქოისა და დაიძრა სამხრეთისაკენ.

მაგრამ ზეკარზე გადასულ მეფეს სასიხარულო ამბავი შემოაგებეს ფიქებმა. თურმე მეფის მისვლამდე იმარჯვეს და იმძლავრეს „სვეტის“ გმირებმა, სამა მტბევარმა და ეზრა ანჩელმა: ბერთა და მღვდელთა ათასეულით დახვედრიან ბიზანტიელებს კარსა კარნიფორისასა. დახვედრიან და შაოსან მხედრებს შავი ღელ უთენებიათ შავი გულით მოსულ მტერთათვის. ბიზანტიელთა მთავარსარდალი ნიკიტა პარაკიმენესი თავისი ხელით მოუკლავს ეზრა ანჩელს, ჩალიბად შერკინებაში.

ხოლო, დემეტრე, ძე გურგენისაჲ.

ხოლო დემეტრე, ვინც მოილტვოდა „კუთვნილი ტახტისა და მიწის“ ფლბლად — მიწას კიდევაც დაეუფლა, ვინათგან იგი მოისრა „კუთვნილ“ ქართულ მიწაზე დასამიწებლად დაირეცა ხელითა რომელიღაც ბერი-მონაზონი.

„რომელიღაცო“, იმიტომ ვამბობთ, რომ მკვლელმა სახელი არ გაამხილა. ალბათ იფიქრა, ქართველის სისხლი ჩემს უნებურად რომ დავაქციე, ეს ცოდვა დაე გაუმხელელად ედოს და სტანჯავდეს მხოლოდ ჩემს სულსო.

ბიზანტიელთაგან, ვინც სიკვდილს გადარჩენილა, უგზოუკვლოდ გადახვეწილა.

ხოლო, გამარჯვებულნი? სად არიან ახლა სბა, ეზრა და ბერ-მონაზონ გმირთა ლაშქარი?

ახლა ისინი მტკვრის სათავეში, ახლა-ღნაშობ თავანკარა წყალში ჩამდგარან, ტანთაგან მტრის (მაგრამ მაინც ადამიანთა) სისხლს იბანენ, სისხლის ქცევისთვის მონანიების ლოცვით ლოცულობენ და ხელახალ ნათლით ინათლებიან!.

არ ყოფილა აუცილებელი, სახელმწიფოს მეთაური ნიჭიერი და ჭკვიანი იყოს. საკმარისია ჭკვიანი და გონგამჭრიახი იყვნენ მრჩეველნი, რეფერენდარნი.

სახელმწიფოს მეთაურისთვის თურმე ისიც კმა ყოფილა ჭკვიანი და ნიჭიერი მრჩევლების რჩევას დაუჯეროს.

რეცა, ახლა მიხვდა ამას კეისარი კონსტანტინე ფუტურო: რატომ არავის ვკითხე, ან იქნებ ვკითხე და არ დაუჯერე საქართველოში გალაშქრების განზრახვაო.

და საქართველოში განცდილი მარცხი რომ შეიტყო, სიკვდილის წვეულ იმ დღეებში შეიგრძნო კეისარმა კონსტანტინე მერვემ.

და მას ჟამსვე მიხვდა პირველად, რომ მარტო ჯამა და კოუნის თამაში როდი ყოფილა საფიქრალი კაცისა, ვითარცა კაცისა და ვითარცა ქვეყნის ხელისუფალისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფიქრალი კი ყოფილა მემკვიდრეობა კეისარ-ბასილევს-ავგუსტუს-ავტოკრატორ-იმპერატორობისა.

კონსტანტინეს ღმერთმა ძე არ მისცა, საიმპერიო ტახტ-გვირგვინი მემკვიდრეობად რომ გადაეცა. მას შემდგ, რაც დაქვრივდა, აღარც მეორე ცოლი შეურთავს და აღარც საერთოდ გაჰკარებია ქალად ნასახს.

და შემორჩა სამი შვილი, სამივე ქალი: ევდოკია, ზოია და თეოდორა. და სამივე იყო შინაბერა, გაუთხოვარ და მამაკაცთაგან განუცადებელ.

უფროსი ევდოკია არც ლამაზი იყო და არც ნიჭიერი. ბავშვობისას ყვავილი შეჰყროდა და ართვალ ჩოფურად დარჩენილიყო. და ამიტომ ნებიერ ქალობაზე უიღბლოდ იმედგადაწურული, საცოდავი ევდოკია ახალგაზრდობის წლებიდანვე დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცილიყო და აგერ, ეს ორმოცდაბუთი წელიწადი, აღარც ქალად და აღარც სეფასულად აღარავის გახსენებია.

მეორე, შუათანა ზოია, იმჟამად იყო ორმოცდაათი წლისა.

ხოლო, მესამე, თეოდორა — ორმოცდარვა წლისა.

ზოიას და თეოდორას, ვითარცა ქალებს, მაინც ქალები ეთქმოდათ. გვარიანად ლამაზები იყვნენ და ქალური სინორჩეც რეცა ჯერ კიდევ შემორჩენოდათ უჭქნობელად. უფრო მაინც ზოია გამოირჩეოდა, ზოია, — რომლისთვისაც ზედნადებ სახელად „ძოწითშობილი“ დაერქმია დროის ნათლიას.

და სიკვდილს მირქმეულმა კონსტანტინემ გადაწყვიტა კეისრის ტახტი და გვირგვინი ზოია ძოწითშობილისათვის დაეტოვებინა.

და ისიც ახლა გაახსენდა კონსტანტინე ფუღუროს — ზოიას, ვითარცა ქალს არც მამაკაცი აწყენდა და, მით უფრო ვითარცა ბასილისას, ბასილევსი-მეუღლე აუცილებლად სჭირდებოდა.

და მაშინვე უახლოესი რეფერენდარნი შეჰყარა სასიძოს რჩევად და საძებნებლად.

და პირველი დაუსახელეს ვაჩე კარიჭისძე.

— მაგრამ ვაჩე კარიჭისძე ხომ ქართველია? — ამრეზით იკითხა კონსტანტინემ.

— ქართველია, მაგრამ ქართველ მეფეს განუდგა და შენ გეახლა, ვითარცა შენი ერთგული მსახური და ბაგრატ მეფის დაუძინარი მტერი, — თქვა ერთმა.

— ანაგებაც ხელმწიფური აქვს კარიჭისძეს, სახეც, იერიც, — თქვა მეორემ.

— მძლავრი აქვს გონება, — თქვა მესამემ.

— მძლავრი მკლავი, — მიაშველა მეოთხემ.

— მძლავრი ბარძაყი, — იხუმრა მეხუთემ.

— საურველიც მძლავრი აქვსო, ამასაც იტყვით, — დაიღრინა კეისარმა — მაგრამ ცით მოვლენილიც რომ იყოს, ქართველის ჯიშისას არც კეისრის ტახტთან გავატარებ, არც ჩემი ასულის სარეცელს გავაკარებ. მორჩა და გათავდა!

სხვა დაასახელეთო, ბრძანა კეისარმა ბოლოს, სული რომ მოიბრუნა „ქართული ჯიშის“ ხსენებით აბორგებულმა.

და რომელიღაცამ დაასახელა კონსტანტინე დალასინი.

— კონსტანტინე დალასინი სომეხია, არა? — იკითხა კეისარმა.

— დიახ, დიდად კეთილშობილი სომეხი.

— სომეხი კარგია. იხმეთ და მომგვარეთ, — ბრძანა კონსტანტინემ.

— ერთ კვირაში აქ იქნება, — იყო პასუხი.

— ერთ კვირაშიო? რატომ ასე გვიან? — შეშფოთდა კეისარი.

— დალასინი ამჟამად კონსტანტინოპოლს არ იმყოფება. იგი თავის ეილაში განისვენებს, კილიკიაში.

— თავი დაანებეთ, დრო ამდენს არ ითმენს, გონება მოიჩხრიკეთ და ისეთი მოიძიეთ, აქ რომ იყოს, კონსტანტინოპოლს, და ახლავე შეიძლებოდეს მო-

წვეა და გაბედნიერება მისი, — ბრძანა კეისარმა ბეჭედუცვლელად.

და მოიჩხრიკეს გონება მრჩეველთა.

და თქვა ერთმა ყველრულმა:

— კონსტანტინოპოლში იმყოფება რომანოს არგიროს.

— რომანოს არგიროს, ეპარქოსი კონსტანტინოპოლისა!

— დიახ, იგი.

— დიდებულია!

— ჯიშით კეთილშობილი.

— ზრდილი და განათლებული.

— თანაც, არგიროსი ჩემი ნათესავია, — იყვირა და ბალღივით გაიხარა იმპერატორმა — ბაბუაჩემს და ბაბუამისს ცოლებად ღვიძლი დები ჰყავდათ, მა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონ ჩეხოვი

ფსიქოპათები

პატარა ოთახში მაგიდას ორი მამაკაცი უზის და სადილობს. ერთი მათგანი პროვინციული საკომერციო სასამართლოს ყოფილი მოხელეა, ტიტულარული სოვეტნიკი სემეონ ალექსეიჩ ნიანინი, მეორე კი — მისი შვილი, გადამდგარი პორუჩიკი გრიშა, დედამის ხარჯზე მცხოვრები, უმაქნისი და მცონარა. გრიშა, ჩვეულებისამებრ, ჭიქას ჭიქაზე ცლის და თან გაუჩერებლივ ლაპარაკობს, ფერმკრთალი, მუდამ აფორიაქებული და შემცბარი მამა რიდით შეჰყურებს პირმშოს და რაღაც გაურკვეველი გრძნობისაგან, — შიშს რომ წაგავს, სულს ნაბავს.

— ბულგარეთი და რუმელია[1] — ეს მხოლოდ დასაწყისია, — ამბობს გრიშა და თან ჩანგლით გამალებული იჩიჩქნის კბილებს, — ეს რაა, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს! ერთი წაიკითხე, საბერძნეთსა და სერბიაში რა ხდება, ანდა რას ბეჭობენ ინგლისში! საბერძნეთი და სერბია აღსდგებიან, თურქეთიც... ინგლისი თურქეთს გამოექომაგება.

— საფრანგეთი ამას არ მოითმენს... — რაღაც გაუბედავად ერთვება საუბარში ნიანინი.

— ღმერთო ჩემო, ისევ პოლიტიკაზე არ დაიწყეს! — ეს გვერდით ოთახში მცხოვრები ფედორ ფედორიჩია, რომელსაც ხველება ახრჩობს. — ავადმყოფი მაინც შემიბრალონ!

— ჰო, საფრანგეთი უკან არ დაიხევს, — ემოწმება გრიშა მამას, თითქოს არც კი ესმის ფედორ ფედორიჩის ხველა. — მაგას, ძმობილო, ჯერაც არ დავიწყნია თავისი ხუთი მილიარდი[1]. მაგას, ძმაო... ესენი, ძმაო, ფრანგები, ჭკვიანი ხალხია! იმასღა ელოდებიან, რომ ბისმარკს კვანტი გამოსდონ და სათუთუნეში შხამა ჩაუყაროონ! ჰოდა, ფრანგმა თუ იარაღს მოჰკიდა ხელი, გერმანელს რაღა გააჩერებს — ქომენ ზი ჰერ, ივან ანდრეიჩ, შპრეხენ ზი დოიჩ!..[2] ჰო-ჰო-ჰო! გერმანელებს ავსტრია მოჰყვება, იმას კიდევ უნგრეთი, ერთ მშვენიერ დღეს გაიხედავ და, ესპანეთიც წამოჰყოფს თავს კაროლინის კუნძულებისათვის...[3] მერმე ჩინეთს

1. რუმელია — სამხრეთ ბულგარული პროვინცია. აღმოსავლეთი რუმელია ბულგარეთს შეუერთდა 1885 წლის სექტემბრის აჯანყების შემდეგ.

1. საფრანგეთს... არ დავიწყნია ხუთი მილიარდი — 1871 წელს ფრანგფურტის საზავო ხელშეკრულების თანახმად საფრანგეთმა გერმანიას დაუთმო ელზასი და აღმოსავლეთი ლოტარინგია, ამასთან, იკისრა 5 მილიარდი ფრანკის კონტრიბუციის გადახდა.

2. ივან ადრეიჩ, შპრეხ ზი დოიჩ!.. — ციტატა ნ. გოგოლის პიესიდან „მკვდარი სულები“.

3. ესპანეთიც წამოყოფს თავს კაროლინის კუნძულებისათვის — 1885 წ, როცა გერმანიის მთავრობამ მოინდომა კაროლინის ერთ-ერთი კუნძულის დაპყრობა, ესპანეთის ოფიციალურმა წრეებმა განაცხადეს, რომ ისინი გაწყვეტდნენ დიპლომატურ ურთიერთობას გერმანიასთან.

აუტყდება მუცლის გვრემა, ავღანელებსაც აღარ მოასვენებს გამჩენი... დაიწყება, დაიწყება, მაგრამ რა დაიწყება, ისეთი ამბავი ატყდება, ძმაო, სიზმრადაც რომ არ გინახავს! დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა, ხელებსღა გასავსავებ...

ბუნებით ეჭვიან, მხდალსა და გულნამცეცა მოხუც ნიანინს ლუკმა პირიდან უვარდება და სახე მიტკლისფერი უხდება. სადილს აღარც გრიშა შეექცევა, მამაცა და შვილიც ერთმანეთის ალიკვალი არიან, მხდალნი, სულმოკლენი და მისტიკურნი. ორივეს სულს რაღაც გაუურკვეველი, უსაგნო შიში ავსებს, სივრცესა და დროში რომ დაერის უწესრიგოდ: რაღაც მოხდება!!. მაგრამ, სახელდობრ, რა მოხდება, სად ან როდის, არც მამამ იცის და არც შვილმა. მოხუცი შიშს, ჩვეულებისამებრ, მორჩილებით ეძლევა, გრიშას კი რა გაალლებინებს, მამა და საკუთარი თავი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების რახარუხით რომ არ გააღიზიანოს. ჰო, ჰო, რა დაიწყნარებს, თუკი ბოლომდე არ დაიშინა თავი.

— აი, ნახავ! — განაგრძობს იგი. — თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ, რომ ეგროპაში ყველაფერი თავდაყირა დადგება. კარგა მაგრა კი მოგვხვდება. შენ რა, შენთვის, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი სულ ერთია, სულ ფეხებზე არა გკიდია!.. მე კი — ომში მობრძანდითო, — მეტყვიან! თუმცაღა, მიმიფურთხებია... ერთი მაგათი...

პოლიტიკაზე ლაპობით რომ იჯერებს გულს, გრიშა ახლა ჭოლერას გადასწყვდება.

— იქ, ჩემო ძმაო, გარჩევას არ დაგიწყებენ, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, დაგდებენ მარხილზე და — ჰაიდა, ჭალაქგარეთ! იწვენი იქ მკვდრებში! ვის ექნება იმის დრო — არკვიოს, ჯერ ისევ ავადა ხარ თუ უკვე ჩააბარე სული გამჩენს!

— ღმერთო ჩემო! — ახველებს ტიხარს იქით ფედორ ფედორიჩი. — განა ის არ ეყოფათ, თამბაქოთი რომ გაბოლეს ოთახი, რახით რომ აქოფეს ყველაფერი. ახლა ლაპარაკით უნდა მიმასავთონ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ეს მიბრძანეთ, რატომ არ მოგწონთ ჩვენი საუბარი? — ხმას უწევს გრიშა.

— უმეცრებას ვერ ვიტან... გულს მაზიზეს ხლმე.

— ვერ იტანთ და ნუ იტანთ, ვინა გთხოვთ, მოგვისმინეო... აი ასე, მამილო, ასე წაგვივა საქმე! ხელებსღა გასასავებ, მაგრამ გვიანღა იქნება. აქ კიდევა, გაგონილი გექნება, ბანკებს ქურდავენ... ერობებში... ზოგან მილიონს იპარავენ, ზოგან — ასი ათასს, ზოგანაც — ათასს... ყოველდღე! აბა, დღე ისე როგორ გავა, არა თქვენ: მოლარემ ფული გაიტაცაო.

— მერე ჩვენ რა?

— როგორ თუ რა? რომ გაიღვიძეს ერთ მშვენიერ დღეს და ყველაფერი მოპარული დაგხვდება, მაშინ თქვი, მერე ჩვენ რაო! ჰო, ჰო, გაიღვიძეს, ფანჯარას გამოაღებ და დაინახავ, რომ მოლარეებს დიღი გაუმართავთ — ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბის. მაშინვე ჩაკმას დაგაპირებ, მაგრამ, ნურას უკაცრავად, სადღაა ნიფხავი? მოგჭამა ჭირი — მოუპარავთ! დაჯექი მერე და უყარე კაკალი!

ბოლოს მირონოვიჩის პროცესის[1] ჯერიც დგება.

— გუნებაში არ გაივლო, არც იოცნებო, — ეუბნება გრიშა მამას — ამ პროცესს ბოლო არ ექნება. განაჩენი, ძმაო, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. განაჩენი, რამდენიც გინდა, იმდენი გამოიტანე, მაგრამ ამ საქმეს ეშმაკიც რომ ვერ გაუგებს თავსა და ბოლოს, ყველამ კარგად იცის! დავუშვათ, სემიონოვაა დამნაშავე... ჯანდაბას, იყოს დამნაშავე, მაგრამ რას უშვრება მირონოვი-

1. მირონოვიჩის პროცესი — სასამართლო პროცესი მეეჯაზე მირონოვიჩის მიერ ცამეტი წლის სარა ბეკერის მოკვლის შესახებ იხილეზოდა სანკტ-პეტერბურგის საოლქო სასამართლოში. ამ პროცესს ფართოდ აშუქებდა პრესა.

ჩის გასამტყუნებელ სამხილებს? თუ მირონოვიჩია დამნაშავე, მაშინ სემიონოვა და ბეზაკი[1] გრჩება განზე. დიდი დახლართული საქმეა, ძმაო...

ყველაფერი ისეა ბურუსში გახვეული, რომ განაჩენით არ დაკმაყოფილდებიან და დაიწყება გაუთავებელი ტვინის ჭყლეტა... არსებობს სამყაროს ბოლო? არსებობს... იმ ბოლოს იქით რაღაა? კიდევ ბოლო... იმის იქით? და ასე შემდეგ... ისეა ეს პროცესიც... ერთი ოცჯერ მაინც გაარჩევენ საქმეს, დადგენით კი ვერაფერსაც ვერ დაადგენენ, შეიძლება, უფრო ამოდვრიონ წყალი... სემიონოვა ახლა კი გამოტყდა, მაგრამ ხვალ რომ უარი თქვას, არც არაფერი ვიცი და არც არაფერი მიხახვსო.

ისევ აუტყდება კარაბჩევსკი[2] წრიალი. ერთ ათ თანაშემწეს აიყვანს და აღარ გაათავებს ამ წრიალს.

—რანაირად?

— უბრალოდ: მყვინთავებს გაგზავნის ტუჩკოვის ხიდთან საწონების ამოსაღებად[3] ძალიანაც კარგი, ახლა აშანინი[4]გაა შაშლებს არზას, საწონები ვერ ვიპოვეთო! კარაბჩევსკი განრისხდება... როგორ თუ ვერ იპოვეს? ეს ხომ იმიტომ ხდება, რომ ჩვენში ნამდვილი მყვინთავები არ არიან და არც რიგიანი საყვინთი აპარატი მოგვეძებნება! გამოიწერეთ ინგლისიდან მყვინთავები, ნიუ-იორკიდან კი აპარატიო! სანამ იქ საწონებს ეძებენ, ექსპერტებს ენის ქავილის გარდა, რაღა დარჩენიან. ჰოდა წრიალებენ, წრიალებენ, წრიალებენ. ერთიმეორეს არ ეთანხმებიან, ერთმანეთს ჭკუას არიგებენ... პროკურორი ერჰარდს ეთანხმება, კარაბჩევსკი — სოროკინს[1]... ისეთი ამბავი ატყდება, მამა შვილს არ აიყვანს ხელში! გამოიწერენ ახალ ექსპერტს, საფრანგეთიდან შარკოს[2] დაიბარებენ! შარკო ჩამოსვლისთანავე განაცხადებს, რა ვთქვა, გაჭრის დროს ზურგის ძვალი არ შემოწმებულაო! ისევ ამოთხრიან ის უბედურ სარას! მერე, ჩემო ძმაო, თმა არ დაგავიწყდეს... ვისი იყო თმა? თავისით ხომ არ გაჩნდებოდა იატაკზე, ვიღაცასი ხომ იყო! ექსპერტიზისთვის პარიკმახერებს დაუძახებენ და მოულოდნელად აღმოჩნდება, რომ თმის ერთი ღერი ძალზე წაადგა მონბაზონის[3] თმას. მონბაზონსაც მოაბძანებენ! დაიწყება, მაგრამ რა დაიწყება. ერთი ალიაქოთი ატყდება, ყველაფერს ყირაზე დააყენებენ. იქ კიდევ ინგლისელი მყვინთავები ნევაში ერთის მაგივრად ხუთ საწონს იპოვნიან. თუ სემიონოვა მკვლელი არაა, მაშინ ნამდვილი მკვლელი მდინარეში ერთ ათ საწონს მაინც ჩაყრიდა. საწონებს შეამოწმებენ. პირველად იმას იკითხავენ, ვისგან არის ნაყიდიო? აღმოჩნდება, რომ ვაჭარ პოდსკოკოვს გაუყიდია! პოდსკოკოვს რომ დაუძახებენ და ჰკითხავენ, ვის მიჰყიდეო, იტყვის, არ მახსოვსო. მაშინ შენი მუშტრების სახელები გვითხარიო, ჩააცივდებიან. ისიც ჩაფიქრდება, იფიქრებს, იფიქრებს და ბოლოს გაახსენდება, რომ ოდესლაც რაღაც გიყიდია მასთან. ჰოდა, იტყვის, ჩემთან საქონელს ყიდულობ-

1. სემიონოვა და ბეზაკი — სემიონოვამ, სოფლის ყოფილმა მასწავლებელმა, თავი დამნაშავედ სცნო სარა ბეკერის მკვლელობაში. ბეზაკი — ერთ-ერთი ბრალდებული მირონოვიჩის საქმეში.

2. კარაბჩევსკი — ნ. პ. კარაბჩევსკი (1851-1925), ცნობილი რუსი ადვოკატი, გამოდიოდა პროცესზე.

3. მყვინთავებს გაგზავნის ტუჩკოვის ხიდთან საწონების ამოსაღებად: — სემიონოვამ აუხსნა სასამართლოს, რომ „საწონი, რომლითაც მან სარა ბეკერი მოკლა, ტუჩკოვის ხიდიდან გადაგდო წყალში.

4. აშანინი... პროცესზე სასამართლოს გამომძიებელი აშანოვი იყო და არა აშანინი.

1. პროკურორი ერჰარდს არ ეთანხმება, კარაბჩევსკი-სოროკინს... ერჰარდი და სოროკინი სასამართლოს ექსპერტი ექიმები იყვნენ.

2. საფრანგეთიდან შარკოს დაიბარებენ — შარკო (1825-1893) ფრანგი ნევროპათოლოგი იყო.

3. მონბაზონი — ფრანგი ოპერეტის მსახიობი ქალი, რომელიც 1885 წელს მოსკოვში იმყოფებოდა გასტროლებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღნენ მავანნი და მავანნი და სხვათა შორის, ტიტულიარული სოვეტნიკი სემიონ ალექსეიჩ ნიანინიცო! დაგიბარებენ ერთ მშვენიერ დღეს, მობრძანდითო, გეტყვიან!

გაფითრებული ნიანინი ასლოკინებს, დგება სუფრიდან და დაბნეული ბოლოთას სცემს ოთახში.

— აბა, აბა... — ბუტბუტებს იგი. — რაები არ ხდება, ღმერთმანი!

— ჰო, მიგაბრძანებენ-მეთქი კარაბჩევსკისთან! ის კიდევ თვალებით დაგიწყებს ბურღვას. სულში ჩაგიძვრება პირდაპირ! რომ გკითხავს, ამა და ამ დღეს ღამით სად იყავითო, შიშისაგან ენა ჩაგივარდება. მერე შენს თმას ნაპოვნს შეადარებენ, კაცს გაგზავნიან ივანოვსკის[1] მოსაყვანად. ერთი სიტყვით, ბოლოს ვირის აბანოში ამოჰყოფთ თავს, ბატონო ნიანინ!

— მე... მე რათა? ქვეყანამ იცის, რომ მე არ მომიკლავს! ხომ არ შეგეშალა ლე?

— ეგ ვის ენაღვლება! სულ ფეხებზე არ ჰკიდიათ, შენ რომ არ მოგიკლავს! დაგაწყებინებენ ბზრიალს და იქამდე გაბზრიალებენ, სანამ შენით არ დაიჩოქებ და არ იტყვი, მე მოვკალიო!

— ღმერთო, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!..

— კარგი ერთი, მე ხომ ამას ისე გეუბნები, მაგალითისათვის. მე რა მენაღვლება, თავისუფალი კაცი ვარ, უცოლო. მომინდება და ხვალე სულაც ამერიკაში წავალ! მეძებოს მერე კარაბჩევსკიმ, იწრიალოს!

— ღმერთო! — კვნესის ფედორ ფედორიჩი. — რატომ ხმა არ ჩაუწყდებათ! ჯოჯოხეთის მაშხალებო, გაჩუმდებით თუ არა ოდესმე?

ნიანინი და გრიშა ჩუმდებიან. საღილობას მორჩნენ და ახლა თავთავიანთ საწოლებში წვებიან. ორთავეს ეჭვი ღრღნის.

თარგმნა ზაალ გოგაკოველმა



---

1. ივანოვსკი — პეტერბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი (1807-1886).

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲛᲖᲘᲐᲜᲘ ᲒᲣᲚᲘ

„დიახ.. თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ...“ — ეტყვის პროფესორი ბაჩანა რამიშვილს, ნოდარ დუმბაძის რომანის „მარადისობის კანონის“ გმირს, პროფესიით მწერალს.

თავად ნოდარ დუმბაძემ, სამკერ ინფარქტგადატანილმა, სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე კატეგორიული უარი განუცხადა მკურნალ პროფესორებს ხელოვნური სტიმულატორების ჩადგმაზე, ამ გზითა და საშუალებით არავითარ შემთხვევაში არ ისურვა არსებობის გახანგრძლივება. ალეწილ-აფორიაქებული, თითქოს შეურაცხყოფილიც ცი ჩანდა ამ თემაზე ექიმებთან საუბრის შემდეგ, რადგან ხელოვნური გულით ცხოვრება მისთვის წარმოუდგენელი იყო. ამის შემდეგ სულ მალე, რამდენიმე დღეში კიდეც დაემშვიდობა ამ ჭეყვანას.

„...ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ...“ — ეს სიტყვები გამოხატავენ ყველაზე უბრალო და ყველაზე დიდ აღიარებას, რაც კი მწერალმა შეიძლება დაიმსახუროს. და განა მარტო მწერალმა? ყოველი ადამიანისათვის, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს იგი, ამდაგვარი სიტყვები მისი არსებობის გამარილება იქნება. ასე გავლილი ხანმოკლე ცხოვრებაც კი ბევრად უფრო ლამაზია და სიკეთის კვალის დამჩნევი, ვიდრე ხანგრძლივი, თუნდაც დაუსრულებელი სიცოცხლე, უფრო ზუსტად, ფიზიკური არსებობა ზოგიერთებისა, ვთქვათ, ისეთი პირებისა, როგორიც არის რედაქტორის მოადგილე ამბავ რომანში, ვისაც ადამიანი არც ეთქმის.

ნოდარ დუმბაძის რომანში პროფესორს არც უფიქრია მედიცინის ბრალეულობისგან პროგრესის თუნდაც ოდნავი დამცირება, მით უფრო გაბიაბრუება. ვერც იფიქრებდა, რადგან თავად არის ერთ-ერთი სასწაულმოქმედთაგანი. ეს სიტყვები — „ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ“ — მისი აზრის მხატვრული, მეტაფორული გამოხატულებაა. ხელოვნური გული აქ ცივი, უსიყვარულო გულის სინონიმად არის ნახმარი და ჩვენც შეუძლებელია არ ვიწრფწუნოთ ის მარტივი და მარადიული კანონი, რაც ვენიალური პოეტის სიტყვებით ასე გამოითქმის:

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაკქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.

დიახ, ყველა და ყველაფერი, კეთილი და ადამიანური სიყვარულის დაღით არის დასმული, სიყვარულის ცეცხლით არის შთაგონებული, სიყვარულის ნათელით არის გასხივოსნებული. და ამას სიყვარულთან აღგზნებული გულის ფეთქვა სჭირდება, ცივი და ხელოვნური გული ამის შემოქმედად არ გამოდგება.

ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲓᲐᲒᲐᲒᲔᲑᲐ ᲣᲜᲐᲧᲝᲤᲝᲜᲐ, თუ მწერლის ნაოქმელი მისი ცხელი გულის გავლით არ მიდის მკითხველამდე, თუ მისი სიხარული სულის ეიფორი არ არის, თუ მისი მწუხარება ტკივილით დაფლეთილი ნერვებიდან არ გადმოგვეცემა, ოთარაოლიანელი, მზვიდი, რიტმული, აი ისეთი გულით ნათქვამი სიტყვა, რასაც მკურნალი სანიმუშოდ მიიჩნევს, თუნდაც უკეთილშობილეს გრძნობებსა და აზრებზე იყოს დახარჯული, მკითხველისათვის იგივეა, რაც ქედელს შეურილი ცრცცი.

ნოდარ დუმბაძეს უბრალოდ თბილი, კეთილი, თანაგრძნობი, მოსიყვარულე გული კი არ ჰკმნდა, არაგად მისი გული სავსე იყო მზის სიმხურვალით და სინათლით.

იგი მზიანი გულით დაიბადა.

ნოდარ დუმბაძე. ეს სახელი და გვარი დღეს კარგად არის ცნობილი საქართველოშიც, საქა-

რთველოდან შორსაც და ძალიან შორსაც. ნოდარ დუმბაძის წიგნები ყოველ ქართულ ოჯახში იცრიცება გაუთავებელი კითხვით, ბევრი მომმაა კერის გულითადი, გაშნაურებული სტუმარია, უცნო ხალხებთან ქართული მწერლობის ღირსეული მოციქულია. ბინა წიგნები გამოცემულია ყველა მომე რესპუბლიკაში და ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, მათი გავრცელების გეოგრაფია მსოფლიოს ყველა კონტინენტს მოიცავს, თითქმის ყველა ქვეყანას სწვდება.

მწერლის შემოქმედებას მკითხველის გარდა მაყურებელიც უამრავი მყავს. ნოდარ დუმბაძის ყოველი რომანი და, შეიძლება ითქვას, მოთხრობიც კი, უმალ იდგმებოდა სცენაზე, გადადიოდა ეკრანზე და მრავალი მილიონი მაყურებლის კუთვნილება ხდებოდა. დღესაც მრავალან იდგმება მისი პროზაული ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები, უჩვენებენ მათ საფუძველზე გადადებულ ფილმებს და ასე ყველგან და ყველას სწვდება ქართველი მწერლის სითბო და სული ნათელი.

ათასობით წერილს იღებდა მწერალი. მისი გარდაცვალების შემდეგაც არ შემწყდარა წერილების ნაკადი. ერთი უცარანელი ჭლეში მწერლისადმი გამოგზავნილი მაღლიერების ბარათში წერებობდა, თქვენი წიგნის წყალობით ჩემს „ხატაში“ სითბო

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება უადრესად ქართველია არა მარტო იქ გამოხატული გარეგნობით და ხასიათებით, ცხოვრების წესითა და ჩვეულებით, ყველა მოვლენი თუ არამთავარი მხატვრული კომპოზიციები, არამედ, რაც მთავარია, ქართველია ის ფესვებით, რომლითაც წარსულის ეროვნულ კულტურას უკავშირდება და იმ მაღლი განკუთვნილი ვეარგანეთაც, მომავლის მწერლობას რომ სწვდება წინაპრთაგან შთამომავლობით მიღებული ეროვნული სულისა და მრწამსის გადასაცემად.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაცა და მთელი ცხოვრებაც თავის ერისა და ქვეყნის სიყვარულშია დახარჯული. ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან ერთისაც და მეორისაც სამსახური მწერლის უპირველესი და უწმინდესი მცნება გახლდათ.

ამ სულით ზორცამდე ქართველი მწერლის შემოქმედების წარმატების მიზეზი მშობლიურ ქვეყანაში იოლი გასაგებია მისი აშკარად და მშვენივრად გამოხატული ეროვნული ხასიათის გამო. სხვათა არანაკლებ ცხოველი ინტერესი შესაძლოა ვინმემ უცნო სამყაროს ყოფისა და ხასიათების მიმზიდველობის ძალით ახსნას. ალბათ, არც უფიზსთანა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ უცნო გარემოში და უცნო გმირებით დასახული მხატვრულ სამყაროში ყოველი ეროვნების მკითხველი ნაცნობი, ახლობელი განცდებისა და ფიქრების თანაზიარი ხდება, რადგან ეს სამყაროო უადრესად ადამიანური და ნათელია. სწორედ ამ განზოგადების, ეროვნულობან ზოგადსაკაცობრიოდე ამაღლების ძალაში, ღრმა ობეიექტიზმისა და ჰუმანისტური სულისკვეთების უპირატესად ემოციურ, ლირიკულ გამეფდენებაშია მწერლის გამარჯვების გასაღები.

ეს მშვენიერი თვისება ნოდარ დუმბაძის პროზას თავიდანვე დაჰკვდა. როდესაც 1959 წელს ახლადდაარსებულ ახალგაზრდულ ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე მწერლის პირველი რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" დაიბეჭდა თითქოს ძნელი წარმოსაჩენი იყო, რომ ჰუმანიზმი მთელი თავისი უძლეველი ძალით ასეთ ყოფით და ლირიკული ტონალობის ნაწარმოებში შეიძლებოდა გამეფდენებულიყო, რომ მისი გამომხატველები ისეთი უბრალო გმირები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, როგორიც ეს უცნაური და მშვენიერი ოთხეულია.

ამ რომანით არა მარტო ახალ მხატვრულ სამყაროს დაედო სათავე, არამედ ახალ ტენდენციას და ეტაპსაც კი ქართულ ხასპოთა მწერლობაში. პირველი რომანის ზედიზედ მოპყვა მომდევნოები — „მე ვხედავ მზეს", „მზიანი ღამე", „ნუ გეშინია, დედა!", „თეთრი ბაიალეები", — მერე მოთხრობების კრებულები გამოქვეყნდა, შემდეგ კვლავ რომანი „მარადისობის კანონი", ბოლოს ისევ მოთხრობები და ასე შეიქმნა ის განუმეორებელი, მომხიბლავი, ღრმად დამაფიქრებელი და დიდად ემოციური სამყარო, რასაც ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ჰქვია და ფრთმლისოდაც, უბრალოდ, წარმოუდგენელია შეიცვე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობა და არა მარტო ქართული. მწერლის მთელ შემოქმედებას პირველიდან ბოლო ტერიტორიამდე ერთი თავარი ჩქეფბავი არტერია აქვს, რომელიც ერთფრთოულად ეროვნულ და ინტერნაციონალურ სულს შთაბერავს ბას.

ახეა შექმნილი ის მზიანი სამყარო, რომელიც ნოდარ დუმბაძემ თავის რომანებში და მოთხრობებში საკუთარი მზიანი გულის ზუალობით დაგეხატა და დაგვიტოვა.

დროის სწრაფ სრბოლას ყოველთვის უჩიოდა ადამიანი. ქართველმა ხალხმაც ამტკიცა შექმნა არა უბრალო სიტყვა, არამედ მხატვრული სახე — წუთისოფელი. ბედნიერია, ვისაც ამ ჩქარ დინებაში, ცხოვრების ორომტრიალში არ დაუკარგავს, არ გაუფლანგავს ღვთით მომადლებული ნიჭი, ვისაც ქმაყოფილებით შუძლია გახედოს თუმც სწრაფად ჩაკლილ, მაგრამ მადლითა და ნაყოფით სავსე წლებს.

ნოდარ დუმბაძეს არამცთუ ქმაყოფილებით, დიდი სიამაყითაც შეეძლო გაეხედნა გამოცლილი ჭაბისთვის, ის კი ორა, ჩვენ ვვეამაყება მისი ცხოვრების ამბრი და ნაყოფი, მაგრამ იგი თავად, სხვა სიკეთესთან ერთად, უადრესად თავმდაბალი და სიმორცხვემდე მოკრძალებულიც კი იყო საკუთარი ღვაწლისა თუ ნიჭის შეფასებაში. ფულით უხაროდა წარმატება, მაგრამ თითქოს უკვირდა კიდეც. ასეთი იყო თავიდან ან ახეთი დარჩა ბოლოამდე.

ჭერ კიდევ თითქოს გუშინ, მხოლოდ გუშინ იყო, საკმაო დარბაზნი რომ იქცეოდა, როცა სცენაზე სადად, უფრო სწორად ღარიბულად (ტიელოს ფეხსაცმელებშია!) ჩაცმული აურურული ახალგაზრდა მორცხვი და სევდიანი ღიმილით ადიოდა და საკუთარ ლექსებს ჩუმი ხმით კითხულობდა. მაშინ, ანუ ომოსშემდგომ წლებში ნოდარ დუმბაძე უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი და ახალგაზრდობის კერპი იყო.

მერე თანდათან იზრდებოდა მწერლის შემოქმედება და პარალელურად ფანდასტიკურად იზრდებოდა მისი პოპულარობა, ბოლოს კი ისიც დამთავრდა, რომ ნოდარ დუმბაძის სახელი მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი, მისი წიგნები თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში გამოიცა და რაც მთავარია, ყველგან ადეკვატება ,გამოიწვია.

მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასაწყისიდან დასასრულამდე სულ ბნ-ოიდე წელია. ნოდარ დუმბაძე ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ არც ეს ხანა მწერლისთვის ცოტა და მას არამცთუ არ გაპარავია ის წლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისი საშშრომებაც მრავალ ჩვენთაგანს თან ვედევნა, არამედ მან საოცრად დიდი და მშვენიერი საყოფიელ მოიწია და საყოველთაო აღიარებასა და სიყვარულსაც შეეხწრო.

მან ლირიკით დაიწყო და მომიბლავი ლექსებიც ჰქონდა, ბევრი მათგანი სიმღერებად იქცა, მერე მახვილლინგერებით სავსე იუმორისტულ მოთხრობებსაც წერდა და აქეთ-კენ ფურნალ „ნიანგში", მაგრამ ის, რასაც ნოდარ დუმბაძის საყაროო ჰქონა და რისი საზღვრებიც ახე აშკარად არის გამოკვეთილი ქართველ მწერლობის რუკაზე, რამაც მიიპყრო მის თანამეშამულთა თუ მსოფლიო მკითხველის ყურადღება, მაინც მხატვრულ პროზაშია გამოხატული, ექვს რომანსა და ერთ მოთხრობებს ერქვეულ მოიცავს. ამ მოთვალი ნაყოფის მოწეკვა მწერალმა მეოთხეულ საუკუნის (1959-84 წლები) მანძილზე შეძლო.

ეს მთავარი ნაყოფი მწერლისა მზიური ხითხოთი და ზუქნო არის სავსე.

მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ნოდარ დუმბაძემ დაუშურავებლად მიუძღვნა სათაყვანებელ შობილ ერსა და სამშობლოს, საბჭოთა ხალხსა და ჭეყანასა. იგი იყო მგზნებარე ჰქადაგებელი ადამიანური სიკეთისა და სიკეთლისა, სამართლიანობისა და სიყვარულისა, კომუნისტური იდეებისა და ბორალისა. მისა ნაწარმოებები თანამედროვე ქართველი ცხოვრების უტეტიური და ამაღელვებელი, ამასთანავე, ამაღლებული მხატვრული მტკიცენი. მისმა შემოქმედებამ წყრიდ ან დიდი მხატვრული სიმარცოლით, მაღალი იდეურობით, მომიბლავი მშვენიერების ძალით დაიპყრო მკითხველთა გულები.

მწერლის რომანები და მოთხრობები, რომლებშიც ღრმა ცოდნითა და გულმხურვალეთ აისახა ხალხის ცხოვრება, მისი თავდადებული ბრძოლა მაღალი იდეალების ხორცშესახმელად, საუკეთესო სულიერი საზრდოა თანამედროვეთათვის და შთამომავალთათვისაც, მათი მოკალაქეობრივი და ზნეობრივი მრწამსის ფორმირების მძლავრი საშუალებაა.

ნოდარ დუმბაძე წარმოადგენდა ჭეშმარიტ ნიმუშს მწერლისას და მოქალაქისას, ამიტომაც მოსდა, რომ მან თავისი მწერლური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ხალხის სიყვარულიც უზვად მოიმკა და დიდი აღიარება და დაფასებაც ჰპოვა: იყო სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ლენინური პრემიის, ზოთა რუსთაველის და ლენინური კომკავშირის პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი... ყველა პატივი მან თავისი ელვარე ნიჭით და დიდი მოკალაქეობრიობით აღმეკვლი მხატვრული ხიტკეთი დაიმსახურა, დაიმსახურა ის შემოქმედებინ, რომელშიც თვალნათლივ და მომიბიზვლილად წარმოგვიდგება დიდი ბუმბანატი, ეშმაკრიტი მამულშვილი და ინტერნაციონალისტი.

ამ სიმაღლემდე და აღიარებამდე ვიდრე მიაღწევდა, მწერალთა რიგები და დაძაბული ცხოვრების გზა განვლო.

ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძე დაიბადა თბილისში 1928 წლის 14 ივლისს, ქარხულ ინტელიგენტურ ოჯახში. ბავშვობა უზეოთველი და უზრუნველეკა ეს ჰქონდა — ოჯახური სითბო, წიგნები, სკოლა და ამხანაგ-მეგობრები. მაგრამ ულრტანო წლები დიდხანს არ გაგრძელებია. ცხრა-ათი წლისან დაპკარგა მშობლები, მამა სამუდამოდ, დედასთან შეხვედრა ათეული წლების შემდეგ თურმე კიდევ ეწერა, ოღონდ მაშინ ამას ვერაფერს იფიქრებდა. ამ ძნიმე განსაცდელს ომის ავბედითანაც მოპყვა და ობლად დარჩენილი ნოდარი იძულებული გახდა თავის მშობლიურ სოფელ ხიდისთავში გიეტარებინა დაკბაუტების წლები. სწორედ აქ, გურიის ლამაზ და მადლიან მხარეში, მშრომელი ხალხის სიყვარულით გარემოსილმა იგრძნო, გაიაზრა და იწამა სიკეთის ის ადამიანურობა, მშვენიერება და ფასი, ულალეველობა, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა და რამაც განსაზღვრა შემდგომ მთელიანად მისი შემოქმედების თემატიკა და პათოსი.

სტუდენტობის ასაკში, უკვე მოწიფული უმაწვილი, კვლავ დაუბრუნდა კარგა ხნით მიტოვებული თავის მშობლიურ თბილისს. ცხადია, აქ მას ადაპტირება არ დასჭირებია, რადგან იგი „ქალაქელი" ბიჭი იყო და თანაც როგორი ქალაქელი, ვერელი, ანუ ახალგაზრდობისათვის ერთ-ერთი უველაზე პრესტიჟული უბნელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ერთხანს იქვე მუშაობდა ლაბორანტად, შემდეგ ახალდამარსებულ ახალგაზრდელ ეურნალ „ცისკრში" თანამშრომლობდა, იყო კინოსაბუთი „ქართული ფილმის" სასცენარო კოლეგიის წევრი, სატარო ეურნალის „ნიანგის" რედაქტორის მოადგილე, მერე კი მისი მთავარი რედაქტორი, აქედან გადავიდა იგი მწერალთა კავშირში ჯერ მდივნად, მერე კი თავმჯდომარედ.

მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ დუმბაძის ცხოვრება თანდათან და სულ უფრო თითქოს ბედნიერად იეწყო, ყოველ შემთხვევაში, მისი შემოქმედებითი ნარმატებების შემყურე უცხო თვალსაზრისთა ახე ჩანდა, ტრაგიკული განსაცდელი მან და მის ოჯახს მუდმივად სდევდა თან. ბევრი მსხვერპლის გადება მოუხდა, მაგრამ იშვიათად წამოსცდენია ამის გაში ბედის სამდურავი სიტყვა. მხოლოდ ერთხელ, მახსოვს, სულ ახალგაზრდა სიძეე რომ დაეღუპა (ნიკერი, აშკარად დიდი მომავლის მქონე პროზაიკოსი ჰქმელი თოფურიძე) თავისთავს ხმამაღლა ჩკითხა, ნეტა რით ვერ გამოსცადა განგებამ ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი ჭირთათმენა, რომ განსაცდელს განსაცდელზე მატეხსო თავს.

ნოდარ დუმბაძე მზიანი გულით დაიბადა და ვერავითარმა სიდუხჭირემ თუ განსაცდელმა, არამცთუ ვერ ჩაუქრო, ვერც კი გაუნელა მას სითბო და სიყვარული ვერც როგორც პიროვნებას და ვერც როგორც შემოქმედს. ვინ იცის, ეგეც სწორედ ამ სიდუხჭირემ და განსაცდელმა გაუმძაფრა ეს გრძნობები, უფრო გასაგები გახადა მისთვის სიკეთის ფასი?

ერთი ცხადია, რომ მისთვის ყველა და ყველაფერი ერთი უმთავრესი საზომით — სიკეთის ძალით იზომებოდა. ერთხელ, როდესაც სატელევიზიო გადაცემის დროს ინტერვიუერმა ჩაკითხა, როგორ გგონიათ, რა თვისებები უნდა გააჩნდეს ინტელიგენტს, ნოდარმა დაახლოებით ასე უცნაურად უპასუხა: ინტელიგენტი კაცის ნიმუშად ბაბუაჩემი, სოფელში მცხოვრები გლეხკაცი წარმომიდგენიაო. აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ასეთ განსაზღვრებაში წარმატებით შეგვიძლია ვედაოთ ავტორს, არამედ მთავარი ის გახლავთ, რომ ნოდარ დუმბაძისათვის ნებისმიერი პიროვნების, ადამიანთა ჯგუფის, სოციალური ფენის თუ მთელი საზოგადოების რაობის გასარკვევად უპირველესად სწორედაც გულისხმიერების და სიყვარულის უნარი მიიღება მხედველობაში. თავად კი მარილივა იყო განსაცდელებს ბემშარიტი ინტელიგენტისა. მას მუდამ სადად და უბრალოდ ეცვა, საგარეო კოსტუმების ტარებას სამუშაო ტანსაცმელს არჩევდა. იგი გარეგნული ნიშნებით კი არა (მაგალითად ჰალსტუხით), თავისი ცხოვრების წესით იყო სულით ხორცამდე ინტელიგენტი — ზრდილი, თავშეკავებული, განათლებული, ეთიდალგზეფოდნელი, პროფესიონალი, ფართო თვალსაწიერით და ინტერესებით. ზედამწეკნით კარგად იცოდა არა მარტო ქართული, არამედ რუსული და მსოფლიო კლასიკა, თანამედროვე მწერლობა, ბეგრის, ეანსაკუთრებით კი მარკ ტვენის და ჩეხოვის ინამცთუ ყოველი ნაწარმოები, ყოველი ფრაზაც კი ღრმად ჰქონდა მეხსიერებაში ჩაბეჭდილი, იცნობდა მსატვრობას, მუსიკას (თავად მშვენიერად მღეროდა და ხატავდა კიდეც), ისტორიას. ფილოსოფოსან... თუმცა თავისი ცოდნის დემონსტრირებით არასოდეს დაუშვიმეფია ხაკუთარი რობანები და მოთხრობები, რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ნეგიერ მხატვრებსაც კი ემართებათ ხოლმე.

მან ცხოვრებიდანაც და წიგნებიდანაც მხოლოდ სიყვარული მიიღო და იწამა. მიუხედავად ამისა, რომ ბოროტებასაც და უკეთურებასაც მრავალს გადაეკარა, მაინც სიკეთის გაკეთილი იყო მისთვის მთავარი.

ამიტომაც ირჩია საკუთარ შემოქმედებაში მზე მთავარ მეტაფორად, სიმბოლოდ, პერსონაჟადაც კი.

ერთხელ დიდმა ილიამ როგორღაც თქვა, ყველა ცმა ისე უნდა იცხოვრის, ისე უნდა მოიხადოს თავიანი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომ ტრირილი ნაშობი სიმღერით და სიცილით გამოესალმოსო წუთისოფელს. 1984 წლის 14 სეპტემბერს ასე სიცილით და სიმღერით წავიდა ეს მზიანი გულის კაცი იმჭეკეუნად. მის ბოლო ფრაზებსაც არ დაკარგნიათ დუმბაძისეული იუმორი, ხოლო საკვდილის წინ მეგობრებს ეშმაკური ღიმილით მიუუმი, სიცოცხლის ნიშატდაცილილი ხელი გადაუქნია და მათთან ერთად უკანასკნელად იმღერა. სიმღერა მაგნატოფონის ფირზე რომ არ იყოს ჩაწერილი, არამცთუ ხსვებს, იქნებ ამის შემსწრეთაც კი არ გვერწმუნა ეს საოცრება, დავეუკვეშოლეიყავით და საკუთარი ფანტაზიის ნაყოფად მიგვეჩინა.

მზიანი გულის კაცი იყო და მზე მიაცილებდა მას ცხოვრების უკანასკნელ გზაზე. სეკტემბრის თბილისში მზე თითქოს მაინცდამაინც დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს, მაგრამ, ჯერ ერთი, არც ისეა საკმე, რომ ლონდონში მუდამ ნისლი იდგეს, თბილისში კი — დარი, მეორეც კიდევ, მზეც არის და მზეც. იმ დღეს ნოდართან გამოსასალმებლად მოსულ ზღვა ხალხს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ცენტრალური ქუჩებში, ხოლოლაკიდან ვაკემდე, სამგლოვიარო გზაზე ნემსი არ ჩავარდებოდა) თავზე დაჰნათოდა არაჩვეულებრივად კაშკაშა, თანაც არა მხურვალე და შემაწუხებელი, არამედ თბილი და მოალერსე მზე.

ეს მზიანი გულის კაცი მზემ მიაცილა „მზიურამდე". ახე ჰქვია მდინარე ვერეს ხეობის იმ მშვენიერ ს.ბაპშვო, პოინერიულ ქალაქს, რომელიც ნოდარის ინიციატივით გაშენდა და სახელიც მის მიერვე აკვს შერქმეული.

რადაც ღრმად სიმბოლური რამ არის ამაში, რომ სწორედ აქ და ამ სახელწოდების ადგილას, „მზიურში" დაედო სამუდამო ბინა ნოდარ დუმბაძეს.

ყოველი ადამიანის ცხოვრება განუმეორებელია. ცხადია, განუმეორებელია ყოველი მწერლის ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზაც. გამორჩეული იყო ნოდარ დუმბაძის მოსვლაც ქართულ მწერლობაში და შემდეგ კი მთელი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიაც.

სიცოცხლეში უღიარებელ, ან ნაკლებდაფასებულ ბემშარიტ მწერალთა ხვედრი, რისი ტრაგიკული თუ დრამატული მაგალითები წარსულში არცთუ იშვიათი იყო, ახლა, ღვთის მადლით, ალარ შეიძლება გაიზიარონ თანამედროვეებმა. სხვა დროა და სხვანირად ეწყობა შემოქმედის ბედი. მაგრამ მაინც ზოგის სახელის აღიარება უფრო დინჯად, ძნელად, იქნებ დაგვიანებითაც შეიძლება მოხდეს, ნოდარ დუმბაძეს კი ერთბაშად, პირველივე რომანით დაიპყრო მკითხველთა გულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე უკვე საყოველთაოდ აღიარებული მწერალი ვიყავი, როცა მწერალთა კავშირში მიმიღეს — იტყოდა ხოლმე იგი. ამას ბაჭიობით არ ამბობდა. ასეთი იყო მისი მეტყველების მანერა, ისევე როგორც წერისა. ყოველი მისი ფრაზა იუმორით იყო შეფერილი. ამას ადვილად ირწმუნებს ყველა, ვინც ნოდარ დუმბაძის რომანებსა და მოთხრობებს, თუნდაც პუბლიცისტურ და ლიტერატურულ წერილებს იცნობს ან გაეცნობა. ამასთან ერთად, ყოველი მისი ფრაზა მართალიც იყო. იგი მართლაც საოცრად პოპულარული გახდა პირველივე რომანით „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", რომელიც ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე დაიბეჭდა 1959 წელს.

მართლაც ბედნიერი ლიტერატურული დებიუტი შედგა მაშინ, მაგრამ არც ისე უშფოთველი და იოლი, როგორც ეს შორიდანა ჩანს. დღეს შეიძლება ბევრს ალარ ახსოვდეს, ან კიდევ უფრო ბევრმა სულაც არ იცოდეს, რომ ნოდარ დუმბაძის დიდი შემოქმედებითი გზის დასაწყისი საკმაოდ საჭიროებსო და ძნელი იყო. „ცისკრის" ფურცლებზე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", ეს დიდი დრამატიზმით სავსე რომანი; პატარა აწყობილი, ბოლოსნი, იუმორის გაწყაფილებაში დაიბეჭდა, ვითომ ბევრს ნუთა-ფერს მოსთხოვა, სერიოზულად ნუ მიიღეს ბი, გასართობი რამაო.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი ძრვები ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც 50-იანმა წლებმა მოიტანა თან. ამან ძირეული განახლება გამოიწვია ყველა სფეროში, მათ შორის ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ამ სიახლის ნაყოფი თვალსაჩინოა და ძალზე მნიშვნელოვანი მთელ საბჭოთა მწერლობაში. ქართულში კი მას სათავე დაუდეს „ცისკრელებმა" (ასე ეწოდა 1957 წელს დარსებულ ახალგაზრდულ ჟურნალთან შემოკრებილ თაობას, რომლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იმთავითვე იყო ნოდარ დუმბაძე.

მაგრამ ძველის ინერციამ მაშინ ჯერ კიდევ ძლიერი იყო, ამიტომაც შეხვდა ცისკრელთა თაობას დიდი წინააღმდეგობა, ნოდარ დუმბაძის პირველი რომანი კი, მიუხედავად მკითხველთა ერთსულოვანი აღიარებისა, ზოგი იმ მწერლისა და კრიტიკოსის მიერ, ვისაც ძველსა და რბილში ჰკრნდა გამჯდარი პომპეზურობა და მაღალფარფაღოვნება (ხშირად სიყალბეში რომ იზრდებოდა), ქართული რომანის დეგრადირების სიმპტომადაც კი იქნა გამოცხადებული თავისი ვითომდაც არასერიოზულობის გამო. მკითხველმა, ჯანსაღმა აზრმა, მერე კი დრომ ყველაფერი გაარკვია და დაადასტა. დღეს ნოდარ დუმბაძის მხატვრული სამყარო ღრმად არის დამკვიდრებული ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიულ პროცესშიც და მის საერთო საგანძურშიც, უფრო დიდი მასშტაბითაც, ხაზგასმა მრავალეროვნული მწერლობის, ბანაბეშტაბითაც.

ნოდარ დუმბაძე თავის რომანებში ძირითადად ახალგაზრდა კაცის ზნეობრივი ფორმირების პრობლემებს დასტრიალებს თავს, არც თხრობის მანერას ცვლის — ისევე ცრემლიანი იუმორით მოაქვს მკითხველამდე თავისი დიდი და მართალი სათქმელი. ზოგთათვის ამან ერთიერთგვნენის იერი შეიძინა და ყოველ ახალ რომანთან დაკავშირებით ამგვარი „საშიშროების" გამო აქა-იქ გაისმოდა კიდევ კანტა-კუნტი საყვედურები. ამასაც გიგიონენ-ბდეთ, რომ მეტისმეტად ავტობიოგრაფიულია მისი რომანები. ეს მხოლოდ ფაქტობრივად თუა მართალი, არსებითად კი არა.

მწერალთა დიდი ნაწილი თავისი თაობისა და დროის ცხოვრებას აღწერს. არაერთი დიდი ნაწარმოები დაწერილი ავტობიოგრაფიულ მასალაზე, ხაზგასმით ავტობიოგრაფიულზეც. ამისი ნიმუშები იმდენად ბევრია და ადვილად გასახსენებელი, რომ ალარც მოვიტან. მთავარია, რა მხატვრულ განზოგადებას იძენს ეს მასალა. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისადმი საყოველთაო ინტერესმა ძალდაუტანებლად გასცა ამ კითხვას პასუხი.

ისიც მართალია, რომ ნოდარ დუმბაძის რომანები ერთი ციკლის ნაწარმოებებია და სტილიც ერთიანია მათი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ერთფეროვნებას. ეს უფრო სტილის ერთგულებაა, ვიდრე ერთფეროვნება. ასეთი ერთგულების განა ცოტა ნიმუში შემოგვინახა ლიტერატურის ისტორიამ? ან, განა თანამედროვე მსოფლიო მწერლობაში ბევრმა თქვა უარი ამ ერთგულებით განპირობებულ „ერთფეროვნებაზე"? მაშ, ნოდარ დუმბაძისა რად უნდა გაკვირვებოდეს ვინმეს? ეს ხომ მისი საყვარელი, ეს ხომ მისი სტილია. ერთიანი და მეორეც უაღრესად ორიგინალური, ნოდარ დუმბაძისეულია და ბევრი ვერ დაიკვეხნის ასეთი გამორჩეული, ამაღლებული მანერის მიგნებას, ასეთი მნიშვნელოვანი, მრავალსმომქმელი მხატვრული სამყაროს შექმნას.

ნოდარ დუმბაძის რომანებიცა და მოთხრობებიც დიდი სინათლეთ არის სავსე, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მწერალი იდილიურ სამყაროს შეჰყურებს, უბრალოდ ეს მისი სულის ნათელის წყალობაა, მისი რწმენისა და იმედის გამოა, თორემ დიდი მიზეზიც არ სჭირდება იმას, რომ ნოდარ დუმბაძეს უპირატესად ჩვენი ცხოვრების დრამატიზმით დამძიმებული გარემოებები აინტერესებს. ეს ინტერესი ცხოვრების მართლად და ღრმად, განვითარების მთავარი ტენდენციებით წარმოსახვის წადილითაა ნაკარნახევი.

ვი, ავრეთვე იმის რწმენითაც, რომ ამგვარი გარემოებები უკეთ წარმოაჩენენ მაღალი ზნეობის ადამიანებში მოკალაკეობრივი გრძნობებისა და სულიერი სიმტკიცის წრთობას.

წუთისოფელი ტკბობისა და ნებივრობისათვის არ არის მოგონილი, იგი სიკეთის დასაქვეყნებელად გარკვთა და ბრძოლითი გასავლელი გზაა. მხოლოდ ამ გზაზე მოეულელი სვლა ალამაზებს ადამიანს, ამ გზაზე დაძლეული წინააღმდეგობები ამაღლებს მას. ამ განსაწმენდელ გზაზე მიაბიჯებენ ნოდარ დუმბაძის გმირებიც და იუმორი, რომლითაც ავსება და ახე მომხიბლავია ეს სმეყარო, უმიზნო მხიარულებისათვის კი არ არის მოხმობილი, არამედ განცდათა შესამსუბუქებლად.

ამ მიზნით მოიხმეს იგი ადრე სხვებმეც. დიახ, მართალია, რომ დავით კლდიაშვილის ცრემლიანი ღიმილით ჩვენ ტრაგიკულ სამყაროს ვეკრეტო. ეს უებარი საშუალება დაკეთნთანაც უმძიმესი სურათების ხილვით გათენებული მკითხველის სულის მოსათქმელად არის მოშველიებული, ფიროსმანის ტილოებზეც თითქოს კომიკურ პერსონაჟებს და ცხოველებსაც საოცრად სევდიანი, გულისამაჩუყებელი გამომეტყველება აქვთ, სერვანტესსაც ხომ მხოლოდ ამ ღვთაებრივი ნიჭის გამო აქვს შერქმეული დუმბაძის გმირის მიერ „ქვეყნიერების მამა“.

ნოდარ დუმბაძის იუმორს კიდევ სხვა დანიშნულებაც აკეთილშობილებს, იგი ცრემლიანი ღიმილით მარტო თანაგრძნობას კი არ იწვევს, არამედ სიკეთის გამარჯვების ღრმა რწმენასაც გამოხატავს. აქ წარმოსახულ სამყაროში ტრაგიზმის გარდუვალი სოციალური საფუძველი ნაკლებ არსებობს და გმირებს უფრო ზნეობრივი სიმახინჯის გამო დატრიალებულ ღრამატულ სიტუაციებში უხდებათ საკუთარი სულის წრთობაც და სხვათა ვიეკაცური თანაგრძნობა.

ნოდარ დუმბაძის რომანების ახალგაზრდა გმირმა ბევრი გასაგონი და განსაცდელი გამოიარა: ომისდროინდელი უმამაკაცო სოფლის სიმძიმეც დაიწვა ძვალგაუმაგრებელ მხრებზე ტვირთად („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ ზზეს“), ბოროტების ხანმოკლე ზეიმის გამო ომლობის სიმწარეც არ ასცდა („ზზიანი ღამე“), არც ბაბუკობის ხანაში დაკვლა მძიმე სულიერი ტრავმების გადატანა („ნუ გეშინია, დედა!“), უდანაშაულო დამნაშავის ხვედრიც ერგო წილად („თეური ბაირაღები“), მერე სარეცელს მიჯაჭვული ებრძოდა სიკვდილს („მარადისობის კანონი“).

რომანებში მხოლოდ დრო და ადგილი კი არ იცვლება, არამედ, რაც მთავარია, კონფლიქტები და კომპლექსები, რომლებსაც სულ განსხვავებული მწარე განცდები მოაქვთ ადამიანებისათვის და გმირების გაშვლებული სულის ახალ-ახალ ჭრილობებზე მიგვაჭიკვინებენ ყურადღებას.

ამ განსხვავებულ, დამოუკიდებელ რომანებს ზოგი რამ, და ძალიან მნიშვნელოვანი რამ, საერთოც აქვთ. ვთქვათ, იმ გარემოებამ, რომ ყველა რომანი ახალგაზრდებზეა დაწერილი და მათი ბიოგრაფიები პრინციპულად არ გამორიცხავენ ერთმანეთს, შეიძლება გვაფიქრებინოს, თითქოს ეს ერთი გმირის შესახებ შექმნილი ეროცელი ეპოპეის ნაწილებია. ამ შთამბეჭდავმა ისიც ამაგრეს, რომ მარტო თუმცა განსხვავებანიც თავიანთი ხასიათები ერთმანეთისაგან, მაინც ბევრი რამით ჰგვანან კიდეკვე ურთიერთს. რაც მთავარია, სიკეთისადმი გაჯაზრებული და ჭვეცნობიერი ლტოლვით ერთნაირად ნათელდადგენულები არიან. რომანიდან რომანში გადადის დედის სახეც და ასე მომხიბლავია იგი. აქაც მსგავსება თვალსაჩინოა, მაგრამ უმთავრესად ერთი გარემოების წყალობით: დედა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში ყველგან მზიანი ღამის ხატია, ღმერთად ყავთ შერაცხული გმირებს და სიმბოლიკამდე ამაღლებული მონუმენტურობა თითქოს ფიერმრალებს ამ სიმბოლოს მატარებელ სახეებზე ღრმად დაჩნეულ ცოცხალ ზეტრიბებს.

ამას გარდა, ლირიზმის ძლიერი, გამჭოლი ნაკადი ნოდარ დუმბაძის რომანებში კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ავტორის განწყობილებას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი შეუშჩნეველად მონაწილეობს კიდეც მოკმედების განვითარებაში და ერთგვარად ლირიკული გმირის მაგვარ ფუნქციებსაც კისრულობს. ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მისი ყველა რომანი ავტობიოგრაფიულ ნიშნებსაც ატარებს, ნათელი გახდება მათი ერთმანეთთან ორგანული კავშირი.

მწერლის მთელი შემოქმედება ადამიანისა და მზის დიდებული საგალობელია. მისი გმირები სიკეთითა და კეთილშობილებით, სიუკარულითა და თანაგრძნობით, ხალისითა და ცხოვრების წყურვილით, სიამაყითა და თავმდაბლობით, სინძილრითა და ბუნებრივობით არიან სავსენი და ამ მშვენიერი ადამიანების მფარველად და ნუგეშად კაშკაშებს მზე დღისითაც და ღამითაც, როგორც სიმბოლო ამქვეყნიური სინათლისა და სითბოსი.

მწერლის ყოველ რომანს თუ მოთხრობას, რაოდენ მძიმე განცდებსაც უნდა გვაზიარებდეს იგი, მუდამ იმედისა ფენალი აქვს, რადგან ავტორის ღრმა რწმენით ადამიანი, მზე, სიცოცხლე მარადიულია.

ცხოვრების ეს იმედიანი ხილვაა ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ძალა და მშვენიერება. მისი სიყვარულით სავსე გულის ფეთქვა ძლიერად ისმის ყოველი მოთხრობიდან თუ რომანიდან, საოცარი გადამდები თრთოლვით

ავსებს მათ და ადამიანებს ტკივილთა დაძლევისაკენ, თანაგრძნობისა და თანადგომობისაკენ მოუწოდებს. მწერლისათვის სიცოცხლე მოელი მისი ავ-კარგით დიდებულია, აღტაცების ღირსია და ამ ბედნიერი განცდის თანაზიარს გვხდის ჩვენც, მის მკითხველებს.

ეს ყველაფერი მართალია და მაინც, მიუხედავად ამ საერთო ნიშნებისა თუ თვისებებისა, შესამჩნევი მსგავსებისა, ნოდარ დუმბაძის ყოველი რომანი სრულიად დამოუკიდებელი მხატვრული ორგანიზმია, რომელსაც თავისი განუმეორებელი სიცოცხლით ცხოვრება უწერია, რომელსაც მხოლოდ მისი საკუთარი ტკივილები და სიხარული გაჩენია.

ძნელია იმის თქმა, ნოდარ დუმბაძის რომელი რომანი უფროა დამძიმებული დრამატიზმით. თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ძალით შეეცადებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, თუ მათში წარმოსახული ბოროტისა და კეთილის ბრძოლის მასშტაბებით გავზომავთ, ცხადია, სამამული ომის ფრონტზელი ცხოვრებაზე დაწერილი რომანები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“ გადასწონიან სხვებს, თუმცა მძიმე განცდები არც სხვა, მომდევნო რომანების მგრძნებს დაკლო ავტორმა, დაკლო კი არა, ეგონებ მათ უფრო მეტადაც კი დაატეხა თავს ტრაგიკული თუ დრამატული განსაცდელი, რაკილა უფრო გვიანდელი რომანების მოწიფულ და დავაკაცებულ გმირებს მეტად აქვთ განცნობიერებული ამ განსაცდელის წარმიშობის მიზეზები.

მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც ათეული მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ყველაზე დიდ და ტრაგიკულ მოვლენად რჩება კაცობრობის ისტორიაში. მართალია კეთილმა სძლია ბოროტს, ნათელმა გაიმარჯვა ბნელზე, საბჭოთა პატრიოტიზმის უძლეველობაც ყველასათვის აშკარა გახდა, მაგრამ ათეული მილიონობით უდანაშაულო ადამიანის წმინდა მსხვერპლი და გადაბუგული-დანგრეული სამყარო დღესაც მაინც ტრაგიკულად განგაშდევნიებს იმ წლებს.

სწორედ ამ დიდი სამამული ომის წლებში იზრდებიან და ვაყაცდებიან ნოდარ დუმბაძის პირველი რომანების „მე, ბებია ილიკო, და ილარიონის“ და „მე ვხედავ მზეს“ გმირები ზურიკელი ვაშალოლიდ და სოსოია მამალაძე, სწორედ ამ ომით არის დაღდასმული მათი ბავშვობის ხანა და მათ სულში ღრმად დამჩნეული ეს ტკივილიანი დაღი ცხოვრების მთელ მანძილზე გამყვებთან. თუმცა ტკივილიან დაღთან ერთად გამყვებათ ის საოცარი ადამიანური სიყვარულის, თანაგრძნობის გაკეთილშობილებიც, რომელთა ასეთი ძალით და მშვენებით გამფლანგველნი ალბათ მხოლოდ საერთო-სახალხო განსაცდელის ჟამს თუ შეიძლება.

ერთი პატარა ქართული სოფლის ომამდროინდელი ცხოვრებაა ორ რომანში წარმოსახული, სოფლისა, რომელსაც ან ბებიები სწვდომია ქვეშეგნების გრიალი და არ უნანავს საკუთარი თვალით არც საბჭოთა მეომრების დაღვრილი წმინდა სისხლი და არც მომხდურთა გვამები, მაგრამ მწერალმა ომის მთელი საშინელებაცა და საბჭოთა ხალხის უმაგალითო პატრიოტიზმიც დიდი შთამბეჭდაობით გაგვიხსნა, გვაგრძნობინა, გაგვაცდევინა. ერთი შეხედვით არაფერს განსაკუთრებულს არ აკეთებენ ამ რომანის გმირები თუ პერსონაჟები, მაგრამ მათი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება საშინელოსადმი, თავდადებისათვის შინაგანი მზადყოფნა ნათელია მკითხველისათვის.

ამის სარწმუნოდ თუნდაც ის ერთი ეპიზოდიც იკმარებს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“, როცა სოფელი ფრონტელთათვის საჩუქრების გაჩაჩაზვნად აფუსფუსდება. არადა, არა ერთი და ორი ეპიზოდია ამ რომანში ასეთი უშუალობითა და დამჯერებლობით სავსე, სადაც სოფლის ერთსულოვნება, ჭირთათმენა, უდრეკი ნებისყოფა მთელი ძალითა ჩანს. მართლაც, განუმეორებელი არის ამ რომანის გმირები. მათი ლაპარაკის, აზროვნების, ქცევის მანერა იმდენად ინდივიდუალურია, რომ ათას სხვაში შეუმჩდარად გამოირჩევიან, მაგრამ, ამასთანავე ერთად, ისინი საბჭოთა ადამიანის უალრესად ტიპიურ სახეებს განეკუთვნებიან და ამაშია მათი მოსიხიბლაობაც და მხატვრულ-შემეცნებითი მნიშვნელობაც. არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს მეორე იმგვარი ბებია, როგორიც ზურიკელას ჰყავს, თუმცა ერთდროულად იგი საერთოდ ბებიის კლასიკური სახეა. ეს რომანიდანაც შეუმჩდარად იკითხება და სესხილია თაყაიშვილის მიერ ეკრანზე ამავე სახელწოდების ფილმში განსახიერებული კიდევ უფრო დამარწმუნებელი ხდება. იგივე თქმის ზურიკელას მოხუც მეგობრებზე ილიკოსა და ილარიონზე, ამ თითქმს დაჩაჩანაკებულ ბერიკაცებზე, რომელთა სულიერი სიმხნეცე და ადამიანებისადმი სიყვარული, სიკეთის თესვის ბუნებრივი წადილი სწორედაც ძლიერ პიროვნებებად წარმოგვიდგებს მათ. რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მთავარი საოქმელი სწორედ ის გახლავთ, რომ ადამიანებს ერთმანეთისათვის ზრუნვა, სხვათა თანაგრძნობა, მოყვასის ჭირისა და ლხინის გაზიარება, ირგვლივ სიკეთისა და სიყვარულის თესვა ალამაზებს, და არა მარტო ალამაზებს, აყალიბებს კიდეც ჭეშმარიტ მოქალქეებად. და ეს თითქოს უბრალო, მაგრამ დიდი და სერიოზული საოქმელი რომაშრი საოცარი იუმორითაა გახსნილი, იმ დუმბაძისეული იუმორით, რომლის სხვათა სიტყვით გადმოცემა შეუძლე-

ბელია, მხოლოდ ავტორის თხრობით უნდა შეიგრძნოს მკითხველმა.

მძაფრი დრამატიზმით არის დამუხტული ნოდარ დუმბაძის მეორე რომანი „ზე ვხედავ მზეს", სადაც დიდი სამამულო ომის ხანის განსაცდელი და გასაჭირი კიდევ უფრო ხელშესახებად, მეტი სიმძიმით შემოდის ნაწარმოებში. ეს საოჯახელოო სახალხო უბედურება, რაც თანა ხდებდა ჩვენი ქვეყნის ხამკვდრო-ხასიცოცხლო ბრძოლას გერმანელ ფაშიზმთან და ის ერთსულოვანი გმირული შემართება, სამჭოთა პატრიოტიზმის ყოველის-მძლეობა, რაც ყველაზე ნათლად სწორედ იმ წლებში გამოვლინდა, მთელი მხატვრული ძალით და დამარწმუნებლობით არის გახსნილი ამ რომანში. და აქაც თხრობა ლირიული იუმორით არის გამთბარი, ის იუმორი, რომელიც გვგაცრცნობენებს, რომ ხალხს იმ საბედისწერო ჟამსაც, თვით უმძიმეს ვითარებებშიც კი არ დაუკარგავს სიცოცხლის წყურვილი და იმედი, ბრძოლის ენი და რწმენა საკუთარ სიმართლეშიც და მის გამარჯვებაშიც.

რომანში „ზე ვხედავ მზეს" მარტო ხატია. ეს უსინათლო გოგონა კი არ ბნედავს მზეს, რაც მისი განკურნების იმედს გვინერგავს, არამედ ყველა, მთელი მოსახლეობა სოფლისა, მათი სახით კი მთელი საბჭოთა ხალხი ხედავს მზეს, როგორც გადარჩენის, გამარჯვების, სიცოცხლისა და სიკეთის, ზეიმის, რწმენის სიმბოლოს.

ნოდარ დუმბაძის რომანებში საერთოდაც და კერძოდ „მზიან დამეზიც" დროცა და გარემოც ლოკალიზებულია, მაგრამ ეს ავტორს არ უშლის ხელს ფართოდ და მძაფრად დაიყენოს მკითხველის წინაშე თანამედროვე ცხოვრების პრობლემები. ეს რომანები, რაგინდ განსხვავებულნიც არ უნდა იყვნენ, შეიძლება ითქვას, ერთი დიდი პრობლემის, თანამედროვე ახალგაზრდობის ზნეობრივ-მოქალაქეობრივი სახის გარკვევას ისახავენ მიზნად. აქ ყურადღების ცენტრში ჩვენი დროის ახალგაზრდები არიან და მათი საზოგადოებრივი ყოფის, შინაგანი განცდების, ეჭვების, იმედების, ცხოვრებასთან დამოკიდებულების, კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების გრძნობის და ამ გრძნობების ახსნის შესახებ გვესაუბრება მწერალი. ავტორი არ ერიდება ცოცხრების მძაფრ ხედვას, გულწრფელად და უშუალოდ გვიმეცნს საკუთარ დაკვირვებებს, რომლებიც ხან ხალისიანია და მხიარული, ხანაც მძიმე და ტკივილიანი. მაგრამ ყველა შემთხვევაში ჩანს მწერლის უკომპრომისო დამოკიდებულება ცხოვრებასთან და ის მაღალი პოზიცია, საიდანაც აკვირდება და აფასებს იმ ახალგაზრდობას, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე მოდის და მკვიდრდება.

„მზიანი დამე" მწერალის მისთვის ორიგინალი ხერხითა აქვს აგებული. ამ რომანშიც ავტორი ცრემლიანი სიცილით მოგვითხრობს თავის ახალგაზრდა გმირის თეიმურაზ ბარამიძის ღრმა დრამატული განცდებით სავსე ცხოვრებაზე და ეს ლაღი, თბილი იუმორი აქაც მკითხველის მძიმე ემოციებს შესანსაზუბუქებლად არის მოსმობილი. თეიმურაზ ბარამიძეს, ისევე როგორც დუმბაძის სხვა ახალგაზრდა გმირებს, ცხოვრების დასაწყისშივე ერთი ადამიანისათვის სამყოფზე ბევრად მეტი განსაცდელი გადადგენია თავს და თუ მაინც გაუძლია, ეს იმიტომ, რომ მასაც სწამს ამ ქვეყანაზე სიკეთისა და სინათლის უძლეველობა.

თეიმურაზი უდედმამოდ, მარტოდმარტო იზრდება რვა წლიდან და მხლოდ სიკეთისა და სიყვარულისაკენ სწრაფვამ აიცდინა ყველა იმ განსაცდელს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ელოდა. ამ სულიერი სიმტკიცის, რწმენის გამოცდა, რომ მას თავისი ცხოვრების მძიმე გზაზე არასოდეს დაუკარგავს ხალისი და იუმორის გრძნობა. ამის ნათელსაყოფად ფრიად საგულისხმოა თეიმურაზისა და დურსუნის დიალოგი. თუმცა იგი დურსუნზე გაცილებით ახალგაზრდაა, მაინც მასზე ბევრად მეტი განსაცდელი აქვს გადადანილი. მან, მოზრდმა გაუძლო ამ განსაცდელს, დურსუნი კი, ზღვაში გაზრდილი და დავიჟკაცებული, ფიზიკურად ძლიერი კაცი მხოლოდ ერთმაც გასტეხა, დაანარცისა. ეს იმიტომ, რომ მას არა სწამს არაფერი აქვეყნად, არც მეგობრობა, არც სიყვარული, არც სიკეთე, არც სიმართლე. ეს იმიტომ, რომ მარტოა და ადამიანის რწმენა დაკარგვია.

თეიმურაზთან ერთად ჩვენც შეძრწუნებულნი ვართ ამ ცხოვრებისაგან გათელილი კაცის, დურსუნის ბედით. ამას მოსდევს თეიმურაზისა და მისი მეგობრის გურამის დიალოგი ზღვის პირას, სადაც ახალგაზრდები თითქოს აგდებულად, იუმორით საუბრობენ ადამიანთათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგრამ იგრძნობა, რომ ეს გარეგნულად ზერელე ფორმა საუბრისა მხოლოდ ნიღაბია ვიეკაცური და მოკალაქეობრივი გრძნობების შეფარულად გამხელისა. ასეთი ლაღი საუბარი მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან საკითხებზე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ამ ახალგაზრდებისათვის არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს ის უმზეო ღამე, რომელიც დურსუნისათვის დამდგარა.

და ასეა სულ „მზიან ღამეში", სხვა რომანებშიც, ყოველ მსუბუქ, იუმორით სავსე ეპიზოდს, როდესაც მკითხველს ყველა დარდი ავიწყდება და ამ მხიარული გმირების შე-

მყარე თვითონაც გულით იცინის, ერთბაშად მოსდევს უალრესად მძაფრი დრამატიზმით დამძიმებული, ზოგჯერ ტრაგიკულამდე ასული თხრობა. მწერალი, როგორც კი დაატყობს, რომ მკითხველს თვალები ახლა მწარე ცრემლით ევსება, ცალის ვითარებას და კვლავ იუმორით აზავებს მოზღვავებულ განცდებს. მერე ისევ დატრიალდება მხიარული, მაგალითად ინვირული სიტუაციებისა თუ დიალოგების ფეიერვერკი და გამოცდილი მკითხველი მაშინვე მიხვდება, რომ მწერალი კვლავ რაღაც მძიმე განცდისთვის გვაშზადებს.

„ზმნაში ღამე“ უნიფერსიტეტის ზამთრის სესიებით იწყება და ვისაც სტუდენტობა გამოუცდია, შეუძლებელია ამ ცოცხლად დაწერილმა ეპიზოდებმა ცოტა ხნით მაინც არ დაავიწყოს ყველაფერი და კვლავ არ დაბრუნოს იმ გარემოში, იმ ატმოსფეროებში, სადაც ამდენი ღელვა, სიხარული, სიმწარე თუ მხიარულება განუცდია. და აი, მკითხველი, რომელსაც ჯერ კიდევ უბრწყინავს თვალზე გულამოსკვლარი სიცილის ცრემლი და ისე მიყვება თეიმურაზ ბარამიძეს ვამოცდებიდან სახლში, უეცრად მოულოდნელ სცენას გადაეყრება: თემოს შორეთიდან დაბრუნებული თორმეტი წლის უნახავი დედა დახვდება სახლში. აქ უკვე დრამატული ეპიზოდების ისეთ საოცარ ოსტატად წარმოგვიდგება ნოდარ დუმბაძე, ვერცკი ოფიერებთ, რომ ეს ორივე ეპიზოდი ერთი და იმავე მწერლის კალამს ეკუთვნის. რომაზმი ასე მისდევს ეპიზოდი ეპიზოდს, ასე ენაცვლება ერთმანეთს ლოდიავით მძიმე განცდები და მსუბუქი, უდარდელი, ახალგაზრდული სიხალისე და იუმორი.

ამ რომანში ყველაზე ნათელი და თბილი, ამასთან დრამატულად დაძაბული და ამაღლებული მაინც ის სიუჟეტური ხაზია, რომელშიც თემოს რთული ურთიერთობა ახსნილია დედასთან. მწერალმა არა მარტო მოწამე გაგვხადა ამ დიდი დედა-შვილური სიყვარულისა, არამედ ღრმადაც განგვაცდევინა და ღვთაებრივად გამოაცხადა იგი, უფრო მეტიც, მმირის ლირიულ აღსარებებში ამ „ახალი რელიგიის“ საგალობლები შექმნა.

მოუხდავად ყველაფრისა, თავს დამტყდარი და გადაპარული ოთახვგარი განსაცდელისა, თემოს გული მაინც მხოლოდ სიყვარულთა და სიკეთით არის სავსე. ამიტომაც ეპატეტები რომანის ფინალში თავისი დაბადების დღეს ყველას და ყველაფერს, თბილისს მისი ქუჩებით, მეგობრებს, უსნობს და ნაცნობს. თემოს სხვა არაფერი უნდა, ოღონდაც მისმა გულმა სიყვარული იცოდეს. მაგრამ საკმარისია კი ეს? სიტყვიერი?!

„— ან დავიწყეს. დედა, ყველაფერი, ან მითხარი რა ვქნა...

— მაგის დავიწყება არ შეიძლება“.

აი ორი კონცეფცია, ორი დამოკიდებულება ბოროტისადმი ამ რომაზშიც და თავად ცხოვრებაშიც. რომელია მართალი?

დედა და შვილი ამ საკითხში ვერ ეთანხმებიან და თუმცა უფრო ჰუმანური ჩანს შვილის პოზიცია, ეს მაინც მოჩვენებითი ჰუმანურობაა — იმ შემთხვევაშიც კი, როცა თემოსთანა გულწრფელი კაცის მიერ არის გაცხადებული. დედა მართალია, კაცს სიკეთეც უნდა ახსოვდეს და ბოროტებაც. მითუმეტეს იმის დავიწყება, რაც თემოსა და მის ოჯახს გადახდა, მართლაც არ შეიძლება. მაგრამ თემო მაინც იეიწყებს და მკაცრადაც ისჯება. ის მაინც ენდობა ამ კაცს, ვინც ერთხელ უკვე დაღუპა მისი ოჯახი და ახლაც იწვნევს გამეიდველის ვერაგობას, რადგან ბოროტი ბოლოდან ერთგულია თავისი ბუნების და პოზიციის. მართალი იყო დედა, არ შეიძლებოდა დავიწყება და მაინც დავიწყა, იმავ ბოროტისაგან მეორედ იწვნია დალატი და ესეც დაივიწყა, ესეც მიუტევა. სწორედ თემომ უპატრონა მარტოსულ ბოროტ მეზობელს, როცა კიბეზე წაქცეულს წაეწყდა, და როდესაც ღამეს უთევდა მას, ჯერ სიძულვილისაგან დაიცალა, მერე შეეცოდა, ბოლოს ტირილიც კი მოუწდა და აიკსო ყელამდე სიბრალულით ამ კაცის მიმართ. და მაინც დედა მართალი, რადგან ლმერთს მეხსიერება ამიტომ მოუცია ადამიანისათვის, რომ მას ყველაფერი ახსოვდეს, კეთილიც და ბოროტიც. მაშინ მეტი სიკეთე იქნება ქვეყანაზე. მაშასადამე, მეტად ჰუმანურიც იქნება ეს ქვეყანა.

ბევრი რამ ანათესავებს „ზმნაშ ღამეს“ ნოდარ დუმბაძის წინა და მომდევნო რომანებთან, უპირველესად კი მზის სიმბოლო. მზე სინათლის, სიკეთის, სიყვარულის, სიერთიდან ყოველივე სიწმინდისა და ამაღლებულის ის უმთავრესი და უფალმზესი სიმბოლოა, რომელიც ნაწარმოებიდან ნაწარმოებში გადადის. და რაკილა მწერალს მზე ასეთი დიდი და კეთილშობილი ვრძნობების სიმბოლოდ გაუხდია, ამიტომაც არის, რომ იგი მისთვის ხდ მისი ბრძნებისათვის ღამითაც კი ანათებს.

და როცა მზისადმი თეიმურაზისა და მისი კეთილი მეგობრების ეს დიდი სიყვარული, თაყვანისცემა ჩვენთვის ნათელია, აღარ გვიჩვენება ხელოვნურ პოზად და მათი ვრძნობების უშუალო გამოხატულებად ვიღებთ იმ სცენას, როდესაც ზღვაში ჩამავალი მზის მოცემიდან ბილიეზე ჰორტენზიას დადგენენ.

„მზეს უკვიდი მივართვეთ“.

„ნუ გეშინია, დედა“ ერთგვარად აგრძელებს „ზმნაშ ღამეში“ დაწყებული თხრობას დუმბაძის ახალგაზრდა გმირის თავგადასავალზე. ისევ ის თბილისური სტუდენტური გარემო, ახალგაზრდობის ცხოვრება, გარჯა, დროსტარება, კამათი მნიშვნელოვან თუ სულაც უმნიშვნელო საკითხებზე, ფუქსავატობა, ყველაფერი

რაც კი ამ ასაკს ახასიათებს, ამ რომანში კიდევ ერთხელ გადაიშლება მკითხველის თვალწინ. ოღონდ ამას აქ ემატება ახალგაზრდობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა — სამხედრო სამსახური. რომანის გმირი ავთო ჯაველი ამ საყოველთაო ვალდებულებას მესაზღვრეებთან იხდის, იხდის იმავ პასუხისმგებლობითა და ხალისით, რაც სხვა დროს და სხვა ვითარებაში არაერთხელ გაუმჟღავნებიათ ზურიაელი ვაშლიმიძეს, სოსია მამალაძეს და თემი ბარამიძეს მწერლის აქამდელ უკვე ნაცნობ სხვა რომანებში.

ნოდარ დუმბაძე, მიუხედავად იმისა, რომ დაუშრეტელია მისი ფანტაზია. მხოლოდ იმაზე წერს, რაც საკუთარი თვალით უნახავს, რაც თავად მას განუცდია, აკი ვთქვით კიდეც, რომ მისი შემოქმედება ბეგრწილად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. როცა მის ახალგაზრდა გმირს სამხედრო სამსახურმა მოუწია და ამისი თხრობის დრო დადგა, მწერალმა ითხოვა და საგანგებო ნებართვით იმსახურა მესაზღვრეთა ნაწილში, რომ ზედმიწევნით, სცოდნოდა ჯარისკაცთა საქმიანობა და ყოფა, ჩასწვდომოდა მათ ფსიქიკას და სულს. კიდევ ამიტომ გამოუვიდა ასეთი მართალი, ცოცხალი, საინტერესო ნაწარმოები,

ახალგაზრდა გმირი მჭერვალი ნებისმიერი ნაწარმოებისა თავისი უშუალობით, სიწრფელით, ზნეობრივი სისპეტაკით, კაცთმოყვარეობით, გულუბრყვილოობით და ხალისიანობით ერთბაშად ხიბლავს მკითხველს, მისი კეთილშობილური ბუნება მრავალსახოვნად იხსნება ჩვენს თვალწინ. ერთ-ერთი მთავარი ღირსება, რაც მას გააჩნია ის გახლავთ, რომ მისი გული თანაბრად ღიაა ყველა კეთილი კაცისათვის, ვინც არ უნდა იყოს იგი, რა პროფესიისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისაც, რა ასაკისაც და ეროვნებისაც. ამიტომაც მეგობრობენ ნოდარ დუმბაძის ახალგაზრდა გმირები ხანდაზმულ ღამის დარაჯებთან, მწყემსებთან, ხელოსნებთან, ნებისმიერი ეროვნების ხალხთან, ყველასთან, ვინც თავისი სულით არის დიდი და მდიდარი. ასეთია ავთო ჯაველი რომანში „ნუ გეშინია, დედა". მას ოდნავადაც არ აქვს მოდაუნებული ეროვნული გრძნობა, არამცუ თავისი ქვეყნის თანამემამულეები უუკარის თავდადებულებით, საზღვარის გადაღმა მცხოვრებ ქართველებსაც გულაჩუყებული შეჰყურებს და თანაუგრძნობს. მაგრამ ეს გრძნობა ეროვნულ შეზღუდულობაში და ამპარტავნობაში კი არ იზრდება, პირიქით ხელს უწყობს, უფრო უღვიძებს ინტერნაციონალურ სულს. ავთო ჯაველის მეგობრობა მესაზღვრე ზჩერბინასთან ამის საუკეთესო ნიმუშია. მათი ურთიერთობა საბჭოთა ახალგაზრდობის მდიდარი ბუნების და ინტერნაციონალური სულის ბრწყინვალე მხატვრული გამოხატულებაა არა მარტო ნოდარ დუმბაძის შემოქმედების მასშტაბით, საერთოდაც მრავალეროვან საბჭოთა მწერლობაშიც.

რომანი „თეთრი ბაირაღები" გამორჩეულია ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში. თუმცა მწერლის არც ერთ რომანს თუ მოთხრობას არ აკლია დრამატიზმი, მაინც, „თეთრი ბაირაღები" განსაკუთრებით მწვავე ნაწარმოების შთაბეჭდილებას ამდენს, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით მაინც. პიროვნების ბედი, უდანაშაულო დამნაშავის ბედი, რაც ამ რომანის მთავარ პრობლემას წარმოადგენს, საოცრად მუტაგის მას. ზაზა ნაკაშიძის არამცთუ მკვლელობაში უცოდველობა, საერთოდ მისი სისპეტაკე თავიდანვე ნათელია მკითხველისათვის, მაგრამ შემლებს თუ არა იგი სიმართლის პოვნას, ასცდება თუ არა მას მსხვერპლად გამეტებული ზვარაკის ხვედრი, ამ საკითხის გაურკვევლობა დაძაბულად გვაკითხებს რომანს.

ზაზა ნაკაშიძე საპატიმროში ზის და განაჩენს ელოდება. საკანში ათნი არიან და თითოეული მათგანი მძიმე დანაშაულის ჩამდენია: კაცისმკვლელია, მეკრთამეი, გამფლანგველი, მრუშია, ქურდია. ისინი ელიან განაჩენს, მაგრამ ზაზას მოლოდინი სხვაა. სხვებისთვის განაჩენი დამსაჯრტელულ საზღაურს გულისხმობს, ზაზასათვის — სიმართლის ან უსამართლოების ზეიმს.

მწერლისათვის ლიმონაც, ტიგრანაც, შოშიაც, ისიდორეც და სხვებიც, ყველა ვინც ზაზასთან ერთად ზის ციხეში, პირველ რიგში დამნაშავეები არიან და იგი კიდევ ხდის მათ ნიღაბს, ბოლომდე გვიხსნის მათი დანაშაულის მეტ-ნაკლებ სიმძიმესაც, ხასიათსაც და მოტივსაც. მაგრამ ამას გარდა, და რაც მთავარია, ისინი მწერლის თვალში ადამიანებიც არიან, თავიანთი ბედით და უბედობით, ხასიათით და განცდებით, ტკივილებითა და სიხარულით, ხურვილებითა და ოცნებით, მას უპირატესად ამ დამნაშავეთა სულის სიღრმეში ჩახედვა სურს, რომ უფრო მეტი დანიშნოს, ვიდრე ამის მთა დანაშაული გვეუბნება. და ამ დროს ისეთ ბოროტმოქმედთა სულის კუნჭულშიც კი, როგორც ლიმონა და ტიგრანაა, იგი საოცარ ადამიანურ გულჩვილობას ამჩნევს. ლიმონას ადრეც ჰქონდა შემთხვევები, როცა ამის გამო ქურდობასა და ძარცვაზე ხელს იღებდა, ტიგრანა კი აქ, ციხეში მიხდა ამ ადამიანური გრძნობის არსებობას, როცა სხვისი უბედურების გარკვევისას მისთვის სრულიად ახალ, თანამგრძნობის როლში აღმოჩნდა. სხვათა საქეიფოს განსჯამ მას ადამიანური თვალით დაანახა ბევრი რამ.

ნოდარ დუმბაძე ამ არცთუ დიდი მოცულობის რომანში თანამედროვე ცხოვრების უამრავ საჭირბოროტო საკითხს სვამს და მი-

სი მოკალეიდოსრივი სითამამე, მართალი და მწარე სიტყვა მწერლის მოვალეობის ღირსი შეგნებით აისნება. მაგრამ ეს მაინც არ არის ნოდარ დუმბაძის შემოქმედების, კერძოდ, ამ რომანის მთავარი პათოსი. მწერალი ყველგან და ყველაში მხოლოდ სიკეთეს ეძებს, აქაც, საზოგადოების ყველაზე ხაშში წევრების სულშიც კი იგი ადამიანურ გრძნობებს ქექავს და ამჩნევს. ეს არის მისი მწერლური მრწამსი. ეს არის მისი სიკეთის თესვის მეთოდი. ამ გზით უნდა მიალწიოს თავის სოციალურ საწადელს — სიკეთის საბოლოო ზეიმს.

რომანის ფინალში ზაზა საპატიმროდან გათავისუფლების პირველსავე ღამეს სიზმრად ახეთნირად ხედავს ამ ზეიმს: ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი, ვეებერთელა და უსაპტკეცენი ბაირაღი ფრიალებს, | როგორც სიკეთის, სათნოების და სიყვარულის სიმბოლო.

ამ რწმენით სავსე ფინალს ახსნა არა სჭირდება, მისი სიმბოლიკა აშკარა და გამჭვირვალეა. მე მხოლოდ ერთ გარემოებაზე გავამახვილებ უურადღებას. მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ამ რომანში მწერალმა უდალატა სიკეთის, სათნოების და სიყვარულის მისეულ სიმბოლოს და ახლა ასეთად თეთრი ბაირაღი ირჩია. ამგვარი დასკვნა სწორი არ იქნება, არავითარ ღალატს ადგილი არ აქვს.

ამ ოცნების სამეფოში, ჯოჭოლუნგამაზე, საიდანაც მოეფინება ქვეყნიერებას თეთრი ბაირაღი, რომანის გმირი მზეს მიაყავს.

დიახ, ზაზა ნაკაშიძეს საყოველთაო სიკეთისა და სიყვარულის გზაზე სწორედ მზე მიუძღვება.

თითქოს აღარაფერი უნდა გაგვკვირვებოდეს ნოდარ დუმბაძისაგან, მაგრამ მისმა, სამწუხაროდ, ბოლო რომანმა „მარადისობის კანონმა" მაინც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს რომანი, ერთის მხრივ ორგანულად უკავშირდება მწერლის შემოქმედების საერთო სულსა და მიზანდასახულებას, აქაც აშკარად ჩანს ავტორის სტილის საერთო და განმასაზღვრელი ნიშნები, მაგრამ „მარადისობის კანონი" მაინც ერთგვარად განსხვავებულიცაა თავისი მხატვრული ქსოვილითაც და, რაც მთავარია, კონცეპტუალურადაც წინა რომანებისაგან. ეს შეიძლება ამიტომაც მოხდა, რომ ამ გმირის ცხოვრების არა მარტო სინტეტერესო, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი სულიერ ავკუნ გამოვლილი და იგი ჭაბუკობას კარგა ხნით არის დაცილებული.

და მაინც, თავისი მთლიანი სულისკვეთებითაც და მხატვრული სისტემითაც რომანი „მარადისობის კანონი" ნოდარ დუმბაძის შემოქმედებითი ჯაჭვის ერთ-ერთი ორგანული რგოლია, რომლის გამოცალეკევება შეუძლებელია, აქაც მეტნაკლებ ანთებული გულის ბანძარი ყოველ ხახიათში, ყოველ ფრაზაშიც კი გიზგიზებს. ამიტომაც არის ასე გადამდები.

„დიახ... თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ..." — ეტყვის პროფესორი ბაჩანა რამიშვილს.

სიკეთის ერთგულება ბოროტებისადმი შეურიგებლობას გულისხმობს. დიახ, ბოროტების მოთმენა, მშვიდად ცქერა (ბის ჩაღეანზე რომ ალარაფერი ვთქვათ) მხოლოდ ხელოვნური გულის პატრონთა თუ შეუძლიათ, სიყვარულით სავსე ადამიანური გულისათვის ამის ატანა შეუძლებელია, მიმაკვლინებელია. ამის საარსებონო ენაზოდაც მრავლადაა რომანში. აი ერთი მთავგანი:

რედაქციის ერთ-ერთ მუშაკს ქრთამის აღების დროს წაეხწრებენენ, თანამშრომელთა დამოკიდებულება ამ უკეტანისადმი განსხვავებულია. რედაქტორის მოადგილემ, თავად ფრიად საეჭვო პიროვნებამ, ყველაზე მეტად გამოიდო თავი. არა, მას გული არ სტკენია. იფიქრა, პასუხისმგებლობას ხომ ავიცილებ და იქნებ დავწინაურდე კიდეცო. ამიტომ რედაქტორს შეუტია. ბაჩანა რამიშვილს კი თავის რედაქტორობა არც ახსოვდა ამ დროს, თანამშრომლისა და მეგობრის საკოდაოზით, მისი სიოცხლეზეთ იწვოდა. მისი ცხოველი სიყვარულით სავსე გული ვერ შეურიგდა ვერც ამ პროფაცირებულ დანაშაულს და ვერც მოადგილის უტიფარ გულმოწოდებას.

„...ტკივილი მარჯვენა მხრიდან დაეწყო უცებ გულის ფიცრისაკენ დაიძრა და მარცხენა ძუძუს ქვეშ გაჩერდა. მერე თითქოს ვიღაცამ ჩეერდი გადაუსწინო, შიგ დაკოტრი ფი ხელი ჩაუყო და გული ყურძნის მტევანივით დაუწერა. წურავდა ნელა, დიდი მოსდოდა მენთ: ერთი და ორი, ორი და სამი, სამი და ოთხი... ბოლოს ისე მოუკრა ხელი, ისე დაწურა, სისხლის ნაკაბილიც ალარ დაუტოვა შიგ და ასე გამომშრალი და დაკუსტებული მიაგდო სადღაც კუთხეში, გული გაჩერდა. არა, კი რა გაჩერდა, ჯერ ფაწურის მინაზე შემსკდარ ბელურასავით ჩავარდა ქვევით, ოფლთხიალდა, გაიბრძოლა და შემდეგ გაჩერდა..."

საავადმყოფოში ხანგრძლივი წოლის დროს, ჯერ იქაც, მაგა ოირამთან, ბულიკასთან და სხვებთან ურთიერთობით, მერე კი, რაც მთავარია, საკუთარი ცხოვრების გამოცდილების გახსენებით და გაანალიზებით, ბაჩანა რამიშვილმა მარადისობის კანონს მიაგნო, რაც ასე ჩამოუყალიბა მკურნალს:

გურამ გვერდწითელი
მზიანი გული

„ — ამ კანონის აზრი ისაში მდგომარეობს, პატივცემული პროფესორო, რომ... ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ ვიდრე ცოცხალი ვარო, ერთმანეთის ხელი უნდა შეეშველოთ და ვეცადოთ როგორმე უკადავყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ ამ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე...“

ბაჩანა რამიშვილმა ახლა მხოლოდ გაიცინაბერა ეს კანონი, თორემ ისიც და ნოდარ დუმბაძის სხვა რომანების გმირებიც ადრეც სწორედ ამ უშეესანიშნავეს მცნების ერთგული მიმდევრები იყვნენ. მოყვასის სიყვარული, თანადგომა, სხვათა სიხარულის და ტკივილის გათვალისწინება საერთოდ ნოდარ დუმბაძის გმირებისათვის და კერძოდ ბაჩანასათვისაც ჩვეულებრივი რამ არის, ნორმაა, მათი სულის მოთხოვნილებაა. ამიტომაც არიან ისინი ერთდროულად ახე ხელშესახებად ცოცხლებიც და ნათელდადგმულნიც.

„მარადისობის კანონი“ მისი გმირის ამ ზნეობრივი მრწამსის გამო, ნაწარმოების დიდი და ცხოველი ჰუმანისტური პათოსის წყალობით ერთბაშად იქცა მთელი მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის კუთვნილებად, უმალ გახმაურდა და ცნობილი გახდა ჩვენშიც და ჩვენი ქვეყნის გარეთაც, გამოქვეყნებისთანავე ეიტაკეა საბჭოთა მკითხველმა, ნორეკის უდიდესი ბიდროლეკტროსადგურის მშენებელთა მრავალთასიანმა ინტერნაციონალურმა არმიამ ერთხმად მიიჩნია საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად და მუშათა პრემია მიაკუთვნა, მერე კი მას უმაღლესი ჯილდოც, ლენინური პრემიაც მიენიჭა.

ამ რომანს მრავალი ღირსება აქვს, მკითხველის ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, ერთ უმთავრესს მინდა მივაქციო.

მარადისობის ეს მაღალზნეობრივი კანონი ყოველისმომ ბეველობის ქადაგების როდი ნიშნავს. ბაჩანა ახლადდაბადებულები ეგბუკი იყო, როცა გლახუნა ქერქაძის სახელით კაცი მოკალა, თუ კაცი ეოქმის უარაღს, ქვეყნის დამაწყოლებელს, სამშობლის გამყიდველს, ადამიანის დაუნდობელ მკვლელს. ორი ღმერთი მუავდა ამ ქვეყნად ბაჩანას, ერთი — მწყემსი გლახუნა ქერქაძე უარაღმა მანუჩარა ეიკეთიმ მოუკლა და მანაც მარტიმ ინია შური, თუმცა მთელ სოფელს სწყუროდა მკვლელის სისხლი. განსაკუთრებულ თვის მეორე ღმერთთან, ბაბუასთან მივიდა.

პატიოსნების, სიმართლის, სიყვარულის სახელით სხვა დროსაც ინთქვა შურისძიებით ბაჩანა. მაშინაც კი, როცა სასწაულით გადარჩენილი, საავადმყოფოში წევს გაუნძრევლად, არაფრად ჩაადგენს ხიფათს და ლაბარ ქოთანს დაამსხვრევს თავზე იმას, ვინც მხოლოდ ამგვარ პასუხს იმსახურებს ბერეთელ ხუფთა კაცისაგან. იმდენად აუკარგავ ბაჩანა ხეირს, რომ მამა ილარიონიც კი უწონებს ამ საქციელს ბაჩანას.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში მისმა გმირმა, რომელიც ზეიძლებოდა ითქვას რომანიდან რომანში გადადის და ჩვენ თვალწინ აზრდება და ყალიბდება, აუკარა ცვლილება განიცადა. თუ ადრე, ბაბუკობის ხანაში „ჭნიან ღამეში“ მისი გული შემწყნარებლობით იყო სავსე, იმდენად რომ იუდა ასიბერაც მიუტევა დანაშაული, ახლა „მარადისობის კანონში“ უფრო ეკუთვნამკლარი და გამოცდილი სხვაგვარად ფიქრობს. მან ირწმუნა, რომ ბოროტებას აუძალრევა უნდა და არა მიტევება. ამ თვალსაზრისით გმირის შეგნებისა და ხასიათის ცვლილება მებრძოლი ჰუმანიზმისაკენ იხრება.

ბაჩანას ბოროტებისადმი შეურიგებელ სულს სხვა ეპიზოდებშიც არაერთხელ ვგრძნობთ და ვხედავთ. ამ დროს მწერალი ძალზე ოსტატურად, ყოველგვარი ზმამაღალი სიტყვის გარეშე მიგვაკვლევინებს ყურადღებას ადამიანის მანკიერ მხარეებზე და მათ დღეკანდელ გამოხატულებაზე, რითაც თანამედროვეობის, მწვავე პრობლემებსაც წამოაჭრის და თავისი გმირის სულიერ ღირსებებსაც წარმოაჩენს.

ბოროტება კი, დიდი თუ პატარა, მუდმივად თან სდევს ადამიანს. ასე იყო დღემდე, ასე იქნება კიდევ დიდხანს, თუ დაუსრულებლად არა, რადგან ორთავ საწყისი, ბოროტება და კეთილი, ადამიანისეულია. კაცს ცხოვრების მანძილზე ათასგვარი შენდებული თუ შეუნდობავი ბოროტება ჩასვლრება და მისი სიძლიერე თუ უძლურება სწორედ სავეფოთან ბრძოლაში იკეთება. ამ ხეედრს ვერც ბაჩანა რამიშვილი გადაურჩა. გადაურჩა კი არა, იქნებ სწორედ ყველაზე მეტად და ძლიერადაც იწვნია მისი ბასრი, დაუნდობელი, მუხანათური მახვილის მიერ მიყენებული ბრალობების ფილი სიმწვავე.

ბაჩანას მუდამ თვალწინ უდგას სუსხიან რიეროეზე რკინიგზის პროფინციული სადგური ცარიელი ბაქანი და იქ მდგარი ორი ხელჩაკიდებული ადამიანი: ერთი თმაგაშლილი, უპალტოო, შეშლილი ხახის ქალი და მეორე — ფუხშიშველი, კოკებამდე თეთრ ჟერანგში ჩაფარეხილებელი, გაკეკრებული ბიჭი (ბარეყინვალე კინოკადრის!). ეს პატარა ბიჭი თავად ბაჩანაა, ქალი კი — დეიდამისი, სატანისაგან დევნილი ორი მიუსაფარი ეწინდანი.

ასე დაიწყო ბაჩანას ცხოვრების გზა და ახლაც, სიკვდილთან მებრძოლს ეს ზმანება უდგას თვალწინ.

ჭეკეულად რომ მარტო ბოროტება არ იყო, ეს ბაჩანამ მალე იგრძნო და გაიგო. ბეერი შემოხედა მას ამგვარი კეთილი კაცი, თუნდაც სოფლის ექიმი და ადეთიკური, მაგრამ ყველაზე ძლიერ ელვახვა ქერქაძემ აგრძნობინა და გაგებინა ეს. სიკეთის ძალა და სიდამაბუა ამ მწუემსა კაცსა უჩვენა ბაჩანამ. მანვე მისცა იმის გაკვეთილი, თუ როგორ ვიქცე	რად უნდა აღუდგე წინ ბოროტებას, როგორ უფოემანოდ უნდა ემსჯელოსო კიდეც სიკეთეს.

მამა ილარიმა და ბაჩანას საავდმყოფოში დაგა გაუჩაღეთაან. ორთავე თავგადადებით იცავს თავის რწმენას. ორთავეს რწმენა სიკეთეზეა დაფუძნებული და კეთილის თესვას ისახავს მიზნად. ამიტომაც პოულობენ ისინი ბეერ საერთოს ერთმანეთის ნათქვამში. მაგრამ მათი პოზიციები მაინც დიამეტრალურად განსხვავდება. მამა ილარიმი სიკეთის მხოლოდ მქადაგებელია, მისი ალსრულება მთელისაგან ღმერთისათვის მიუნდია. ბაჩანა კი თავად არის სიკეთისათვის მებრძოლი და ღრმად სწამს, რომ სწორედ ეს არის ადამიანის უპირველესი მოვალეობა და აქ სხვისი, თუნდაც უზენაესის იმედით ყოფნა ნაყოფს არ მოიტანს.

ბაჩანას სულის ნაოესი ყველაზე მომხიბვლელად იქა ჩანს, სადაც ამას ელაპარაკ, რაც ყოველისმომცველ სიყვარულთან არის დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, მთელი რომანი სწორედ ამის გამოხატულებაა, მაგრამ არის რამდენიმე სიუეეტური ხაზი და ეპიზოდი, როცა განსაკუთრებული სიცხადით და სიძლიერით ჩანეს იგი თავს.

ეპიზოდები, სადაც თამარასა და ბეეკ-მარგოს შესახებ არის მოთხრობილი, დიდი დრამატიზმით, ტრაგიზმითაა არის დამძიმებული. ეიდრე ამ სულისშემბოუთელ განცდამდე მივიდოდეთ, მწერალი მისთვის დამახასიათებელი ლაკი იუმორით იწყებს თხრობას ეი როცა ღიმილი თავშეუკავებელ სიცილში გადავა, სწორედ მაშინ ისე უეცრად შემოაბრიალებს ამბავს, ისეთ დაძაბულ სიტუაციას შექმნის, იმგვარ ადამიანურ ტკივილს გაგვიშშვლებს, რომ ისეეიც ძმაფრ საუბრელ ამ კონტრასტულთანი, მოულოდნელთანის ეფექტით, კიდევ უფრო უმძაფრესად შევიგრძნობთ.

იშვიათად ღალატობს ნოდარ დუმბაძე ეპიზოდის ავტორს მისეულ ხერხს, როცა იუმორით იწყებს მას და ცრემლით ამთავრებს. ამ რომანში ეი მთელი სიუეეტური ხაზია თავისი რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი ეპიზოდით, სადაც ეს ხერხი მთლიანად დაიეწყებულია. ეს არის ბაჩანასა და მარიამის ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდები. სწორედ აქ ჩანს მთელი სიცხადით დადებითივი ძალა და მშვენიერება მარადისობის კანონსა. იშვიათად ეაიკითხავთ სხვაგან სადმე ეეს ყვარებული ქალ-ვაეის უფრო ლამაზ და ამაღლებულ ისტორიას.

ამ ისტორიას მწერალი რომანტიკულად აგვიწერს, უფრო სწორად, თავად სიყვარული ბაჩანასი და მარიამისა არის რომანტიკული, ზეაეწეული, ამაღლებული, არამიწიერი. ეს არის სუფთა ლტოლვა, ერთმანეთი და მარადიული, დაუოკებელი და მშვენიერი.

თითქოს ყველაფერი უეანურია ამ ისტორიაში — ბაჩანასა და მარიამის პირველი შეხვედრაც, მარიამის მოულოდნელად ქალაქ გამოეცხადებაც, შაენახადის მიტოვებულ ეკლესიაში ჯვარისწერაც, სამადლო თოვლიან ბორცვებზე უზმოდ შეფიცული სიყვარულიც, მარიამის ლოცვაცა და მისი ალსარებაც. ყველაფერი უეანურია მათ ურთიერთობაში, მაგრამ ამათთანავე ღრმად ადამიანური, კეთილშობილია, სპეტაკია.

„მარადისობის კანონი“ მრავალ პრობლემას წამოაჭრის მკითხველის წინაშე, რომელებზედაც მწერლის გულწრფელი პასუხიც გვეცმის. ამას გარდა საინტერესოა რომანის მხატვრული სტრუქტურა, ერთი შეხედვით თითქოს ამორფული, მაგრამ სინამდვილეში ეი ფაღრესად შეკრული და ერთ მთავარ საკუმეელს დამორჩილებული, მოლიანად მისთვის გამიზნული.

ფოლკლორიდან, მითოსიდან, ბიბლიიდან მოხმობილი სახეები თუ სიუეეტები აქ ისე ორგანულად ერწყმის ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს, რომ ძალდატანებულადაც იკითხება და იშიერება. ნოდარ დუმბაძისეული რეალიზმი ფანტოდან მოიხმობს ეი იტეტს, ორგანულად იხამეს ფოლკლორულ სიუეეტებს, მითოსურ სახეებს, რომანტიკულ განწყობილებებს, ფანტასტიკურ ხილვებს თუ ნატურალისტურ ეპიზოდებს და ამით მეტ მნიშვნელობას იძენს, უფრო შთამბეჭდავად, ემოციურად, სახეობრივად ვვიხსნის მწერალის ღრმა და საინტერესო საუბელს.

„მზე დედა ჩემი...“—საუკუნეების მანძილზე ამბობდა და ახლაც იმეორებს ქართველი კაცი ხალხის მიერ შექმნილ ამ უკვდავ ლეგსსა და სახეს. ფეხად დედამიწაზე ჩამოსული, ბაჩანასა და მარიამის სასთუმალთან დაწოლილი მზეც, საერთოდ მზის სიმბოლიკა, რომლითაც ესოდენ მდიდარი და დამშვენებული ნოდარ დუმბაძის თეეფი შემოქმედება, ფოლკლორული პირველწყაროდან იღებს სათავეს. ქართული ფოლკლორისა არ იყოს, დედა და მზე სინონიმებია ნოდარ დუმბაძისათვის და ორთავ ერთად თუ ცალ-ცალკე სიკეთის, სინათლის, სიცოცხლის, უკვდავების სიმბოლოა.

მითოსური ანალოგიით არის აგებული მარიამის ალსარებაც. სწორედ ამ ხერხით

გვაგებინებს და გვაგრძნობინებს მწერალი ბოროტებისაგან მრავალფაზეული ქალის ბიოგრაფიას. ამ მოკლე სიტყვაში ადამიანის ტრაგედია და იმედი, დაცემა და აღზვიესა ძლიერად და ამაღელვებლად არის გამოთქმული. ეს ეფექტი სწორედ მითოსისეული ხერხით მიიღწევა:

— „ახლა ყური მიგდე, გიუნე... — თქვა მარიამმა და ისე დაიწყო, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა: — ...მე ხუთჯერ გარდავიცვალე უკვე და ხუთჯერ მოვბრუნდი ამ ქვეყანაზე... პირველად მე გარდავიცვალე შინით და აღვსდექი სიმარტოვეში... მეორედ მე გარდავიცვალე სიმარტოვით და აღვსდექი თვალთმაქცობაში... მესამედ მე გარდავიცვალე თვალთმაქცობით და აღვსდექი უდარდელობაში... მეოთხედ მე გარდავიცვალე უდარდელობით და აღვსდექი სიძულვილში,.. მეხუთედ მე გარდავიცვალე სიძულვილით და აღვსდექი სიყვარულში... მე ახლა ვცხოვრობ უზომო, განუსაზღვრელი სიყვარულით და ვიცი, რომ სიყვარულით გარდავიცვალნი... და ეს ოქნება ჩემი უკანასკნელი გარდავიცვალება, მე აღარფერში აღარ აღვსდგები. მე დავრჩები მარადიულ სიყვარულში".

ამის გვერდით რომაში ვხედავთ და ვუსმენთ ბაბაიანეს, ვერელ ბიჭებს თუ სხვებს და მათთან დაკავშირებულნა ეპიზოდებმა თითქოს ნატურალიზმის დაღი უნდა დასვას რომაზს, მაგრამ ნოდარ დუმბაძის ოსტატობის მთელი სიდიდეს ამ ნიშნის მიდლი სწორედ იმაშია, რომ არე მოთხსური ნაკადი აღიქმება არარეალურად და არც უშუალოდ ცხოვრებიდან გადმოხატული — ნატურალისტურად. ყველაფერი ეს ერთად ეალეტეტიკური ნაერთს კი არ ქმნის, არამედ დიდი მხატვრული სიმარტლის მატარებელ ორგანულ მთლიანობას.

ცხადია, „მარადისობის კანონი", ეს ძლიერი და შთამბეჭდავი გამოსახვება მწერლის გულის სათბობი და ხელის ნათელია, ვერ შეიქმნებოდა დუმბაძისეული მთავარი სიმბოლოს გარეშე. ავტორი ამ რომაზშიც, როგორ საკმე სიყვარულს ეზება, რამდენჯერმე მოუხმობს მის უბერებელ კერას, სინათლისა და სიწმინდის სიმბოლოს მზეს. და რა თქმა უნდა, მოუხმობს მაშინაც, როცა მარიამისა და ბაბანას დიდ სიყვარულზე მოგვითხრობს. მოგვითხრობს კი ასე: „...მერე მზე ჩამოდგა ფეხად დედამიწაზე, სამალლის დიდ, თოვლიან მინდორზე გამოიარა, ადამის ორ ნაშიერს თეთრი, თბილი ზეწარი გადაადგა, სასთუმლად დაუწვა და მათთან იყო..."

ასე იქმნება თანამედროვე მითი მზეზე.

ჩვეულებრივ პროზაიკოსები მოთხრობებით იწყებენ და მერე გადადიან რომანებზე. ნოდარ დუმბაძე პირიქით მოიქცა, მხოლოდ მაშინ დაწერა და გამოაქვეყნა თავები მოთხრობები, როცა რომანისტის მეარი რეპერტუარი უკვე მოპოვებული ჰქონდა. ნოდარ მოთხრობებმაც, ისევე როგორც თავის დროზე რომანებმა, ცალ-ცალკეც და ერთადაც ნოგნად შეურყეობაზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველზე.

თავდაპირველად ბევრს მოეჩვენა, რომ მოთხრობებით ახალი საფაროს კარი შეაღო მწერალმა. ამიტომ ზოგმა ეს მისი შემოქმედების გამრავალფეროვნებად გამოიცადა. იქნებ რაღაც მარცვალი ეშმაკობებისა მართლაც იყოს ამ მოსაზრებაში, მაგრამ ის კი ცხადია, რომ არც აკამდე, მოთხრობებამდე მოედინებოდა ნოდარ დუმბაძის პროზა ერთფეროვან, მკაცრ ბგერილ კალაპოტში. ამას გარდა, მისი მოთხრობები „ზზე", „დიდრო", „ძაღლი", „ეორიდა", „ეუკარჩა", „ბოშები", „ხაზარული" და სხვა, მოუხდავად მათი პრობლემატურ-სტილური მრავალფეროვნებისა, ორგანულად უკავშირდება მწერლის შემოქმედების საერთო სულსა და მიზანსასახულობას, ამათშიც აშკარად ჩანს დუმბაძის პროზის საერთო და განსაზღვრული ნიშნები.

ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედება, თუ პათეტიკაში არ ჩამოვეტანთქვა ეს სიტყვა, ადამიანისა და ზზის საგალობელია. თითქოს ამის უფრო კონდენსირებულად გამოსახატავად წერია მან მოთხრობა — პიმნი „ზზე". დიდებულია ზზე — „შეოქმედი", „ზერეფული ხასნაფილი". გულისფანაქანალი მისჩერებიან მას ერეკახუს მოიცა და ჯარგვალში მოფუსფუსე დედა-ზვილიც, ზღვაცა და ზღვისპირად მყოფი უჩვეულო წყვილიც — მდედელი და მილიციონერი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალიცა და სიკვდილის შეშფოთე ადამიანებიც. დიდებულია ზზე თავისი სიამაყითაც, როცა აცხადებს მე ვარო ყველაფერი და ყოველისშემძლე, დიდებულია თავისი გულჩვილობითაც, როცა მალლიდან დაპყურებს დედამიწაზე დაბრიალებულ ცოდვას და ზღვას გამოუტყდება „ყოველ ცისმარე დღე ამის ცქერა შეუძლებელია". დიდებულია ზზე, მაგრამ კიდევ უფრო დიდებულია ადამიანი და ეს უეცარი შეზარხოლება მხატვრული აზრისა მოთხრობის ბოლოში დიდი შთაბეჭდილებით აქვს მწერალს გადმოცემული.

ადამიანის ღირსებისა და სიამაყის კიდევ ერთი დიდებული მხატვრული გამოხატულებაა მოთხრობა „უმაფური". უბრალო სოფლელი კაცის, ასი წლის მოხუცის გუდულის სიკვდილი ვალმოხდილი ადამიანის მტკივნეული, მაგრამ მაინც მშვიდი გამოთხოვებაა სიცოცხლესთან. აქ შვილების მიერ მიტოვებული გლეხის მარტოობის განცდაც შეიძლება ამოიკითხოს მკითხველმა, სიცოცხლეზე

სთან გამოთხოვების სიმწარეც, მაგრამ გუდულის სიკვდილი ტრაგიზმის მტანჯველ გრძნობას არ ბადებს. მხოლოდ გაოცებას იწვევს მკითხველში, გაოცებას იმის გამო, რომ ასეთი ძლიერი, დიდი გულის ადამიანები არსებობენ ამ ქვეყანაზე, რომელთაც შეუძლიათ ღირსეულად დასრულონ ამაყი სულით გაჟღენილი გრძელი გზა ცხოვრებისა და სიკვდილის წინა წუთები ამ ქვეყანაზე სიცოცხლის უკვდავებაზე ლოცვა-კურთხევაში დახარჯონ.

მოთხრობაში „დიდრო" დიდ ადამიანურ ტრაგიზმსაც გვაზიარებს მწერალი და მისი განცდა დიდხანს მიჰყვება მკითხველს. ესაა ბედისწერით ტანჯული კაცის სულისშემძვრელი მოთხრობა. ნოდარ დუმბაძის საყოველთაოდ ცნობილი იუმორი აქ ოდნავ სატირულ ელფერსაც იძენს მოთხრობის პირველ ნაწილებში, რის შემდეგ „ტკივნაწყალეზულნ", ყველასაგან ბუზრად აგდებული დიდროს მიერ სიკვდილის წინ წამიერად დაწმენდილი გონებით დანაბული მთელი უბედურება საკუთარი არსებობისა მკითხველისათვის იმავ ძალით გახდება თანაგრძნობის ღირსი, რა ძალითაც გაუწია თანაგრძნობა თავად მწერალმა.

ასეთი ტრაგიკული ულერადობით იშვიათად ამთავრებს თავის ნათქმელს ნოდარ დუმბაძე. არც მოთხრობაში „ძალლი" აკლებს იგი მკითხველს მძიმე განცდებს, აქაც ისევე, როგორც უმტეს მის ნაწარმოებებში სიცოცხლის მუდმივ თანამგზავრად ჩანს სიკვდილი. აქაც მოთხრობის დასასრულს ობოლი გოგიტა სულ მარტო რჩება, ბაბუაც უკვდება, მაგრამ ფინალი მაინც იმედით არის სავსე, რადგან სიცოცხლეს მარადიულია. და ამას მწერალი მისთვის ჩვეული საოცარი ძალითა და ტალტით, ყოველგვარი ხმამაღალი სიტყვის გარეშე ახერხებს:

„სოფელს გავხედე, ოდებიდან კვამლი ამოდიოდა თეთრ ბოლქვებად. მამლები ყიოდნენ, ძროხები ბღაოდნენ, ხოხები პეტალოდნენ, თაქნები კეკინებდნენ, ჭალები ტრიალობდნენ, კონცხოულაზე უშველებელი მზე შემომდგარიყო... უცებ სხეული სითბოთი ამევსო და ყურებში ხასიათმოვნილ ზარივით ჩამეკრა".

ასე ერთიმეორეზე უკეთესია ნოდარ დუმბაძის პატარ-პატარა თუ მოზრდილი მოთხრობები, რომლებიც დიდი ენერგიებით, ხასიათებით, განცდებით იქცევენ მკითხველის შეუნელებელ ყურადღებას, მე ვიტყოდი მის ალბაცებასაც იწვევენ (ეს პრესის ფურცლებზე ბევრჯერ გამოთქმული და კიდევ უფრო ბევრჯერ მწერლის სახელზე გამოგზავნილ ათასობით ბარათში არის აღნიშნული). მოთხრობებსაც გამოუვა ნოდარ დუმბაძის რომანებისათვის დამახასიათებელი ავტობიოგრაფიულობაც, იუმორიც, ლირიზმიც, დრამატიზმიც, გმირებისადმი შეუფარავად გამოხატული თანაგრძნობაც, ერთი სატკვენი ყველაფერი, რაც განსაზღვრავს ნოდარ დუმბაძის სტილს და, რაც მთავარია, გამოუვა მწერლის მთავარი სიმბოლო მზე, რომლის კულტი, ისევე როგორც ყველა რომანში, აქაც, ყოველ მოთხრობაში მაკრთა.

მოხუცი გუდული მოთხრობა „უმადურობიდან" წამდაუწუმ მზეს გასცქერის სიმშვიდით, სინათლის ასაფეთქად. [ბალეზიკაცი ყოველი ჩვეულებრივი, ყოფითი საქმის მოთავეების შემდეგ მზეს გახედავს ხოლმე და გაეხუთრება. და რა გასაკვირია, რომ როცა სიკვდილის მოახლოებას იგრძნობს გუდული და ამ ქვეყანას ემშვიდობება, უცირველესად მზეს მიმართავს, მდაბლად დაუკრავს თავს, მუხლს მოიერის მის წინაშე და ეტყვის: „მშვიდობით, მზეო ბატონო, დიდი, უზენაესი და უმაღლესი მადლობა შენ!"

ახე იცხოვრა ამქვეყნად მზის, მისი სახით კი სიკეთის, სათნოების, სიყვარულის სადიდებლად ნოდარ დუმბაძემ, ახე შექმნა და დაგვიტოვა მან მზით სავსე შემოქმედება. იგი გუდულივით, ოღონდ ამ მოხუცთან შედარებით ბევრად ახალგაზრდა დაემშვიდობა მზეს, ალბათ მანაც ახე უთხრა: „მშვიდობით, მზეო ბატონო, დიდი, უზენაესი და უმაღლესი მადლობა შენ".

აი, რაც მინდოდა მეთქვა მკითხველისათვის მზიანი გულის ადამიანზე და მწერალზე ნოდარ დუმბაძეზე.

გივი ახვლედიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილო კავკასიის ქართველთა ზეპირსიტყვიერება

ქართველი ხალხი წარსულში გამოდგებული თავდაცვით ომებს აწარმოებდა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ. საქართველოზე თავდასხმები განსაკუთრებულად მე-18 საუკუნიდან გაძლიერდა. ამ დროიდან ქართველი ხალხის ფიზიკურად მოსპობის საქმეში საპარსი და თურქ დამპყრობლებს გვერდში ამოუდგნენ ლეკთა მარბიელი რაზმები.

ქართულ მიწა-წყალზე ლეკთა თარეშმა ქართულ-ავხეთის და, საერთოდ, საქართველოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრება თანდათან გაუფარეხა. ლეკების შემოსევას იმ ზომამდე მიუღწევია, რომ მათი შიშით მშრომელი გლეხკაცობა მოზდოკსა და ყიზლარში გადასახლებულა. ქართველთა ჩასახლება ამ მხარეში მე-18 საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. საქართველოში ლეკიანობის გაბშირდა 1754-1760 წლებში. ამ დროიდან ქართველ ლტოლვილთა რაოდენობა ყიზლარში თანდათან უნდა გაზრდილიყო.

ყიზლარი დაარსებულია მე-18 ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთის მხედრობამ მტაც�დ მოიმაგრა ფეი ჩრდილო კავკასიაში. ამ ქალაქთან ბევრი ცნობილი ისტორიული პირია დაკავშირებული. ყიზლარში დაიბადა რუსეთის არმიის გამოჩენილი მხედართმთავარი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765 წ.). მისი პაპა ალექსანდრე ყიზლარში 1757 წელს დასახლებულა. ამავე ქალაქში დაიბადა პეტრე ბაგრატიონის უმცროსი ძმა, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი რომან (რევაზ) ივანეს ძე ბაგრატიონი (1778 წ.). აქვეა დაბადებული ცნობილი ქართველი მეცნიერი პეტრე რომანის (რევაზის) ძე ბაგრატიონი (1818 წ.).

ყიზლარის მახლობლად მდებარეობს ორი სოფელი, სადაც ქართველები ცხოვრობენ: სასოფლო (ალექსანდრე ნეფსკაია (ანეფსკაია) დაღესტანის ასსრ), რომელსაც ადგილობრივი რუსები „სასაპლი"-ს უწოდებენ) და სარაფანი (ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ), რომელიც დღეს უკვე თითქმის მხლოდ „ზელკოვსკაია"-ს სახელწოდებითაა ცნობილი).

ზარშაბნენ საქ სხრ მეცნიერებათა აკადემიის ზ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა მიმაგლინა ჩრკალო კავკასიაში (დაღესტანის ასსრ, ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ, სტავროპოლის მხარე) სპეციალურად ამ მხარის ქართველების ხალხური სიტყვიერების შესასწავლად.

ჩრდილო კავკასიის ქართველებში ცოცხალ ტრადიციაზე დაყვანრებამ გამოავლინა, რომ შესწავლის ობიექტად ალებული რაიონებში შეკრებილი ფოლკლორული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ არის ხალხურიალური და საყოფაცხოვრებო ლექსები, ისტორიული თქმულება-გადმოცემები, ლეგენდები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები.

ყიზლარის სოფლებში (სასოფლო, სარაფანი), როგორც მოზუცებულების (გამოკითხვიდან ჩანს, ქართველობა გადასახლებული უნდა იყოს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან — ქართლიდან, კახეთიდან, იმერეთიდან. გადასახლების მიზეზად მოზუცებულები ასახელებენ უმთავრესად ლეკების თარეშს საქართველოში. ეს სოფლები თავდაპირველად მდებარეობდნენ თერგის ნაპირას, მაგრამ, რადგანაც თერგმა შეიარა იცის ნაპირის გადალახვა, როგორც სასოფლოელები, ისე სარაფანელები იძულებული შეეშალნან დაშორებოდნენ მდინარეს და სხვაგან გადაეტანათ თავიანთი სოფლები.

სასოფლოში დღეს ქართველობა, თუ ადგილობრივ ქართველებს დავუკერეთ, ოცი ოჯახია, სარაფანში — 15 ოჯახი, წინათ მეტი იყო (სასოფლოში — 80, სარაფანში — 50).

XVIII საუკუნიდან ქართველები მოზდოკშიც ცხოვრობდნენ. მაგალითად, ეგორიკების წინაპარი, გვარად ალსაბაძე, მცხეთიდან XVIII ს-ის მეორე ნახევარში დასახლებულა მოზდოკში.

სარაფანი (ზელკოვსკაია) 1739 წელს გაუშენებიათ ქართველებს. გაუვალი ტყე გაუჭრიათ და სოფელი დაუარსებიათ. მაშინ დაუოგაკეთ ორი მუხა, რომელიც დღემდეა შემორჩენილი სარაფანთან ახლოს მდებარეობს ს. კოში, სადაც ქართველები ცხოვრობენ.

ყიზლარ-მოზდოკის რაიონებში 1986 წელს იმოგზაურა სტეფანე ჩხენკელმა, რომელმაც დიალექტოლოგიური ტექსტები შეგროვა და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში გამოაქვეყნა (ს. ჩხენკელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული, ტფილისი. 1936, გვ. 269-291), რითაც მეცნიერმა ცნობი-

ლი გახდა ამ კუთხის ქართველთა მეტყველების არაერთი ნიშნდმოსაგები მხარე. ეს ტექსტები (ზღაპრები და სხვ.) დღეს უკვე ალარ გვხვდება ზეპირბრუნვაში.

1888 წელს ალ. ხახანაშვილი იყო ყიზლარში. მეტეხიერს იქ ჰაიწერია ლეკში „იმერეთს გამოელაშქრა" (რომელიც გამოაქვეყნა გაზ. „ივერიაში", № 147, 1888 წ.). და ყველი ალთქმის ალოკარიების საფუძველზე შემჩნეული საერთაშორისო ხასიათის ლეგენდა „სოლომონ ბრძენი და ეუნანფალელი", რომელიც 1888 წელს თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში" შეიტანა.

სასოფლოსა (ანეკსკაია) და სარაფანში (შელკოვსკაია) მეცხოვრენ ქართველთა უმრავლესობას მშობლიური ენა დავიწყებული აქვს. მაგრამ აქა-იქ ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები მაინც არის შემორჩენილი. ეს იმის წყალობით, რომ მოხუცები ახლაც ქართულად მეტყველებენ.

სასოფლოში გავრცელებულია ლეკს-სიმღერები:

„ანგე მოდიან ქალები,
ლამბაქით მაპაქვი ბალები,
ქალო, ვისი ხარ, ლამაზი?
ქალო, ვისი ხარ, ლამაზი?
არი არალო!".

(მოყმ. პელაგია თედორეს ასული ნახიპაშვილი, დაბ. 1903 წ., ს. სარაფანში, ამჟამად ცხოვრობს სასოფლოში).

ანგო მოდიან ქალები,
ლამბაქით, მაპაქვი ბალები,
მინდორში დევს თეთრი ქვავი,
მე ავწევე, არ დამტყვაო,
გოგო, შენი სიყვარული
სად წაველ, იქ წამყვაო".

(მოყმ. დანიელ ლეონტის ძე გერასიმოვი, დაბ 1908 წ., ს. სასოფლო).

პელაგია ნახიპოვისაგან ჩაიწერეთ დალოცვის ტექსტი:

„დავწვები, დამეძინება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავით დამესვენება.
ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული,
მე რას მერთვის მასტერი,
მწველის წმინდა გიორგი,
ჯვარი პატიოსანი".

ახალრაზერილი ტექსტები პოეტიკის თვალსაზრისისაც აღძრავს ინტერესს. [: ზოგიერთ ლეკსში ალტერაციის ნიმუშებიც გვხვდება:

„ქალო არშაო, არშაო, წამწამ გიშერო,
,თმაშაო,
შენი საწოლი მიჩვენე, ია ოა ვარდი
გაეშალო"

(მოყმ. დანიელ ლეონტის ძე გერასიმოვი) ანდა:

„შაო ბიეკო, შაეი ჩოხა, შაკად
შაგიფერებია,
ჩემი გული შენ მოგიკლავს,
სხვისა გაგიმთელებია".

(მოყმ. პელაგია თედორეს ასული ნახიპაშვილი).

„მამა-პაპიდან გაგვიგონია, — გვიამბო დანიელ გერასიმოვმა, — რომ საქართველოდან ვართ ჩვენ, ტყეედ ვართ გადმორეკილი. არ გვახსოვს რა დროდან. მე ვთვალიერებ ჩვენი ქართველობის ცხოვრებას ჩვენ სოფელში. პატარობისას მე მინახავს ჩვენი ბერიკაცები, რომელიც ინახავდნენ თავის ქართველობასა დრო გატარებითა ძველებურებ, ერთი-ერთმანეთის შუა ხალრი შენახვითი, უფროსის პატივ-ცემა დადებითა, ერთი-ერთმანეთთან ქართული ლაპარაკითა. ეხლა სხვაგან გამხდარა. ერთმა თო დაიწყო ქართული, მეორე რუსულეუ ეუსნეენი ითიტოო, რომა ქართული უკვე დაავიწყეთანა. წინათ ვაკაკაცები ქართული სიმღერით დროს ატარებდნენ. ჭეელობას დაავიწყეთია ლაპარაკი, რომა არ დასძრახონ ამიტომ ბევრი წილი ლაპარაკობენ რუსულად. ჩვენ კი არ დავავიწყეთ ჩვენი ენა, ჩვენი შვილები და შვილიშვილები სულ არ იციან ქართული".

სარაფანში მარიამ ალექსანდრეს ასული მუზურავიისაგან ჩაიწერეთ ლეკსების ფრაგმენტები:

„ბაბაპური კუ კვდებოდა, ქალსა
გული უკვდებოდა.
ქალოვ, გული ნუ გიკვდება,
შაეფათ ქმარი მოგიკვდება,
კვირას ჭაშა მოგინდება".

მანვე ჩაგვიწერინა შაირი:

„ღვდელოვ, დარეკე ზარები,
აგრე მოდიან ქალები,
ზოგსა უჭირიმ ლაკები, ზოგსა
ლამბაქით ბალები,
ერთი შეხედვით შეეატყოფ,
რომელსაც შეეებრალები".

მარიამ მუზურავას საწესჩვეულებო პოეზიის ზოგიერთი ნიმუშიც ახსოვს. მაგალითად, ახალ წელს მეკალის დალოცვის ტექსტი:

„შემოვდგი ფეხი, ვწყალობდეთ ღმერთო,
გილოცავთ მრავალ ახალ წელიწადს".

მან გიახსენა ზობას წარმოსათქმელი ლეკსი:

„ოცდახუთსა ამ თვესა,
ჩიტი ჩამოჯდა ღობესა,
ალთათსა, მალთათსა,
ხელი ჩაეყოვ კალთასა,
ერთი კვერები ჩვენ მოგვეკი,
ღმერთი მოგაცემს ბარაკასა".

(მოყმ.ქალი მარიამ ალექსანდრეს ასული მუზურავა, დაბ., 1909 წ., ს. შელკოვსკაიაში).

მოპოეტიული ფოლკლორული ტექსტები მე-18 საუკუნის II ნახევრიდან მაინც ტრაილებს ამ კუთხის ქართველთა ზეპირბრუნვაში. თანაც ზოგი მათგანი დღემდე უცნობია. ეს უდგიოდ ზრდის შეკრებილი ; ნიმუშების მეცნიერულ ღირებულებას.

ყიზლარის რაიონში ორი ქართული სოფე-

ლია: „ხუტორ გრუშნისკოთ“ და მარინოოვკა. ამგვარად „ხუტორ გრუშნისკოთში“ ერთი ქარ თული ოჯახია, მარინოოვკაში — 5. ადრე ორივე სოფელში 60 ოჯახი ქართველი ყოფილა. დახსენებული სოფლებში ქართველები ჩაკართველობენ დაბურულნენ და ამგვარად ხ. გამარკვევაში ცხოვრობენ.

„ხუტორ გრუშნისკოთ“ ქართველებმა თავი ისახელეს სამოკლაკო და დიდი სამამულო ომის შემდე წლებში. მათ გმირულად დაიცვეს ახალგაზრდა საბჭოთა სამშობლოს თავისუფლება და ღირსება დენინგრადთან შემოტევებისაგან. ამ პატარა სოფლის 19 გმირი ქართველი შეტანილია ვიზმორის 3. ბაგრატიონის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საპატიო წიგნში.

სტავროპოლის მხარეში მდებარეობს ქართული სოფელი ნოვოიანოვკა. სოფელი დაშენილია და ლენინგორის რაიონებიდან ჩამოსახლებული ქართველი მოიელების მიერაა დაარსებული 1912 წელს. ამჟამად აქ 40 ოჯახი ქართველია, წინათ 150 ოჯახი ყოფილა, მაგრამ სიცხოვრებლად გადასულან მეზობელ სოფელ ბოგადანოვკაში და ქალაქებში — სტავროპოლი და კურსკოში.

ნოვოიანოვკას ქართველების ხალხური შემოქმედება ძირითადად ისტორიული გადმოცემებით და მეცხვარეობასთან დაკავშირებული პოეზიითაა წარმოდგენილი.

არსენ ბაშარულისაგან ჩავიწერეთ აღმოსავლეთ საქართველოში მრავალ ვარიანტად გავრცელებული მეცხვარეობის ამსახველი საყოფაცხოვრები ლექს-სიმღერა „მეცხვარემ ცხვარი გაშალა“.

„მეცხვარემ ცხვარი გაშალა,
შემოფენა ჩრდილსაო,
შიგ ურევია ბატკანი, ერეული
მოდის ცხვრისაო:
წინ თითონ გამოუძღვება, ხმა ისმის
სიმღერისაო;
დახედეთ მწყანე მინდვრებსა,
ბალახით შემკობილსაო,
გადადენილა მთაზედა თეთრი
ფარები ცხვრისაო,
მეცხვარე ცხვარში დავდივარ,
მთაზე ვაძოვებ ცხვარსაო,
თან დამდევს ჩემი მყეფარი
ვეძახი მურიასაო,
გალმა-გამოლმა ქედები სამოვარია
ცხვრისაო
შამომწვევია ფარები შიგ და შიგ
თოვლიანსაო,
გალმა-გამოლმა ხეები ერთურთს
აძლევენ ხმასაო,
მაღლით მთის ცივი წყარონი ქედით
ჩამოდის ძირსაო,
რა მშვენიარი რამა ხარ, ბილაო,
ჩვენი მხრისაო“.

მოტანილი ლექსის ძირითადი ტექსტი ჩაწერილია თუშეთში, ალვანში ი. ბერეულაშვილის მიერ, 1934 წელს. ახალჩანაწერი დამოუკიდებელი ვარიანტია.

არსენ ბაშარულისაგან ჩავიწერეთ აგრეთვე საბავშვო ლექსი „მელა და მამალი“, რომელიც იაკობ გოგებაშვილიდან დღემდე შეტანილია მეორე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში. ეს ლექსი სხვადასხვა დროს ჩაწერილიათ ჩვენი კუთხურის მოდავეებებს: თ. რაზიკაშვილს, ვ. კოტიტაშვილს, შ. ძიძიგურს და სხვებს. მოგვაქვს ჩვენს მიერ ჩაწერილი ვარიანტი:

„ორშაბათ დილა გათენდა, ცუდი
დროვეება დგებაო,
ეს ჩვენი წუწკი მელია სათმრად
ემზადებაო,
მოვიდა და იქ შამოჯდა, საცა
მამალი ჯდებაო.
— მამალო, ხორცი მიბძიე, შორი
გზა გამეცლებაო.
შენ ჩემსა ხორცსა ვერ შაჭამ, ძალი
ყელს დაგადგებაო,
გაიგიბს ჩემი პატრონი, თოფით თავს
დაგადგებაო,
— შენს პატრონს კარგად ვიცნობი,
გვერძე უყვარდა გდებაო,
თოფი მაღლა უკიდია, ჩახმახი უფანგდებაო,
ნუგეზარა რომ დაადოს, მაშინც არ
გავარდებაო“.

(მთქმ. არსენ ვანოს ძე ბაშარული, დაბ. 1912 წელს ს. ნოვოიანოვკაში, დამთავრებული აქვს 6 კლასი, ნოვოიანოვკას ქართულ სკოლაში).

არსენ ბაშარულისაგან ჩავიწერეთ „ნაცარქეჟიას“ საინტერესო ვარიანტი. ჩვენი ჩანაწერი ახალ შტრიხს მატებს ამ ცნობილ ზღაპარს.

ფრიდონ გრიგოლის ძე თინიკაშვილმა მოგვითხრა ისტორიული გადმოცემა თეიდორე ფლვდლის შესახებ. ეს ფაქტი ნათელყოფს, რომ თეიდორე ფლვდლის გმირობის ამბავი წერილობითი წყაროსაგან დამოუკიდებლად ხალხის უმეცრობა ხსოვნამ დღემდე შემოინახა.

მამა-პაპათაგან ახსოვს საგმირო-საისტორიო ნაწარმოებები გრიგოლ გრიგოლის ძე ფაბალიძეს. მან გაიხსენა ლომისის სახელთან დაკავშირებული თოფსური საგმირო სიმღერა:

„ლომისასაო ჯაჭვი ჩკედია,
არვინ არ იცის, ვისია.
ქალი წამოდგა, შესტერა:
ეს ჯაჭვი ჩემი ძმისია,
შაეეთით გამოგზავნილი,
შაგვრემანი ყმისია.
დე ცანგმა შაშეკამოს,
ეგ ჯაჭვი მაგის ღირსია“.

„ეს ჯაჭვი ახლა არის ლომისაში. კარგი ბიჭი უნდა, რომ ასწიოს ეს ჯაჭვი“ (მთქმ. გრიგოლ გრიგოლის ძე ფაბალაიძე, დაბ. 1901 წელს სოფ. შუდურში, 1918 წლიდან ცხოვრობს ნოვოიანოვკაში).

გრიგოლ წამალაძისაგან ჩვენწერეთ აგრეთვე ისტორიული ლეგენდა ლომისის ხატის შესახებ.

„ჩვენებმა იცოდნენ გამოთქმა: ლომისის წმინდა გიორგის გაუმაძრახს, შვიდი ათასი ტყვის დამხსნელსაო. ძველებმა თქვეს, რომ ეს ხატი და ქართველი ტყვეები მუავდით ლეკებს მოგაცებული. 7 წელიწადი დადესტანში, სანამ ეს ხატი ჩქონდათ მოგაცებული, არც მოსავალი მოვიდა, არცა რა გაჩნდა, არც ბავშვი და არც საქონელი. მემრე ერთმა მოლამ უთხრა: სანამ ამ ტყვეებს არ გაათავისუფლებთო და იმ ხატს არ დაუბრუნებთ უკან საქართველოში, მანამ თქვენში არ გაჩნდება არც საქონელი, არც ბავშვებიო. მერმე მოაქუჩეს ეს ტყვეები 7 ათასი კაცი, ეს ხატი დასვეს ხარის რქაზე (ბუღას რქაზე). არ წამოვიდა ეს ხარი მანამ, სანამ ერთი კოშკი გოგო აკლდათ ტყვე და ის არ მოიყვანეს. მერე წამოვიდა ის ხარი. საცა დაიხვენა იმ ხარმა, ნიში დადგეს. 368 წმინდა გიორგის რომ ეთქვიან, ის ლომისის ნიშია“.

ხაინტერესო მოქმედი აღმოჩნდა ნოეოიავნოვკელი, ამჟამად ქ. კურსკოში მცხოვრები ხაშო გრიგოლის ძე ხადელაშვილი. მან ჩაგვაწერინა ცნობილი ხაგმირო ბალადა „გიგა და გიორგი“. თუშური ზარმაშოშის ეს ბალადა ვარიანტებადაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს. ჩვენს მიერ მოპოვებული ვარიანტი არ იმეორებს დღემდე ცნობილ ვარიანტებს, იგი ხაინტერესო თავისებურებით ხასიათდება:

„გადმოხტა ბეჭი გიგაი, ამოაწიკლა ხმალიო,
სამი შასწირა ძაღლებსა, უდღეიფო
ხალაფავიო,
ხუთი შასწირა წყემსებსა, აბრუნებინეთ
ცხვარიო,
თორმეტი თავის თავს მისცა, მეც
დამჭირდება ყმანიო“.

ბალადის ამ ფრაგმენტში პირველყოფილი რწმენის კვალი დაცული. ეს კვალი სხვადასხვა ფორმით ყველა ვარიანტშია შემონახული. ამის შესახებ პროფ. ვახტანგ კოტტაღოშვილი შენიშნავდა: „ამ ლექსში განსაკუთრებით საგულისხმო არის ის პირველყოფილი რწმენის ნაშთი, რომელიც დღემდე შემონახულია და შეიცავს იდეებს საიქოის შესახებ. ამ რწმენის მიხედვით, სიცოცხლე ამ ქვეყანაში კი არ თავდება, იგი გრძელდება საიქოსაც და მაშასადამე იქაცა სჭირდება იარაღი, ტანისამოსი, საჭმელი და ცოცხალი არსებანიც, სხვადასხვაგვარი მოამზადრეობისათვის. ის გარემო, რომელიც აქა ჰქონდა მიეცალებულს, უნდა ჰქონდეს იქაც, საიქოოს. აქედან წარმოსდგა ადამიანთა ხალვაგზე დაკვლის ის წესი, რომელიც ძველად ყველგან იყო გავრცელებული და ზოგან დღესაც არსებობს“. ჩკვლევარი მიუთითებს ამგვარ წესებზე პოლინეზიაში, ახალი კალედონიის მცხოვრებთა შორის; ამერიკის ტომებში, როგორიცაა ჩინუკებმ, კარიბები, დაკოტები; აფრიკაში კონგოს მოდგმას, ზანგებში და სხვ. ეს წესი ჩვენთან ბოძერხოს ღრიის ხერეტებსაც.

ხაშო ხადელაშვილმა ზეპირად იცის ქართული ხალხური პოეზიის შედევრი „ლეკნი ვეფხვისა და მოყმისა“. ჩვენს ჩანაწერში თხრობა თავიდანვე შესამე პირითაა გადმოცემული:

ახალჩანაწერი დამოუკიდებელი ვარიანტია. ძირითადად ტექსტთან და სხვა ვარიანტებთან ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ სხვაობას ამყოველნებს.

ნოეოიავნოვკას ქართველებში პოპულარულია სალაშქრო-მხედრული სიმღერა „ომში წასვლა“. იგი, როგორც ლაშქრული სიმღერა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარი მელოდიით სრულდება. ახალჩაწერილ ტექსტს გაგრძელებად ერთვის „ცოლი რად გინდა ლამაზი“ და „ნეტავი მოკვდეს ხის ძირსა“.

ჩვენწერეთ აგრეთვე საკრებულო ლექსი „ორლობე შამოვიარე“:

„ორლობე შამოვიარე, ორლობე
მიწერო გზანიო,
ბალკომზედ გადმომდგარიყო
ტანწერნილა თეთრი ქალიო,
ხელს მიქნეს: აქეთ წამოდე,
შინ არა ჩემი ქმარიო;
ბეგრობ გაგზავნეს მთაშია, ქვა
დასაკეთია თაეშია.
იმისი თოფ-იარაღი შენ მზრეზედ
დამიკიდნია,
იმის ქმარ-ხანჯალი შენს წელზედ
შემომეკერია,
მისთვინ გაშლილი ლოგინი შენსათვინ
მიჩუქებია,
ჩემი ბუთუნა მკლავები კისერზედ
მომიხვევია“.

(მოკმ. ხაშო გრიგოლის ძე ხადელაშვილი). ჩვენს მიერ ჩაწერილ ტექსტში ორი სხვადასხვა ლექსია შერწყმული: „ორლობე ამოვიარე“ და „ბალლიდან გადმომდგარიყო“.

ქართულ ლექს-სიმღერებს ასრულებს გარმონზე ნოეოიავნოვკელი, ამჟამად მოზდოკში მცხოვრები ნიკალა ალექსის ძე გიგაური. მან ზეპირად იცის სამგლოვიარო მოსაგონარი ლექსები: „შორაკში ერთმა მეცხვარემ“ და „სიმღერა ილუშაზე“. შორაკში ერთმა მეცხვარემ“ გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში და მწყემს მეცხვარეთა ცხოვრების ასახავს. დღემდე შერჩენილია მისი რამდენიმე ათეული ჩანაწერი. ახალჩანაწერის მიხედვით, მოქმედების ძირითადი ადგილი უსახელო მინდორია „მინდორში ერთმა მეცხვარემ სიზმარი ნახა ზიანი“. მწუემსი მეცხვარე მთიელია სახელად მაზარე, სოფ. ლუთხუშიდან.

მთიელი მეცხვარის სახელდასწერო თავგადასავალია გადმოცემული აგრეთვე ლექს-სიმ-ღერაში „სიმღერა ილუშაზე“. ეს ლექსი დღემდე უცნობია და ყიზლარის ხაზამთრო ადგილებზე უნდა იყოს შემჩნეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორნოზავოდსკის ქართველებში დღემდეა ცოცხალი ტრადიციული ქართული ზეპირსიტყვიერება.

ელიზა ილიას ახლო ბორიხოვასგან ჩაგვწერეთ შრომისა და სატრფიალო პოეზიის ნიმუშები: „ბუთსური“, „ეუთუნა წვიმა მოვდა“ და სხვა.

ალექსი შიოს ძე ქავთარაძემ ჩაგვაწერინა კაფიის ნიმუში. მასში კომიკურ-იუმორისტული ტონით ქალ-ვაჟის გაპაიკრებაა მოცემული. ჩაწერილი ლექსი ვარიანტია დღემდე ცნობილი ფშაური კაფიისა „ქალი და ვაჟი“. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მხატვრულად უფრო სრულყოფილია ახალმოპოვებული ტექსტი. აი ისიც:

ვაჟი — ქალო რას მოხველ ჩემთანა,
უცხო და უმეცარია?
ქალი — რა ვქნა, შე დანელებულო,
ცასა შეეხს, აკი დარია.
ვაჟი — საფარი მაქვის ისეთი,
არ გავარდება ნამია.
ქალი — მაგიტომ შამეგეფერე,
აგებ გადავრჩე მშრალია.
ვაჟი — შენ რას დაგინდობს ჩობანი,
განა ფიც-ვერცხლი ვქამია?
— ქალმა თქვა, ბიჭთან წოლასა
ნურც მე გგონივარ ხამია“.

საინტერესოა ლექსი „შვილის წერილი დედისადმი“:

„გათხოვდი, მარტიანთ ქალო, ნუ გაქ
მამაის ლოდინი.
მამა მთიულეთს დაენშნე, შვილი
ენაცვლოს შობილი,
ამ კვირეს ნიშანს გაპირებ, თვალ-ზე
მექნება ქორწილი,
სამი ნაბერწი ცხვარი მყავს, ხუთი რქა
გადაწრეხილი,
ასი ქობი არაყი მაქვი და პური
გამოცხობილი,
ქალია ეფროსეული; ცხრა ხელი მოდეს
ლოგინი“.

ჩაგვწერეთ ცნობილი ნიმუშის „ლექსო, ამოგთქომ“ ახალი ვარიანტი. ლექსი მ. ხელაშვილის ტექსტს მისდევს და ამავე დროს ზოგიერთი თავისებურებითაც ხასიათდება.

ალექსი ქავთარაძემ ზეპირად მოგვიყვა აკაკის პოემის — „ორი ქართველის“ შესავალი („დაბერდა ჩვენი გოგია, ძველი ქართველი რაინდი“) და დასძინა: „ეს ლექსი მე ვისწავლე მთიულეთის სოფელ ძმიაზში. მას ლხინის სუფრაზე ამბობდნენო“. ზეპირად იცის მან ვაჟა-ფშაველას სიმღერები: „სამეფო სიმღერა“ (ქალო, ჯანაე ფეხზეშველი“), „გაჯაფხულს ია ამოდის“, „ერთხელიც იქნება, მოკვდები“.

ფოლკლორი ხალხის შემოქმედებითი ცხოვრების მატიანეა, მასში სულიერი კულტურის ბევრი მოვლენაა გაფიქსირებული.

ჩრდილო კავკასიის ქართველებში ზეპირსიტყვიერება მივიწყებას ეძლევა. ჩვენს მიერ შეკრებილი ტექსტები ძირითადად მოხუცებისაგან არის მოწოდებული. ამის გამო, ვფიქრობთ, ფრიად საშური საქმეა ამ მხარის ქართველებში ფოლკლორული ნიმუშების შეკრება-შესწავლის კვლავ განგრძობა, რათა ხალხური შემოქმედების ძეგლები დაკარგვისაგან გადავარჩინოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა — ქმედითი საბუარო

(დიალოგი: იგორ ზტოკმანი — ზაბუა ამირეჯიბი)

ი. ზ. — მართალი გითხრათ, არ მინდოდა ჩვენი საუბარი ტრადიციული კითხვების საშუალებით წაგვებმართა. ამიტომ არ შეგეკითხებით, რაზე მუშაობთ ახლა, ან როგორიან თქვენი შემოქმედებითი გეგმები-მეთქი. მსგავს კითხვებს გვერდი უნდა ავუარო, რადგან ამუამად სხვა რამ უფრო მაინტერესებს, სახელდობრ, ნაწარმოების სიუჟეტი, მისი ზრდა და „ბიოგრაფია“.. რაგორ ისახება ეს თუ ის ჩანაფიქრი, როგორ მწიფდება და იქცევა წიგნად? საინტერესოა თვით შემოქმედებითი გზა, რომელსაც ადგებართ, ამასთან ჩემთვის თანაბრად მნიშვნელოვანია დასაწყისიც და მიზეზიც.. რით იწყება მუშაობა და რისთვის ისხამს ხორცს?...

ბ. ა. — მწერლური შრომის ხასიათი მართლაც საინტერესო თემაა, როგორც პრობლემათა მრავალფეროვნებით, ასევე სიღრმით. ყველაფერს, რა თქმა უნდა, ვერ შევეხებით — ამ საკითხზე შეიძლება ტომები დაიწეროს, სასაუბრო კი, ალბათ საკმაოდ მოიძებნება, რადგან მწერლის ხელობაში ხომ არის რაღაც საერთო, ერთმანეთის მსგავსი პროცესები და მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია და ამლობელი ყველა პროფესიონალი მწერლისათვის.

ი. ზ. — მაშინაც კი თუ იგი, ეთქვათ, კრიტიკოსია და არა პროზაიკოსი, პოეტი ან დრამატურგი?

ბ. ა. — რა თქმა უნდა... ჩემი აზრით, ნამდვილი, ნიჭიერი კრიტიკოსიც თავის მხრივ, მწერალია. მათ ძალისხმევის და პასუხისმგებლობის გრძნობა ანათესავებთ. კრიტიკოსს, ისევე როგორც მწერალს, სურს ირგვლივმყოფ საზოგადოებას აუწყოს ყველაფერი ის, რასაც თავად საინტერესოდ ფლობ და სიამღერ მიიჩნევს, ამის გარეშე მისი შრომა უფუნი და უსარგებლო იქნებოდა. რასთვის წერ, თუ შენი ხმა, ნაწერი და ნაამრეული გულზე არავის მოხდებაა? თუმცა, ასეთ დრამატულ შემოხვევებში წაროფატებლობა საკუთარ თავს უნდა დაამალო: ჭეშმარიტ, გონებაგახსნილ მკითხველს (რამდენადაც მკითხველიც სხვადასხვა კატეგორიისაა) ვერ მოატყუებ, ვერ გააცურებ, იგი ყოველთვის მიხვდება, რა ხდება და რისთვის და სამოდროდ კიდევაც გიერკვევა ყველაფერში.

ი. ზ. — მაგ ამ პროცესში, ამ ფრიად სამაგალითო ურთიერთობაში, რომელსაც „ავტორი-აუდიტორია“ ეწოდება, რა უფრო მეტია: დრამატიზმი თუ ოპტიმიზმი, ჰარმონია თუ დისჰარმონია?

ბ. ა. — თვით პროცესში, ურთიერთგაგებისა და დამახლოებაში, რა თქმა უნდა, ყველაფერი შეიძლება იყოს. მაგრამ შედეგი — შეთანხმება, ჰარმონია... რასაკვირველია, თუ ჭეშმარიტ მწერალთან გვაქვს საქმე...

ი. ზ. — მე ასე ვიტყოდი: პერსონაჟი შეიძლება საინტერესო იყოს თავის შინაგან გაწცდათა ნაირგვარობით, იერსახისა და გარეგნობათა უეცარი ცვლილებით, ჭეშმარიტი გმირი კი, გმირი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დრო ობი ნგადახრებისა და სისუსტის მიუხედავად, ყოველთვის გზიდან და გზიდან, თავისი დიდი შინაგანი სიმტკიცით. ამ თვალსაზრისით ვასილ ბიკოვის რიბაკიპერსონაჟია, ხოლო სოტნიკოვი კი გმირი... ცარგად მეცნის, რომ უფრიდან ვოლეკ ლატერატურათმცოდნეობის აზრისა და საფუძველზეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებლად და მართებულად მიმაჩნია აი, ასეთი გამამხელებული, ეთიკური მიდგომა (მსჯავრული ნაწარმოებისადმი.

ბ. ა. — სიმტკიცეს, რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოს ეს ერთი შეხედვით, შეუძლია ჰქონდეს თავისი ძალიან განსხვავებული სტადიები, შეუძლია მერყეობა.

ი. ზ. — დათა თოთაშვილი მაგალითად...

ბ. ა.— თუნდაც... მაგრამ ამდენი შფოთისა და იქვეთის მერე ეგრის თავისი არსებობის დასაბამიდე და დასასრულიც ერთ მთლიანობაში აქვს გააზრებული, და ყოველივე ეს, მის ადამიანურ და მაშასადამე, ზნეობრივ და პუმანურ არსადგან ამალებულები. მხოლოდ მაშინაა ადამიანი ურყევი, სწორედ მაშინაა იგი — გმირი.

ი. ზ. — ჩანს, ეს საკითხი ორივეს ზუსტად ერთნაირად ვეუფლის.

ბ. ა. — რაც შეეხება ჩვენი ხელოვნის წმინდა პროფესიულ საწუხრებს, აი რას ეიტყოდი... ცხოვრების გზაზე ხშირად ვხვდებით რაღაც ეპიზოდებს, ფრაგმენტებს, სადაც ეს შეიძლება ჩანაფიქრი (ეგრ მხოლოდ ჩანაფიქრი, მისი რაღაც ზოგადი კონტურები) ჩაისახოს. ვთქვათ, ხედავ რაიმე სცენას, ცხოვრების პატარა მონაკვეთს, რომელიც გეტრება გონებაში და დიდხანს, ხანდახან ძალიან დიდხანს ძევს იქ, როგორც თესლი მიწაში... მერე

კიდევ მეორე, მესამე... გეჩვენება, რომ ისინი სავსებით დაივიწყე, თითქოს არც არსებობენ, მაგრამ, ნუთუ უკაცრავად... თურმე შენს არსებაში უკვე მოქმედებს და მწიფდება რაღაც შენეული, ძალიან მნიშვნელოვანი სასუშაო... ის არსებობს, გროვდება და ერთ მშვენიერ დღეს უცებ დაინახავ, რომ ქვეცნობიერი, საიდუმლო შენთვის ნათელი გახდა, რომ დაიბადა ახალი მასალა, რომელსაც ზნეობრივი, ფილოსოფიური, კომპოზიციური, როგორიც გნებავთ, მაგრამ უკვე შემოქმედებითი გააზრება სჭირდება. შენში დაქსაქსული და ამოზრდილი ცხოვრებისეული ფაქტები უცებ გაერთიანდენ ერ ერ ჭალალდზე გადმოსვლა უნდათ.

Ი. შ. — მაგალითად? ერთი, ორი მარცვალი...

ჟ. ა. — ინებეთ... ადრე, დიდი ხნის წინათ, ორჯონიკიძეში მოპიზდა ცხოვრება... იმ დროს იგ მრავალი სახელოსნო იყო, ტანსაცმელს, უნაგირებსა და ალვირებს კერავდნენ, საათებს აკეთებდნენ, ერთი სიტყვით, ხელოსნობდნენ.

ვზიავარ ერთ მეეუდესთან — გიგო ერქვა... იქვე ორი ოსტატი... მესაათე და სარაჯი. მშვენიერი ადამიანი, ირგვლივ სიწყნარე და სიმშვიდე სუფევს, უცებ გაიღო კარი, სახელოსნოში შეეუდის მეზობელი მკერავი შემოიჭრა და გაბრაზებული ყვირის: გიგო, შენი ბიჭი ჩემსას სცემსო...

Ი. შ. — ბიჭი ეს გიგოს ვაჟია თუ შეგირდი?

ჟ. ა. — დროფი შეკითხვაა... შეგირდია. სწორედ მასზეა ლაპარაკი. გიგოს შეგირდი მკერავისას სცემდა...

მე, სარაჯი და მესაათე ვსხედვართ, ველით, რა მოხდება. გიგო კი მშვიდად პასუხობს.

— შენმა ბიჭმაც სცემოს ჩემი...

— მაგრამ შენი უფრო ღონიერია! — ყვირის გაცოფებული მკერავი.

— მაშინ, რა გიეწყობა, — ოხრავს გიგო, — ჩემმა უნდა სცემოს შენს ბიჭს....

ეი, იცინეს...

Ი. შ. — რაგომაც არა! მშვენიერი პასუხია, წლების განმავლობაში შეძენილი სიბრძნითა და სიმშვიდით სავსე.

ჟ. ა. — დიახ! „წლებით შეძენილი სიბრძნე...“ ნება მიბოძეთ გეოხოთო: საიდან აქვს „გიგოს ასეთი სიბრძნე? მე ხომ მას კარგად ვიცნობდი. კეთილი, გულისხმიერი, გულღია კაცი იყო, სრულიად მოკლებული სისასტიკეს. და უცებ ასეთი რამ.

Ი. შ. — იქნებ ეს უბრალოდ, იუმორია?

ჟ. ა. — „უბრალოდ იუმორი“ არ არსებობს, იუმორი ყოველთვის ცხოვრებასთან დამოკიდებულებაშია, განსაზღვრული დამოკიდებულებაში.

ეჰ, ვიწც კარგად ვიცნობდი გიგოს, ასეთი პასუხის გაგონებისას, როგორც მწერალმა უბრალოდ, ადარ ვიცი, რა ვიფიქრო... [illegible] აქვს ასეთი იუმორი, სადაა მისი წყარო [illegible] სათავე?

რაგომ თქვა ასე გიგომ? აი, რა არის მთავარი, მნიშვნელოვანი... წუთიერი განწყობილებაა? ადრინდელი წყენა? ვიღაც უფრო ძლიერმა, ვიდრე თვით გიგო იყო, შეურაცხყო ერთიელ და მან ეს დაიხსომა, დასაკვნა გააკეთა?

ან ოდესღაც თვითონ, იქნებ უნებურადაც (რა არ ხდება ცხოვრებაში) ვინმეს აკბინა და ახლა ამიტომ თქვა ამგვარი რამ... მიდი და გიგე.

მიხვედრა, გაგება კი გინდა, უბრალოდ, აუცილებელია, რადგან სხვანაირად ხასიათი, მისი ყველაზე მთავარი შინაგანი ზამბარა შეუცნობელი და ამოუხსნელი დაგრჩება და რაღა მწერალი ხარ მაშინ.

აი, მაგალითად ამგვარი ფაქტიცაა მწერლის ფიქრის საგანი.

Ი. შ. — ფიქრის თუ გამოხატვისა?

ჟ. ა. — ჯერ მხოლოდ ფიქრისა. — ასახვა იქნება, როცა მთელ ამ ემპირიკაში იპოვი, დიაქერ და გამოხატავ განზოგადებულ მიზეზს, აზრს, არა მარტო შენთვის, არამედ ყველასთვის საინტერესოს.

Ი. შ. — თუ, როგორც თქვით, ემპირიკას, როგორც იტყვიან, ეს „არ ხელეწიფება“ მაშინ, რა?

ჟ. ა. — მაშინ შენ მას უბრალოდ უკუგდებ ან გარდაქმნი. გარდასახავ სახეს შენი ფანტაზიით, ზრაფით და შენთვის ბოძებული ტალანტის მეოხებით და ეს უკვე სინამდვილის მხატვრული გააზრების მეორე საფეხურია. მისი შედეგი — მხატვრული სახეა, ანაზღაურებული გამოძრწყინებული, მოპოვებული ოქროა, სინზე დალეკილი...

თუ, მაგალითად, გიგოს პოზიციიდან, მისი შინაგანი ზნეობრივი კონფლიქტიდან გამოვალთ, მაშინ სახეს, ალბათ, შეუძლია მოვაცეს ნათელი, ჩვეული — სახე-მოქმედება, სახე-ქცევა.

Ი. შ. — როგორი?

ჟ. ა. — უცებ პასუხი გამოძენილდება. ამაზე საგანგებოდ როგორღაც არ მიფიქრია. თუმცა... აი, მაგალითად, ოდიონ ქორქიას აქვს მინიადატარა ორ ბიჭუნაზე. ისინი მოსწავლეები არიან. მიდიან ზურგჩანთებით ქუჩაში, ერთი ცოტა უმცროსია.

პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს... უმცროსი ეუბნება: „ვიჩხუბოთ“.

„ოფლი!“

ზურგჩანთები მოიხსნეს, ტროტუარზე მიბაყარეს.

ჭკვე საჩხუბრად გაშზადებულმა უფროსმა ჰკითხა... „რომელ კლასში ხარ?“

უმცროსი (ამაყად): „მეორეზე"

უფროსი — „მე კი — მესამეზე!" — აიღო თავისი ჩანთა და წავიდა. ისეთივე სიტუაცია, გიგოს სახელოსნოში რომ იყო, ოღონდ პირუკუე, სრულიად საწინააღმდეგო ზნეობრივი ნიშნითა და დასკვნით...

ის ბიჭუნა, ის პაპარა რაინდი, დიდსულოვანად რომ უარყო ფუთანსწორო მუშტი-ეროვი, ანტიგიგოდ... როგორ მოექცევა შემდეგ ცხოვრებაში, შეიძლება მხოლოდ ივარაუდოს! მაგრამ ქორქანის მინიატურა დაწერილია იმ რწმენით, რომელიც გიგოს, რაგორმაც დავკარგეთ, მაგრამ მთავარი, ძირითადი სახე ამ მკაფიოა, მტკიცეა... და არა მგონია, დაივიწყო.

Ი. Ზ. — იქნება მთელი ეფექტი თვით სიტუაციის უბრალოებასა და თვალსაჩინოებაშია, როდესაც ზნეობრივი დასკვნა ძალიან უბრალო და მკაცრ ჩარჩოშია მოქცეული, ოგავი ხომ, როგორც წესი, თავისი ზნეობრივ-ფილოსოფიური ზემოქმედებით ძალიან ძლიერია... მაგალითად, ახალგაზრდა და უდაოდ ნიჭიერ პროზაიკოთან გოდერძი ჩოხელთან ოგავური სიუჟეტი საკმაოდ ხშირად გვხვდება და რა ბაზგასმით უბრალონი და ეგშემარიტად დრამატული არიან ისინი!!! ნაველაში „ირი მონადირე" ტრადიციული ფაბულური სვლა, ვერაგული მკვლელობა ქალის გულისათვის, რომელიც ორ ვაჟს უყვარს, — საოცრად ძლიერად ფა სადად ერწყმის ერთმანეთს. „ბაკურხეველ ხეცსერში" ყველაფერია: შემთხვევის ახირებული თამაშნი, სურვილები, ვნებები და ის დრამატული, გამოფაქნებული მოულოდნელობანი, რომლითაც ასე მდიდარია ეგშემარიტი და არა ავტორის მიერ გულმოდგინედ შეთხზული ცხოვრება. მთელი ტექსტი კი ამ დროს... ორი გვერდია.

ასევე ფსიქოლოგიურად სავსე და შინაგანად დინამიური ახალგაზრდა აზრებიანკაწელი პროზაიკოსის რიფრტ ტაგიევის მოთხრობები, რომლებიც გიზდავენ დაკვირვებულობით, ავტორის შეხედულებათა ინტელექტუალურობით, ხაერდოვანი ინტონაციითა და ბრძნული (მიუხედავად მწერლის ასაკისა) შემზეყნარეულობით (დამიანებისადმი... არსებითად ისინიც ოგავებია, თან ერთითანი, რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური დასკვნით: ჩვენ, ცხოვრების ორობრივიაზეში ჩაბმულნი, არც ისე გვალინის, და ეს უნდა გვასხოვდეს მუდამ, ყოველთვის.

ეს ორი ახალგაზრდა ავტორი ძალზე უბრალოა თავის შემოქმედებაში, თვით ცხოვრებაზე შეხედულებაში, მის გაგებებაში, თუმცა ფაბული ოგავე ჩოხელთან შეიძლება ნატიფი, ტალმოგონებლური, ფანტასტიკური („წერილი ნაძვებს", „მთავარი როლის შემსრულებელი", „უცნაური ამბავი"...) იყოს... და მაინც ფანტაზიის არტისტულობისა და პარადოქსულობის მიღმა მშვენივრად ჩანს ეს მტკიცედ აკეთებს განაცხადს ჩოხელი. ავტორის მთავარი მისწრაფებაა: მოგვითხროს ცხოვრების არსზე, მის გაგებზე, რომელიც ყოველთვის ბრძნულად მარტივია.

Ბ. Ა. — უბრალოება ხელოვნებაში საერთოდ ძლიერი საშუალებაა. მაგალითად, რეგაზ ინანიშვილის აქვს ნოველა მთის ნაკადულზე.

ბავშვები ქალაქგარეთ გავიდნენ და მტირალა ტირიფებით დაფარულ, მომცრო ხეობაში შემოხვევით მთის ანკარა ნაკადულს მიადგნენ. დაისვენეს, წყალი დალიეს, იბანავეს კიდეც, მერე უცებ მოისაზრეს, რომ ნაკადულში ეფცალილლილ ჩქნეზოდ ალმანი... რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ წავიდნენ ანკეხებით. დიდხანს ეძებეს. ნაკადულო მაგრამ ვერ იპოვეს, გაკრა და მორჩა...

გაიზარდნენ, დავიკაცდნენ, შშობლიური სახლიდან ზოგი სად წავიდა და ზოგი სად... ხანდახან ხვდებოდნენ ერთმანეთს და ტრადიციული კითხვებიც მერე ვიღაც აუცილებლად გაიხსენებდა ამ ხეობას, ტირიფებს, ნაკადულს და დაუჭერაց კალმახს... სხვა შთაბეჭდილებებიც ხომ შემორჩებოდათ ბავშვობიდან?

ეს მოგონება პაროლითია ყველასათვის, დაბრუნებაა ბავშვობაში და ყოველ მათგანს აწვალებს ფიქრი: „იყო თუ არა ნაკადული სიმაშდეალეში?..."

როგორი ფრაზაა!.. რა უბრალო და რა ღრმა, რამხელა მომხიბვლელობა, სიბრძნე და მწუხარება გამოსჭვივის მასში.

ყველაზე ბედნიერ დღეებს ხომ ჩვენც ასე ვიგონებთ: იყო თუ არა ეს ყველაფერი? იქნებ მხოლოდ ოცნებაა, მშვენიერი, მაგრამ გამქრალი სიზმარი?

აი, რა შეუძლია ერთ ძალიან უბრალო ფრაზას. მთელი მოთხრობა კი ამისთვისაა დაწერილი და არც მასზე გაწეული შრომაა დასანანი...

Ი. Ზ. ჯაბუა, თქვენ წარმოვიგვიდგინეთ მოთხრობის ემოციური ანალიზი, თქვენ მასში მხოლოდ ელეგიური საწყისი აიღეთ — წარმავალი ბავშვობის ცისფერი და მშვენიერი ქვაფლი, მოთხრობაში კი, ვფიქრობ, ნაზეგრად დაფარული კითხვაცაა: „რაკმან გაკრა ნაკადული?" რატომ ვერ იპოვეს იგი ბიჭებმა, როცა მეორედ მივიდნენ ხეობაში? არ შეიძლება სილამაზეს, აღფაცებას და წმინდა გრძნობას საკუთარი ხაზობით, პრაგმატულად მიუდგე... ახეთი რამ ზოგჯერ არ გეპატიება. ისინი ხომ მეორედ, უბრალოდ ნაკადულთან არ მისულან, კალმახის დასაჭერად გიგმარნენენ. საკმით იყვნენ დაინტერესებულნი თითქოსდა გაზრდილებმა, პრაგმატულად გაზრდილებმა, ბავშვობის ქვეყანას მიაშორეს

და ნაკადული არ დაემორჩილა მათ, გაჭრა, დაიკარგა ხმხელამდე მათთვის.

და ძალიანაც კარგი, რომ დაიკარგა! რომ ეპოვნათ და ბადით აემდგრიათ, ყველაფერი გაფუჭდებოდა. მერე ხომ არაფერი ეკნებოდა-დათ მოსაგონარი, საკითხავი, ყველაფერი დაეკარგებოდა ამოიწურებოდა.

Ჲ. Ა. — შეიძენა, შეიძენება... მაგრამ ეს მოთხრობა მე ამგვარად არასოდეს წამიკითხავს და ვფიქრობ, რომ შენნი ახლა კრიტიკოსი ლაპარაკობს, რომელსაც ყოველთვის ინტერესებს პრიალეი ალანის მიღმა იპოვნის მეორე, მესამე... რაც უფრო ბევრს იპოვნის, მით უკეთესი.

Ი. Თ. — ეს სარკაზმია?

Ჲ. Ა. — არა, უბრალოდ, პროფესიული დაკვირვებაა... დიდი ხანია შევამჩნიე, რომ კრიტიკოსს ნაწარმოებში შეუძლია იპოვოს ის, რასაც ავტორი შესაძლოა საკმად ბუნდოვნად გრძნობდა, კრიტიკოსს შეუძლია შეიგრძნ ავტორის ქვეცნობიერ საიდუმლო სამყაროში, იპოვოს სწორედ ის მარცვალი, რომლიდანაც ჩვენ ხაუბარი დავიწყეთ... აქ ძლიერ მნიშვნელოვანია პროპორციები, ჩანაცვლებანი ავტორისეულ ჩანაფიქრს, ტექსტსა და მისი კრიტიკული თვალთახედვით წაკითხვას შორის.

ყოველთვის ჩანს: ბუნებრივად არის კრიტიკოსი გაგაცებული თავისი აზრით, მაპოთეზით, ნამდვილად სჯერა, თუ ცივი გონებით, ანგარიშით მოკმედებს, უბრალოდ, „სინინტერესო რომ იყოს", „ზარტის, გატაცების, ვნების ობიექტიც ახდენს... ეი, ამას კი ვერ ვიტან.

Ი. Თ. — მეც. გრძნობის ობიექტია — გრძნობის უკონლობაზე უარესია, ეს უსინდისობაა... რაღაც ძალიან დავშორდით ინანიშვილის მოთხრობას და უფრო შორს წავედიოთ ამისგან, რითაც დავიწყეთ... მოდით, დავუბრუნდეთ ძველ კალაპოტს. მას, მთელი მისი უცნაური და მოულოდნელი მიხვეულ-მოხვეულობის მიუხედავად, ვფიქრობ, აქვს რაღაც მთავარი მიმართულება და კარგი იქნება, მას თუ გავყვებით. ჩვენ ხომ ნებისთ ნუ უნებლიეთ ერთი შეხედვით ძლიერ უბრალო, მაგრამ ძირეულ საკითხებზე ვსაუბრობთ: როგორ იბადება ესა თუ ის ნაწარმოები, რას ეურჩნობა, როგორ იკიდებს ფეხს ჩვენს წარმოდგენაში?

ახლა, თუ წინაადმდეგი არ იქნებით, ნაწარმოების შემოქმედებაზე, მის ძალასა და მიზნებზე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა.

Ჲ. Ა. — მხოლოდ ლიტერატურას გულისხმობთ?

Ი. Თ. — არა, რატომ... დართო გაგებით, საერთოდ ხელოვნების, მხატვრული ნაწარმოების შემოქმედება, მისი შემოქმედება ჩვენზე და შედეგი...

Ჲ. Ა. — ხელოვნება ძალიან ხშირად ეძიება ჩვენ ყოფას. მხატვარმა, აწ „გაუგებელ" ბუნება სერგო ქოფოლაძემ, ერთხელ, ასეთი რამ მიამბო... მხატვრების ჯგუფთან ერთად მთა-თუშეთში იყო. ერთ გლეხთან გაჩერდნენ. „თუში მეცხვარეები" გინახავთ?

Ი. Თ. — დიახ?

Ჲ. Ა. — მაშინ ნაწილობრივ მაინც იცით, რა ძნელია ზამთარ-ზაფხულ მარტო ცხოვრობდე მთაში, ის გლეხი კი, რეზო ცაძიკიძე, მთელი წელი, იქ იყო. ჰმ, დამავიწყდა მეთქვა, ისეთ ოჯახში გაიზარდა, სადაც ოდითგანვე ხალიჩებს ქსოვდნენ. ხალიჩები სხვადასხვა ზომისა და ფერისაა, მაგრამ, როგორც წესი, ყველა ძალიან ლამაზია, თვალს ვერ მოსწყვეტ.

როცა ჯგუფი წამოსწალს ამირებდა, რეზომ სერგოს შესთავაზა, რაიმე წაელო სამახსოვროდ. სერგომ ერთი პატარა ქეჩის ხალიჩა ამოარჩია. როცა თქვა, სწორედ ამის წაღება მინდოა, რეზო გაფეთრდა და უთხრა: „რაც გინდა წაიღე, ოღონდ... ეს ქეჩა დამიტოვე, გთხოვ!"

სერგო შეცბა და, რა თქმა უნდა, გაოცდა. დაუწყო გამოკითხვა, რაში საჭიროა... დიდხანს, ძალიან დიდხანს დუმდა მოიელი, მაგრამ მერე მაინც თქვა: „ისეთი არაფერი... ხდება ხოლმე, რაღაც გამანწყენებს, გული დამიმძიმდება, მაშინ დავჯდები, ვუყურებ აი, ამ ქეჩას და როგორღაც თანდათან ყველაფერი მავიწყდება, ნელ-ნელა ვმშვიდდები..."

სერგომ, ხვდებით ალბათ, ხალიჩა არ წამოიღო...

Ი. Თ. — ეს ამბავი სერგოს კერილშობილებაზეა?

Ჲ. Ა. — არა, სხვა რაზეზე... ადამიანსა და სილაჟმაზეზე. თუ ბავშვობიდანვე ჩაფუნერგავთ ადამიანს სილამაზის გრძნობას, მაშინ იგი გულისხმიერი და კეთილი იქნება. სილამაზის აღქმა არამარტო ესთეტიკური, არამედ ზნეობრივი აღზრდის შედეგია.

Ი. Თ. — იდეა არაბალია... ჯერ კიდევ ტომაზო კაბანელი გვთავაზობდა თავის „ზნის ქალაქში" — სახლის კედლებად გიკვანტური სურათები გაეკეთებინათ: ქალაქი-მუზეუმი, ქალაქი-გალერეა... ადამიანი და მზეეფერიტება განუყოფელი უნდა (ეფოფილიუნენ ერთმანეთისაგან, მან უნდა ეცხოვრა სილამაზესთან ერთად, მის წიაღში.

Ჲ. Ა. — ჰმ, ვიცი... მაგრამ პრინციპულად ახალი, ანსოლუტურად ახალი იდეების ლოდინი არაგონივრულია — როდის მოეხვრები? კაცობრიობა დიდი ხანია არსებობს და თვით ადამიანის სული, სხვადასხვა ხანაში, ბევრ რაღაცეზი იმდენად მსგავსია, რომ ყველაფერი (ან თითქმის ყველაფერი) ადამიანებისათვის საკრიო და სასიცოცხლო ცნობილია. ეს მაინც თუ არ დაგვავიწყდება, ისიც კარგი.

ჩვენამდე არც ისე ცოტა იშრომეს, არც

ისე ცოტა დააგროვეს. მიიღე მემკვიდრეობად და დაიცავი, თითქოს ფვალიანა!.. ადვილია, მაგრამ რაღაშლაც, ყველას არ ხელეწოდება. ეს თხოულობს პასუხისმგებლობას, სინდისს, ბოლოს და ბოლოს, ელემენტარული სირცხვილის გრძნობას. ყველა ესენი კი რთული კატეგორიებია, შეუძლიათ ხელი შეგიშალონ, შეგბოჭონ და გაგაღიზიანონ კიდეც... შინაგან ზნეობრივ საზღვს ყველა თვითნებურად ირჩევს, აქ ვერ უბრძანებ და კანონითაც ვერ დადგენ (როგორც ჩვენ, მაგალითად, საყოველთაო ზოგადი საშუალო განათლება შემოვიღეთ).

ვფიქრობ, ყოველი ჩვენგანი მზოლოდ მაშინაა ადამიანი, როცა უცილობლად, მტკიცედ, ერთხელ და სამუდამოდ იცის, რომ ვთქვათ, ესა და ეს შეიძლება, აი ეს კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!.. არ შეიძლება, მორჩა და გათავდა, როგორც უნდა განდოდეს, ბეჭრედებოდეს და რაგინდ კეთილგონიერულიც არ უნდა იყოს საკუთარი სურვილი.

იმავე თუშეთში ასეთი შემთხვევა ჰქონდა რეკაზ თარხან-მოურავს. კოლეგებთან ერთად მოგზაურობისას ერთმა მწყემსმა თხოვა კარაბინი მიმოვნეო. კარაბინი ხომ მართლაც ძლიერ საჭირო თოფი.

რეკაზი დაპპირდა. ჯგუფი მაღლა აუყვა ხეობას და ბოლოს ერთ მიტოვებულ სოფელში ავიდა. სახლში, სადაც ღამის გასათევად გაჩერდნენ, მხატვრებმა შემთხვევით სამალავი აღმოაჩინეს, სადაც შესანშნავი, გაპობილი კარაბინი იდო.

ოროკი ფკან დაბრუნდნენ, რეკაზმა ეს მწყემსს ახარა.

— ეგ კარაბინი ფარსმაში ნახეთ! — ჰკითხა მწყემსმა.

— ჰო!

მწყემსმა გაიღიმა და თქვა:

— ვიცი, ეს მათი კარაბინია. დიდი ხანია ამქვეყნად აღარ არიან. ომში დაიღუპნენ... მამა და ორი შვილი.

თითქოს უბრალოა, მაგრამ როგორი მოკრძალებაა დაღუპულთა ხსოვნისადმი, ადამიანებისადმი, რომლებიც სამშობლოს იცავდნენ.

იმ მწყემსს აზრადაც არ მოსვლია, კარაბინი აიღო. ჰკადრა, ტაუოლად დეკსო. მტკიცე, შეურყეველია ტბუ, მამიდან შვილს, პაპიდან შვილიშვილს რომ გადაეცემა.

მსგავსი რამ რომ აღზარდო ხალხში, საჭიროა რამდენიმე თაობის გაძლიერებული შრომა... ძნელია, მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება.

მხარი დაუჭირო, აღზარდო და დაიცავ — აი, რა არის ხელოვნების, ლიტერატურის უმთავრესი ფუნქცია...

Ი. შ. — ლიტერატურასაც და ხელოვნებასაც ხალხი ქმნის. ადამიანები კი სხვადასხვანარი არიან. ხანიათი, მიდრეკილებანი, ჩვეულებანი. ყოველ მათგანს განსხვავებული და განსაკუთრებული აქვს. ბაბუა, შეგიძლიანთ ფიქრობ, მოგყოთ და დაახანხლოთ რომელიმე მთავარი, ძირითადი ნიშან-თვისება, რაც საჭიროა შემოქმედისათვის.

ბ. ა. — შეშინდა... თუ გინდა, რომ შენი სჯერდეო, ეცადე შენთვის ბოძებული მთელი ცხოვრების მანძილზე იყო ახალგაზრდა.

Ი. შ. — გამოგიტყდებით და რამდენადმე მოულოდნელი აზრია. ყოველ შემთხვევაში, მას გაგმარტება სჭირდება. თქვენ გულისხმობთ სამყაროს ცხოველი, ახალგაზრდული გზებით ალქმას?

ბ. ა. — ახალგაზრდული გზებით ალქმა, რა თქმა უნდა, შესანშნავი რამაა. მაგრამ ახლა მხოლოდ ამაზე არაა ლაპარაკი... დარწმუნებული ვარ, სიბერის უპირველესი ნიშანი ბუზღუნი, ცინიზმი და წუწუნია, შეგიძლიათ მსგავსი ადამიანი კარგ მწერლად წარმოიდგინოთ?

Ი. შ. — თუ ვერწმუნებით აზრს, რომ ავტორი ყოველთვის ინსაბეი თავის შემოქმედებაში (მე კი ამისა მჯერა) მაშინ, რა თქმა უნდა არა.

ბ. ა. — აი, ხელავ... მხატვარს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ბუზღუნით, მუდმივი წუწუნით ვერავინ, ვერც თავს, ვერც საზოგადოებას ვერაფერს არგებს და, მაშასადამე, საჭიროა გონებრივი ენერგიას, ცინიზმსა და ყველაფერის ქედმაღლურად უარყოფაზე დაბარჯული, სხვა მდინარეზე მივიეთ — მიზანდასახულობის, ძიებების, რომელთაც შეუძლიათ დატოვონ ხსოვნა კეთილ კაცზე, პატიოსან მოქალაქეზე, თავისი ხალხის შვილზე. ძნელია, მაგრამ შესაძლებელი.

ბეეშმარიტი ადამიანი კეთილმოსურნე, თავაზიანი და ბუღლისმიერი უნდა იყოს. თუ ასეთ ადამიანს ღირსეული მიზნები აქვს და ენერგიაც გააჩნია მათ მისაღწევად, მაშინ იგი ორგზის ადამიანურია. თუკი შეუძლია მიაღწიოს თავის მიზანს ისე, რომ არაფერი ავნოს როგორც ირგვლივ მყოფთ, ისე მთლიანად საზოგადოებას და არაფრე თუ ავნოს, პირიქით, შეძლებისდაგვარად იღწვოდეს კიდეც მათ სასარგებლოდ, მაშინ იგი ნამდვილი ადამიანია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ასეთ ხალხს ვიცნობ და მუხლს ვიყრი მათ წინაშე.

Ი. შ.—რას შეაფარებდით მწერლის მეუზობას ადამიანის საქმიანობის რომელ სახეობას?

ბ. ა. — მწერლობა, რა თქმა უნდა, ძალზე პირადული, „სახელიანი“ პროფესიაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად შესაძლებელია მწერალი დაუპირისპირდეს ხელოვნების ნებისმიერი დარგის ოსტატებს, მეცნიერებს, რომლებიც გამოიცანის, იდუმალს

ეძებენენ, პრინციპიულად რაღაც ახალი საკმის ორგანიზაციურებს.

Ი. შ. — როგორც ვხედავ, აქცენტი სიტყვა „ახალზეა“.

ჟ. ა. — რა თქმა უნდა, ოთხშემდგომ წლებში შეეხეზეედრიან ამგვარ ! ადამიანებს. ისინი ნახაძრალებზე ნაპოვნი ლუსრსნენი შენებან და გაცვეთილი ბურთულსკაესარებიანი მექანიზმების ამოშვეებას ახერხებენ. ამ მექანიზმებს ისინი ფაშისტთა დაზიანებული ტანკებიდან იღებდნენ.

ეშმარიტი ორგანიზატორი ცოტა ფანტაზიორიცაა, ამ სიტყვის კარგი გაგებით, შემოქმედებითად ! კაენერი და ! ძლიერ ფხიანნია... ისიც წერს თავის „წიგნს“, წერს შრომითა და ნიგით.

Ი. შ. — რას შეუძლია ხელი შეუშალოს ასეთ კაცს და მის საქმიანობას?

ჟ. ა. — როგორც ყოველთვის, ყველაზე სახიფათო შურანინი, უკმაყოფილო, უტიფარი ადამიანებია, ისინი დაუსრულებლად იძლევიან შენიშვნებს, აღშფოთებულნი არიან ნაკლოვანებებით (ამასთან, არასოდეს ცდილობენ მათ გამოსწორებას) და თვითონვე კი იცავენ ძარე სოციალურ და არც ზნეობრივ ნორმებს და წესებს — არანაირს.

სხვის ბატონობაზს, როგორც ! ! !

მურმან ჯგუბურია

პოეტის ალბომი

ალექსანდრე ხაჯიას უახლოესმა მეგობარმა, ვახტანგ ჭელიძემ გასულ წელს ერთი მოგონება გამოაქვეყნა.

რეგვლ მარგიანმა აცნობა ვახტანგ ჭელიძეს, ალოიანმა (ალი) გვიდუბება და როგორმე ცოცხალს ჩამოუხწარით. მწერალი აღწერს იმ დღეს, იმ ჯგუფს და იმ ხალხს, ვისაც იმ დღეს შეხვდა: რის ვიიკვალახით ჩავა თბილისიდან ქუთაისში, სიიდანაც თვითმფრინავით უნდა გაემგზავროს სვანეთში. იცდის აეროპორტში, ძნელი დროა, ჭირს მისვლა-მოსვლა, აქ იგი ერთ კაცს შეეყრება, რომელსაც ტყავის პალტო აცვია და ძალიერ ხელმომჭირნედ ხარჯავს ყურტსა და სიტყვებს, და ის კაცი დაისაყურებს სანუკვარ ადგილს „კუკურუზნიკში". ჭელიძე აეროპორტში დარჩება და როდის-როდის გაემგზავრება სვანეთში. ვერ ჩაუსწრებს მეგობარს.

რეგვლ მარგიანმა, ვისთანაც იყო პოეტი სტუმრად, არ დაგვიტოვა ხაჯიას ბოლო დღეების ქრონიკა, ცხადია, ემძიმებოდა იმ დღეების გახსენება და არაფერი გვითხრა პოეტის ალსასრულზე.

მირზა გელოვანი ომში დაიღუპა.

ლადო ასათიანმა ლოგინზე დალია მზფოთვარე სული.

ზალვა ამისულაშვილმა ჯარისკაცის დღიურში ჩაიწერა:

„1945 წლის პირველი იანვარი.

გავიდა ახალი წლის ღამეც, ალაში შედის ბებერი დილა, რომელსაც მოღლილი სულით, ნამტკივარი გულით, ეპრიზლიანი თოფით, ძირგავარდნილი ჩექმებითა და გაუპარსავი პირით ვხვდები. მიუხედავად ამისა, ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, განა ცოტას ნიშნავს, ცოცხალი რომ ვარ ვეგებები 1945 წლის განთიადს?! მაგრამ მაღონებს ერთი რამ:

ალექსანდრე ხაჯია ენანგ სიზმარში. ხეიანში შევხვდით ერთმანეთს. იგი ლიმონის ფერისა იყო, ამავე დროს უმოძრაო, უმეტყველო, ერთი სიტყვით, ყვითელი ჩონჩხი ეროპულ კოსტუმში... ხომ არაფერი შეემთხვა საწყალს?!. მართალია, ფრონტზე არ იმყოფება, მაგრამ... რა ვიცი, კაცი ვართ..."

უკრაინის მეორე ფრონტი,
240-ე მსროლელი დივიზია".

ალექსანდრე ხაჯია ახე დაიღუპა:

მან თურმე დაიფინა, ენგურში უნდა ვიბანაო, ბევრი უშალეს, მაგრამ სტუმარმა მაინე თავისი გაიტანა, წავიდა მარტო, იბანავა ენგურში, „მეც შენთან, მწყარალო, ენგურის წყალო", — რაღაც ამოძყვა წყლიდან და ორიოდე დღეში გარდაიცვალა.

პოეტის სიკვდილი ერთხელ კიდევ გვაგონებს იმ ბეშმარიტებას, რომ სიკვდილსა და სიცოცხლეს ყოველგვარ ვითარებაში აქვს, ერთმანეთთან განიწუყვეტელი ომი.

ალექსანდრე ხაჯია დაიბადა ზუგდიდის რაიონში, სოფელ ლეგდგებიეში (ოდიშში), ამ სოფლის ყველაზე ლამაზი კუთხე მისი სახაფლოოა! ლეგდგებიეს გორაკზე გაშენებული სახაფლაო ახოვანი ცაცვებით არის შემორიგებული. იმ ცაცვების ძირშია გაჭრილი პოეტის საფლავი.

მეოთხველს, ალბათ, ავგონდება ხაჯიას მშვენიერი ლექსი „ცაცვნი". ავგონდება სტროფნები სხვა ლექსებიდან, რაც მიანიშნებს პოეტის ნაადრევ გარდაცვალებაზე და ეძებს ერთგვარ გამართლებას და მიზეზს, რომ პოეტი მაინცდამაინც ადრე უნდა გარდაცვლილიყო. კაცთა ცნობიერებაში პოეტს თითქოს კიდევაც უნდება ნაადრევი სიკვდილი. აკი თვითონვე გვეუბნება:

მე მიყვარს ეს ნაზი სიშორე
და სიახლოვე მძულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეც მოხდა. დიდი საყვარულისათვის ემზადებოდა და შეუყვარებული მიუვიდა სიყვდილს:

წელს უთუოდ წერწეტა ლერწამს
შევუყვარდები.

ყველაზე მეტად, ალბათ, გამზრდელი დედის ხატი ჰქონდა აკვიატებული სიკვდილის წინ:

მზე მთის საფარს ეფარება,
ეზოს მწუხრი ეპარება
და ჩრდილები ხეთა

ფერად ნისლში იძირება,
აივნიდან იმზირება
მოწყენილი დედა.

ესაა გამზრდელი ქალის მარადიული ხატი.

ქალი (დედა) მუდამ შინ არის, კაცი მუდამ გარეთ, ვაჟი მუდამ გარეთ, და არის მარადიული მოლოდინი:

გარდაიცვალა ვაჟი.
გარდაიცვალა დედა.
მაგრამ მოლოდინი დარჩა.

ახლა სხვა დედა ელოდება თავის ვაჟს, მერე სხვა დედა დაელოდება თავის ვაჟს და ასე იქნება დაუსრულებლივ, ტარიელ ჭანტურიას გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, ვიდრე ერთი დედა და ერთი ვაჟი მაინც დარჩება დედამიწაზე.

ალექსანდრე საჯაია ახლა 70 წლისაა.

კი არ იქნებოდა, როგორც ვიცით თქმა, არაშედ — არის, არც მეტი. არც — ნაკლები. იქნება ცხოვრება და პოეტსაც მოემატება ხანი. 80-ისა გახდება, 90-ისა, 100-ისა, 200-ისა, რადგან მის მიერ ჩახატულ სურათებს, თუმცა დრო გადის, ფერი არ ეცვლება, არ ბუნდება და არ იკარგება.

პოეტის ალბომი დღესაც იზიდავს მკითხველს და ეკიდია ეკიდია ეკიდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ მხატვრული სახისათვის

ძველმა ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვინახეს ქართული სულიერი კულტურის უძველესი ძეგლი — „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებლისა. ამ მრავალმხრივ საინტერესო ნაგალობელმა მკვლევართა უურადღება ადრიდანვე მიიქცია. ნაგალობლის იდეური და მხატვრული შინაარსის რაობაზე უურადღება გამახვილდა მისი პირველი პუბლიკაციისთანავე (1865 წ.) და მას შემდეგ ინტერესი ამ ძეგლისადმი შეუწყვეტლად იზრდება. ეს ინტერესი განსაზღვრულია პირველი რიგში იმით, რომ ნაგალობელი ეკუთვნის საქართველოს უდიდეს მეფეს დავით აღმაშენებელს, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდარულ პიროვნებად. შემდეგ: „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა შინაარსითა და მაღალმხატვრული ფორმით იმდროინდელი ეპოქის იდეოლოგიური და ესთეტიკური მრწამსის სრული გამოხატულებაა. იგი ვეთვალისწინებს ქართული მიმნოგრაფიის განვითარების მაღალ საფეხურს.

ამჯერად ჩვენ წამოვაჭიოთ კითხვას: რა განსაზღვრავს „გალობანის“ ემოციური ზემოქმედების ძალას, რა შეადგენს მისი მხატვრული სახის სპეციფიკას? ასეთი კითხვები დღემდე არ დასმულა დავითის ნაგალობლის განხილვისას.

ლიტერატურისმცოდნეობაში მხატვრული სახის ცნება ჯერ კიდევ არ არის სასურველი სიზუსტით დადგენილი. მისი შინაარსი მეტად ფართოდ მოიაზრება და შესაბამისად სხვადასხვაგვარ კონტექსტში გვხვდება. მხატვრულ სახეს უწოდებენ ტრაქთი შემქნილ ხატს, პერსონაჟის ხასიათით განსაზღვრულ შთაბეჭდილებას, მოკლედებით და სიტყვიერი ალმოცენებულ განწყობილებას და სხვ. სახე შეიძლება იყოს მიმეტური ხასიათისა, ე. ი. ზუსტად ასახავდეს საგანს, შეიძლება სიმბოლური, რამდენადმე პირობითი ხასიათისა იყოს და შემოქმედი მიანშენიშდეს აღსანიშნავ.

მხატვრულ სახეზე საუბრისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი ზოგადი შინაარსი. კერძოდ, მხატვრულ სახეში გვულისხმობთ წაკითხვით აღძრულ შთაბეჭდილებას, რომელიც ერთიანებს, კრავს, ნაწარმოების ყველა კომპონენტს, ჩვენ ეიკვლევთ მხატვრულ სახეს, ვითარცა იმ განწყობილებას, რომელიც რჩება ჩვენში ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ.

„გალობანი სინანულისანი“ მსოფლმხედველობრივი საკითხების კვლევისას ნათელი გახდა, რომ ძეგლში ასახული შესაბამისი ეპოქის შეხედულებები სამყაროსა და ადამიანის, ცოდვის, ესჯატოლოგიის, სინანულისა თუ ქრისტიანული კონცეფციის სხვა საკითხებზე. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ნაგალობლის თითოეული ფრაზა კონკრეტული კაეშარშია ძველი თუ ახალი ალთქმის ისტორიასთან და ამა თუ იმ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ პრობლემასთან. ზმრრაფ რომელიმე ადგილის შინაარსის გაგება შეუძლებელიც კი ხდება თეოლოგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების გარეშეულ დებულებათა გათვალისწინების გარეშე.

დასმული კითხვა, აღნიშნული გარემოება ხომ არ ქმნის საფუძველს „გალობანი სინანულისანი“ მივიჩნიოთ ფილოსოფიურ-რელიგიურ ტრაქტატად, ხოლო მკითხველზე მისი ზემოქმედების საშუალებანი ჩავთვალოთ მხატვრულ ღირებულებას მოკლებულად? კითხვას იმოავიოვე უარყოფითად უპასუხებს მკითხველზე ძეგლის ემოციური ზემოქმედების ფაქტი. „გალობანის“ მიზანია, გაღმოგვაშფოთს არა ეპოქაში არსებული იდეები სამყაროსა და ადამიანის მიმართებათა საკითხებზე, არამედ ავტორის სულიერი მდგომარეობა, მისი განცდები. „გალობანში“ ფილოსოფიური საკითხები აღძრულია იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ღირიკული ფრაზის შინაგანი სამყაროს წარმოსაჩენად.

რა განსაზღვრავს „გალობანი სინანულისანის“ მხატვრულ სპეციფიკას? რა ხასიათისა მისი მხატვრული სახე? როგორია მკითხველზე ძეგლის ემოციური ზემოქმედების საშუალებანი?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, უნდა გავისხენოთ შემდეგი გარემოება: როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ხელოვნებისა და ლიტერატურის ერთი არსებითი ნიშანი რელიგიურობაა. ი. ლოტმანი გამაჩვენს ტექსტების პოლიფუნქციურობას და მიიჩნევს, რომ ეს ფუნქციები მხოლოდ ერთიანობაში აღწევს სასურველ ეფექტს. მაგალითისათვის იგი განიხილავს ხატს, რომელიც აღიქმება როგორც რელიგიური ტექსტი. ხატმა თავისი სოციალური ფუნქცია რომ შეასრულოს, იგი ხელოვნების ნიმუშიც

უნდა იყოს და პირუკუ: ხატი ხელოვნების ნიშუშდა რომ აღიქვა, რელიგიური ფუნქციისაც უნდა ასრულებდეს. ამიტომ მისი გადაკვეთა ბუზუეშში (ამასთანავე, გარკვეული აზრით მაყურებლის რელიგიური გრძნობისგან დაცლა), უკვე არსვლებ ტექსტისთვის ისტორიულად დამახასიათებელი ორი ხაზოგადოებრივი ფუნქციის ერთიანობის ეფექტს (პოეტური ტექსტის ანალიზი, ლ., 1972, გვ. 7. რუს. ენაზე).

სასუფიერო პოეზიის ნიშუშების ანალიზისას მკვლევარი ორგზის ავიწროებს მკითხველზე ნაწარმოების ესთეტიკური ზემოქმედების არეს. ჯერ ერთი, მას გამოცალკეევებს რელიგიური ატმოსფეროდან, მიმნი კი, როგორც ამას ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ალიარებული სპეციალისტი ე. ველეში შენიშნავს, თავისი ეგზალტრირებული და ესკატოლოგიური ტონალობით სათანადო განწყობილებას უქმნის მსმენელს ღვთიმსახურების საზეიმო განწყობილებასა და ხატებისადან მიღებულ შთაბეჭდილებებთან ერთად. მეორე მხრივ, დღეს მედიეისტი ტექსტს განიხილავს მუსიკალური ხმოვანების გარეშე. ჰიმნის ფუნქცია კი სრულად მხოლოდ გალობით გამჰიანენის ვლინდება. ზუსასუფენობრივი რწმენით, „მუსიკა (ან მელოდია) აღმოცენდა როგორც სულის გარკვეული მდგომარეობის ასახვა და თავის მხრივ, იგი ზემოქმედებს სულზე მისი მოძრაობის წარმართვით". ე. ი. მუსიკა, ერთი მხრივ, ჯვეელინება როგორც ნიშანი — სიმბოლო გარკვეული სუბსტრატისა, მეორე მხრივ, იგი ეთიკური ღირებულების მატარებელია. საგალობლის მელოდიას ეს ორივე ნიშანი აქვს.

დავით აღმაშენებლის სინანულის საგალობლის ზემოქმედება მკითხველზე სათაურიდანვე იწყება.* სათაურის აღქმისას მკითხველი (ვგულისხმობთ თანამედროვე მკითხველს) ერთბაშად სცდილება ორდინალურს და მას პოეტური განწყობილება წინასწარ ეუფლება. ის გარეშოდა რომ „გალობანი სინანულისანი" სასულიერო პოეზიის არა ერთ ძეგლს ეწოდება, ეთითარებს არ ცვლის. ორიგინალობა ყოველთვის არ თაშაშობს გადამწყვეტ როლს მკითხველზე ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ფუძე საუფუნეების ლიტერატურულ ფაქტს. ეტაკიეტ ბუტომა, სტერეოტიპულობა, ტრადიციულობა რომ ამ ლიტერატურის არსებითი ნიშნებია!

კონკრეტულ შემთხვევაში სათაურის ზეგავლენის ინტენსივობას აძლიერებს ის, რომ ძეგლი დავით აღმაშენებელს ეკუთვნის. მკითხველი, რომელის წარმოდგენაში საკრთველოს დიდი მეფე შემოსილია უკრობი შარავანდედით, „გალობანისადმი" ინსპეალება ერთგვარი გაოცებით და კმეფით. აღნიშნული მომენტები უალრესი გამომსახველობითაა აღბეჭდილი ანა კალანდაძის შემდეგ სტრიქონებში:

„— ასეთი ცოდვა რა გაქვს მეფეო,
მიუტევები?
ღირს მსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწე იგი „ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე"...
თუ... ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვიერი ხარ, მაშინ, მეფეო,
რაღა ჭქნან ცოდვიერ
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის,
ვერსთან მპოველთა"
(... ფეხი დამადგი, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან" 1959 წ.).

---

* სავსებით მართებულად გამამახელა ყურადღება ახალგაზრდა მკვლევარმა ზ. ჯაკვეთაძემ, რომ „გალობანი" კანონს ნიშნავს და რომ ის არ არის ნაწარმოების სათაური, ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით („დავით აღმაშენებლის ფსალმანი", ყურნ. „ცისკარი", 1984, № 10). მეტსაც დავსძენთ: სათაური საერთოდ არ იცის ძველმა ქართულმა სასულიერო მწერლობამ. არც „წმამები წმინდისა შუშანეკისი", არც „ცხოვრება გრიგოლ ხანეთელისა", არც „მოქცევაი ქართლისაი" არის ჩვეულებრივი სათაური.

მედიევალურ მწერლობას, ძველ მწერლებებს რომ ალარ გადავწვდეთ, თავისებური გაგება აქვს სათაურისა. ტექსტის ზედწარწერები უმთავრესად ლიტერატურულ ანარეკლ, ლიტერატურულ სახეზე მიუთითებდნენ. მკითხველს, უფრო სწორედ მსმენელს, თავიდანვე განესაზღვრავდნენ, რასთან უნდა დაამყარონ მიმართება „მარტვილობასთან", „ცხოვრებასთან", „ქებასთან", „გალობასთან" თუ „მატეანესთან".

სათაურისთვის განსაკუთრებული მხატვრული ფუნქციის მინიჭება ქართულ სინამდვილეში საერო მწერლობასთანაა დაკავშირებული. მხედველობაში გვაქვს რუსთველის პოემის ნენაალური დასათაურება, რომელსაც ხალხური „ტარიელიანისაგან" განსხვავებით ღრმა ესთეტიკური დატვირთვა აქვს.

თუ ჩვენ ჰაგიოგრაფიული თუ ჰიმნოგრაფიული ხასიათის თხზულებათა ზედწარწერებს მაინც სათაურს ვუწოდებთ, იმიტომ, რომ ამ ძეგლებს სხვა სახელწოდება არა აქვს (ზ. ჯაკვეთაძის შენიშვნა, რომ „გალობანი სინანულისანი" ისეთივე სათაურია, როგორც ვთქვათ, „სათავგადასავლო რომანი", „ფანტასტიკური მოთხრობა" და მისთანანი — არ არის მართებული, ლიტერატურული პროცესის სხვადასხვა ეტაპზე აღმოცენებულ ამ ჟანრის თხზულებებს, როგორც წესი, თავისი საკუთარი სახელწოდებაც აქვს.

ასეთია ის ემოცია, რომელიც მეთხველს ჯერ კიდევ ნაწარმოების პირველი აღქმისას უჩნდება. იგი ერთბაშად ფუღდება მეთხველს და მისგან განსაკუთრებულ შემოქმედებით აქტიოვობას არ მოითხოვს, სამაგიეროდ „ბალლანსის“ მხატვრული შინაარსის შემდგომი. წვდომა აღარ ხდება ერთბაშად, პირიქით, იგი ნაწარმოების მხოლოდ ღრმა და მრავალმხრივი შესწავლის შედეგად ხორციელდება. ალნშნული გარემოებას აპირობებს მხატვრული ტექსტის „პოლიფონიურობა“ და „სქემატურობა“. „პოლიფონიურობას“ წარმოქმნის ნაწარმოების ორი განზომილება: კითხვისან ტექსტს, ერთი მხრივ, მივყვებით დასაწყისი სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე, ხოლო, მეორე მხრივ, ყოველ ცალკეულ ნაწილში ვეხებით ერთმანეთისაგან განსხვავებულ, მაგრამ ამავე დროს შეიღრიდ ურთიერთშეკავშირებულ კომპონენტთა გარკვეულ შრეებს, ნაწარმოების „სქემატურობა“ კი გამოწვეულია მასში გადმოცემული მხატვრული შინაარსის არასრული განსაზღვრულობით, რაც მეთხველისაგან საჭიროებს ერთგვარ შეეხებას.* ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების შინაარსი, საზოგადოდ, მის კონკრეტულ გამოხატულებაზე გაცილებით ფართო და ღრმა რომ არის, ამას სხვადასხვა ფორმით ესთეტიკური აზროვნების განვითარების ყოველ საფეხურზე აღნიშნავდნენ. მხატვრულ ნაწარმოებში „ყოველი გარკვეული განსაზღვრა — წერდა შილერი — აღქმება, როგორც თავშეშალულნი ბორკილი, რადგან ესთეტიკური იდეების მიმზიდველობა სწორედ ამაშია, რომ ჩვენ ვღრმავდებით მის შინაარსში, ვითარცა უსაზღვროებაში“.

„ბალლანსის სინანულისანი“ ფილოსოფიური ლირიკის ჟანრის შეიძლება მივაკუთვნოთ. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი მხატვრული „აღქმა“ მეთხველისაგან თანაბაზროვნებასაც მოითხოვს. მეთხველი უნდა მიმსგავსებოდეს ავტორს სიბას, უნდა ჩასწვდეს და ბოლომდე შეიკვლოს იგი. ამ თვალსაზრისით დღევანდელი მეთხველისთვის განსაკუთრებულ სიძნელეს ის გარემოება ქმნის, რომ ძველი ჩვენგან დაცილებულ ეპოქაშია შექმნილი და მეთხველისათვის საეცაილური განათლებაც კი საჭირო, რათა მიაღწიოს ავტორს.

დაისმის კითხვა, რა შეიდგენს „ბალლანსის“ მხატვრულ სახეს და რა საფუძველზეა იგი აღმოცენებული?

დავითის განცდათა შინაარსი, როგორც ამას ძეგლის სახელდებაც მიუთითებს, არის სინანულით გამოწვეული ადამიანის ცოდვილი ბუნების შეგნებით. ალნშნული განცდა თავისთავად მოკლებულია პოეტურობას, ე. ი. ამ განცდაში ესთეტიკური არაფერი, ან თითქმის არაფერი არ არის. მართლაც, მხოლოდ ამ განცდის ახსნა რომ იყო ხელოვნების ნაწარმოების შესაქმნელად საკმარისი, ლიტერატურაულ პრაქტიკაში დადასტურებული ყოველი აღსარება მხატვრული შემოქმედების ფაქტი იქნებოდა.

მართალია, დავთი აღმაშენებლის „ბალლანსის სინანულისანი“ აბარეზეა ერთგვარი „ფსიქოლოგიური დოკუმენტის“ ხასიათს. იგი გადმოგვცემს კონკრეტული პიროვნების კონკრეტულ განცდებს, მაგრამ პოეტური წარმოსახვის არსებითი ნიშანი სწორედ ისაა, რომ ჭაკ ეს განცდები წარმოგვიდგება არა უშუალოდ, ფაქტობრივი ფორმის წესით, არამედ თავის ამალელული, იდეალური ფორმით. მიუთითებენ, რომ როდესაც ოსიანი მოგვითხრობს გარდასულ დღეებსა და ამირებზე, მისი პოეტური ძალა მოგონებათა ამ სახეებს აქცევს იდეალებად, ხოლო ბმირებს — ღმერთებად, წინასწარმეტყველებად. ეს შემნილი შთაბეჭდილება კი საყოველთაო წარმომავლობის იდეამდე ფარეოფდეს.

დავთის სინანული უნდა განისაზღვროს არა ავტორის ბიოგრაფიის დეტალებით, არამედ ამ ზოგადი ქრისტიანული იდეით, რომელის თანაბამადაც ყოველი ადამიანი ცოდვილია. დავთი საკუთარი პიროვნების ფართო გაგებიდან ამოდის და თავის თავს უფურებს როგორც პირველი ადამიანის შთამომავალს. იგი თავის ცოდვათა დასაბამს პირველცოდვის კოსმიურ ფაქტში ხედავს და ცოდვილობას ხსნის ზოგად საფუძველზე, როგორც ადამიანის დაცდენას ღვთაებისაგან, პირველსახისაგან, უმაღლესი მეხაგან. ქეელი ფილოსოფიურ და რელიგიური შეხედულებების თანახმად ადამიანი პირველცოდვის გამო დაშორდა „პირველსახეს“, „ღვთაებრივ ადამიანს“, „ზეციურ კაცს“, „ადამ კადმონს“, ხოლო პირველსახისაგან დაშორება გაბდა საფუძველი ადამიანის შემდგომი დაცემისა და ცოდვათა გამრავლებისა. კაცთა მოდგმის ეკო-

---

რაც შეეხება, „ბალლანსის სინანულისანის“ თარგმნას როგორც Покаянное песпопение (ამასაც შენიშნავს ზ. ჯაკეზაძე), ჩვენ სრულიად გარკვეული მოსაზრებით ანგარიში გავუწიეთ ტრადიციას, თუმეცა, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მეცნიერი მართალია, („ბალლანსანი“ ნიშნავს, არც „მეტი არც ნაკლები, კანონს, რაზეც ჩვენც არა ერთხელ მიეუთითებთ ჩვენს ნაშრომში.

*ეს საკითხები წამოჭრილია და გაანალიზებულია პოლონელი ესთეტიკოსის რომან ინგარდენის ნაშრომში Исследования по эстетике М, 1962. წინასიტყვაობის ავტორის ვ. რაზუმნის მართებული შენიშვნით, „სქემატურობა“, რომლითაც ავტორი სიტყვიერი სახის არასრულ განსაზღვრულობას აღნიშნავს, ნაკლებად მოსაზრებელი ტერმინია (იხ. დასახ. წგნი, გვ. 14) ვ. რაზუმნის თანხმადეგ, რ. ინგარდენის ესთეტიკურ ნაზრეკეში რიგ სხვა პრობლემებთან ერთად არსებითი მნიშვნელობისაა საკითხები სწორედ ნაწარმოების „პოლიფონიურობისა“ და „სქემატურობის“ შესახებ.

. ლუცეის მიზანი „პირველ სახესთან“ კვლავ დაბრუნებაა.

„გალობანი სინანულისანის“ მხატვრული სახე იკვეთება ნაწარმოების ლირიკულ გმირში, კერძოდ, სინანულს შიცემული პიროვნების შინაგან მარმონიაში. ერთი შეხედვით, „გალობანი“ თითქოს სრულიად სხვა სურათს ხატავს. ადამიანი განიცდის თავის შეცოდებებს, თავს ადარებს კაცობრიობის ყველაზე დიდ ცოდვილებს, არ არსებობს დანაშაული, რომელიც არ აშფოთებდეს მის სულს, განკითხვის დღეზე წარდგომა გარდუვალია, აქ ყველაფერი განცხადდება უზენაესის წინაშე, სასჯელი ჩადენილ ცოდვათა წილ უმკაცრესია. სად არის აქ მარმონია და შინაგანი წონასწორობა? პირიქით, ასეთ ვითარებაში თითქოს სასოწარმკვეთი შიში და საკუთარი დაკნინების გრძნობაა წარმმართველი. მაგრამ ეურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ მართალია „გალობანის“ ლირიკული გმირი აქვეყნიური ადამიანია თავის შეცოდებებით და ტკივილებით, მაგრამ მასში, როგორც ამას სინანულის აქტი გულისხმობს, უკვე გაღვიძებულია „ახალი ადამიანი“, რომელიც შინაგან მარმონიაშია პიროვლსახესთან. მზოლოდ ასეთი ადამიანი ხდის შესაძლებელს, ადამიანმა საპატიროს გმოიტანოს უნტბიერესი განცდები. უმაღლეს იდეალთან ქვენა ბუნების დინონანსი საგრძნობი ხდება იდეის სრული ჭვდიმის, ე. ი. მახთან გაიგივების შემწეობით. ადამიანი ჯერ უნდა ამაღლებს საკუთარ თავზე და შემდეგ შეიფასოს ილი. ამბტომაა, რომ „გალობანის“ გმირი თავის შეცოდებთა ტყვე კი არ არის, არამედ მათი განმგებელია. ცოდვათა შეგნებით უკვე დაძლეულია ცოდვა. სულიერი საწყისი შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევის გზით ზემიმის ხორციელზე. ადამიანში მყარდება სრული წონასწორობა იდეალურსა და რეალურს, სულიერსა და გრძნობად ზორის, ლირიკული გმირის შინაგანი არსება პარმონიული.

„გალობანი სინანულისანის“ მხატვრული შინაარსი ავტორის სუბიექტური განცდაა. დავითი მთელი ძველის ბანძალნი საკუთარ პიროვნებას ეხება, თავისი სულის ბოძრაობას გადმოგვცემს. „გალობათა ტეტრტის“ პიროველი გამომცემლის გ. ხელიძის აზრით, სწორედ ნაწარმოებში გამოთქმული ვეარგვინოსანი მეფისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელი ზოგი ანრიის და გრძნობის გამო, „მიეცა ესე დავიწყებასაცა და არ დახეგდილა სწორედ სინანულის საგალობლებში, რომელნიცა ითავეზან ჩუენს სიყალიონო წიგნებში და განსაკუთრებით კურთხევანში ამ სახელით: პარაკლისი აღმსარებელსა ზედა,— რადგან ეხენი შეეხებიან და ეკუთვნიან არა მხოლოდ მეფეთა და მეთაურთა, არამედ ყოველთა ქრისტიანეთა — მაგრამ და მდედრთა“.

ამბტომ არ უნდა იყოს მართებული სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს „გალობანი სინანულისანის“ ავტორი გვეკითხება ხიერთოდ კაცობრიობის ადამიანს თავსმდებად“. მ. კაკაბაე შემდეგნაირად მსჯელობს: „ის ზოგ მეფეა, მფლობელი და პატრონი ადამიანია ქვეყნად, ამიტომ ბალმთან ერთად ყველა უბედურებას, იმათ ცოდვებს ეზიარება. მისგან მოდის ცოდვა და მასშია ყველა ცოდვა. როგორც მეფე და როგორც ადამიანი კისრად ვიღებ ყველა ადამიანურ ცოდვას, რაც კი კაცობრიობამ იცისო.“

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ დავითის მიერ თავის დამდაბლების ის უკიდურესი ფორმა, რომელიც ახასიათი „საგალობელში“ და აგრეთვე მიხსავე ანდერძებში, გამორიცხავს დავითის მიერ თავის დასახვას კაცობრიობის ცოდვათა თავსმდებად. დავითი თავისი თავის უმკაცრესი მსაჯეთა და თვითონ გრძნობს თავს ცოდვილთა შორის უცოდველესად. „გალობათა“ მხატვრული სიძლიერე სწორედ იმითაა განსაზღვრული, რომ ინდივიდუალური განცდა ამაღლებულია ზოგადაკაცობრიო ტკივილამდე. ავტორი თავისი ცოდვების ჩამოთვლისას კონკრეტულობას აცილის და განზოგადებულ ხასიათის ანაკეთს ბაძ. ამიტომ ბოიმბოს ბიბლიას, აცოცხლებს ძველი და ახალი ალიქმის მაგალითებს და აკავშირ პარალელს საკუთარ ცოდვებთან.

გარდასულ ცოდვათა გახსენებით დავითი, ერთი მხრივ, წამოსწევს ადამიანის დაცემის ბიბლიურ ისტორიას, მეორე მხრივ, ეს საშუალებას აძლევს უმკაცრესად განსაჯოს თავისი თავი. დავითის სულის ისტორია არის ისტორია ყოველი ადამიანისა და ადამიანის დაცემის ზოგადი ისტორია არის დავითის პირადი ისტორიაც. ასე უნდა შეთავსდეს ერთმანეთთან დავითის საგალობელში მოცემული ცოდვისა და სინანულის საკაცობრიო გაგება პირადი ბიწიერების გრძნობასთან.

რაც შეეხება დავითის მიერ დასახელებული ყოველი ცოდვის კონკრეტულ-ისტორიული საფუძვლის ძიებას, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მხატვრული ნაწარმოების გასაზრებელად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მათ გამოვლენას, მეცნიერებას დღეს არ შეუძლია ამ რიგის კითხვებზე პასუხის გაცემა. რადგან ისტორიული წყაროები და დოკუმენტები ჩვენთვის სანინტერესო თვალსაზრისით დიდად სხვაობენ. დავითის ანდერძებსა და საგალობელში გაისმის საკუთარი ბიწიერების შეგნებით ქედდახრილი მეფის ვედრება. „მილოცონ ეხონი; უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი ხიურთისა და ცთომილებისანი“ (დავითის ანდერძის შიოდგენის მოსსაბრძოლიდნ). „უკადავი და დიდების მოყუარე და მეფეთანა ტრფიალი მეფეა ბუნებაა, და არა-მიოდეს მოვიკლენენდა დღეს ამის სამარადისოდ საფლავად მისლვისა ჩემისანა და ვერ უძლე დატეგებად საწყოთანა,

ვიდრე არა დამიტეხეს საუფლოთან და დამმიმეს-ბული ცოდვათა სიმრავლითა მწუხარედ განშიეავნე წინაშე მსაჯულისა (დავით ალმაშენებლის ანდერძი 1125 წლისა). — „ეე ვარ უფსკრული შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ“ „უფროჲ ყოველთა ვცო

“ — გოდებს დავითი თავის სინანულის საგალობელში.

დავით მეფის ისტორიკოსი კი, როგორც ეს საერთოდაა დამახასიათებელი შუა საუკუნეთა მატიანეების ფრიუნტერი ტალღისათვის, დიდ მეფეს წარმოგვიდგენს როგორც ყოვლად უბიწო, შინაგანად განსაკაკებულ და ზნეჰრსულ ადამიან. მატიანეში დავითის ზოგად დახასიათებასთან ერთად კონკრეტული ფაქტების წარმოჩენით მეფის ბრავალი კონკრეტული ოვისება გაკუნოველებული. გავიხსენოთ, მაგალითად, რომ დავით მეფე ძმმე სენით დაავადებულის ხილვისას „ცრემლით ფალტაბდა ღაწვთა თვისთა“. ბრავალმხრივ საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ დავითის „ქელთა თჳსთა ნადირებული“, ე. ი. თავისი ხელით, თავისი ბრძოლი მოპოვებული ფუალი ჰქონდა ქისაკში და ყოველდღე გასცემდა ხამოვარის გვარიკეფილთათვის. ხოლო თუ ოდესმე ვერავის ნახავდა დასაბოლოველნილად, ბძმიედ განიცდიდა და სულთქმით იტყოდა: „ადღესა ვერ ბოეიც ქრისტესა მარცხებითია ჩემთა ციდგათოთა“. ერთგან ფემიტიანე პათეტიურად დასძენს: „ვინ ალრიცხუნეს ტუფენი, რომელნი მან განათავისუფლნეს და რომელნი უკუმოეკსნნეს თჳსთა ყივრიალთაგან ფასითთან ვინ ჭერეოვნად წარმოთქუნეს ცამეთის პურობანი მონაზონთანი, ხიმღალნი შემოსეეკვანი და მოკეთხვანი, და სიყვარულით შეწყანარებანი მათნი. თჳოოიულისა ნაგნა ფა ხაკმარნი, რომელთა უზრუნველეთ ყანის ყოველთანა საგრძოთაგან“. ასეთი ბალეთეთების ბოსმოობა „ქართლის ცხოვრებიდან“ კიდეე შეიძლება.

დავითის ფემიტიანე იმასაც მოგვითხრობს, რომ მეფის პიროვნებასა და მოღვაწეობას ყველა ერთნაირად არ აფასებდა, მაგალითად, „ზოგი ამას ჩიოდა, რომ დღენიადაგ ლაშქრობაშია და მოსვენებას არ გვაძლევსო, ზოგი საყვედურს გამოთქვამდა: „შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო, და კუალად მოიყფანნის ვინმე და დაამტირნინო, ეხე ადამი

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ქრისტიანული ეთიკით, ცოდვათა შორის ხარისხობრივი სხვაობა არ არის მნიშვნელოვანი. იოანე ოქროპირის თანაზმად, „უკუეთუ ბაბარილი არა ჭრარსებულ და სამარადისო არა მიხცეულ, არს იგი პირველ ბოროტობა; და უკუეთუ რაღმე განსაცოდნო უფროს ფასისა თუსნაა, არს იგი მოტაცება. და უკუეთუ სო�p, არა კაცმეკლავს, ბეტყუ ?ენ: უკუეთუ ფიალ-ბოენ, და სამარილი არა გაბმბენ კაცის-ყლვა არს ეხე". მაშასადამე, აღნიშნული მსჯელობით, სიმართლის ღალატი იგივე ქურდობაა, კაცის უსამართლოდ განსჯა — კაცისმკვლელობა. „ვალობანნიი" არის პირდაპირი მითითება, რომ იგი ეკლესიისა ერთი შეხედვით თითქოს სრულიად განსხვავებულ ცოდვათა შორის. მაგალითად, დავით ალმაშენებელის სიტყვით, საუთარ ენებებს აყოლი კერპთაყვანისმცემლობას ნიშნავს, ვერცხლმოყვარეობა ისეთივე ძმიე ცოდვაა, როგორც წარმპოლოდ ღვთაებათა თაყვანება და ა. შ.

საკუთარ პიროვნებაში ცოდვათა ახეთი ნიუანსების დანახვა და ამის გამო წუხილი მხოლოდ ზნეობრივად მაღალი ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი, ისათვის, ვინა ცხოვრებაე უბიწოებისა და სისპეტაკის მაგალითის ასახიერებს კაცობრობისათვის. სწორედ ეფრემ ასური, იოანე ოქროპირი, პეტრე ქართველი და მათი მსგავსი ადამიანები განიცდიან, თითქოს მათი ცოდვანი „უფრიალ ?ჟ"ნის ზღვისა ანაან, უმრავლეს ცუართა ცისათა არიან, უფრიალ ყოველთა კაცთა არიან".

ჩვენ კვლავ იმ თვალსაზრისს ვაღიგვართ, რომ ამგვარ ადამიანთა მოიგრაფიაში ესმიებელია არა რაიმე მწვავე და უკიღურესი შეცდომები, არამედ ჩაღენილ შეცოდებათა შეგნების არარეფლებრივი უნარი და მაღალი ეთიკური მრწამსი. დავით ალმაშენებელს „გალობანნს" ძლიერი სუბიექტური განცდა უდგეს საფუძველად. მაგრამ დავითის სინდიანი, როგორც აღვნიშნეთ, ამაღლებულია საზოგადოებრივ შეგნებამდე და მეფის ღალადი თავის ცოდვილ ბუნებასა და ზოგად კათარნისზე საზოგადოებრივ რეზონანს იღებს. ამით ემსგავსება „გალობანნი" ბიბლიური დავითის „ფსალმუნებს". ცნობილია, რომ „დავითნის" ბევრ გალობას კონკრეტული ფაქტი უდგეს საფუძვლად. მაგალითად, 50-ე ფსალმუნის შედგარნერი გვამცნობს, რომ გალობა გამოწვეულია ნათანს მიერ დავითის მხილებით ბერსაბესთან ძმიე შეცოდების გამო. მაგრამ 50-ე ფსალმუნი დარჩა სინანულის ზოგად გამოხატულებად და მის თემაზე მრავალი ლიტურგიული კანონი შეიქმნა. მათ შორის ანდრია კრიტელის „დიდი კანონიც". „ფსალმუნნი" ყოველი ადამიანის სუბიექტური რელიგიური განცდის გამომხატველად იქცა და როგორც ათანასე ალექსანდრიელი იტყვის, ფსალმუნთა მეოხებით „კაცი ეგო ღმერთსა ჰბრძანებენ თუსი გონებისთა და ღმერთი — კაცსა".

დავით ალმაშენებლის „გალობანნი სინანულთანნ" ნეტარი აგუსტინეს „აღსარების" მსგავსად ადამიანის სულს ღმრთა სწყდება და საკუთარი პიროვნების ამაღლებისა და სრულქმნისაკენ სწრაფვის სურვილს ბადებს. პეტრარკას შესახებ მიუთითებენ, რომ იგი ნეტარი აგუსტინეს აღსარების მიიჩნევდა თავის საკუთარ ცთომეებთა ამსახველ თხრობად, ოღონდ თვითონ ჭერ კვლავ მშფოთვარე საუაროში იყო, ნეტარ აგუსტინეს კი მოპოვებული ჰქონდა წყნარი ნაუსაუოდელი (ა. ვესელოვსკი).

„გალობანი სინანულისანნ" მსგავსული ბაბის გამოკვეთილს შემდეგ, ნაჩვენები უნდა იქნას, რა მსგავსული საშუალებებითაა განხორციელებული იგი, ე. ი. როგორ ერწყმის ალმაშენელი მსგავსული შინაარსი ფორმას, რა კომპონენტები გამოიყოფა მისი რეალიზაციისას.

ამ რიგის საკითხების ანალიზისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქრისტიანული მწერლობის ძირითადი სპეციფიკა, რომელიც ყველისნნ „გალობათა" მსგავსად-გამომსახველობითნი ხერხების ერთგვარ ერთფეროვნებას.

ქრისტიანულმა ხელოვნებამ, რომელიც ანტიკურობასთან დაპირისპირების საფუძველზე აღმოცენდა, გამოსახვის ერთადერთ ობიექტად ადამიანის შინაგანი სამყარო გაიხადა. ანტიკურ ხელოვნებაში სინამდვილე თუ წარმოდგენილი იყო იდეალურისა და რეალურის ერთიანობაში, ანტიკური სამყაროს ადამიანში თუ განურჩეველი იყო ზოგადი და კერძო ასპექტები, ქრისტიანობამ ადამიანს აგრძნობინა, რომ მასში არსებობს გარეშისაგან დამოუკიდებელი არანაკლებ მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი სამყარო. ადამიანი დაუპირისპირდა ზოგადს. ქრისტიანული ხელოვნების მთელი შინაარსი, როგორც ბეგელი შენიშნავს, კონკურირებულია სულის შინაგან ცხოვრებაზე, გრძნობაზე, წარმოდგენაზე, სამშვინველზე, რომელიც ელტვის ეიმშრარტებასთან შეერთებას, ეძიებს და აღწევს ღვთიერების წარმოშობას, მის დაცვას სუბიექტში და ამქვეყნად ეხენოფეს ანა ოამდენად მიზნებისა და საქმეების ამ ქვეყნისათვის განხორციელებას, რამდენადაც ეშურება არსებით პრობლემად აქციოს ადამიანის მხოლოდ შინაგანი ბრძოლა და მისი შერიგება ღმერთთან" (ესთეტიკა, 1969, 11, 33-239. რუს. ენაზე). შესაბამისად, აქ ფერმკრთალდება ბუნების ფენომენური დიდება. „ზღვეები, მთები, მდინარეები, მინდვრები, წყაროები, ფრო, ღამე, ისევე როგორც ბუნების საზოგადო პროცესებები, ამსოლუტან გამოხატვისა

და შინაარსის გვერდით კარგავენ თავის მნიშვნელობას" (იქვე).

სასულიერო მწერლობაში მზერა მიმართულია ზედროულისა და ზეესთეტიკულისაკენ. ხელოვანი ცდილობს ნაინმდვილის დეკონსტრუქციასა, განშოგადებას, ანსტარპირებას, აღნიშნულ მიზანს ექვემდებარება ლიტერატურული ნერხთა პოტიკაც. პროზაში, და მით უფრო პოეზიაში, მხატვრულ ფაქტურას მსგავლად განშოგადების ტენდენცია. ლექსემები იშვიათად ატარებენ ნომინატურ ხასიათს, ისინი საგნების წარმოჩენის ნაცვლად ამ საგანთა სულიერ ფასეულობას გვთხასიათებენ და მაშინაც კი, როცა გრძნობად-კონკრეტულს აღნიშნავენ, უპირატესად ამ კონკრეტულის მიღმა არსებულ აზრს წამოწევენ. ეს შუა საუკუნეების მხატვრული წარმოსახვის არსებითი ნიშანია. ამ სპეციფიკას ზუსტად განსაზღვრავს ე. აუერბახის შემდეგი მსჯელობა: „ღვთიგებამ მძინარე ადამის ნეკნისგან შექმნა პირველი ქალი, — ევა — ეს კონკრეტულია და თვალსაჩინო, სალდათმა განგაშია ქრისტეს სხეული, და ამ სხეულიდან წყეთავს სისხლი და წყალი, — ესეც თვალსაჩინო და კონკრეტულია. მაგრამ როდესაც თარგმანება ამ ორ მოვლენას აერთიანებს, როცა ჩვენ გვასწავლიან, რომ როგორც ადამის ჭრილობიდან დაიბადა ევა ხორციელი დედა კაცთა მოდგმისა, ასევე — ქრისტეს ჭრილობიდან იშვა ეკლესია, სულიერი დედა ცოცხალთა, რომ სისხლი და წყალი საიდუმლოს სიმბოლოებია, მაშინ ალეგორიული შინაარსით დათრგუნული გრძნობად-კონკრეტული სახე ქრება. ის, რასაც ალიქვამს მკითხველი და მსმენელი, — თვით მაყურებელიც, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ჭვრეტასა, ნაკლებად იწვევს გრძნობათ შთაბეჭდილებას. ინტერესი მთლიანად მიმართულია მნიშვნელობისაკენ, აზრით კონტექსტისაკენ" (მიმდინარე მ. 1976 გვ. 68).

აღნიშნული თვალსაზრისით „გალობანი სინანულისანი" მეტად საინტერესო სურათს გვიჩვენებს. იგი მთლიანად სულის შინაგანი მოძრაობის გამოხატვას ემსახურება. აქ არსად არ ჩნდება გარე სინამდვილე. მთელი ძეგლის მაწყინელნი ერთხელაც არ ისახება მხედველობიდან ხატი. მაშინაც კი, როდესაც დავთით აღწერს სამეაოოს გაჯეთხვის დღეს და მოუხმობს კონკრეტულ სახეებს, ჩვენს წინაშე წარმოიქმნება არა სურათი კისმიერი ხასიათისა, არამედ ამ სახეკლილი განსაზღვრული გრძნობა საშინელებისა. ასევე, დავთითის მიერ დასახელებული ბიბლიური ცოდვები კაენის მიერ ჩადენილი მკვლელობისა, თუ ხეთოის ძეთა ლირეულისა ფაქტებს კი არ გვიცოცხლებენ, არამედ მათთან დაკავშირებულ აზრთა წყებას აღძრავენ. „ღმერთო მსრბილო მდინარეო" მხედველობითი ხატის ფუნქციაზე მეტად მძიმე განცდის გამოსახატვის დანიშნულება აქვს.

შუა საუკუნეებში ყველა ქრისტიანი ადამიანი თავის მიმართვებს უზენაესისადმი გამოხატავდა მზა რელიგიური ფორმულებით, მხატვრული ლიტერატურაც უმთავრესად ეფუძნებოდა ამ რელიგიურ დოგმატურ ფრაზეოლოგიას თუ მზა სახეებსა და გამოთქმებს, მაგრამ დ. ლიხაჩოვის „მახვილგონიერებული დაკვირვებით, ეს ფორმულები ინარჩუნებენ პირველი მხატვრული მიგნების განუმეორებელ ნიშნებს. მრავალგზის წაკითხვა ლექსის მხატვრულ მიგნებას არ უკარგავს თავის ღირებულებას, გამეორებული ფორმულებიც ერთი ლექსის მრავალჯერ წაკითხვის დარია. „ტრადიციული ფორმულა თითქოს პატარა მხატვრული ნაწარმოებია".

„გალობანში" ტროპული მეტყველების ნიმუშები აშკიანია და ყველა, როგორც წესი, კვალდაკვალ მიჰყვება ბიბლიურ სახეებს, მათ ორიგინალობის პრეტენზია არა აქვთ.

მაინც რა შეადგენს „გალობანის" მხატვრული ფაქტურის ეფექტურ ბუტაკს?

ანტაგონიზმის შემდგომ აღმოცენებული ხელოვნების დახასიათებისას, რომელსაც მეგელი რომანტიკულს უწოდებს და რომლის უპირველეს გამოვლინებად მას მოაზრებული აქვს „რელიგიური სფერო ხელოვნებისა", შენიშნავს, რომ ეს ხელოვნება მუსიკალური, რადგან მის არსებით პრინციპად გვევლინება ყოველისმომცველობა, და სულის დაუცხრომლად მოქმედი სიღრმე, და ლირიკული — წარმოადგენს რა გარკვეული შინაარსით აღსავსეს" (მეგელი, დასახ. წიგნი, გვ. 242).

მუსიკალურობა და ლირიზმი — ეი რა არის სასულიერო მწერლობის პოეტური მეტყველების არსებითი ნიშნები. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ნიშნები საზოგადოდ პოეზიის არსს განსაზღვრავენ, განმაცალკევებელი თვალსაზრისით, „ლირიკა გვიჩვენებს პირველ პოეზიად". პოეტური მოელენის ერთგვარ სათავედ, ოღონდ ლირიკის ეს პირველადობა არის მისი არსის თვისება და არა ისტორიული განვითარების ამსახველი, რადგან „შინაგანი ხასიათი", მგრძნობელობა, რაზედაც ეურადღებას ამახვილებენ თეორეტიკოსები, ისტორიული განვითარების გაცილებით გვიან საუბრურზე აღმოცენდა" (ბ. ვერული, ზოგადი ლიტერატურისმცოდნეობა, მ., 1957, გვ. 68. რუს. ენაზე).

„გალობანი სინანულისანის" მუსიკალური ქე თილშობაობენი, რა თქმა უნდა, მისი გალობით აღსრულებისას ვლინდება სრულად. მაგრამ ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანია ლექსის მუსიკალობის განსაზღვრელი ის ასპექტები, რომლებიც ნაწარმოების სტრუქტურაში, მის რიტმულ აღნაგობასა და სიტყვიერ ფაქტურაში ძევს. მეორის სულის ყოველ მიმოხრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ამ ელემენტების შესაბამისობა განსაზღვრავს ნაწარმოების მუსიკალურობას. შილერის თქმით, მუსიკის ზემოქმედება იმაშია, რომ აქ ყოველ შინაგან სულიერ მოძრაობას ახლავს შესაბამისი სიმბოლოზაცია ანალოგიური გარეგნული მოძრაობისა. და იმ კანონია საიდუმლოების წყდომით, რომლებიც მართვენ ადამიანის გულის შინაგან მოძრაობებს, სულიერ მოძრაობათა და გარეკვეულ გარეგნულ მოძრაობათა შორის ანალოგიის შესწავლით კომპოზიტორი და პეიზაჟისტი უხამსი ბუნების ამსახველიდან სულის ჭეშმარიტ მხატვრად იქცევა. ხოლო პოეტს დამატებით აქვს ერთი უპირატესობა: მას შეუძლია ამ გრძნობებს დაუროთოს ტექსტი, წარმოსახვის სიმბოლიკა იმავე დროს გამამაგროს შინაარსით და ამით მას უფრო გარკვეული მიმართულება მისცეს".

„გალანტის" ენა გამომსახველობის თვალსაზრისით ულიერსად ძლიერია. იგი სადაა და ნათელი, ყოველი სიტყვა დატვირთულია კონკრეტული შინაარსით და მკაფიოდ გამოხატავს ავტორის სულიერ მდგომარეობას. ნაწარმოების პირველსავე სიტყვებს შეეყავართ გმირის შინაგან სამყაროში.

სიტყვა „ჰიმნოსი" (ამ სიტყვით იწყება „გალანტანი") ნაირსახეობაა სიტყვისა „რომელმან". გ. იმედაშვილის დაკვირვებით, ეს სიტყვა „ჰიმნოგრაფიაში შემოსაკაზმული ორიგინალურია ლექსიკური ტრადიციისა ლეონტის ნაცვალსახელის მნიშვნელობით და პირდაპირ მის სინონიმად გადაზრდილა. სტროფის „რომელმან"-თან დაწყება გარკვეულ პოეტურ ხერხად ქცეულა მთელიანი ბიმნის აგებისათვის, რითაც წინასწარ განსაზღვრულია ახეთი ბიმნების როგორც შინაარსი, ისე კომპოზიცია". აქვე შევნიშნავთ, რომ პირველი ფუნდი („რომელისაკა წინაშე ქედ-დადრეკილ არს ყოველი, მუქნი ყოველი მოდრკების და ეგზად ყოველი შენსა ნყრობს აღსარებასა") აღებულია ახალი აღთქმის წიგნებიდან, მაგრამ, ისევე როგორც სხვა ბიბლიური გამონათქვამები („რომელისაგანსა ვინ ძლიერ არნ, მისდაცა დამონებულ არნ", „გიხილო ნათელი ნათელთა ნათლითა უფლისაგანა" და მრავალი სხვ.) ძველის სიტყვიერი ქსოვილის ორგანულ ნაწილად ქცეული და ავტორისეული ფიქრების გადმოცემას ემსახურება.

აღსანიშნავია ძველის ერთი დამახასიათებელი თავისებურება: ნაწარმოების ეკსპოზიციაში ძირითადად ზმნების საშუალებითაა განხორციელებული. ნაწარმოების დასაწყისი, სადაც ავტორი ჩამოთვლის თავის ცოდვებს, შედარებით სტატიკურია და ზმნებიც ნაკლებად გვხვდება. ზოგჯერ მთელი მუხლი ეურნობა ერთადერთ ზმნას და ამიტომაც ამ ზმნას გამომსახველობის დიდი ფუნქცია აკისრია. დავასაბუთებთ რამდენიმე მაგალითს:

1. „ალეფნი მკვლელებრი ცხონაჲ სულთან ფრთა ლირწეულაჲ, გმირთა სიღოდთი მაგალითსა ხუთ ქალაქელთა შეგინებეხეს მწერე — უფროოს ვამრავალწ�sელ, ვითარცა რაჲ ადამრთა მსრბოლმან მდინარემან „უკეთურებისაშჳ".

2. „ზენაჲსა მოძრაობისა ბურანსანაული ზმნოაჲ, და : ცოიოშთა ვარსკვლავთა და უცთომელთა კრებაჲ და განყოფა, სუე და ბედი, და ზოიმნ დდე, ვითარ საღრმოოთა უსმენელმან ვიჩჴურენ".

3. „თითოეულთა მკეცთაგან შეზავებულსა ბკეცსა ვემზავსე მრავალგუარსა და მრავალბატსა და სხეა-ეან ხეეენრი ხილოულსა და მკსენარსა ბუნებისაგრრ თითოეულსა".

ზმნები: ვამრავალწილ, ვიჩჴურენ, ვემზავსე ზუსტი მნიშვნელობით ნათელს ჩფენენ გმირის სულთის მოძრაობას.

ნაწარმოების ლირიკული გმირის განცდა თანდათან ინტენსიური ხდება, რაც უშუალოდ აისახება ზმნათა მოკარგებაში. მათი ემოციური გამომსახველობა ამ ზომამდე იმატებს, რომ მკითხველს რეალურად ესმის ეგზალტირებული სულის ხმოვანება: „ალეფ მოძღოეველი მუკლთა გულისათაჲ ვკმის, ვითარცა სხეაჲ მანახე, მოეხონე, ჴ მეუფეო, მოეხონე და ნუ წარჰწყმედ ცოდვათა შინა, და ნუ იკეხენეს ძჳრთა ჩემთა, და ნუ დამსჯი მე ჯუესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ ამალელული ზენსკენეს ცათა ძალთაგან".

„გალანტანის" სიტყვიერი ფიქტური შინაარსის ემოციურ ხარისხს ათვალსაჩინოებს, ხოლო რა როლი ენიჭება მხატვრული სახის წარმოქმნაში ძველის რიტმსა და კომპოზიციას, ამ საკითხებს ამჯერად არ ეეხებით.

„გალანტანი სინანულისანანს" მხატვრული სახის განსაზღვრისას უფრადღება უნდა გამახვილდეს ანდრია კრიტელის „დიდი კანონისადმი" ჩვენი ძველის მიმართების საკითხზეც, რადგან, როგორც ეს მართებულადაა აღნაშნული, არ შეიძლება დავთან აღმაშენებლის „გალანტანი სინანულისანის" გაგება ანდრია კრიტელის „დიდი კანონის" ლირიკული ხუბლეტის გაუთვალისწინებლად (რ. სირაძე, წერილები, თბ. 1980, გვ. 118).

მსგავსება ამ ორ ძეგლს შორის კარგა ხანია შენიშნული და აღიარებულია ქართველ მკვლევართა მიერ, ჯერ კიდევ ბასელ ბაუკუნეში მიუთითებენ ქართველი ისტორიკოსი ა. ბრეტელეანი, რომ „გალანტანი სინანულისანი" თავისი შედგენილობით დიდ მსგავსებას ავლენს ანდრია კრიტელის „დიდ კანონთან". ოგივე თვალსაზრისისა იყო კ. კეკელიძეც. მისი თვალთახედვით, დავით აღმაშენებელის „გალანტანი სინანულისანი" შეუთხზავს ანდრია კრიტელის „დიდი კანონის" მიბაძვით.

აღნიშნულ პრობლემას სულ ახლახან გამოეხმაურა ა. გაწერელია თავის საგულისხმო

ნარკვევში „ვინ არის ავგუსტინეს და გუთა-ბიშვილის „სიძე"? („ბნათობი", 1985 წ. ნ. 10,11). ნაშრომში აღნიშნულია: „რაც შეეხება მოტივთა მსგავსებას ამ ორ ძეგლს შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ცოდვის გამო სინანულის, სულის ჯოჯოხეთის (ქვესკნელს) მოხვედრისა და სიხმილნის უფსკრულში საკუთარი არსების ყოფნის მოტივები, რომლებიც მაო ერთმანეთთან ანათესავებს". ავტორი აქვე მოუხმობს საინტერესო პარალელებს აღნიშნული ძეგლიდან და სარწმუნოს ხდის მაო ნათესაობას.

ამ საკითხით ჩვენც საგანგებოდ დავინტერესდით და ჩატარებული მუშაობის შედეგად 1975 წელს წარმოვადგინეთ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე (ანტიკური, ბიზანტიური და ადგილობრივი ტრადიციები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქვეყნებში). თეზისები გამოქვეყნებულია. ქვემოთ შემოგთავაზებთ ზოგიერთ დაკვირვებას. რაც ამ ძეგლთა ურთიერთმიმართების ჩვენთვის საყურადღებო ასპექტებს ეხება.

როგორც ცნობილია, ანდრია კრიტელი VII საუკუნის დასასრულისა და VIII საუკუნის დასაწყისის დიდი საეკლესიო მოღვაწე იყო. კ. კუმანეცკის დასახიათებთ, ის ითვლებოდა ბიზანტიური პერიოდის ყველაზე საუკეთესო საეკლესიო ორატორად. ამასთან ერთად, ანდრია კრიტელმა სახელი გაითქვა და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა როგორც ბიზნოგრაფმა. მას მიუწერდნენ ახალი ბიზნოგრაფიული ჟანრის (მანამდე გავატონებული იყო „ლონდაკი"), „კანონის", შემოღება. ანდრია კრიტელის მრავალფეროვან შემოქმედებაში თავისი შინაარსით, სიღრმითა და სინატაფით მართლაც გამოირჩევა „დიდი კანონი". ბიზანტიური ბიზნოგრაფიისა და მუსიკის აღიარებული სპეციალისტი ეგონ ეეელსის თანახმად, თუ იოანე დამასკელთან აღდგომის საგალობელს უწოდებდნენ „ოქროს გალობანს" ანუ „გალობათა დედოფალს", ანდრია კრიტელის „დიდი კანონი" სამართლიანად ითვლებოდა „კანონთა მეუფედ".

ანდრია კრიტელის „კანონს" დიდი ეწოდება თავისი მოცულობის გამო. თუ ჩვეულებრივი „კანონი" შედგება 30 ან ცოტა მეტი დასდებელისაგან, ანდრია კრიტელის „დიდი კანონი" შეიცავს 11 ირმოსს (მეორე და მესამე გალობას აქვს ორ-ორი ირმოსი) და 212 დასდებელს, 11 სამებისასს, 11 ღვთისმშობლისასს და 1 კონდაკს. „დიდი კანონის" დასდებელთა შორის მოთავსებულია მარიამ ეგვიპტელისადმი მიძღვნილი დასდებელებიც, ორ-ორი კანონი თითოეულ გალობაში. „დიდი კანონი" სრულდება ანდრია კრიტელისადმი მიძღვნილი ზეგსმით. ახე რომ, „დიდი კანონი" სულ 250 დასდებელისაგან შედგება.

ანდრია კრიტელის „დიდი კანონით" მიმნო-გრაფიის განვითარებაში იწყება ახალი ეტაპი, როგორც ს. ს. ავერინცევი შენიშნავს, „ლონდაკის" ჟანრისათვის დამახასიათებელი იყო თხრობითი და დრამატიზებული, დიალოგური ნაწილები, თუ „კონდაკის" მონაწილეთა ერთმანეთის ეხმიანებიდნენ რეპლიკებით, თავის სულიერ მდგომარეობას გადმოგვაწვდიდნენ პათეტიურ მონოლოგებში, ჩაებმოდნენ ბაასსა ან კამათში, „კანონმა" არსებითად შეცვალა საყრნენი მხატვრული შინაარსი. დრო ხატოვანი თხრობისა და დრამატული სცენებისა წავიდა. დადგა ეპიკი განსჯისა და ქება-დიდების ალეფლენის. კონდაკის ჟანრი განდევნეს კანონის ჟანრმა. ამ ჟანრის კლასიკოსი კი ანდრია კრიტელი იყო. მან დაწერა „დიდი კანონი", სადაც დაუსრულებელად მოთავსებულიყვნენ ძველი და ახალი აღთქმის სახეები, რედუცირებული უმარტივესი ანრობრივი სქემებით. მაგალითად, ევა — ევა კი ალარ არის, არამედ თვით ხამშვნეველის ქალური, მაცდური საწყისია ყოველ ადამიანში. ანდრია კრიტელი გოდებს: „ჭრონთანდოსა ევას ნელ საცნაფი ევა ჭორცთა ჩემთა ვნებელი ადრვეგა მიჩუენებდა მე ტკბილთა, რომელთა ვემოდ რაჲ ვიხ�d, დავაკლდი ზენსა მას მეცნიერებასა".

იგივე შეიძლო ეთქვა რომანოს მელოდოსსაც, მაგრამ ს. ავერინცევის თანახმად, მასთან ეს ჟანრებიდან თხრობას დართული იგავური „ზორალი". ანდრია კრიტელს კი არ ინტერესებს თხრობა, მას ინტერესებს „ზორალი". მოელი „დიდი კანონი" — თითქოს „ზორალთა" კრებულია მამრთული ეთიზით არარსებული იგავსისადმი. „ეზნიდნი ნელრალსა" კოსერეტულობა ალარ ვგველინება სიმბოლოდ. არამედ — ბადაიქცევა ბარდაფქმად, იგავური თხრობად (ს. ს. ავერინცევი, ანრეფიზანტური ლიტერატურის პოეტიკა, მ. 1977, გვ. 108).

ანდრია კრიტელის შემოქმედებისადმი ქართველებს თავიდანვე სერიოზული ინტერესი გამოუხატავთ. ქართულ ენაზე თარგმნილია თითქმის ყველა ნაწარმოები კრიტელი არქიეპისკოპოსისა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „დიდი კანონი" სამგზისაა ქართულად თარგმნილი. მისი მთარგმნელები არიან ქართული კულტურის უსაზრნოესი წარმომადგენელები: ეკვთიმე ათონელი, გიორგი ათონელი და არსენ იყალთოელი. ცნობილია ისიც, რომ მესამე თარგმანი განსორციელებულია თვით დავით ალმაშენებლის „ბრძანებითა და ჯერჩინებითა". (აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ „დიდი კანონის" სამივე ქართული თარგმანის ურთიერთშეჯერება და მათი რაობის ზუსტი განსაზღვრა ქართული მიმნოლოგიის ერთი მნიშვნელო-

ვანი პრობლემაა, რომელიც ამჟამად მეცნიერული შეხედულების პროცესშია).

ანდრია კრეტელის „დიდი კანონისა" და დავით ალმაშენებლის „გალობანი სინაწულისანის" შედარებისას ჩვენ ვეუფლნობთ „დიდი კანონის" ქართულ თარგმანებს, რადგან, უდავოა, რომ დავით ალმაშენებელმა ბერწყინველად იცოდა ამ ძეგლის სწორედ ქართული თარგმანები და რემინისცენციებიც სწორედ მათგანია მოსალოდნელი დავითის საგალობელში.

რა დასკვნამდე მიგვიყვანა ამ შედარებამ?

იოკვეა, რომ ანდრია კრიტელისა და დავით ალმაშენებლის საგალობლებს ანთიფონაები ერთი თემა და ეთიკური იდეების ერთი წრე. ორივე საგალობელი შემმნილია 50-ე ფსალმუნის მოტივებზე. ორივე ნაწარმოებში ლირიკული გმირი წარმოთქვამს აღსარების უზენაესის წინაშე, ინანებს ჩადენილ ცოდვებს და იმედოვნებს ღმერთის მოწყალეობასა და სახიერებაზე.

ორივე საგალობელს საფუძვლად უდევს ახალი ალთქმისეული მოძღვრება ადამიანზე, რომელიც ქრისტიანული თეოლოგიის თანახმად ითვლებოდა მოძღვრად ღვთიებასა და სამყაროზე. ამ მოძღვრებით, ადამიანის შემეცნება სამყაროს წვდომას ნიშნავს, სამყაროს შეცნებაით კი ადამიანის ღვთიერივი არსი იხსნება.

ამიტომ ორივე ძეგლში ლირიკული გმირი ეფუძნება პიროვნების ფართო გაგებას. ორივე თავის თავს მიიჩნევს პირველი ადამიანის შთამომავლად. თავისი ცოდვების განსასაზღვრად ორივე მიმართავს ბიბლიას და ბიბლიური ისტორიის გახსენებით მკაცრად განსჯის საკუთარ თავს. ბიბლიური ცოდვების ჩამოთვლისას ორივე გმირი გვევლინება არა მხოლოდ უშუალო გადმომღებად, არამედ — ცოდვილად, რომელმაც დაარღვია ის ზნეობრივი პრინციპები, რომელზეც საუბარია ძველსა და ახალ ალთქმაში. საგალობლებში ჩამოთვლილი ცოდვები ალბეგლილია პირველ ადამიანად ნაშინი. საგულისხმოა, რომ ა. ბარხაკმა ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებაში" ჩამოთვლილი ცოდვებიც დაიყვანა ერთ საწყისზე — ცოდვაზე, რომელიც ღმერთთან არასრულ ერთიანობას გულისხმობს.

„დიდი კანონისა" და „გალობანი სინაწულისანის" მსტატრული თეოლი მსგავსია: არა კონკრეტიზირება ცოდვებისა და ხათქმელისა, არამედ — განზოგადება, ბიბლიური სახეებთან შეთანაბრება, საკუთარ თავსა და კაცობრიობის უცოდველეს ადამიანებს შორის პარალელის გაკეთება. ოღონდ აქვე გვინდა შეგნიშნოთ, რომ კონკრეტული დამთხვევები ბიბლიურ სახეთა მოხმობისას ამ ძეგლებს შორის ძალზე იშვიათად გვხდება. „დიდ კანონში" მოტანილია უამრავი მნიშვნელოვანი სახე ძველი და ახალი ალთქმიდან. დავით ალმაშენებელი კი, რადგანაც ამაზეკეთის ბიბლიური ისტორია სრულიად სხვა მოცულობებზე. დავით ალმაშენებელს თავის საგალობელში არ მოუხსენებია არცერთი ბიბლიური ცოდვა, რომელსაც ეხება ანდრია კრიტელი, გარდა ადამისა და კაენის ცოდვებისა. ერთიანადვივე ცოდვა უნდა იგულისხმებოდეს შემდეგ გამოთქვამებშიც: „ვმმძლავრე საწოლსა ჩემსა, ვითარცა მან მამისასა" („დიდი კანონი"), „ეარწილთა მიერ ხენეშეთა ვმმძლავრე საწოლსა ჩემსა" („გალობანი სინაწულისანი").

მიუხედავად ამ ძეგლების მსტატრული მოდელის მსგავსებისა, დავით ალმაშენებლის საგალობელი სრულიად დამოუკიდებელი ესოტატური ლირიკულების ძეგლია, რომელიც ეფუძნება ლირიკული გმირის ღრმა ემოციურ განცდებს.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ შუა საუკუნეების მწერლობაში კერძოდ მინორატიფიში, როგორც წესი, დამუშავებულია საკოველთაოდ ცნობილი ზოგადქრისტიანული მოტივები. საგალობლები ეძღვნება ამა თუ იმ დღესასწაულს, ღვთაებას, მაცხოვარს, წმინდანს... განდიდებულია ქრისტეს შობა, ნათლისღება, აღდგომა, წარმოჩენილია წუთისოფლის წარმავლობისა და საკუთარ ცოდვათა მონანიების მოტივები. ცნობილია ისიც, რომ მედიევალურ კულტურაში მსტატრული ფაქტორი შედგება მუნ სახეების ალეგაციებისაგან. მაგრამ ეკლესიური მსტატრული ნაწარმოები მაინც აღიქმება როგორც ორიგინალური და დამოუკიდებელი ესოტატური ლირიზულების მოგვეწინა. შუა საუკუნეების ძეგლთა მსტატრულ თავისთავადობას, მათ ცხოველმყოფელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ შემოქმედი ყოველ რელიგიურ ფაქტთან ამყარებს დამოუკიდებელ მიმართებას, ეხა თუ ის მოსეულება ფდება მისი პირადი რეფლექსიისა და განცდის საგანი. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იგი აღმოაჩენს და აღწერს ბიბლიურ ამა თუ იმ რელიგიურ დღესასწაულს, ნაწარმოებს წარმართავს გრძნობით დამუშავებული ანრი, რაც განაპირობებს პოეტური საგალობლის ეფექტურობას.

ანდრია კრიტელისა და დავით ალმაშენებლის საგალობლებთა ჩაკრამავებული ანალიზით იკვეთება ნიშნები, რომელიც ამ ძეგლთა სპეციფიკას განმსაზღვრელად შეიძლება მიეჩინოთ.

„დიდ კანონში" ჩვეულებრივი ღვთისმოსავი ადამიანის სულის ბიოგრაფია გადაშლილი. იგი შეიძლება მიესადაგოს ყველას, ვინც თავს წარმოადგენს „დიდი კანონის" ლირიკული სუბიექტის ადგილზე. „გალობანი სინაწულისანი" კი შეიცავს არა ჩვეულებრივი კაცის ბიოგრაფიას, არამედ — მეფე-გალობნისანისას. „ლინწულის კვალობაზე ჩვენთვის საინტერესო ძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლთა ინტონაციას თუ მივაყურადებთ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ხმოვანებას მოვისმენთ.

სხვათა შორის გამოთქმული მოსაზრება, რომ „დიდი კანონი" დაწერილია იმ პერიოდში, როცა მუსლიმანური უღელი უფრო ფაროდად დაჰკვრა იერუსალიმის შემოგარენს და საფრთხეს უქმნიდა წმინდა მიწას. საჭირო გახდა მორწმუნეთა სულის სათანადოდ მომართვა და მათ ბალეთი აღსუფლა სინანულის ლოცვად. „დიდი კანონის" კონდაკი, რომელიც, როგორც ბეციალისტები შენიშნავენ, ხსნის ნაწარმოების მთელ არსს, შეიცავს მოწოდებას: „სულო ჩემო, სულო ჩემო, აღდეგ, რაჲსა გძინავს? აღსასრული მოახლოებულულ არს და გეგჳულების აღშფოთებაჲ. განიდგიძე, რაჲთა შეგიწყალოს შენ ქრისტემან ღმერთმან, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს". ასე რომ, „დიდი კანონის" მიზანი ყოველი ადამიანის განსწავლა-გამოფხიზლებაა.

„გალობანი სინანულისანი" კი შექმნილია უზენაესისადმი უსაზღვრო მადლიერებისა და მოწიწების ნიშნად. ავტორი, ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, ინანებს, რომ ღვთაებრივ სახიერებასა და შემწეობას უმადლო ექმნა და დაადგა ცოდვათა გამრავლების გზას.

აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა იმის გასხენებაც, რომ „დიდი კანონი" შექმნილია VI ხმაზე, „გალობანი სინანულისანი" კი VII ხმაზე. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორის ე. ლოვიაგინის დასახასიათებთან კი, VI ხმა თავისი ყდრაღობით ყველა სხვა საკლესიო ხმასთან შედარებით სულ მეტად განაწყობს გულწრფელი ურვა-ოდებისა და შინაგანი ნეტარი გალობისათვის, VII ხმა კი გამოირჩევა განსაკუთრებული მედიდურობითა და მამაცური სიმწყაურით, რომელიც მსმენელის გულში აღძრავს სულიერ მნეობასა და იმედს. შეიძლება ითქვას, რომ საანალიზო ძეგლთა მსატვრულ ფაქტურაში ჩაქსოვილია ზემოხსენებულ ბამისი ინტონაციები, რომლებიც საგრძნობია გალობის თანხლების გარეშეც.

ანდრია კრიტელის „დიდი კანონი" და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი" ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან სიუჟეტური ხაზის განვითარების თვალსაზრისითაც.

„დიდი კანონის" სიუჟეტური ხაზი ვითარდება სპირალურად. ლირიკული გმირი ხან ღვთაებას მიმართავს, ხან თავის სულს ეხმიანება, ის ხან გოდებს თავისი ცოდვების გამო, ხან თავს სინანულისაკენ მოუწოდებს. ძველი და ახალი ალეგორიის მაგალითებს ხან თავის განსაჯულად მოუხმობს, ხან — მისაბაძი სახეების გასაცინცხლებლად. საგალობელში მუდმივად იცვლება ლირიკული გმირის განწყობილება: ღრმა სევდისა და კაეშნის წილ შემოდის იმედისა და ხასოების ნათელი სხივი, შემდეგ ნათელ ტონებს კვლავ ენაცვლება სევდიანი მოტივები და ა. შ.

დავითის სინანულის საგალობელში, ლირიკული გმირის ღაღადისი მიმართულია ღვთაებისადმი. მთელი ძეგლის მანძილზე იგი უზენაესს ეხმიანება. მაგალითები ბიბლიიდან მოტანილია მხოლოდ ცოდვილი სულის დასახასიათებლად, ხოლო სიუჟეტური ხაზი ვითარდება აღმავალი ხაზით. საგალობელში გამოხატულ სევდასა და გოდებას აგვირგვინებს რწმენით გახსნილებული ნათელი, ზეალმაფრენი ინტონაცია. ასე რომ, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანნ" მხატვრული სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება „დიდი კანონის" არქიტექტონიკისაგან. დავით აღმაშენებელი. შთაგონებული ანდრია კრიტელის განთქმული საგალობლითი, ირჩევს ორიგინალურ გზას და ქმნის თავისთავად მხატვრულ დოკუმენტს, რომელიც მსგავსად მარკ ავრელიუსის ფიქრებისა, ნეტარი ავგუსტინეს და ღ. ტოლსტოის აღსარებებისა მუდამ აალელვებს სულიერ ფასეულობათა რიობაზე დაფიქრებულ კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკ რეხვიაშვილი

პარტიზანი ინსტრუქტორ-გამომგონებელი

მოსკოვში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ცენტრალური მუზეუმის ცხრა დარბაზი ეძღვნება დიდი სამამულო ომის თემას. ცხრა დარბაზი ოცდაეთვიდან! და ყველა დარბაზში შეხვედებით ქართველ გმირებს.

ჩვენს ულტანდებას ისკრობს ფ. მადოროვის ნახატი — ახალგაზრდა პარტიზანს მხრებზე გადაუკიდია საველე ჩანთა, მარჯვენა ხელი საიმედოდ ჩაუკიდია თავისივე გამოგონილ საბრძოლო იარაღ „ბრანგატმოოტისათვის". პორტრეტის ქვემოთ წარწერაა: „თენგიზ შავგულიძე — ჯიბის არტილერიისა და ხელყუმბარების გამოგონებელი".

...დიდი სამამულო ომის მეორე გაზაფხული იდგა. სამშობლო განსაცდელში იყო. მეტად მძიმე და აუტანელი ვითარებაში უხდებოდათ ბრძოლა ბელორუსიაში მოქმედ პარტიზანებს; ბელორუს პარტიზანებს შორის იბრძოდა თ. შავგულიძე.

ახალგაზრდა ქართველი ინჟინერი გამოიწვრთო და დავაყენეს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი ომის პირველი დღეებიდანვე მამაცურად იბრძოდა სხვადასხვა ფრონტებზე. იყო მებრძოლ რკინიგზელთა რაზმის მეთაურო, დნეპრის გადალახვისათვის წარმოებულ გაფთრებულ ბრძოლებში კონტაუზია მიიღო და ტყეებიში აღმოჩნდა, საიდანაც მალე მოახერხა გაქცევა და სამშობლოს ერთგული პატრიოტი 1942 წლის 14 ივნისს მდიდარი საბრძოლო და შრომით გამოცდილებით მივიდა ბელორუსიაში მოქმედ გენერალ-მაორ ბ. კონსტანტინოვის პარტიზანულ რაზმში, სადაც მამაცურად იბრძოდა 1943 წლის პირველ აპრილამდე, როგორც რიგითი პარტიზანი.

1943 წლიდან რაზმი, რომელშიც თ. შავგულიძე იბრძოდა, პარტიზანულ შენაერთად გადაკეთდა და შენაერთს ბ. მიხაილოვის სახელი მიეკუთვნა. პარტიზანულ შენაერთს ჰქონდა თავისი ტიპოგრაფია, სადაც, საბრძოლო და საგაზეთაცოო ფურცლების გარდა, იბეჭდებოდა პარტიზანული გაზეთი «Удар с тыла».

პარტიზანული ბრძოლების წარმატებებში თავისი წვლილი შეჰქონდა თ. შავგულიძეს. ამიტომ იყო, რომ სულ მალე ახალგაზრდა პარტიზან-გამომგონებლის დიდი ნიჭი და ოსტატობა მთელ პარტიზანულ შენაერთში გახდა ცნობილი, მასზე ხშირად იბეჭდებოდა კორესპონდენციები პარტიზანულ გაზეთში. თ. შავგულიძე მინსკის დიდი სამამულო ომის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის განსაკუთრებით სახელგანოჭეულ პარტიზანთა სიაში ირიცხება.

ორი ძმადნაფიცი მებრძოლი, ინჟინერი თ. შავგულიძე და ექიმი ი. დრუიანი ერთად მივიდნენ პარტიზანული შენაერთის შტაბში, სადაც უკვე იბრძოდნენ პარტიზის მინსკის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი, პარტიზანული შენაერთის მეთაური ვ. კოზლოვი, რ. მაჩოლესი, ი. ბელსკი და პარტიის მინსკის არალეგალური საოლქო კომიტეტის სხვა წევრები.

თ. შავგულიძე პარტიზანული შენაერთის მთავარი ინჟინერ-კონსტრუქტორი და გამომგონებელი გახდა. იგი განსაკუთრებული ენერგიითა და მოწდომებით შეუდგა საქმიანობას ახალი საბრძოლო იარაღების შექმნა-გამოგონების მიზნით.

ეს ის დროა, როცა პარტიზანებს აკლდათ იარაღები და ფეთქებადი ნივთიერებები. ასეთ რთულ და დაძაბულ ვითარებაში თ. შავგულიძის მეთაურობით შეიქმნა მენაღმეთა საგანგებო სადაგებლო რაზმი. მას ერთგულად ამოოუდგნენ მხარში მენაღმე პარტიზანები: ბ. პეტროვი, ა. პეტროპოლიკინი, ნ. დოლგოპოლოვი და სხვები.

იმ დროს, როცა მტრის ღრმა ზურგში მოქმედ პარტიზანებს „სარელსო ომის" მძიმე დღეებში უველაზე ძლიერ გაუჭირდათ ფეთქებადი ნივთიერებებისა და საბრძოლო იარაღების უკონლობის გამო, თ. შავგულიძემ გამოიგონა მატერიალის მომპრთულების შემცველი, სალაინდაგო ისრის მოქმედების პრინციპს დაკვირდებარეული, რელსზე მისამაგრებელი სრულიად მატერიი კოსტრუქციის რკინის სოლი, ეერეო წოდებული, „ბადასაყვანი სოლი", რომლის დამზადება შეიძლე-

ბოდა სოფლის ჩვეულებრივ სამშენებლოში ცუსტარული წესით. ამ ერთი შუხედვით უბრალო იარაღმა შემოგვნი შავ დღეში ჩაგდო ბერძნული დამპყრობთა ეშელონები. იარაღის გამომაწოვებლის საკაბიტეციმდე მას „შავგულძის რკინის სოლი“ უწოდეს.

„რკინის სოლის“ გამოცდა ბარწყინვალე შედეგით დამთავრდა — ფრონტებისაკენ დიდი სიჩქარით მიმავალი მოტელრელი ჯარისკაცებითა და ოფიცრებით დატვირთული მატარებელი ლიანდაგიდან ამოვარდა, ღრმა ხევში გადაეშვა და ნამსხვრევებად იქეცა. დაიღუპა მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, განადგურდა მოწინააღმდეგის საბრძოლო ტექნიკა და იარაღი. ეს იყო ბერის ღრმა ზურგში მამაცი ქართველი ინჟინრის პირველი გამოგზავნა. გარდა ამისა, იგი პარტიზანულ შენაერთში ხელმძღვანელობდა მესანგრეთა კაზრების მომზადებას; დაიწყო თ. შავგულძის „რკინის სოლის“ მასიური გამოშვება.

რკინიგზის გადასაყვანი ისრის მუშაობის პრინციპზე შეჭმნილმა ამ მარტივი კონსტრუქციის იარაღმა შემდეგში დიდი როლი ითამაშა ბელორუსიის მიწა-წყალზე გაჩაღებულ ეგრეთ წოდებულ „სალერსო ომში“.

თ. შავგულიძე ბრძოლებში ყოველთვის დიდ შეუპოვრობასა და მამაცობას იჩენდა. თავისივე გამოგონით და შეჭმნილი „რკინის სოლით“, პირადად მან, ფაშისტთა ორი შელეონი გადაჩეხა ხევში.

ამ პერიოდში პარტიზანულ შენაერთში გახსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ხელყუმბარებზე. იარაღის ის რაოდენობა, რომელსაც „დიდი მიწიდან“ იღებდნენ, ვერ აკმაყოფილებდა პარტიზანთა გაზრდილ მოთხოვნას ხელყუმბარებზე. ამ ძნელბედობის ჟამს პარტიზანული შენაერთის შტაბის ხელმძღვანელობამ თ. შავგულიძეს მიმართა თხოვნით, შეექმნა ახალი ხახეობის იარაღი. თ. შავგულიძემ შეადგინა ნახაზები, შეიმუშავა პარტიზანული ხელყუმბარების კონსტრუქციები, რომლებიც წაროდგინა პარტიზის მინსკის არალეგალურ საოლქო კომიტეტის მდივანს ი. ხელსკის.

პარტიზანული შტაბისა და პარტიზის მინსკის ოკუპაციულ საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა გულდასმით გაეცნო ნახაზებს, მოეწონეს თენგიზის იდეა და ჩანაფიქრი.

დადგა ხელყუმბარის გამოცდის დღე. პირველი ხუთი ხელყუმბარის გამოცდა მოხდა პარტიზანული შენაერთის მეთაურის ვ. კოზლოვისა და იარაღის საგამოცდო კომისიის სხვა წევრების, პარტიზანული რაზმების მეთაურების, მებრძოლების თანდასწრებით. განსაკუთრებით ღელავდა ი. დრუბინი, რომელიც ძმადნაფიცს ერთგულად ეღება მხარში. თ. შავგულძეს ხუთი ყუმბარა გამოსცადა და ხუთივემ გაამართლა. შედეგმა მოლოდინს გადაჭარბა. იარაღის საგამოცდო კომისიამ თ. შავგულიძის გამოგონებას უმაღლესი შეფასება მისცა.

საგამოცდო კომისიამ თ. შავგულიძის ხელყუმბარა მიიჩნია შესანიშნავი თვისებების მქონე საბრძოლო იარაღად. იქვე გამოსცადეს პოლეგონზე მოხდა მისი ნათლობა, იარაღს „თ. შავგულიძის პარტიზანული ხელყუმბარა — „პმგ“—I“ უწოდეს.

1943 წლის ივნისში პარტიზანებმა მატელრელებს თავს დაატეხეს ეგრეთ წოდებული „ყუმბარების საგანგებო საბრძოლო ოპერაცია“. პარტიზანებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს მტერზე და დაიწყეს მზადება კიდევ უფრო მძლავრი საბრძოლო ოპერაციის განხორციელებისათვის. ეს ის პერიოდია, როცა გერმანელი ფაშისტები ამზადებდნენ შეტევას კურსკის მიმართულებით. გერმანელელ დამპყრობლებს ფრონტისაკენ გადაესროდათ დიდძალი ცოცხალი ძალა და გადაჭერნდათ სათბარი ტექნიკა. აი, სწორედ სიბეთოთა არმიის მეგრძოლებისათვის ამ მძიმე დღეებში პარტიზანული შენაერთის ხელმძღვანელობამ რკინიგზის სადგურებში ფაშიზმს და ხიბოინი მოაწყო პარტიზანთა მასიერებული საუფმბარო ლაგამი. ფრონტზე მიმავალ მტრის ეშელონებს; პარტიზანების ეს საბრძოლო ოპერაციაც დიდი წარმატებით დამთავრდა; მატელრელებმა დიდი მარცხი განიცადეს, ენიო ალუნერელი ზარალი ნახეს.

თ. შავგულიძე მიღწეულით არ კმაყოფილდება. ქმნის ახალ იარაღს „ფრანგამთოლატ“. ამ იარაღის გამოცდელმა კომისიამ მოიოხოვა მისი სერიული გამოშვება. თ. შავგულიძეს მიუღიცეს კიდევ ერთი ახალი შემოქმედებითი გამარჯვება, თუ აქამდე პარტიზანები ჩვეულებრივ ხელყუმბარას ხელით ისროდნენ და ძნელი იყო მისი ტყორცნა შორს, მოწინააღმდეგის საბრძოლო პოზიციებამდე, ამჟერად ახალი კონსტრუქციის ხელყუმბარის გასროლა თოფით ხდებოდა და ყოველთვის აღწევდა სასურველ მიზანს.

თ. შავგულიძის ფრანგამთოლატის ძალა და საიმედოობა ბრძოლით ველზე გამოჩნდა. იგი პარტიზანების საკვარელ იარაღად გადაიქცა, ამიტომ შემოხვევით არ იყო, რომ მას „პარტიზანული კატიუშა“ უწოდეს.

1943 წლის პირველი თებერვის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, — ამბობს თ. შავგულიძე, — პარტიზანული სახელოსნოებში დამზადდა 120 „ფრანგამთოლატი“ და 7000-ზე მეტი ხელყუმბარა. აქედან ცხადია, თუ რა დიდი საბრძოლო, საამბრძოლო-პატრიოტული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა თ. შავგულიძის გამოგონებებს. ერთ იმფორიოდელ სახუთში ჯეიბოსულობთ: „დიდი მიწიდან“ პარტიზანებისათვის მტრის ღრმა ზურგში იმ რაოდენობის ხელყუმბარების მიწო-

ლება, რაც პარტიზანულ სახელოსნოებში მზადდებოდა, ხელეუფშბარების თვითღირებულებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მოითხოვდა ათეულობით თვითმფრინავის ფრონტის ხაზზე გადაფრენას და დაახლოებით 50 ტონა ბენზინის დაწვას". ეი რა ეკონომიკური შედეგს იძლეოდა თ. შავგულიძის გამოგონებები.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს თ. შავგულიძის ღვაწლი საბჭოთა ხალხის წინაშე. პარტიზანულ ბრძოლებში, თავდადებისა და მამაცობის გამოჩენისათვის იგი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორ-ბრ ინდენთა და სამამულო ომის პარტიზანის მეორე ხარისხის მედლით.

დიდი სამამულო ომის შემდეგ თ. შავგულიძე დაბრუნდა მოსკოვში და მშვიდობიან შრომას შეუდგა მუხრუჭების ქარხანაში, სადაც მოსკოვის სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მივიდა ჯერ კიდევ წითელ არმიაში გაწვევამდე.

ამოკამად რუსულ დამსახურებული გამომგონებლის თ. შავგულიძის სახელზე თვლიდნენ 78 გამოგონება. მიღებული აქვს რვაფეული ავტორი მოწმობა. მათ შორის 15 ყველაზე ეფექტური დანერგილია სახალხო მეურნეობის პრაქტიკულ საქმიანობაში და განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებიან რკინიგზის ტრანსპორტში, ჩვენი ქვეყნისა და მომავე სოციალისტური ქვეყნების მეტროპოლიტენებში. ქართველი ინჟინრის გამოგონილი და პრაქტიკაში დანერგილი ხელსაწყო-იარაღები მატარებლების სწრაფი მოძრაობისა და უსაფრთხოების საიმედო გარანტიას იძლევიან.

თ. შავგულიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს ქარხნის საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი არაერთხელ ყოფილა არჩეული ქარხნის ტექნიკური განყოფილების პარტბიუროს შემადგენლობაში. იყო საამქროს ადგილკომის თავმჯდომარე. იგი ისეთივე თავდადებით შრომობს დედასამშობლოსათვის, როგორი თავდადებითაც იბრძოდა ფრონტსა და პარტიზანთა რიგებში მტრის ღრმა უკანაზე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის" დამატები — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 5. 03. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 05. 86 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თანხა 15. 85. შეკვ. 572. უე 04 643. ტირაჟი 61.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.
ინდექსი 76288

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

«ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**